საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ავლიკი ზურაბაშვილი

პერსონოლოგიური ძიებანი

„მეცნიერება“
თბილისი
1979

617.9 + 15 — 8
616.89 + 151 + 899.962.109
ზ 971

ნაშრომში დეტალურადაა განხილული ფსიქოლოგიური მიმართულებანი სამეცნიერო კვლევის სხვადასხვა დარგში.

ამასთან ერთად გაშუქებულია პერსონოლოგიური პრობლემები ქართულ მწერლობაში—შოთა რუსთაველის, სულხან-საბა ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველასა და ივანე ჯავახიშვილის შემოქმედების მაგალითზე, მასალები განხილულია ეეოლუციურ-დინამიკურ, ისტორიულ ასპექტში. განხილულია აგრეთვე საკითხები ადამიანის სულიერი ყოფიერების აზრის, მნიშვნელობისა და დანიშნულების შესახებ.

ავტორი აგრეთვე ჩერდება კაცთმცოდნეობისა და მორალური სიფაქიზის პრობლემებზე.

© გამომცემლობა „მეცნიერება“ 1979

ზ $\frac{20504}{М\ 607\ (06)—79}$ 79 .. 79

შესავალი

ჩვენი დრო ითვლება სამეცნიერო რევოლუციის პერიოდად, როდესაც ტექნიკურ აზრს და ამასთან ერთად კიბერნეტიკულ მიმართულებას აქვს საზღაპრო მიღწევები. მექანოცენტრიზმი თითქოს სჯაბნის ანტროპოცენტრიზმს. მაგრამ აქვე უნდა დავძინოთ, რომ დღეს ანტროპოცენტრისტულ აზროვნებას და, პირველ რიგში, ფსიქოლოგიურ მიმართულებებს აგრეთვე აქვს თავისი გამარჯვებანი. კვლევის არც ერთი უბანი თითქმის არ არის, სადაც წინ წამოწეული არ იყოს ფსიქოლოგიური ანალიზის ცხოველმყოფელი როლი, მნიშვნელობა და დანიშნულება.

საკმარისია გავიხსენოთ დღევანდელი წარმოდგენები ფსიქოისტორიაზე, ფსიქოლინგვისტიკაზე, ფსიქოხელოვნებაზე, ფსიქოდრამატურგიაზე, ფსიქოკინომცოდნეობაზე და ასე შემდეგ.

როგორც ვიცით, ახლა თეატრალურ ხელოვნებაში დიდი ინტერესით შემოჭრილია ახალი ჟანრი, ე. წ. რეტროს სახელწოდებით. მიმართულება „რეტრო“ უეჭველად გულისხმობს აგრეთვე ფსიქოლოგიურ მიმართულებას, როდესაც თანამედროვე სულიერი სამყაროს ანალიზისათვის მკვლევარი მიმართავს უკვე წარსულის ფსიქოლოგიური განცდების გახსენებას და ჩვენებას. ცხადია, უკანასკნელი ძიებანი არც ისე იშვიათად არ არის გააზრებული მართებულად და მოითხოვს კორექტირებას. ხაზგასმით უნდა იყოს თქმული, რომ ერთი გარემოება უეჭველად გამამხნევებელია და გზის მაჩვენებელი, მხედველობაში მაქვს დებულება, რომ დღეს მრავალ მეცნიერებაში უეჭველად საჭირო და აუცილებელია ყურად იყოს მიღებული და სერიოზული ანგარიში გაეწიოს ადამიანის სულიერ სამყაროს, მის განცდათა სიმდიდრეს, მიმართულებას და მისი სულიერი სამყაროს სიფაქიზესა და მოთხოვნილებებს.

ფსიქოლოგიური სამყაროს შესწავლისას დღეს ვხვდებით დებულებებს აზრის კომპრესიის ანუ დაწნეხვის შესახებ. კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანის სულიერი შინაარსის შემოქმედებითი შესწავლა პირველ რიგში უნდა მოხდეს პერსონოლოგიის

შუქზე, სხვა გზის ძიება, რაც გინდ იგი ძლიერი კომპრესიის არ იყოს, ვერ ჩაწვდება მისი კაცური კაცობისა და მორალური მოწოდების სიღრმეს.

ევოლუციურ-დინამიური და აქედან გამომდინარე ნორმასა და პათოლოგიაში ფსიქიკურ გამოვლინებათა პერსონოლოგიური ანალიზი, ფსიქიკურ აშლილობათა ჩამოყალიბებისა და შემდგომი კლინიკური მიმდინარეობის განხილვა, ადამიანის მთლიანობის ასპექტი, ფსიქოზის კლინიკურ ფსიქოპათოლოგიურ შინაარსსა და პათობიოლოგიურ წანამძღვრებთან ერთად თანამედროვე ფსიქიატრიის შემოქმედებითი კვლევის ძირითად მიმართულებას შეადგენს.

ჩვენს დროში განსაკუთრებით საჭირო და აუცილებელია სინთეზური ანალიზი და ამ გზით დროული ფაქტიური მასალა. ადამიანი, როგორც ტოტუს ჰომი (მთლიანი ადამიანი) კი მრავალმხრივსა და ყოველმხრივ კვლევას მოითხოვს. ამასთან, ფსიქიატრის ურთიერთობა ფსიქიურ ავადმყოფთან ექიმური ჰუმანიზმის მაგალითი უნდა იყოს.

ნორმალურ ფსიქოლოგიაში ფართო ფსიქოპათოლოგიური ექსკურსების ფსიქიატრიისათვის სასარგებლოდ მიჩნევა ერთგვარ კორექციას მოითხოვს. ნორმალურ და პათოლოგიურ ფსიქოლოგიას შორის კი შემოქმედებითი სიმბიოზის აუცილებლობა საინტერესოდ და პრაქტიკულად საჭიროდ მიმაჩნია.

ფსიქონევროლოგიაში თეორიული და პრაქტიკული ძიებანი უნდა ეყრდნობოდეს იმ პერსონოლოგიურ იდეას, რომ შრომა და წესრიგი სულიერი და მატერიალური სიმდიდრის, ხოლო სიმართლე და ურთიერთ-სიყვარული ბედნიერების წყაროა.

ანთროპოფილოსოფიური, ანთროპოფსიქოლოგიური და ანთროპობიოლოგიური პრობლემებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია თეზისი, რომელიც საჭიროდ მიიჩნევს ადამიანსა და ცხოველს შორის საერთოსა და უწინარეს ყოვლისა კი განსხვავების შესწავლას.

ირკვევა, რომ უმაღლესი ორიენტაცია და უმაღლესი ანალიზი— სინთეზი მარტო ცოდნით როდი ხორციელდება და მორალი ეს ცოდნა არ არის. ევოლუციის, ე. ი. ინდივიდების ფილოონტოგენეზური ჩამოყალიბებისა და სრულყოფის პროცესში მორალი ღებულობს ადამიანის ყველაზე სპეციფიკური ნიშან-თვისების სახეს. სხვანაირად რომ ვთქვათ, ანთროპოლოგიური არსებისათვის დამახასიათებელ თვისებად მორალური შინაარსი ითვლება, აქედან გამომდინარე, მორალური წახდენილობის ბოდვა, ზოგადსაკაცობრიო ფსიქოპათოლოგიის მნიშვნელობას ღებულობს.

თუ ბიოლოგიური მოთხოვნილებანი საფუძვლად უდევს დარ-
ვინისეულ ბრძოლას არსებობისათვის და განსაზღვრავს ყოფის ზოო-
ლოგიურ პრინციპს, ანთროპოლოგიური პრინციპი აგებულია მო-
რალსა, სინდისსა და ჰუმანიზმზე და წინა პლანზე მოდის წარმოდგე-
ნა სათნოებასა და მამაცობაზე, კეთილშობილებასა და დიდსულოვნე-
ბაზე, მოვალეობასა და ნდობაზე, სიყვარულზე.

პათოგენეზის, პათოკინეზისა და სანოგენეზის მექანიზმების ანა-
ლიზისას ირკვევა, რომ როგორც ფსიქოსომატიურ, ისე სომატოფსი-
ქიკურ პათოლოგიაში წამყვანი როლი მიკროსოციოლოგიური ბუ-
ნების სტრესულ ფაქტორებს ეკუთვნის, პირველ რიგში, კი, ოჯა-
ხურ ფსიქოტრამვებს ეგროტოგენიებს.

შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ ფსიქიკურის საფუძველი
ცერებრალურია და მასთან მთავარი ნეიროდინამიკური ქვალიტეტის
ფსიქოდინამიკურში გადასვლის შეცნობა და დაზუსტებაა.

პავლოვის მიერ წამოყენებული იდეა ერთადერთია, რომელ-
მაც სიცხადე შეიტანა ფსიქოცერებრალურ ურთიერთკავშირის
ურთულეს პრობლემებში. ფიზიოლოგიური სარჩულისა (კანვის) და
ფსიქოლოგიური სახის გართულებასთან ერთად რთულდება ურთი-
ერთკავშირის პრობლემა, იზრდება დინამიური მანძილი სარჩულსა
(„კანვას") და სახეს შორის. როცა საქმე ყოფის ანტროპოტიპურ
დონეს ეხება, მაშინ სახე სრულ იქმნება და კავშირი დინამიურად
გასაშუალებულია.

უნდა აღინიშნოს, რომ როგორც კლინიკური, ისე კლინიკურ-
ლაბორატორიული და წმინდა ლაბორატორიული ხასიათის ფაქტიუ-
რი მასალები ერთნაირად საჭირო და აუცილებელია. ამასთან, სული-
ერ აშლილობას, ფსიქოპათოლოგიასა და კლინიკურ ფენომენოლო-
გიის უმთავრესი პრობლემების განხილვისას წამყვანი როლი კლინი-
კურ დაკვირვებებს ენიჭება.

პ. განუშკინის თანახმად კლინიკური და კლინიკურ-ფსიქოპათო-
ლოგიური კვლევისათვის ფასდაუდებელია სიმპტომთა და სინდრომ-
თა როგორც გასწვრივ, ისე განივ ჭრილში ჩამოყალიბების, დეტა-
ლებისა და ნიუანსების დაზუსტება.

კლინიკურ დაკვირვებათა მსგავსი ანალიზი ფენომენოლოგიურ.
მასალას დიდ თეორიულ ინტერესს ანიჭებს.

ნებისმიერი პრობლემის თანამედროვე ასპექტი, როგორც წე-
სი, საკითხის ისტორიასთან დაკავშირებული, ამასთან განვლილი
გზის უგულებელყოფა პერსპექტიულ მომავალსაც კი ნაკლებ სი-
ცოცხლისუნარიანობას უქადის.

ფსიქონევროლოგია სხვა დისციპლინებთან შედარებით სწრაფი ტემპით პროგრესირებს და, როგორც განუშკინი აღნიშნავდა, პროგრესი როდი არღვევდა კავშირს აღნიშნული დისციპლინის თანამედროვე მდგომარეობასა და წარსულ მიღწევათა შორის.

მეცნიერება არ იჟანგება და არ ბერდება. მასში ასახულია ძიებისა და შემოქმედებითი სწრაფვის დაუსრულებელი გზის გარკვეული ეტაპები.

ჩვენი თეორიული და პრაქტიკული კრედო გამსჭვალულია იმ ძირითადი იდეით, რომ ადამიანის ტვინის ნებისმიერი გამოვლინებანი უნდა შევისწავლოთ მისი მთლიანობისა და ევოლუციურ-დინამიკური ჩამოყალიბების ასპექტში.

როცა ანტინომია ადამიანის ფსიქიკურ მოქმედებას, მის გადაწყვეტილებებსა და ნაბიჯს მართავს, იხსნება ინტელექტისა და ემოციის ფუნქციები და ნავარაუდები ახალი ტიპის ჩამოყალიბება.

ფსიქიკურ გამოვლინებათა ანტინომიური ანალიზი ფსიქოლოგიური საფუძველია, რომელზედაც პიროვნების შინაარსი შენდება.

ფსიქიური აპარატის შიზოფრენიული გაბზარვის დროს დეზინტეგრაციის, გახლეჩილობის გამო პიროვნება მოკლებულია ანტინომიური შეფასების შესაძლებლობას და მორალური წახდენილობის ბოდვითი იდეა, როგორც ცარიელი ცოდნა, წინა პლანზე გამოდის.

მსურს განვაცხადო, რომ სიბერის ჟამს მტკიცედ ვდგევარ ადამიანის ფსიქიკური მოქმედების მთლიანობისა და პერსონოლოგიური ანალიზის პოზიციებზე ნორმასა და პათოლოგიაში.

მთლიანობის (ერთიანობის) და პერსონოლოგიის იდეებთან მე მიმიყვანა მრავალი წლის შრომამ და გამოცდილებამ ადამიანის ტვინის მორფოლოგიის დარგში, კერძოდ კი ჩვენმა ციტოარქიტექტონულმა, სინაპსოარქიტექტონულმა და ჰოდოლოგიურმა გამოკვლევებმა.

ცენტრალური ნერვიული სისტემა სტრუქტურულად ერთიანია და მისი სპეციფიკობაც სწორედ ამაში მდგომარეობს.

კლინიკური მედიცინა ვალდებულია ითვალისწინებდეს იმ ფაქტს, რომ ფუნქციის საფუძველს ქიმია წარმოადგენს, თუმცა ჩამოყალიბების პროცესში ამ უკანასკნელს ფუნქცია მართავს.

რთული და დინამიკურია ქიმიასა და სტრუქტურას შორის არსებული ურთიერთკავშირი: ფიზიკა და ქიმია ქმნიან სტრუქტურას, მაგრამ ისტორიული განვითარების მსვლელობაში ბრმად როდია დაქვემდებარებული ფიზიკა-ქიმიას. მხედველობაში მაქვს ორგანო-

ებისა და მთლიანად ორგანიზმის აქტიური წინააღმდეგობის, გამძლეობისა და კომპენსირების შესაძლებლობანი.

როგორც სომატური, ისე ფსიქიკური დაავადება გარკვეულ ფსიქოლოგიურ განწყობას იმუშავებს, რომელიც წარმოადგენს პიროვნულ რეაქციას, ტანჯვის, წუხილის საპასუხოდ.

პიროვნული დამოკიდებულების მაგალითად სომატური პათოლოგიიდან ჩაითვლება ტუბერკულიოზი, მხედველობაში მაქვს ტუბერკულიოზურ ავადმყოფთა შიზოიდიზაცია, ჩაკეტვა, გამღიზიანებლობა, პესიმიზმი, დაქვეითებული გუნება-განწყობა, უნდობლობა.

განსაკუთრებით რთული და მკაფიოა ავადმყოფობის მიმართ დამოკიდებულება ფსიქოზების შემთხვევაში. მაგ.: ტვინის სისხლძარღვიანი სკლეროზი, შავბნელი მომავლის სინდრომით, რომელიც ათეროსკლეროზულ დეპრესიამდე აღწევს, ისტერიული ფსიქოზი ავადმყოფობაში გასვლის სინდრომით, ბირთვული ეპილეფსია პიროვნების რელიგიურ-მისტიკური გადართვებით, ინვოლუციური ფსიქოზი ბუზღუნა მელანქოლიის სინდრომით და ბოლოს შიზოფრენული ფსიქოზების ჯგუფი — დამოკიდებულების, ინტერპრეტაციის ბოდვითი სინდრომებითა და გარემოსაგან აუტისტიური მოწყვეტით (აუტიზმით).

ის აზრი, რომ ფსიქიატრიაში კლინიკური მეთოდი და პათოფსიქოლოგიური ფენომენოლოგია მოძველდა და კვლევა-ძიების ახალ მეთოდებს საჭიროებს, რა თქმა უნდა არასწორია.

ავადმყოფური პროცესის არსში ჩასაწვდომად საჭიროა კომპლექსური გამოკვლევები ანტროპოცენტრიზმისა და მაშინოცენტრიზმის ეპიდემიოლოგიისა და ავადმყოფთა კონკრეტული სოციოლოგიის, პალეოფსიქოლოგიისა და ექსპანსიის, ფსიქოსომატიკისა და სომატოფსიქიკის, ფიზიოენერგეტიკის და ფსიქოენერგეტიკის, რეაბილიტაციისა და რეპერსონიზაციის, დეონტოლოგიური ფსიქოჰიგიენისა და ფსიქოპროფილაქტიკის შესახებ უახლეს წარმოდგენათა გათვალისწინებით.

საინტერესოდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ჩვენს დროში მათემატიკასა და თეორიულ მექანიკაში ახალი კვლევითი მიმართულება ე. წ. ნგრევის მექანიკა გაჩნდა, რომელიც საშუალებას იძლევა სულ სხვა პოზიციებიდან გაშუქდეს მასალათა გამძლეობისა და წინააღმდეგობის უმნიშვნელოვანესი პრობლემები.

აღსანიშნავია ნგრევის მექანიკის ევრისტიული აზრი და პრაქტიკული მნიშვნელობა მთლიანობის (ერთიანობის) პრობლემის დაზუსტების საქმეში.

გამომდინარე ზემოთ მოხსენებულიდან, შესაძლებელი იქნება შორეული ანალოგიის გატარება ფსიქიკური აპარატის თავისებურებებთან. მთლიანობის ჩამოყალიბებისა და სულიერ გამოვლინებათა გახლეჩილობის კანონზომიერებანი კვლევისათვის ერთნაირად საჭირო და აუცილებელია.

კულტურის უძველესი ტრადიციების მქონე ხალხს, როგორიცაა ქართველი ერი, მოეპოვება მისი სულიერი ცხოვრების (ყოფიერების) განვითარების ამსახველი მდიდარი და მრავალფეროვანი წერილობითი მასალები, ხსენებული დოკუმენტური პროდუქციის გარდა ერს გააჩნია ზეპირი გადმოცემები, ლეგენდები, ანდაზები, თქმულებები, ზღაპრები, იგავ-არაკები, ცალკეული გამოთქმები, ისტორიულად შერჩენილი ჩვეევები, ქცევები, მოქმედებანი, რომლებიც ასახავენ ერის სულიერი ვითარების, მისი ფილოსოფიური მრწამსისა და შეხედულების გარკვეულ საფეხურს.

ივანე ჯავახიშვილი მიგვითითებს: „ასეთ ცნობებსა და ტექსტებს ჩვეულებრივ ეთნოგრაფები ჰკრეფდნენ ხოლმე, რომელთაც, რასაკვირველია, თავიანთი მიზანი აქვთ, რომელიც ისტორიკოსის მიზნებისაგან განსხვავდება, მაგრამ თუ ეთნოგრაფიული ცნობები და ტექსტები სათანადოდ არის შეგროვილი და შესაფერისი სისწორით არის ჩაწერილი, მაშინ ასეთი მასალების გამოყენება თავისი ამოცანებისათვის ისტორიკოსსაც შეუძლია, რა თქმა უნდა, ჯეროვანი მეთოდების მოშველიებით. ცნობებისა და ჩაწერილი ტექსტების ღირებულება იმაზეა მთლიანად დამოკიდებული, როგორ არის მასალა შეგროვებული და წერილობით აღბეჭდილი“[1].

ამასთან საჭიროა განსაკუთრებული სიფრთხილე, აუჩქარებლობა დასკვნებში; მასალა უნდა იყოს მიღებული მხოლოდ მრავალმხრივი შედარებებისა და ღრმა გააზრების შემდეგ, რათა თავიდან ავიცილოთ შემთხვევითი დამატებანი. „უეჭველია, ხალხურს მეხსიერებასა და ზეპირსიტყვიერებას უძველესი ხნის ზნე-ჩვეულებანი, მსოფლმხედველობა და რწმენა, ზღაპრები და თქმულებები, ლოცვა-საკვედრებლობითი წარმოსათქმელები და წარმართული ხანის სიმღერა-ლექსები შემონახული აქვს. მაგრამ, თუ წერილობითი ძეგლებიც კი დროის გავლენის სიდუხჭირეს ვერ გადაურჩა, წარმოუდგენელია, რომ ზეპირსიტყვაობის სახით დაცულ გადმოცემასა და

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული პრობლემები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1950, გვ. 170.

ტექსტს საუკუნეთა განმავლობაში ჩვენამდის უცვლელად მოეღწია და სხვადასხვა დროისა და წრის შენაერთი ადგილების არაერთი ფენით არ იყოს აჭრელებულ-შეცვლილი"[2].

ცხადია, წერილობითი თუ ზეპირსიტყვიერი მასალები შეიძლება გამოიყენოს მეცნიერების მრავალმა დარგმა საკუთარი მიზანსწრაფვისა და ინტერესის მიხედვით. აგრეთვე გამართლებული უნდა იყოს შემოქმედებითი ექსკურსი, რათა ხსენებული მასალები გამოიყენოს და მით ისარგებლოს ფსიქოლოგმა და პათოფსიქოლოგმა. ამ მხრივ განსაკუთრებით მრავლდება ფსიქოლოგიური ძიების აზრი, ვინაიდან „უძველესი მსოფლმხედველობისა და რწმენის შესასწავლად და შეძლებისამებრ სრული სურათის წარმოსადგენად ხალხში დარჩენილ თქმულებებს, ხატობათა დღესასწაულების წესებსა და წარმოსათქმელ ხუცების ლოცვა-ვედრებას, სადიდებელსა და დამწერლობასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. თვით უძველესი კულტურული დამწერლობების ერების ძეგლებში მსოფლმხედველობისა და რწმენის შესასწავლად მაინცდამაინც ბევრი ცნობები არ მოგვეპოვება. უმთავრესად იქ ღვთაებათა სახელები გვხვდება ხოლმე ჩამოთვლილი, ანდა მოწოდება-ვედრების ფიცისა, ანდა დამრღვევთა წყევლა-კრულვის შემცველი ტექსტები ამა თუ იმ ძეგლის ნაწილებში. მათი რაობის, ურთიერთისადმი მათთვის განკუთვნილი მსახურებისა და თაყვანისცემის გამოსარკვევად იქ, ან მეტად მცირე, ანდა სრულებით არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება. უამისოდ კი ძველი წერილობითი ძეგლებიდან ამოკრეფილი ცნობები ხშირად მხოლოდ ღვთაებათა სახელების სიას წარმოადგენს, რომელიც გონებასაც ბევრს ვერაფერს ამცნებს, გულსა და სულს ხომ არაფერს აგრძნობინებს ხოლმე"[3].

დღეს ფსიქოლოგიისა და ფსიქოპათოლოგიის პრობლემების გადაჭრა შეუძლებელია, თუ მოვლენები არ შევისწავლეთ დინამიკაში და, პირველ რიგში, მათი განვითარების უძველესი ფესვები. ამიტომ პალეოფსიქოლოგიისათვის განსაკუთრებული ღირებულება აქვს ეთნოლოგიურ და ეთნოფსიქოლოგიურ მონაცემებს. თუ ისტორია მიმართავს არქეოლოგიას, ხოლო ბიოლოგია — პალეობიოლოგიას, ფსიქოლოგიისათვის ფასდაუდებელია უძველესი, უკეთ არქაული

---

2. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული პრობლემები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1950, გვ 171.

3 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 169.

პერიოდის სულიერი სამყარო და ეგრეთ წოდებული პირველყოფილ ადამიანთა განცდების, წარმოდგენების, შეხედულებების მისწრაფებათა ცოდნა.

ქართულ მეტყველებაში და ქართველი კაცის წარმოდგენაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სიტყვებს: კუჭი, ღვიძლი და გული, რომლებსაც ზოგჯერ მექანიკურად ხმარობენ მათი პალეოფსიქოლოგიური მნიშვნელობით, რაც თავის მხრივ მიუთითებს ადამიანის შემეცნების გარკვეულ ეტაპზე. ხოლო როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, „ზაფხულისა და ზამთრის ქართული და შარომატული სახელები ებრაულსა და ბერძნულს ასეთსავე სახელებზე უფრო ძველიც არის და უფრო საყურადღებოა, რადგან, თუ ამ ორ უკანასკნელს არეთა სახელებში მათი მხოლოდ-ღა მეურნეობითი დანიშნულება აქვს გამოხატული და ამიტომაც თითოეული ამ ტერმინთაგანი სხვადასხვა ძირისაგან არის ნაწარმოები, ქართულსა და შარომატულ სახელებში სრული მთლიანობაა დაცული: ისინი ერთნაირი აგებულებისა და აღქმის ერთსა და იმავე საფუძველზე არიან დამყარებული, სახელდობრ, კოსმოსური მოვლენის, მზის სხივების სითბოს დედამიწაზე და ადამიანის სხეულზე გავლენის სიძლიერის განსხვავების დაკვირვება-აღქმაზე“[4].

მეტად მდიდარია სიტყვა „სინათლის“ ფსიქოლოგიური სემანტიკა. დღესაც, სიტყვა სინათლე მარტო მხედველობითი აღქმის კატეგორია არ არის. ხშირად უკავშირებენ მძიმე ემოციურ განცდას — კაეშანს, მწუხარებას, ვაგლახს; მაგალითად, შვილის სიკვდილი შეიძლება იყოს გადმოცემული (თუ კვალიფიცირებული), როგორც თვალისჩინის ანუ თვალის სინათლის დაკარგვა — მთლიანი დაბრმავება. პირიქით, დილის სინათლე სიხარულის განცდის სინონიმია. აღნიშნული განცდის სემანტიკური ფესვები უნდა უკავშირდებოდეს წარმართული დროის წარმოდგენებს. „წარმართულ ხანაში ყოფილა ღვთაება, რომელსაც დილა სწოდებია. მას შემდგომ, რაც გამოირკვა, რომ დღის სახელი თავდაპირველად მზის სახელი ყოფილა, ანუ, სხვანაირად რომ ითქვას, დღის ვითარცა ცაზე მზის სრბობის დროის ხანგრძლივობის აღმნიშვნელი სახელი მზის სახელით გამოიხატებოდა, ძნელი დასაჯერებელი აღარ უნდა იყოს ის მოსაზრებაც, რომ დღის დასაწყისის დროის აღმნიშვნელი სიტყვა და ტერმინიც მზის წინამორბედი მნათობის ვენუსის, ანუ აფროდიტეს ვარსკვლავის სახელთან ყოფილიყო დაკავშირებული და მისივე სახელით გამოეხა-

---

[4] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი. გვ. 160.

ტათ. ამრიგად, ყოველგვარი მოსაზრებით საფიქრებელია, რომ ქართული დილა თავდაპირველად უნდა ბაბილონურშიც დაცული აფროდიტეს ვარსკვლავისა დილ-ბატის მნათობი ღვთაების აღმნიშვნელი ყოფილიყო, ჯერ, ვითარცა დიდის ცისკარი, შემდეგ უკვე როგორც თვით დროის ამ მანძილის სახელი!"[5]

„მაშასადამე, ქართულსა და ქართველურშიც დღის სახელი მზის სახელთან ყოფილა დაკავშირებული და დღის ცნება მზის სინათლის მოქმედებით გამოუხატავთ".

ქართველ წინაპართა აზროვნების არქაულ ძეგლებსა და პირველ რიგში ქართულ მითოლოგიას შალვა ნუცუბიძე დიდ მნიშვნელობას მიაწერს ფილოსოფიის ისტორიის პრობლემების შესწავლისას. ამ მხრივ უძველეს ძეგლთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს პოემა „ამირანიანი".

შ. ნუცუბიძე წერს: „უძველესი ძეგლები ქართველ წინაპართა აზროვნებისა და შემოქმედებისა შეიცავს ზოგიერთ სამზადისს ელემენტებს შემდგომი უფრო მაღალი სააზროვნო ფორმებისათვის და ამით მოპოვებული აქვთ სრული უფლება შეტანილ იქნენ ფილოსოფიამდელი აზროვნების ისტორიაში, როგორც სამზადისი პერიოდის გამოხატულება არა მარტო ქართული ფილოსოფიისათვის"[7] და იქვე: „ყველაფერი ეს მოცემულია მითოლოგიურის სახით, მაგრამ ამ ფორმაშიაც როდი აკლია ამ შეხედულებებს ერთგვარი სისტემა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნებოდა მეორე ათასეულში ჩვენს წელთაღრიცხვამდე აზროვნებისათვის"[8].

არქაული მასალები წარმოადგენს მაღალი გონებრივი შემოქმედების პროდუქციას. მათ უეჭველად აქვთ აგრეთვე დიდი ფსიქოლოგიური ინტერესი და სამწუხაროა რომ პალეოფსიქოლოგიურ პრობლემათა კვლევისას მათ არ ეთმობა ჯეროვანი ყურადღება და როდესაც ეხება პირველყოფილ ადამიანთა სულიერ სამყაროს, აქ ფასდაუდებელი ღირებულება ენიჭება უძველესი კულტურის მქონე ქართველი ერის მიერ შექმნილ მასალებს.

როგორც ვიცით, წესრიგის პრობლემას ოდითგანვე ეთმობა განსაკუთრებული შემოქმედებითი ყურადღება ფილოსოფიაში,

---

5 ივ ჯ.ავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 150.

6 იქვე, გვ. 146.

7 შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტომი I. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1956, გვ. 64.

8 იქვე გვ. 49.

ხოლო გოეთე მას განიხილავს როგორც მნიშვნელოვან პერსონოლოგიურ კატეგორიას. გოეთეს თანახმად ადამიანმა შეიძლება აიტანოს და გაუძლოს ყოველგვარ ჭირსა და ვარამს, მაგრამ ყველაზე მძიმე ასატანია წესრიგის უქონლობა.

უნდა აღინიშნოს, რომ წესრიგის საკითხს ვხვდებით ჯერ კიდევ ქართულ მითოლოგიაში. ამ მხრივ პირველ რიგში დასახელებული უნდა იყოს თქმულება ამირანზე.

პალეოსოციოლოგიურ და პალეოფსიქოლოგიურ მონაცემთა მიხედვით პირველყოფილი ადამიანისათვისაც წესრიგი ყოფიერების ძირითადი მოთხოვნილებაა. ქართულ მითოლოგიაში ხსენებული საკითხი იღებს ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური კატეგორიის ხასიათს. შალვა ნუცუბიძე წერს: „ერთი სიტყვით, მსოფლიოს წონასწორობა დამყარებულია წესრიგზე, წესრიგი ელემენტების საფუძველია, ხოლო აღშფოთება ელემენტებისა ამ წესრიგის დარღვევით არის გამოწვეული. ამ მნიშვნელობით „ამირანიანის“ შემქმნელის თვალსაზრისი უფრო ახლოა ატომისტების — ლევკიპოსსა და დემოკრიტესთან. განსაკუთრებული ხაზის გასმა ჯამების განლაგების წესისა, რასაც სჩადის ქალღმერთი ყამარი, გვარწმუნებს, რომ მსოფლიოში არის „დიადი წესრიგი“, როგორც ამას გვეუბნება დემოკრიტე. თავისთავად იგულისხმება, რომ ყველაფერი ეს „ამირანში“ მოცემულია მითოლოგიურ გარემოცვაში და ფილოსოფიამდელი აზრი აქ იკვლევს გზას „საწყისის“ წარმოდგენიდან არსებობის ძირითადი ელემენტებისაგან“.

დ ე ო ნ ტ ო ლ ო გ ი ა და პ ე რ ს ო ნ ო ლ ო გ ი ა. მოვალეობის გრძნობა თუ შეგნება და სინდისის ძახილი შეადგენს პერსონოლოგიური კვლევის მთავარ საგანს. ამით დეონტოლოგია თავისი მიზნითა და შინაარსით პერსონოლოგიური, ე. ი. მოქმედების ფსიქოლოგიის შემოქმედებითი განშტოებაა.

მოვალეობის კაცი უეჭველად ფაქიზი და ძლიერი პიროვნებაა, რომელიც ფიქრობს საზოგადოებაზე და სხვის წუხილსა და სიხარულს თვლის საკუთარ განცდად, ხოლო ფიქრი იმაზე, რაც შეიძლება მეტი მისცეს ხალხს, საზოგადოებას, შეადგენს ასეთი კაცის სიცოცხლის მთავარ საზრუნავ საგანს, შინაარსსა და მოწოდებას.

ქართველთათვის დამახასიათებელი სულიერი თვისებები — მოვალეობის გრძნობა, პიროვნების სიმტკიცე და შეუდრეკელობა — ისტორიულად აძლიერებდა და ამრავლებდა ერის პატრიოტიზმს.

---

[9] შ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 50.

ძველთაგანვე ქართველ ქალსა და კაცსა თანაბრად უძგერდა ვაჟკაცური გული პატრიოტული საქმისათვის. ამიტომ ეროვნული კულტურის შესწავლისას პიროვნების ფსიქოლოგიის ფესვები უკავშირდება ერის სულიერი ყოფიერების საწყისს.

ისტორიულ ასპექტში დეონტოლოგიური მასალების შესწავლას აქტუალური ფსიქოლოგიური ინტერესი აქვს. ამ გზით შესაძლოა ადამიანის სულიერი ყოფიერების შინაგანი ბუნების გარკვევა. არსენ კათალიკოსის თქმით „მიზეზნი არიან აღმძვრელი სიტყვისა და სიტყვა არს მიმთხრობელ მიზეზთა"[10].

წარსულში ცნობილ წარმოდგენებს, განცდებს, გადაწყვეტილებებსა და მოქმედებებს ახასიათებს გარკვეული ფსიქოლოგიური ღერძი, რომელსაც აქვს თავისი კვანძოვანი ეტაპები და განისაზღვრება ისტორიული ვითარებით, მისი აღმავლობითა და დაღმავლობით, მხიარულობითა და მწუხარებით.

ისტორიულად ქართველი ერი სიცოცხლის ფასად ინახავდა თავის ეროვნულ მთლიანობას... იგი მოქმედებდა არა მარტო მტკიცე და ძლიერი მარჯვენით, არამედ სიტყვით, აზრით, გონებით, ცნებათა ჩამოყალიბებით და დაუწერელი მორალური კოდექსებით.

აღმავლობისა თუ დაღმავლობის პერიოდში ერისათვის განსაკუთრებულად საჭირო ხდება დეონტოლოგიური ფსიქოლოგიის იდეები: მოვალეობა, პატრიოტიზმი, სინდისის დაუჟანგველობა, სამშობლოსათვის თავდადება, სიკეთის, სიმართლის. სიყვარულის, ნდობისა და შრომის კულტი.

ვიმეორებ, პერსონოლოგიური პრობლემები განსაკუთრებულ განვითარებას იღებს ბედობისა და უბედობის დროს — ერის ბედობის, მაგალითად, თამარის მეფობის დროს, XII საუკუნეში და საქართველოს უბედობის პერიოდში — XV—XVIII საუკუნეებში. ორივე გარემოებას თავისი სოციალურ-ფსიქოლოგიური ფონი აქვს.

კეთილ და საბედნიერო ვითარებაში ყალიბდება და მრავლდება პერსონოლოგიური კატეგორიები როგორც მტკიცე მორალური საბუთი წარსულ გამარჯვებათა, რაც უწყვეტ და ურყევ ტრადიციად უნდა დარჩეს მომავალი თაობისათვის.

უბედობისას კი საჭიროა გაღვივდეს პერსონოლოგიური წარმოდგენები, რათა ადამიანმა შეიცნოს თავისი ეროვნული მოწოდება

---

10 ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა. წიგნი 1. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 1945, გვ. 41.

და მოვალეობა. ისტორიული აუცილებლობის გამო ჩნდებიან და იბადებიან აქტიური და გიგანტური სულიერი ძალის მქონე პირები, რომლებიც მიზნად ისახავენ გაწმინდონ და გაასუფთაონ ადამიანთა ქანგმოკიდებული სინდისი, ხსენებულ პირთა თუ მოღვაწეთა ბრწყინვალე მაგალითს წარმოადგენენ სულხან-საბა ორბელიანი და ანტონ კათალიკოსი.

შალვა ნუცუბიძე წერს: „XVIII საუკუნემდე ქართული ფილოსოფიის ისტორიკოსის ყურადღებას იპყრობს მომეტებულად ორი მოაზროვნე — სულხან-საბა ორბელიანი და ანტონ ბაგრატიონი, ანტონ კათალიკოსად წოდებული. რა თქმა უნდა XVII—XVIII საუკუნეებში არიან სხვა პირებიც. მეტი თუ ნაკლები საზროვნო მონაცემების და ღირებულების, მაგრამ ისინი მნიშვნელოვანი არიან იმდენად, რამდენადაც ს. ს. ორბელიანის ან ანტონის საქმეს ედარებიან და მათი ეპოქის დამახასიათებელ და ამსახველ ნააზრევს ავსებენ და ასრულებენ“[11].

XVII—XVIII საუკუნეები ქართველი ერისათვის ურვის, ცრემლის, ნაღველისა და სისხლის პერიოდია.

პერსონოლოგიური ფსიქოლოგია აქ განსაკუთრებულად საჭირო ხდება, რათა, ერთი მხრივ, გვიჩვენოს მაგალითები მოვალეობისა და სინდისისა, და, მეორე მხრივ, გამომზეურდეს ადამიანის უგვანობა, სიბილწე და არაკაცობა: საჭირო ხდება ავისა და კარგის დაპირისპირება, რომ დადებითმა დაფაროს, მოსპოს და დაახშოს ავი.

„კიდევ გასაკვირია, რომ თავადების ამ ნგრევითი პოლიტიკის, მათი სრული ანტისაზოგადოებრივი საქმიანობის პირობებში როგორ ხერხდებოდა XVII—XVIII საუკუნეთა საქართველოში რაღაც დადებითი მუშაობა ეკონომიკისა და კულტურის დარგში. საკვირველია, შიგნიდან გამთიშავი ძალებით აოხრებულმა, გარედან დაუნდობელი მტრებისაგან გარშემოსეულმა ქვეყანამ როგორ გასძლო XVIII საუკუნის ბოლომდე და სახელმწიფოებრიობისა და საზოგადოებრიობის რაღაც სახე მაინც შეინარჩუნა.

ეს საკვირველი გამძლეობა ქართული სახელმწიფოებრიობისა გასაგები ხდება მხოლოდ მაშინ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ხალხი იყო თავის წიაღში ეროვნული სახისა და ეროვნული არსებობის თუნდაც უძნელეს პირობებში და თუნდაც ელემენტარული სახის მატარებელი. ხალხი ყველაფერს იტანდა, ხალხი ყველაფერს უძლებდა მანამდე, როდესაც იმავე ხალხის საშუალებით ეროვნული განთა-

---

11 შ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, ტომი II, გვ. 234.

ვისუფლების ჟამი დადგებოდა და საზოგადოებრიობა კვლავ აღსდგებოდა“[12].

ილიას თქმით „რუსთაველის ხალხი“ უკვდავია და უბედობის ჟამს უეჭველად იტყოდა თავის სიტყვას.

ქართველ ერს უეჭველად გამოუჩნდებოდნენ (თუ მოევლინებოდნენ) მოღვაწენი, მოამაგენი, მოურვენი, მესაიდუმლენი თუ მცველნი მსგავსად სულხან-საბასი, ვახტანგ მეექვსისა და დავით გურამიშვილისა. სწორედ ამ დიდ ადამიანთა მიმართ, თითოეულისადმი ზუსტად ითქმის ვახტანგის სიტყვები: „სოფლის ვალი ჩვენთან გადაიხადა“.

შალვა ნუცუბიძე აღნიშნავს: „ფილოსოფიური აზროვნება დაკნინდა, ძეგლებს ცოტა თუ ვინმე იცნობდა და ასეთ პირობებში საჭირო იყო ისტორიულ-ფილოსოფიური ალღო—თუ რით და როგორ უნდა დაწყებულიყო ფილოსოფიური ინტერესის გაღვიძების საქმე და ისტორიული ნაცრის ქვეშ მიფერფლილი ფილოსოფიური ნაკვერცხლის როგორმე გაღვივება“[13]. და იქვე:

„ეს საქმე წილად ხვდა XVIII საუკუნეში ანტონ ბაგრატიონს, შემდგომ ხანაში თანამდებობის მიხედვით „კათალიკოსად“ წოდებულს. იგი და მისი სკოლა მოღვაწეობდნენ ფეოდალური რეაქციის უმაღლესი საფეხურის ხანაში, რამაც დაღი დააჩნია იმ დიდ ენერგიას და საქმიანობას, რომელიც ამ სკოლის მეთაურს — თვითონ ანტონს ახასიათებდა ყოვლის უწინარეს“[14].

XII საუკუნეში ერი ტკბებოდა არა მარტო ნივთიერი საუნჯით, არამედ სულიერი სამყაროს სიწმინდითა და სიფაქიზით.

შოთა რუსთაველი პერსონოლოგიურ იდეათა ზენიტია; ცხადია, მას ეყოლებოდა თავისივე ერში წინამორბედნი, წინამესიტყვენი თუ წინამოაზროვნენი.

რუსთაველის დროს დიდი სიღრმით მუშავდებოდა დეონტოლოგიური ფსიქოლოგიის ძირითადი ცნება არეტოს შესახებ, რაც ნიშნავს ძალას, სიძლიერეს, სიმაგრეს, სიხალისეს, გამჭრიახობას, სილამაზეს, სიდიდეს, კეთილშობილებას, გმირობას, დიდებას, მორალურ სრულყოფას, ხელოვნებას, პატიოსნებასა და სიკეთეს.

ცნებას არეტოს შესახებ უეჭველად დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის სულიერი სამყაროს სიფაქიზისათვის. პრაქტიკულად სა-

---

12 შ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, ტომი II, გვ. 234.

13 შ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე. დასახ. ნაშრომი, გვ. 244.

14 იქვე, გვ. 264.

ჭიროა და აუცილებელია აღნიშნულ წარმოდგენათა გამრავლება-გაღვივება მოზრდილთა, ახალგაზრდათა, მოზარდთა შორის. დღეს ფსიქონევროლოგიაში არსებობს ცალკე ფსიქოთერაპიული მიმართულება, რომელიც ცნობილია არეთოთერაპიის სახელწოდებით და რომელიც მოწოდებულია განამტკიცოს ადამიანის ფსიქიკური ძალონე და გამოასწოროს გამრუდებული თუ ნაღრძობი პიროვნება.

„რუსთაველის ხალხი" ოდითგანვე ხელმძღვანელობდა პატრიოტული მოვალეობის მაღალი გრძნობებით. ამაზე მეტყველებს მრავალი ფაქტი ქართველი კაცის მაღალი ბუნებისა და კეთილშობილური განწყობის შესახებ. ჩვენს დროში პიროვნების პრობლემას მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ქართული ეროვნული კულტურის ყოველ უბანში, და პირველ რიგში ისტორიაში, ფილოსოფიაში და ფსიქოლოგიაში: ამ მხრივ უნდა გავიხსენოთ ივანე ჯავახიშვილი, შალვა ნუცუბიძე და დიმიტრი უზნაძე. უფრო მეტიც, დიმიტრი უზნაძე პიროვნების ფსიქოლოგიის ფუძემდებელია საქართველოში, რომელმაც მსოფლიო ინტერესი, რეზონანსი და აღიარება ჰპოვა. უზნაძის მიერ შექმნილი სახელოვანი სკოლა ღირსეულად განაგრძობს და ანვითარებს დიდი მასწავლებლის მიერ დაწყებულ შემოქმედებით საქმეს.

წინამდებარე ნაშრომში მიზნად ვისახავთ შევეხოთ პერსონოლოგიურ პრობლემებს, რომლებიც წარმოდგენილია შოთა რუსთაველის, სულხან-საბა ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, იაკობ გოგებაშვილისა და ივანე ჯავახიშვილის შემოქმედებაში.

საჭიროა მტკიცედ გვახსოვდეს, რომ თუ ცხოველის ქცევა აშენებულია ჰედონიზმის პრინციპსა (სიამოვნება) და შიშზე, ადამიანის პიროვნული მოქმედება აშენებულია მოვალეობის, სოციალური ჰეროიკის და შინაგანი სინდისის პრინციპებზე. აქედან ცხადია, რომ ცხოველი შეიძლება მიეჩვიოს შიშს მექანიკური გაწვრთნის გზით, ხოლო ადამიანი შიშსა და საფრთხეს დათრგუნავს, გმირობას ჩადენს და ხელმძღვანელობს მაღალი და კეთილშობილური გრძნობებით თავისი ხალხის მიმართ. შიში მორალურად აშიშვლებს ფსიქიკას და პიროვნება ნულამდე დაჰყავს.

ყოველ შეგნებულ პატრიოტს შეუძლია დასძლიოს და შეანელოს შიშის გრძნობა, რითაც აიხსნება მებრძოლის მამაცობა და სიმშვიდე.

შიში შეიძლება დაითრგუნოს მხოლოდ პიროვნული რეგისტრით, მოვალეობის გრძნობით. ასეთ ასპექტში პიროვნება განსა-

ზღვრულად კორექციას უკეთებს და კონტროლს უწევს თავდაცვის ინსტინქტს.

ადამიანში პიროვნების უმაღლესი რეგისტრების დონეზე ორიენტაცია გამოვლინდება როგორც უმაღლესი, სოციალურად განპირობებული ფუნქცია და იგი განაპირობებს პიროვნების რეაგირების უნარს, ისევე, როგორც გარესამყაროში და თვით თავის თავში მოცემულ ფაქტორთა პიროვნულ შეფასებას.

პიროვნების ორიენტაციას, როგორც უმაღლეს სოციალურ ფსიქოლოგიურ ადაპტაციას, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანის შემოქმედებაში. აქ ორიენტაცია შეიძლება დაკავშირებული იყოს პიროვნების უმაღლეს კეთილშობილურ მისწრაფებებთან (პატრიოტიზმი, მოვალეობა, საზოგადოებრივი ინტერესი, შრომის ინტერესი და ა. შ.); მეორე მხრივ, ორიენტაცია შეიძლება მიმართული იყოს ადამიანის დაბალი მისწრაფებებისადმი (ეგოიზმი, სიცრუე).

პერსონოლოგიისათვის, ე. ი. პიროვნების ფსიქოლოგიურ თავისებურებათა მოძღვრებისათვის, შოთა რუსთაველის ქმნილება მუდამჟამს დაულეველი საგანძური იქნება.

რუსთაველისათვის უცხოა მშრალი დიდაქტიკა და ქედმაღლური მენტორობა, რომელიც ასე დამახასიათებელი იყო სქოლასტიკური ფილოსოფიისათვის. უაღრესად მახვილგონიერ და სიტყვაკაზმულ სენტენციებში იგი იძლევა ადამიანთა მოქმედების რეალურ პროგრამას.

„ვეფხისტყაოსანში“ ასახულია ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი კულტურისა და ცივილიზაციის ტრადიციები, მისი სულიერი სიღრმე და ძალა, შემოქმედებითი ინიციატივა და სიბრძნის სიყვარული, წარმატებათა და გამარჯვებათა ნეტარება.

შოთა რუსთაველი ერთი პირველთაგანია მათ შორის, ვინც ბიძგი მისცა დიდ კულტურულ მიმართულებას, ცნობილს „აღმოსავლეთის რენესანსის“ სახელწოდებით.

„ვეფხისტყაოსნის“ გმირები აღჭურვილი არიან ზოგადსაკაცობრიო, პიროვნული, ფსიქოლოგიური განცდებით. საინტერესოა, რომ რუსთაველის თანახმად ისეთი პრობლემები, როგორიცაა სულგრძელობა და სულმოკლეობა, კეთილშობილება და სულმდაბლობა, სიყვარულის გრძნობა და მოვალეობის შეგნება, ერთნაირად აქტუალურია როგორც მამაკაცის, ისე ქალის პიროვნებისათვის. რუსთაველის შეხედულებანი მიჯნურის პიროვნებისა და მეგობრობის ცნების ფსიქოლოგიური შინაარსის შესახებ შემდგომ ინტენსიურ კვლევას მოითხოვს.

სევდა და სიხარული, ჭმუნვა და აღფრთოვანება, დარდი და ზეიმი, სიბრძნე და აღტაცება, უმეცართადმი შემწყნარებლობა, სიმართლე და სიყალბე, სიყვარული და სიძულვილი, სულგრძელობა მშვიდობიანობის დროს და ულმობელობა ბრძოლაში, სანაქებო წარსულის პატივისცემა და სიახლის პერსპექტიულობა, ძლიერება და სისუსტე, სილამაზე და უთვალადობა, სიმდიდრე და სიღარიბე, ანარქია და წესრიგი, სიზარმაცე და მუყაითობა და სხვა ანტინომიური ფსიქოლოგიური განცდები შესაფერის ასახვას პოულობენ „ვეფხისტყაოსანში“.

ქართველმა ერმა ისე შეისისხლხორცა და შეიყვარა რუსთაველის შემოქმედების სულიერი საგანძური, რომ პოემა საერთო-სახალხო კუთვნილებად იქცა. „ვეფხისტყაოსნის“ მაღალი იდეები ყოველი ქართველი ოჯახის შთაგონების წყარო გახდა. ამიტომ ურყევად უნდა დავიცვათ ის ტრადიცია, რომ ყოველ ოჯახში მოკრძალებით ინახებოდეს რუსთაველის ხელთუქმნელი პოემა, როგორც ფასდაუდებელი პატრიოტული რელიკვია.

პერსონოლოგიური კვლევისათვის აგრეთვე ფასდაუდებელია სულხან-საბას, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილიას, ვაჟასა და იაკობ გოგებაშვილის ნაწარმოებები.

ჩვენ განვიზრახეთ პერსონოლოგიური ექსკურსი შემოგვეხაზა ერთგვარი დასკვნთ ხასიათის მქონე განზოგადოებით და დებულებებით. ამ მიზნისათვის დასკვნით ნაწილში ვეხებით დიდი ივანეს პერსონოლოგიურ იდეებს და ამ ხაზით მის მისწრაფებებსა და სურვილებს. წარმოდგენილი შემოქმედებითი ექსკურსი არის მხოლოდ ცდა თუ ერთ-ერთი ნაბიჯი პერსონოლოგიური პრობლემების შესახებ ქართულ მწერლობაში.

ამასთან, ჩვენ ხაზს ვუსვამთ იმ გარემოებას, რომ დღეს, ისე როგორც არასდროს, საჭირო და აუცილებელია არსებობდეს მჭიდრო შემოქმედებითი სიმბიოზი მხატვრულ ფსიქოლოგიასა (მხატვრულ ლიტერატურასა) და მეცნიერულ ფსიქოლოგიას შორის.

პერსონოლოგიის აქტუალური პრობლემები

ბუნებისმეტყველების თანამედროვე დონეზე პერსონოლოგიური ფსიქოლოგიისა და ფსიქოპათოლოგიის თეორიული და პრაქტიკული საკითხები სხვადასხვა დარგის მეცნიერული კვლევის საგანია. ცნობილია, რომ მოძღვრება პიროვნებაზე ნორმასა და პათოლოგიაში მუდამ იმყოფებოდა ფსიქოლოგიის, კლინიკური ფსიქიატრიის, ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ყურადღების ცენტრში.

გამოჩენილი მეცნიერის დ. უზნაძის მიერ შექმნილმა განწყობის ფსიქოლოგიამ, როგორც პერსონოლოგიურმა მიმართულებამ, სათანადო აღიარება პოვა ჩვენში და უცხოეთშიც.

პერსონოლოგია განსაკუთრებით აქტუალური და საინტერესოა თანამედროვე ფსიქონევროლოგიისათვის. რით უნდა აიხსნას ეს გარემოება?

ბუნებისმეტყველების, უწინარეს ყოვლისა კი სინაფსოლოგიის, ელექტრონული მიკროსკოპის (მოლეკულური ბიოლოგიის), ჰისტოქიმიის, ციტოლოგიის, სტერეონევროლოგიის, ბიოფიზიკის, ბიოქიმიის და კიბერნეტიკის მიღწევები საშუალებას იძლევიან სავსებით ახლებურად გავიგოთ თავის ტვინის ფუნქციისა და სტრუქტურის ნაირსახეობანი. ამ შემოქმედებითს კვლევაში წამყვანი ადგილი სამამულო მეცნიერებს ეკუთვნით, ი. პავლოვის კლასიკური მოძღვრება სტრუქტურის, დეტერმინიზმისა და დროებითი კავშირების შესახებ შემდგომი კვლევითი მუშაობის ერთადერთი სწორი გზაა.

ძირითადი დებულება, რომელიც განსაზღვრავს დღევანდელი ნევროლოგიის, პათონევროლოგიის, ფსიქოლოგიისა და პათოფსიქოლოგიის შინაარსს, ის არის, რომ ცხოველის, მით უმეტეს ადამიანის თავის ტვინი მთლიანი და ინტეგრალური აპარატია და მისი არსის მიგნება მთლიანობის ასპექტის გარეშე შეუძლებელია. აღნიშნული კანონზომიერება ადამიანის ფსიქიკურ აპარატზე ვრცელდება.

ევოლუციური ანალიზი ამტკიცებს, რომ ფიზიკურ და ბიოლოგიურ სამყაროში ყველაზე მთლიანი და ინტეგრალური გამოვლინება ადამიანის ფსიქიკური აპარატია. მთლიანობა ანუ დინამიკური

ერთიანობა და ურთიერთდამოკიდებულება ფსიქიკის სპეციფიკური საფუძველია. ეს მთლიანობა ფსიქიკის ყოველ დონეზე მჟღავნდება; განსაკუთრებული სიცხადით იგი პიროვნების რეგისტრზეა მოცემული. ასეთი მთლიანობა პიროვნების ჰარმონიულობის განმსაზღვრელია. მისი დისოციაცია არღვევს და აინვალიდებს პიროვნებას. ამას თ. დოსტოევსკიც აღნიშნავდა.

პერსონოლოგია სათანადო სიმაღლეზე რომ იქნას აყვანილი, მხედველობაში უნდა მივიღოთ ისეთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორები, პათოფსიქოლოგიაში მოძღვრება თავის ტვინის ინტეგრაციისა და აბერაციები, მიკროსოციოლოგიური მომენტები და, ბოლოს, შეხედულებანი ფსიქიკის მასალის შესახებ (კერძოდ, თავისებური ანალოგიები კიბერნეტიკიდან: „მანქანური მეხსიერება", მათემატიკური ლინგვისტიკა და სხვა). პერსონოლოგიური ძიებანი გადაუდებელი ამოცანაა.

პერსონოლოგიური ფსიქოლოგიისა და ფსიქოპათოლოგიის ყოველი საკითხი ევოლუციურ ანალიზს საჭიროებს. უნდა გვახსოვდეს, რომ პიროვნული გამოვლინებანი, ადამიანის ფსიქიკური აპარატის როგორც ურთულესი და უმაღლესი ფუნქცია, თავის ტვინის მთლიან მოქმედებასთანაა დაკავშირებული. ამასთან, ევოლუციური სრულყოფადობის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თავის ტვინის ქერქს — სიგნალურ სისტემათა სუბსტრატს.

ყოველი სტრუქტურა გარკვეული ფუნქციის დინამიკური მატარებელია. სტრუქტურასა და ფუნქციას შორის დაუნაწევრებელი მთლიანობა არ არსებობს. ფილოგენეზური განვითარება ნერვულ უჯრედთა ფუნქციური კონგლომერატების წარმოშობას განაპირობებს.

ვეხებით რა პიროვნების სპეციფიკურ სტრუქტურულ წინამძღვრებს, საჭიროდ მიგვაჩნია მოვიხსენიოთ ბროდალის შეხედულებანი, რომელთა თანახმადაც ადამიანის ტვინი არსებითად და თვისობრივად განსხვავდება ცხოველის ტვინისაგან, მათ შორის ადამიანის მსგავსი მაიმუნის ტვინისაგანაც.

პიროვნული რეგისტრების კვლევის დროს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ფსიქიკური აპარატის ემოციური სფეროს ევოლუცია, მისი შენება და ფსიქოლოგიური თავისებურებანი.

განვითარების თვალსაზრისით ტკივილი, შიში და დეპრესია უნდა განვიხილოთ როგორც ემოციურ გამოვლინებათა სხვადასხვა საფეხური.

კრეპელინი აღნიშნავს, რომ ადამიანის პიროვნების ისტორიულ-გვაროვნული ჩამოყალიბება ხდებოდა თანდათანობითი განვითარების გზით, ნატიფი, თითქმის შეუმჩნეველი წინსვლით, ამასთან, ადგილი ჰქონდა აგრეთვე მოძრაობას უკუმიმართულებით. განვითარების გზები აღმოცენდებოდა და ისევ იკარგებოდა.

პიროვნების დონეზე, რომელიც ევოლუციურად მოწოდებულია შეასრულოს ანალიზისა და სინთეზის უმაღლესი ფუნქციები, ფსიქიკის ცალკეული სფეროები თითქმის კარგავენ დამახასიათებელ თავისებურებას. ისინი მოქმედებენ შერწყმული ინტელექტუალურ-ემოციური აქტების სახით. ვ. ბეხტერევის თანახმად, შეცნობითი აქტები უმაღლესი დონის განცდებსაც წარმოადგენენ, რომლებიც პიროვნების მოქმედების სხვადასხვა სფეროს მოიცავენ. აქ საქმე გვაქვს ინტელექტუალურ გრძნობასთან, რომლის შესახებაც თავის დროზე წერდა ვუნდტი. აქვე აღვნიშნავთ, რომ ემოციური გრძნობის თავისებურებას ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ვექტორის, ორი ანტინომიური მდგომარეობის არსებობა წარმოადგენს (სასიამოვნო — არასასიამოვნო, სიყვარული — სიძულვილი, მოსწონს— არ მოსწონს). ინტელექტუალური გრძნობისათვის კი დამახასიათებელია ერთვექტორული განცდა (დამშვიდება, ამაღლება, სიყვარულის მაღალი ემოციები). ჩვენი აზრით, ემოციური გრძნობა ორი ნაწილისაგან შედგება: სთენიური და ასთენიური, მაშინ როცა ინტელექტუალური გრძნობის საფუძველი მხოლოდ ერთია (სთენიური).

ბუნებისმეტყველების ევოლუციურ-დინამიკურ ასპექტს, პირველ რიგში მოძღვრებას ტვინის სტრუქტურული და ფუნქციური ჩამოყალიბების შესახებ, იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ადამიანის ფსიქიკური აპარატის სპეციფიკას მისი პიროვნული თვისებები შეადგენს. ამასთან დაკავშირებით ადამიანის ფსიქიკის შესახებ ლაკონიურად შემდეგი შეიძლება შევნიშნოთ: ინტელექტუალური აპარატი ანალიზს აწარმოებს, შეიცნობს, ემოციური — გრძნობს და განიცდის, მოტორულ-მამოძრავებელი — ასრულებს, ცნობიერება თვითორიენტაციისა და გარემოში ორიენტაციის საშუალებას იძლევა, ხოლო პიროვნული აპარატი აწონ-დაწონის, მოვლენებს აფასებს, რეაგირებას ახდენს გარემოზე, მოქმედებს და ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ ადამიანის სიცოცხლეში მამოძრავებელი მომენტებია არა შიში და სარგებლიანობა, არამედ მოვალეობა. ს. კორსაკოვი მიუთითებდა, რომ ადამიანზე უნდა ვიმსჯელოთ არა იმის მი-

ხედვით, თუ რას იღებს იგი, არამედ იმის მიხედვით, თუ რას ქმნის იგი საზოგადოებისათვის.

ჩვენს დროში საბუნებისმეტყველო მეცნიერების წარმომადგენელთა წინაშე ახალი შემოქმედებითი ამოცანები ისახება ტვინის მოქმედების სპეციფიკური მხარეების შესასწავლად ცხოველებსა და ადამიანში — განსხვავება ზოოფსიქოლოგიასა და ანთროპოფსიქოლოგიას შორის, ცხოველის ქცევასა და ადამიანის პიროვნულ რეაქციებს შორის. აღნიშნული შემოქმედებითი ამოცანა მტკიცდება თანამედროვე საინჟინრო ტექნიკითა და ზუსტ მეცნიერებათა შეუდარებელი მიღწევებით. სწორედ კიბერნეტიკა, ელექტრონიკა გვასწავლის, რომ მანქანის პრინციპი შესაძლოა გადატანილ იქნას ადამიანისა და ცხოველის მხოლოდ ცოდნის სფეროში, ხოლო ელექტრონული ტვინი ვერასოდეს ვერ მიაღწევს პიროვნულ რეგისტრს, ვინაიდან ადამიანის ტვინის მოქმედება გაპირობებულია ბიოლოგიური საკაროს ევოლუციის მთლიანი ისტორიით, ადამიანის სოციალურ-ბიოლოგიური ჩამოყალიბების ისტორიით.

თუ ცხოველის ქცევა აშენებულია ჰედონიზმის პრინციპზე (სიამოვნება) და შიშზე, ადამიანის პიროვნული მოქმედება აშენებულია მოვალეობის, სოციალური ჰეროიკის და შინაგანი სინდისის პრინციპებზე. აქედან ცხადია, რომ ცხოველი შეიძლება მიეჩვიოს შიშს მექანიკური ტრენირების გზით, ხოლო ადამიანი შიშსა და საფრთხეს დათრგუნავს, გმირობას ჩაიდენს და ხელმძღვანელობს მაღალი და კეთილშობილური გრძნობებით თავისი ხალხის მიმართ, შიში მორალურად აშიშვლებს ფსიქიკასა და პიროვნება ნულამდე დაჰყავს.

ყოველ შეგნებულ პატრიოტს შეუძლია დაძლიოს და შეანელოს შიშის გრძნობა, რითაც აიხსნება მებრძოლის მამაცობა და სიმშვიდე.

შიში შეიძლება დაითრგუნოს მხოლოდ პიროვნული რეგისტრით, მოვალეობის გრძნობით. ასეთ ასპექტში პიროვნება განსაზღვრულად კორექციას უკეთებს და კონტროლს უწევს თავდაცვის ინსტინქტს.

პიროვნების სტრუქტურაში ცალკეული ფსიქიკური სფეროები გადაირთვება უფრო მაღალ სპეციფიკურ ადამიანურ ფუნქციებზე: ჩნდება წარმოდგენა მორალსა და მოვალეობაზე, თავს იჩენს აბსტრაგირებისა და ჰეშმარიტების ძიების ტენდენცია და ა. შ.

თ. დოსტოევსკის ფორმულა ადამიანის სიამაყისა და გრძნობის შესახებ, რომელიც მან თავის დროზე პუშკინის ზეიმზე წამოაყენა,

სათანადო გაშუქებას პოულობს მორალისა და მოვალეობის წარმოდგენათა ასპექტში.

პიროვნება არ არის უმოქმედო, სუსტი, „ცენზორი“, პირიქით, თავისი სოციალური არსით იგი მოწოდებულია არ დაემორჩილოს ინსტინქტებს. კორექცია გაუწიოს ან ჩაახშოს იგი.

ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურებაა აზროვნების კავშირი დროის ფორმებთან, მხოლოდ ადამიანს აქვს წარსული ანუ ისტორია და მხოლოდ ის შეჰყურებს მომავალს. დროის კატეგორია ფართო ასახვას პოულობს კლინიკურ ფსიქოლოგიაში (მიმართულებაში, სურვილებსა და შეფასებაში).

პიროვნების დონეზე დეპრესია ვლინდება როგორც სასოწარკვეთილება — მომავლის პერსპექტივის დაკარგვა; მახინჯდება დროის კატეგორია, დროის ბორბალი უკუღმა ბრუნავს. ვინაიდან პერსპექტივა მოხსნილია, დროც თითქოს ჩერდება, მაგრამ ცხოვრება ვერ შეჩერდება და ამიტომ იქმნება ავადმყოფური ფსიქოლოგიური განცდა „დროის უკუღმა მოძრაობისა“.

ჩვენ ვერა და ვერ დავეთანხმებით ფრეიდს, თითქოს ადამიანმა განიცადა სამი ზოგადსაკაცობრიო ტრავმა და ამით მიღებული ჭრილობები არასოდეს არ შეხორცდება (მხედველობაში გვაქვს ანთროპოცენტრიზმი იცვლება ჰელიოცენტრიზმით) — ბიოლოგიური ჭრილობა (დარვინის აღმოჩენა, რომ ადამიანსა და მაიმუნს საერთო წინაპარი ჰყავდათ) და ფსიქოლოგიური ჭრილობა (ფრეიდის მოძღვრება ქვეცნობიერი განცდების მნიშვნელობის შესახებ).

ადამიანი არასოდეს არ დაკარგავს თავის მნიშვნელობასა და დანიშნულებას. ჰელიოცენტრიზმისა და ფილოგენეზური ევოლუციის პრინციპების აღმოჩენა დამარცხება კი არა, ადამიანის შემოქმედებითი ნიჭის გამარჯვებაა.

ფრეიდი ვერ ამაღლდა პიროვნული ფსიქოლოგიის დონემდე. სილრმიდან მომავალი მისი ფსიქოლოგია ემყარება სულიერ მიზიდულობებს, რომლებიც ძლიერ ახლოს არის შოპენჰაუერის არაცნობიერთან. იგი მიზიდულობათა ფსიქოლოგიისა და ფსიქოპათოლოგიის შემქმნელია (ვეგეტოსომატოფსიქიკა არა უმაღლეს ე. წ. თიმოფსიქიკისა). ყველაფერი შედგება სიამოვნებისა და ჰედონური მოთხოვნილების პრინციპზე. ფრეიდის თანახმად, „მე“, „ეგო“ ანუ პიროვნება არის მხოლოდ ჯოხით შეიარაღებული „ცენზორი“. იგი მხედველობაში არ იღებს იმას, რომ პიროვნების დონეზე შრომა და მოვალეობა განსაკუთრებით მაღალი მოთხოვნილებაა.

პიროვნების დონეზე დეპრესიაც კი შესაძლოა მიმდინარეობდეს აქტიური შემოქმედებით, ადამიანს უჩნდება შრომის აქტიური მოთხოვნილება. ადამიანი მიისწრაფვის სრულყოფისა და სულიერი სიწმინდისაკენ. სიზარმაცე და ჯოხი მხოლოდ ცხოველის აუცილებელი ატრიბუტია. არაცნობიერს ფრეიდის მიხედვით ჩვენ განვიხილავთ როგორც ლტოლვას, აყვანილს ფსიქიკურამდე.

პიროვნების ევოლუციური ჩამოყალიბების პროცესში ცნობიერი აქტიურ ზეგავლენას უნდა ახდენდეს არაცნობიერზე და არა პირიქით.

ყურადსაღებია რიბოს აზრი, რომლის თანახმად შეგნება თავისი ფესვებით ბიოლოგიურია, მაგრამ იგი ვითარდება როგორც სოციალური მოვლენა.

ანთროპოფსიქოლოგიაში ძირითადად წარმოდგენილია ადამიანის სპეციფიკური ფსიქიკური მოქმედების ორი ფორმა, კერძოდ, ცნობიერება და პიროვნება. ევოლუციური თვალსაზრისით ცნობიერება ყველაზე ახლოა პიროვნებასთან. მე ვეთანხმები იმ ფსიქოლოგთა აზრს, რომელთათვის ცნობიერება მხოლოდ ცოდნა კი არ არის, არამედ დამოკიდებულება, განსაზღრული მიმართულება და ორიენტაციაა უმაღლეს ადამიანურ დონეზე.

ქცევის მოტივებისა და სიტუაციის შეფასება და რეაქციები ფსიქიკის უმაღლეს რეგისტრებზე პიროვნების ამოცანაა და არა ცნობიერების.

ცნობიერება, როგორც ორიენტაციის ურთულესი პროცესი, გარე სამყაროს შეცნობას მოითხოვს, ე. ი. მოითხოვს აქტიურ — ამორჩევით აღქმას (აპერცეფცია), ეს უკანასკნელი ხორციელდება ყურადღების საშუალებით, რომელიც წარმართავს ცნობიერების ველს, ს. კორსაკოვი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ყურადღების აქტს, რომლის შემწეობითაც არაცნობიერის სფეროდან გამოიყოფა სათადარიგოდ შენახული ესა თუ ის წარმოდგენა, ადამიანის ფსიქიკა შეიძლება შევადაროთ აისბერგს, რომლის ჩაძირული ნაწილი არაცნობიერია, წყალზედა ნაწილი — ცნობიერი. ამასთან წყლის ზევით იმყოფება აისბერგის მხოლოდ ერთი მეხუთედი ან ერთი მეექვსედი ნაწილი. რა თქმა უნდა, მოყვანილი გულუბრყვილო მექანიკური სქემა ადამიანის ფსიქიკისა არასრულყოფილია. რა ნაწილიც უნდა იყოს წყლის ზემოთ, იგი აქტიურად მოქმედი და პასუხისმგებელია, თუ პიროვნება პათოლოგიურად ან სოციალურად არ არის დამახინჯებული.

პერსონალისტური მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ასპექტში, რომელიც შემოქმედებითად აღელვებდა ა. განუშკინს. მხედველობაში მაქვს ადამიანის გონების შეცდომების და ცრუმორწმუნეობის, ბრბოს ფსიქოლოგიისა და შემოქმედების, აგრეთვე საზოგადოებრივი და სოციალური ფსიქიატრიის საკითხები, ამასთან. პ. განუშკინის თეზისი ნორმალური და პათოლოგიური ფსიქოლოგიის სიმბიოზის მნიშვნელობისა და ევრისტულობის შესახებ სრულ გამართლებას პოულობს პიროვნების შესახებ მოძღვრების პოზიციებიდან.

ნორმალური და პათოლოგიური ფსიქოლოგიის სიმბიოზი მოითხოვს ფსიქოლოგიური დეტალების ნატიფ ანალიზს სოციალური ფაქტორების გათვალისწინებით და არა ნორმისა და პათოლოგიის გულუბრყვილო ანალოგიას.

სულიერი აშლილობის დროს იცვლება პიროვნების სოციალურ შრომითი და ემოციურ-მორალური წარმოდგენები; ადამიანის სპეციფიკური თვისებები — შრომა, მოვალეობა და დაუცხრომელი მოთხოვნილება — ზიანდება. ადამიანის მორალურ გაბზარვასთან ერთად მხედველობიდან ქრება ის მომენტი, რომ სინდისი, როგორც სოციალურ-ფსიქოლოგიური კატეგორია, საწყისი და სიხარულია ადამიანის სიცოცხლისა, შრომის საუკეთესო მოკავშირეა. სინდისი ზრუნვის ხმა კი არა, მოვალეობის ძახილია. შრომა და მოვალეობის შესრულების გრძნობა ადამიანს ანიჭებს უდიდეს სიამოვნებას, უქმნის პერსპექტივას, მის სახელთან დაკავშირებულია შრომის შედეგი. ადამიანის მოქმედება გაპირობებულია მისი მორალით და აქ სრულიად გაუმართლებელია მორენოს* თეზისი, რომ მეცნიერებასა და თეოლოგიას შორის წარსულში არსებული უფსკრული აღარ არსებობს და რჩება მხოლოდ „უცოდინარ“ მეცნიერთათვის.

მისწრაფება, სურვილი პიროვნების დონეზე მჭიდრო კავშირშია მაკრო- და მიკროსოციალურ ფაქტორებთან და ვერ განისაზღვრება ფრეიდის პანსექსუალიზმით, ადლერის მბრძანებლობის სურვილით, იუნგის პრიმიტიული არაცნობიერით და ადოლფ მაიერის ვიწრო ადაპტაციური ინტეგრაციით.

ინტერპერსონალური ანუ პიროვნებათა შორის დამოკიდებულების შესწავლისას ამოსავალ წერტილად უნდა მივიღოთ აზრი,

---

* მშობლიურ ლიტერატურაში არის ამომწურავი კრიტიკა მორენოს მოძღვრების (სოციომეტრიის ფსიქოდრამისა და მცირე ჯგუფის) შესახებ.

რომ ფსიქიკური აპარატი რეაგირებას ახდენს სხვადასხვა მიკრო- და მაკროსოციალურ ფაქტორებზე.

ირკვევა, რომ მიკროსოციალური ფსიქოტრამვული ფაქტორები (ოჯახი, მშობლები, ახლობლები, მეზობლები, სამსახური და ა. შ.) ადამიანისათვის ზოგჯერ ძლიერ მნიშვნელოვანი და არსებითია, იწვევენ მთელი პიროვნების, მისი ფსიქოლოგიური წყობისა და სასიცოცხლო (ფილოსოფიური) კრედოს გაბზარვას.

ადამიანში პიროვნების უმაღლესი რეგისტრების დონეზე ორიენტაცია გამოვლინდება როგორც უმაღლესი სოციალურად გაპირობებული ფუნქცია და ეს ორიენტაცია განაპირობებს პიროვნების რეაგირების უნარს, ისევე როგორც გარე სამყაროში და თვით თავის თავში მოცემულ ფაქტორთა პიროვნული შეფასება.

ამ მხრივ ადამიანის ორიენტაცია წარმოდგენილია მიკრო და მაკროსოციალური ორიენტაციის ასპექტში.

მიკროსოციალური ორიენტაცია გულისხმობს ორიენტაციას ოჯახში, სამსახურში, ამხანაგებში, ახლობლებსა და მეზობლებს შორის.

მაკროსოციალური ორიენტაცია უფრო მაღალი სახის ორიენტაციაა (საზოგადოებრივი ორიენტაცია — ამ მხრივ განწყობა და მიმართება და ა. შ.)

პიროვნების ორიენტაციას, როგორც უმაღლეს სოციალურ ფსიქოლოგიურ ადაპტაციას, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანის შემოქმედებაში. აქ ორიენტაცია შეიძლება დაკავშირებული იყოს პიროვნების უმაღლეს კეთილშობილურ მისწრაფებებთან (პატრიოტიზმი, მოვალეობა, საზოგადოებრივი ინტერესი, შრომითი ინტერესი და ა. შ.). მეორეს მხრივ, ორიენტაცია შეიძლება მიმართული იყოს ადამიანის დაბალი მისწრაფებებისაკენ (ეგოიზმი, სიცრუე).

ვ. შტერნის პერსონალისტიკაში მცირე ყურადღება აქვს დათმობილი გარემო წრის ფაქტორებს და ცალმხრივად აღინიშნება თვითმოქმედი მიზნობრივი გონიერი ერთიანობის მნიშვნელობა.

მიუხედავად ამისა, თვით ვ. შტერნისათვისაც პიროვნება ანუ „პერსონა“ განისაზღვრება მისი შემოქმედებით.

ცნობიერების და პიროვნების ცნებები ფსიქოდინამიკურად ერთმანეთს კი არ გამორიცხავენ, არამედ ერთმანეთს განსაზღვრავენ.

ცნობიერების პათოლოგიის საწყის სტადიებზე იქმნება პირობები პიროვნების პათოლოგიური გარდაქმნისათვის. მეორეს მხრივ,

პირველადი ბზარი პიროვნებაში გარეშე წრეში ორიენტაციის და სუბიექტური განცდების კრიტიკის უნარს უსპობს ავადმყოფს.

თანამედროვე ნევროლოგიას იმ მტკიცე დასკვნამდე მივყავართ, რომ არც ერთი ორგანო არ არის აღჭურვილი ისეთი მდიდარი კომპენსაციური შესაძლებლობებით, როგორც თავის ტვინი — ქერქულ ჭერქქვეშა წარმონაქმნები (ვიკარული ფუნქციისა და რევერზიბილობის წყალობით). მაგრამ ფსიქიკური კომპენსაცია მეღავნდება არა მარტო ცალკეულ ფუნქციათა აღდგენის ფორმით (კომპენსაციის მარტივი და უშუალო სახე), არამედ როგორც ფსიქოლოგიურად რთული გადართვები: პიროვნული კომპენსაციის არაპირდაპირი სახე. უკანასკნელ შემთხვევაში კომპენსაცია წარმოდგენილია როგორც ერთდროული გამომეღავნება ორი საწინააღმდეგო, ანტინომიური მდგომარეობისა.

გარეგნულად ანტინომია და ამბივალენტობა მსგავსია, მაგრამ ისინი აგებულია სხვადასხვა ფსიქოდინამიკურ მექანიზმებზე. ამბივალენტური პროდუქციების საფუძველს საინფორმაციო არხების ატაქსიური დამახინჯება შეადგენს.

ანტინომიების დროს პიროვნება გახლეჩილი არ არის და საწინააღმდეგო გამოვლინება განისაზღვრება კომპლექსური, ემოციურ-ინტელექტუალური აქტების დაძაბვით.

შორეული, მხოლოდ გარეგნულად მსგავსი პროტოტიპები ანტინომიებისა გვხვდება ნორმალურ ფსიქიკურ ცხოვრებაში: ყოველი გადაწყვეტილება შედეგია გულმოდგინე, მრავალმხრივი, ზოგჯერ საწინააღმდეგო (ანტინომიური) მომენტების ანალიზისა.

ფსიქოზის დროს, რომელიც პიროვნების დაავადებაა, ადგილი აქვს არა მარტო დეფექტს, დაქვეითებას, განმუხრუჭებას, არამედ აქტიურ, თუმცა პათოლოგიურ გადართვას, განვითარებას, რეაგირებას; სწორედ ეს გარემოება ქმნის ადამიანში ფუნქციურად ახალს. გამოჩენილი მწერლის ვ. გარშინის მიხედვით ბოდვაში მყოფი ავადმყოფიც კი ადამიანია, მოკლებული არ არის უმაღლეს, კეთილშობილურ ემოციებს და შეუძლია შეეწიროს თავის წმინდა მიზანს.

პიროვნება და ანტინომიური რეაქციები

სინთეზური გამოკვლევის მეთოდებს ძლიერ მჭიდრო ურთიერთობა აქვს ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური ყოფიერების პრობლემებთან.

კულტურის ისტორიაში ტოტუს ჰომოს ცნება არასოდეს არ

ყოფილა ისე არსებითად აქტუალური, როგორც ჩვენს დღეებში, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საარაკო მიღწევების პერიოდში.

ძირითადი გარემოებანი, რომელთაც ახლებურად წამოაყენეს, გაამახვილეს და დაგვანახეს ადამიანის ფსიქოლოგიური ეგზისტენციის მთელი სირთულე, შემდეგია:

1. კონცეფციებმა, რომლებიც ეხება ბიოლოგიურ, ფიზიოლოგიურ, მოლეკულურ, ელექტროენცეფალოგრაფიულ, ბიოქიმიურ და ფიზიოლოგიურ ფსიქოლოგიას, არსებითად გაამდიდრეს ჩვენი ცოდნა ტვინის და ფსიქიკის ბუნების და მათი ურთიერთკავშირის შესახებ. მაგრამ ყველა მონაცემი ამ მიმართულებით მაინც არის და დარჩება წინაპირობის ფარგლებში.

გამომდინარე სწორედ ტვინის სტრუქტურის და ფუნქციის შესახებ სწავლებიდან თანამედროვე დონეზე, უნდა მტკიცედ გვახსოვდეს, რომ სულიერი პროცესები წარმოადგენენ გარკვეულ თვისობრივ ფუნქციას, ადამიანის ტვინის გარკვეულ კვალიტეტს და არა ფიზიკურ ენერგიას.

2. კიბერნეტიკას და მანქანურ ტექნიკას აქვს თავისი წარმატებები და მონაპოვრები, თავისი შესაძლებლობები და საზღვრები.

3. ორმა მსოფლიო ომმა, განსაკუთრებით მეორემ, გამოიწვია გაუგონარი პერტურბაციები და კატაკლიზმები არა მხოლოდ სახელმწიფოთა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებაში, არამედ ხალხთა ზოგად ფსიქოლოგიასა და თითოეული ადამიანის სუბიექტურ სამყაროში, როდესაც ხდება ფიზიკური და ფსიქიკური ყოფიერების ფასეულობათა გადაფასება.

4. ანალიზური გზით დაგროვილი ფაქტების სინთეზური ანალიზის დიდმა მნიშვნელობამ მოიცვა ცოდნის ყველა დარგი და წამოყენებულ იქნა კონცეფცია — ტოტუს ჰომო როგორც ზოგადსაკაცობრიო პრობლემა.

5. გაძლიერდა მიკროსოციოლოგიური ბუნების ფსიქოგენიათა სემანტიკის როლი და მნიშვნელობა.

ინდივიდუმებსა და მავნე გარემოცვას შორის ბრძოლა ორგანული და ფუნქციურ-დინამიკური დაავადებების დროს ერთნაირად მძიმე, რთული, ძნელი და მრავალფეროვანია. (აქ) მაიერის ცნება ერგაზოლოგიის შესახებ ასახავს ამ ბრძოლის ენერგეტიკულ მხარეს.

აღნიშნული ბრძოლა პიროვნებასა და მის გარემომცველ პათოდინამიკურ რგოლს შორის უფრო დახლართული, მრავალმხრივად ინდივიდუალურია, სავსეა მოულოდნელი გადართვებითა და დაბო-

ლოებებით. ამიტომ ფსიქოგენური ბუნების დაავადებები შეიძლება განვიხილოთ, როგორც კლინიკური ფსიქიატრიის დამოუკიდებელი შემოქმედებითი თავი.

პიროვნების ჩამოყალიბება — მისი ჩასახვა და დაისი — ახლებურ გაშუქებას ჰპოვებენ ფსიქოლოგიური გამძლეობის ჩვენს მიერ წამოყენებულ პრინციპის შუქზე.

არსებული დაყენება, რომ ბიოლოგიასა და ფსიქოლოგიაში ფუნქცია რაც მეტად საპასუხისმგებლო რაფინირებული და დინამიკურად მაღალია, იგი მით უფრო პათოლოგიურად ლაბილურია და ამჟღავნებს მაღალ მსხვრევადობას, მოითხოვს პრინციპულ კორექციას.

პიროვნების ჩონჩხი საკმაოდ გამძლე და ამტანია.

გენიალური ფსიქოლოგისა და ფილოსოფოსის ვ. გოეთეს თეზისი „ძირითადია — გესმოდეს ადამიანის" — ჩვენს დღეებში გახდა განსაკუთრებით საინტერესო, მაგრამ ამასთან უფრო რთული და ძნელად გამოსაცნობი.

ჩვენს მიერ წამოყენებულ საკითხთა თვალსაზრისით ევრისტიკულ მნიშვნელობას და მაღალ აზრს იძენს თანამედროვე ფსიქოსინთეზი, როგორც ძიებათა სამეცნიერო-კვლევითი გზა.

ფსიქოსინთეზის ძირითად შემოქმედებით ამოცანას და კვლევით მიზანმიმართულებას წარმოადგენს ფსიქიკის შესახებ მეცნიერებათა განზოგადოება და სინერგია ყველა გზებისა, რომლებიც ცდილობენ ადამიანის არსის შემეცნებას.

საჭიროა ხაზი გავუსვათ, რომ ფსიქოსინთეზი იმსახურებს დაძაბულ ყურადღებას არა მხოლოდ როგორც მეთოდური მიდგომა პერსპექტიული ამოცანების გადასაწყვეტად, არამედ უმთავრესად და უწინარეს ყოვლისა ის თავისებურება, რომ ადამიანის ყოფიერების ნებისმიერი გამოვლინება, მით უფრო პიროვნება, არის ერთიანი ინტეგრაციული კატეგორია.

როგორც ვხედავთ, ფსიქოსინთეზი შეიძლება განისაზღვროს როგორც ერთიანი კატეგორიებისადმი მთლიანი მიდგომა. ამასთან, პერსონა, როგორც ფსიქიკური აპარატის უმაღლესი იერარქია, წარმოადგენს სინთეზური სრულყოფილების მაგალითს, როდესაც საქმე გვაქვს არა მხოლოდ ადამიანის მნიშვნელობის და დანიშნულების პრობლემებთან, არამედ დეონტოლოგიური ფსიქოჰიგიენისა და დეონტოლოგიური ფსიქოპროფილაქტიკის თეორიასა და პრაქტიკასთანაც.

უფრო მეტად ფსიქოსინთეზი მოწოდებულია გამოიკვლიოს

არა მხოლოდ ინტერპერსონალური კავშირების ფსიქოლოგია, არამედ აგრეთვე სოციალური ფსიქოლოგიის, ბრბოს და ხალხების ფსიქოლოგიის პრობლემები, ისევე როგორც ადამიანთა ურთიერთობის ფსიქოლოგია.

თუ კლასიკური ფსიქოსინთეზი მეტ ყურადღებას უთმობს ღრმოვანი ფსიქოლოგიის პრობლემებს, კომპლექსთა სამყაროს ხვედრით წონას, ე. წ. აფექტურნებელობითი ფსიქოლოგია და გეშტალტ-ფსიქოლოგია დაკავებულია ემოციათა და ინტელექტის სფეროებიდან ცალკეულ ფსიქიკური ფუნქციების მთლიანობით (ერთიანობით).

ფსიქოზები შლის პიროვნულ კატეგორიებს (შრომა, ფსიქოენერგეტიკა, მოვალეობა, ნდობა, სინდისი, მორალი და ა. შ.).

კლინიკაში პიროვნების მთლიანობის პათოლოგიის კლასიკურ მაგალითებს წარმოადგენს ფსიქიკური დისჰარმონიის (ფსიქოპათიათა სფერო) და ფსიქიკური ატაქსიის(შიზოფრენიის ბირთვოვანი ფორმა, როგორც ანტროპოტიპიური ფსიქოზი) სინდრომები.

სულიერი აშლილობისას იცვლება პიროვნების სოციალურ-შრომითი და ემოციურ-მორალური წარმოდგენები; სპეციფიკური ადამიანური თვისებები — შრომა, მოვალეობა და შეუჩერებელი მოთხოვნილება — ზიანს განიცდის.

მორალურად გატეხილი პიროვნება კარგავს კრიტერიუმს სინდისის, როგორც სოციალურ-ფსიქოლოგიური კატეგორიისა, რომელიც წარმოადგენს ადამიანის ცხოვრების საწყისს და სიხარულს, შრომის საუკეთესო მოკავშირეს. სინდისი არის არა ზრუნვის ძახილი, არამედ მოვალეობის ძახილი. შრომა და შესრულებული მოვალეობის გრძნობა უდიდეს სიამოვნებას გვრის ადამიანს, ქმნის პერსპექტივას, მნიშვნელობას აძლევენ მთელ ცხოვრებას. ადამიანი ამაყობს, რომ მის შემდეგ რჩება მის სახელთან დაკავშირებული შრომითი საქმიანობის შედეგები.

მინდა ხაზი გავუსვა, რომ ადამიანის მორალური ხერხემლის სიმტკიცე, თავის მხრივ, განისაზღვრება პიროვნული შესაძლებლობების ძალით, სიღრმით და სიმდიდრით, უწინარეს ყოვლისა, დიდსულოვნების მორალური სიმტკიცის, კეთილშობილების ძალით და მის შეგნებით, რომ ადამიანი, როგორც საზოგადოებრივ სოციალური ფიგურა, ცხოვრობს არა მხოლოდ თავისთვის, არამედ, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებისათვის.

მორალური ძლიერი პიროვნების მეორე თავისებურება, პრაქტიკულად უფრო მნიშვნელოვანიც კი, მდგომარეობს იმაში, რომ

იგი ფრიად სასარგებლოდ. მოქმედებს სხვებზე. ესმის რა სხვისი მწუხარება, ადამიანი თითქოს თვითონ ინაწილებს მას და ამიტომ ახდენს დამამშვიდებელ გავლენას.

საჭიროა აღინიშნოს, რომ პიროვნების ფსიქოლოგიის პრობლემების გამოკვლევისას აუცილებელია მივმართოთ არა მხოლოდ ფენომენოლოგიასა და ექსპერიმენტს, არამედ იმ ფსიქოლოგიურ მასალასაც, რომელსაც გვაძლევს მხატვრული ლიტერატურა. ფსიქოლოგიისა და პათოფსიქოლოგიის მსგავსი ექსკურსი სასარგებლოა გარკვეული ფსიქოპათოლოგიური პრობლემების გაშუქებისათვის. მაგრამ ასეთი შემოქმედებითი ცდებისას აუცილებელია განსაკუთრებული სიფრთხილე იმ ფაქტობრივი მონაცემების შედარებასა და შეპირისპირებაში, რომლებიც ცნობილია ერთის მხრივ ლიტერატურისათვის, ხოლო მეორეს მხრივ ფსიქოლოგიისა და პათოფსიქოლოგიისათვის.

ვიმეორებ, თუ ფსიქიკური აპარატისათვის დამახასიათებელი ერთიანი ინტეგრაციული მოქმედება, ერთნაირადაა გამოხატული მის ყველა დინამიკურ დონეზე, პიროვნულ რეგისტრებზე ეს თავისებურება ყველაზე სპეციფიკურია.

ფსიქიკის მთლიანობა წარმოადგენს აუცილებელ პირობას უმაღლესი ფსიქიკური რეაქციებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ფსიქიკური პროცესების დინამიკურობით ხდება ფსიქიკური აპარატის სწრაფი ანალიზურ-სინთეზური მუშაობის უზრუნველყოფა. ფსიქიკურ გამოვლინებათა მთლიანობა და დინამიკურობა, რაც ასე დამახასიათებელია პიროვნული დონისათვის, ქმნის ფონს ანტინომური ფსიქიკური რეაქციებისათვის.

ფსიქოლოგიური ანტინომების გენეტიკური ფესვები და დინამიკური მექანიზმები ძნელად ემორჩილებიან ანალიზს გაგების, წვდომის და ახსნის ფსიქოლოგიის ჩვეულებრივი პოზიციებიდან. აქ ჩვენ საქმე გვაქვს პიროვნების ძირითადი კრედოს შენახვის გულისათვის დროებითი გადართვების ურთულეს ფსიქიკურ პროცესებთან.

ჰარმონიული პიროვნება მოწოდებულია, სათანადოდ აწონოს ფაქტები და მოვლენები (ანალიზი, — სინთეზი) და გამოამჟღავნოს საჭირო ორიენტაცია ყველაზე რთულ გარემომცველ სიტუაციაში, აგრეთვე სუბიექტურ განცდებში.

აქედან ნათელია, რომ ჰარმონიული ფსიქიკური აპარატის მქონე ადამიანი შაბლონის მიხედვით არ ავლენს ფსიქიკურ რეაქციებს.

მუდმივი აწონისა და დაძაბული ორიენტაციის ფსიქიკური პროცესები ხშირად დაკავშირებულია პიროვნების ურთიერთსაწინააღმდეგო დაყენებებთან, ტენდენციებთან, სურვილებთან და მიზიდულობებთან. ამის შედეგად ადამიანის ფსიქიკურ აპარატში იქმნება გარკვეული კვანძი კონფლიქტი განცდებისა, რომლებიც მოითხოვენ ლოგიკურ გადაჭრას და ფსიქოდინამიკურ განმუხტვას. რაც უფრო რთულია სუბიექტური ან ობიექტური სიტუაცია, მით უფრო მწვავედ, ღრმად და კონფლიქტურად გამოიყურებიან ანტინომიური რეაქციები.

საჭიროა ხაზი გავუსვათ, რომ ანტინომიური რეაქციები იგება ე. წ. ინტელექტუალურ გრძნობაზე. ამ უკანასკნელით უნდა იყოს გამთბარი აგრეთვე უგანწყობო ობიექტური კრიტიკა, როდესაც ღრმა სიძულვილი მეზობლობაშია გულწრფელ პატივისცემასთან.

პიროვნების სრულიად განსხვავებული ანტინომური დაყენებები — სიყვარული და სიძულვილი, ეჭვი და ნდობა, დიდების წყურვილი და თავმდაბლობა და მრავალი სხვა შეადგენს ადამიანის მოქმედებათა მამოძრავებელ საწყისს.

პიროვნების დეზინტეგრაციის დისოციაციის შედეგად ზიანდება ლოგიკურად დასაბუთებული და კრიტიკულად შემოწმებული ანტინომური მსჯელობის შესაძლებლობანი. მახინჯდება მიზნისაკენ სწრაფვის და ზოგადი გეგმიანი საქმიანობის მოტივაციური კომპონენტი. ხდება ფსიქოდინამოგენეზების ფაქტორების პათოლოგიური შეფასება, როდესაც დადებითი სოციალურ-ფსიქოლოგიური კატეგორია შეიძლება შეიცვალოს უაღრესად და მკვეთრად საპირისპირო უარყოფითი წარმოდგენით (სიკეთე — ბოროტებით, სიყვარული—სიძულვილით). ზესტრესული გამღიზიანებლით გამოწვეული საერთო სულიერი გადაძაბვა ამსხვრევს პიროვნული გამძლეობის მანომეტრს, ვითარდება პიროვნული დაყენების და მისი ინდივიდუალური ან კონკრეტული სოციოლოგიური მოდუსის გამრუდება, მოსხლეტა და ღრძობა.

ანტინომური შეთანატოლების და დაპირისპირების დეფექტი იწვევს ფსიქოლოგიური ნაწიბურის წარმოშობას, ინდივიდუუმისათვის დამახასიათებელი პიროვნული თავისებურების გამრუდებას, მოსხლეტას და ჩავარდნას. წარმოიქმნება არსებობის ახალი ავადმყოფური სამყარო, ამასთან ხაზი უნდა გავუსვათ, რომ ზოგჯერ ფსიქოლოგიური „ნაწიბური“ უფრო ტორპედულია, ვიდრე ბიოლოგიუ-

რი, ხოლო პიროვნული „გამრუდება“ ძნელად ემორჩილება გასწორებას.

ფსიქოენერგეტიკული პოტენციალის შესახებ

ფსიქოენერგეტიკა, როგორც ფსიქიკური აპარატის მთლიანი მოქმედების ხარისხისა და დაძაბვის გამოვლენა, პირობადებულია ინდივიდის ზოგადი ნეიროდინამიკური თავისებურებებით, რომელთაც საფუძვლად უდევს უაღრესად ნატიფი და მაღალეკონომიური ცვლის პროცესი. ყოველი ენერგეტიკის მსგავსად ფსიქოენერგეტიკის ხარისხი და შესაძლებლობანი შეიძლება წარმოდგენილ იქნეს პოტენციალის სახით, მისი რაოდენობრივი მერყეობით (მაღალი და დაბალი, გაძლიერება და შესუსტება, გადიდება და შემცირება. მიმატება და დაკლება).

ფსიქიკური სიცოცხლის მიმართ, ცნება ენერგეტიკის შესახებ, პირველ რიგში, არეკლავს ფუნქციათა რაფინირებული და ზუსტი შართვის ხარისხს: ინტეგრაციისა და ინფორმაციათა შეთანხმებულობას. ვინაიდან მოქმედების პრობლემებს თანამედროვე ფსიქიატრიაში და ფსიქოპათოლოგიაში ცენტრალური ყურადღება ეთმობა, ისე როგორც ევოლუციურ, ფსიქოდინამიკურ და პერსონოლოგიურ ფსიქიატრიაშიც, ცნება ფსიქოენერგეტიკული პოტენციალის შესახებ საყურადღებო თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენს ფსიქონევროლოგიურ კლინიკაში.

ფიქრს მიზნების მისაღწევად გოეთე სულიერ თვისებად განიხილავს და უწოდებს მას ენერგეტიკულ მისწრაფებას. ეს უკანასკნელი სხვადასხვა პირებში სხვადასხვანაირადაა გამოხატული.

ამავე დროს, ენერგეტიკული მისწრაფება პიროვნების ინდივიდუალურ თვისებებთან და შექმნილ გარემო სიტუაციასთან დაკავშირებით ზოგჯერ სრულ აპათიამდე მიდის; ხან კი ადამიანი წარუმატებლობის პირველ შემთხვევაშივე შეიძლება მივიდეს თვითმკვლელობამდე.

ჩვენ ვთვლით, რომ გოეთეს ენერგეტიკული სწრაფვის პრინციპი და ვაჟა-ფშაველას მოქმედების პრინციპი მომავლისაკენ სწრაფვით წარმოადგენს პიროვნების ფსიქოენერგეტიკული პოტენციალის თანამედროვე ცნების ზუსტ პროტოტიპს და პირდაპირი დამოკიდებულება აქვს პერსონოლოგიის პრობლემებთან.

პიროვნების მოქმედებისათვის ძირითადი ამოცანაა — მიზნის მიღწევა, ამასთანავე ღირსეულად.

ანტროპოფსიქოლოგიაში ფსიქოენერგეტიკა უნდა განიხილოს როგორც ისტორიულად გამომუშავებული შრომისადმი — შემოქმედებისადმი მისწრაფების პიროვნული დაძაბულობა. რაც შეეხება ზიგმუნდ ფრეიდის ფსიქო-ნეირო-ენერგეტიკის ცნებას, იგი თავისი დინამიკური ფესვებით დაკავშირებულია მიზიდულობებთან და ინსტიქტურ მოთხოვნილებებთან.

გასაგებია, რომ ყოველი ანტროპოტიპიური მოქმედება მოითხოვს ზოგად ფსიქოენერგეტიკულ დაძაბულობას, მაგრამ იგი არ უნდა იყოს მხოლოდ პასიურად კონფორმისტული, შეგუებითი, იგი ვალდებულია იხელმძღვანელოს შრომის, მოვალეობისა და მორალის პერსონოლოგიური პრინციპებით.

გოეთეს თეზისი სიკვდილის (რასაკვირველია სულიერი სიკვდილის) დროს ნულოვანი წინააღმდეგობის შესახებ გულისხმობს მდგომარეობას, როდესაც ინდივიდუუმის ადამიანური ყოფა მიდის უკიდურეს კონფორმიზმამდე და უპიროვნო ადაპტაციამდე. მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ ინიციატივა, შრომა და მოქმედება ჭეშმარიტი ცოცხალი ცხოვრების ძირითად პირობას შეადგენს.

კონრადისათვის ენერგეტიკული სწრაფვის შესახებ წარმოდგენას კლინიკური ინტერესი აქვს, როდესაც პიროვნული წადილი მოქმედებებს და ქცევებს მოტივირებულ მიმართულებას ანიჭებს ფსიქოენერგეტიკული პოტენციალის ან ფსიქოენერგეტიკული ტონუსის უკმარისობის ან რედუქციის სინდრომი ფსიქიკური აქტივობის და პროდუქტიულობის დაწევის სახით, უპირველესად, მოტივირებისა და მიზანდასახულობის დანაკლისის სახით, იღებს დომინირებულ ხასიათს შიზოფრენიული პროცესის კლინიკურ სურათში, მის ყველა ეტაპზე და სტადიაში.

ამასთან, შიზოფრენიის მოგვიანებულ სტადიებში ფსიქოენერგეტიკის რედუქციამ შეიძლება მიაღწიოს აპატიკო-აბულიურ სიმპტომო-კომპლექსამდე.

ფსიქოენერგეტიკის რედუქციის კლინიკასთან ახლო დგას კრონფლედის ცნება ფსიქიკური აქტივობის პარაფუნქციის შესახებ, რაც ერთი მეორით შენაცვლებას გულისხმობს, მიზანდასახულის — მიზანდაუსახველობით, ძირითადის — მეორე ხარისხოვანით, მნიშვნელოვანის — უმნიშვნელოთი. აღნიშნული პათოლოგია პიროვნებადებულია ავადმყოფის პიროვნების მთლიანი მოქმედების დარღვევით. ფსიქოენერგეტიკული პოტენციალის განმარტებაში შედის ცნება ფსიქოლოგიური დაძაბვის და ძალდატანების აქტუალიზაციის ისევე როგორც ყურადღების აქტიური მიმართვის შესახებ.

მომქმედ ფსიქიკაში ენერგეტიკული პოტენციალის ან ტონუსის დაქვეითება პრაქტიკულად შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა ხარისხის დაღლაში.

ამასთან სპეციალურ ყურადღებას იპყრობს ა. უხტომსკის დებულება დაღლის შესახებ, ორგანიზმში სამუშაო ჰარმონიის დარღვევის გარეშე, ანდა აშკარა დისჰარმონიების შედეგად.

ფსიქოენერგეტიკაზეა დამოკიდებული ინდივიდუუმის შრომითი გამძლეობა, მისი მიდრეკილება დაღლილობისადმი (ენერგეტიკული რესურსების გამოფიტვა).

ანტროპოფსიქიკის დონეზე ფსიქოენერგეტიკისა და შრომის ცნებები სინონიმებია, ურთიერთგანსაზღვრული პიროვნული კატეგორიები. შრომა ახდენს დეზორგანიზებული ფსიქიკის ორგანიზაციას და მობილიზაციას და, აწარმოებს რა პიროვნების მთლიან სტრუქტურაზედ აქტიურ სამკურნალო ზემოქმედებას, ავადმყოფის ფსიქოენერგეტიკას აძლიერებს.

თანამედროვე შრომათერაპიის და ფსიქოფარმაკოთერაპიის მონაცემები ჩვენ გვარწმუნებს, რომ თერაპიული ეფექტი სულით დაავადებათა დროს, უპირველეს ყოვლისა შიზოფრენიის დროს, გულისხმობს პიროვნული ძალებისა და შესაძლებლობების ნორმალიზაციას, ამიტომ უფრო სწორად იქნება ფსიქონევროლოგიაში აღდგენითი თერაპიის ეფექტი განვიხილოთ არა მარტო როგორც: რეაბილიტაცია, რეადაპტაცია ანდა რესოციალიზაცია, არამედ როგორც ინდივიდუუმის რეპერსონიზაცია.

რეპერსონიზაციის ტერმინი გულისხმობს არა მარტო ადაპტაციის და პასიურ შემგუებლობას, არამედ მოვალეობის გრძნობათა და სინდისით ნაკარნახევ ადამიანის აქტიურ ბრძოლას.

ფსიქოენერგეტიკის პრობლემები იპყრობენ აგრეთვე გერონტოფსიქოლოგიისა და გერონტოფსიქოპათოლოგიის დაინებით ყურადღებას.

როგორც ცნობილია, მიმდინარე საუკუნის მეორე მეოთხედის დასაწყისში ა. განუშკინი ადრეული ან ნაადრევი მოხუცებულობის კლინიკური ფსიქოპათოლოგიის ანალიზის დროს მიუთითებდა ფსიქიკური აპარატის ძალთა გაცვეთაზე და დაქვეითებაზე. ინტერესი მატულობს იმ გარემოებით, რომ მოხუცებულობის გაელენის ეტიოპათოგენეზში ბიოსტრესულთან ერთად გადამწყვეტ როლს ფსიქოსტრესული ფაქტორები ასრულებენ.

ინდივიდუუმის ფსიქოენერგეტიკულ შესაძლებლობათა დაქვეითება ყველაზე ადრეულ და ძირითად სიმპტომს შეადგენს შიზო-

ფრენიული პროცესის ჭეშმარიტი ანუ ბირთვოვანი ჯგუფის კლინიკურ ფენომენოლოგიაში, რომელიც წარმოდგენილია მთელი დაავადების მიმდინარეობაში, ფინალის პერიოდის ჩართვითაც.

ფსიქოტონუსის — მისწრაფებების, განზრახვებისა და ინიციატიური აქტივობის სისუსტე აშკარად მეღავნდება რემისიების დროსაც.

სამკურნალო საშუალებათა შედეგად ჩვენ დროში იხსნება შიზოფრენიული ბუნების დადებითი და ნეგატიური სიმპტომები და ვითარდება ზოგადი კლინიკური გამოჯანმრთელება, შრომისუნარიანობის გარკვეული აღდგენით. უფრო ხშირად რჩება ფსიქოზურ ძალთა მსხვრევადობა და სისუსტე (მუდმივი და განუწყვეტელი დაღლილობის შეგრძნება), რაც ხელს უშლის ავადმყოფობამდე არსებულ ჯანმრთელობის რესტიტუციას.

ფსიქოენერგეტიკული პოტენციალის ზიანი განსაკუთრებით დამახასიათებელია შიზოფრენიის პრეფსიქოზური სტადიისათვის. ამ დროს, ძალთა დაკლების გამო, ავადმყოფები არაიშვიათად მიმართავენ ხელოვნურ გამღიზიანებლებს (ალკოჰოლი, ჰაშიში—ანაშა, მორფიუმი და სხვა), ქცევა კი ფსიქოპათიის მსგავს აშლილობათა ხასიათს ატარებს.

შიზოფრენიის შორეულ, გამოსავალ სტადიებში ფსიქოენერგეტიკული პოტენციალის რედუქცია მაქსიმალურ ხარისხს აღწევს. ჩვენი მონაცემების მიხედვით, შიზოფრენიის დროს, დაავადების ხანგრძლივობით 15-დან 20 წლამდე, უფრო ხშირად გვხვდება აპატიკო-აბულიუერი სინდრომი.

ავთვისებიანი შიზოფრენიის ფინალურ ანუ გამოსავალ სტადიებში შიზოფრენიული დეფექტი იღებს კლინიკურ-ნოზოლოგიური იზომორფიზმის ხასიათს; ფსიქიკის მასალის დაქვეითება ფენომენოლოგიურად ბრუტალური ორგანული ფსიქოზების გამოსავალ მდგომარეობებს მოგვაგონებს (ინტელექტუალურ და ემოციურ-ნებითი სფეროების პათოლოგია ეპილეფსიისა და ცენტრალური ნერვული სისტემის სხვა დაზიანებების დროს); თუმცა, შიზოფრენიის დროს აღნიშნული იზომორფიზმი თავისი პათოკინეზით პრინციპულად განსხვავებულია ორგანული ბუნების დეფექტისაგან.

აქ ფსიქოტონუსის არყოფნა არ არის ინტელექტის აშლის მხოლოდ შედეგი, არამედ ურთიერთინფორმაციული კავშირების განსხვავებული დეზორგანიზაციაა, ამიტომ შიზოფრენიით დაავადებული მოკლებულია შესაძლებლობას გამოიყენოს მის განკარგულებაში არსებული კონკრეტული ცოდნა.

როგორც ზემოთ იყო მითითებული, ფსიქიკური აპარატის ენერგეტიკული პოტენციალის ხარისხი განისაზღვრება მისწრაფებების, განზრახვების, აქტიური ინტერესების შინაარსისა და მიმართულების ხარისხით; განისაზღვრება ანტინომურ რეაქციათა ძალითა და დიაპაზონით. პიროვნული დონის აღნიშნული გამოვლინებანი პირობადებულია თავის ტვინის მთლიანი მოქმედებით და შეადგენს მისი ფსიქოენერგეტიკული პოტენციალის დადებით ეფექტს ნორმაში და პათოლოგიაში.

ამიტომ, ფსიქოენერგეტიკული პოტენციალი კლინიკური გაგებით არის ფსიქიკის ცალკეული დონეების და პირველ რიგში პიროვნული დონის, დინამიკურ ძალთა ტონუსი და ძაბვა.

ფსიქიკური აპარატის დონეთა დეზინტეგრაციის და დისოციაციის გაძლიერებასთან ერთად წარმოებს ფსიქოენერგეტიკული პოტენციალის დაცემა. ინტეგრაციის ხარისხი (ძალა, სიმყარე, ამპლიტუდა), როგორც სტრუქტურული დინამიკური ცნება და ფსიქოენერგეტიკის ძალა, როგორც დინამიკური ცნება, პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაში იმყოფებიან.

მივდივართ დასკვნამდე, რომ ინდივიდუუმის ფსიქოენერგეტიკული პოტენციალი წარმოადგენს დინამიკურ მდგომარეობას, უწინარეს ყოვლისა, პიროვნული დონის, რომელიც არეკლავს ფსიქიკური აპარატის მთლიანობისა და ჰარმონიის ხარისხს.

აშკარად წარმოვიდგენთ რა, რომ ცნება ფსიქოენერგეტიკული პოტენციალის შესახებ მხოლოდ დიალექტიკურ კავშირში იმყოფება ფიზიკურ ენერგეტიკასთან, გვინდა ერთგვარი შემოქმედებითი ანალოგია გავატაროთ ორ მოვლენას შორის, რომელიც განსაზღვრულია ორი დიამეტრალურად მოპირდაპირე ვექტორით. მხედველობაში გვაქვს რღვევის, დაშლისა და მაქსიმალური დეზინტეგრაციის ვექტორის ერთი მხარე და მოკრეფის, გაერთიანებისა და მაქსიმალური ინტეგრაციის ვექტორი. მეორეს მხრივ, ბირთვოვანი ფიზიკური ენერგიის განთავისუფლება დაკავშირებულია მთლიანობის ნაწილებად დაყოფისა და დაშლის მომენტებთან; ანტროფსიქოლოგიაში, პირიქით, ფსიქოენერგეტიკა გულისხმობს ფსიქიკური აპარატის ფუნქციურ გამოვლინებათა ქმედით გაერთიანებასა და მაქსიმალურ ინტეგრაციას.

ფსიქოენერგეტიკული პოტენციალის განსაზღვრაში შედიან ცნებები ფსიქოლოგიური დაძაბვისა, ფსიქიკური ფუნქციების აქტუალიზაციისა და არჩევისა, ისევე როგორც ყურადღების აქტიური მიმართულების.

ანტროპოფსიქიკის დონეზე ცნება ფსიქოენერგეტიკის და შრომის შესახებ სინონიმურია, ერთმანეთის განმსაზღვრელი პიროვნული კატეგორიებია.

წარმოდგენა ერცესი ცნობიერების ჰიპოტონიის შესახებ (ინტენციის ანუ ტენზიის, ანუ ფსიქოტონუსის დაქვეითება; ინტენციანალურ და იმპრესიონალურ სფეროთა შორის ფსიქოერთმოქმედების დარღვევა, გრულეს ფსიქიკურ ფუნქციათა მოტივის განსაზღვრული კავშირის დარღვევის, ბერინგერის ფსიქოინტენციის სისუსტის, შილდერის და შტორხის აზოგნების პრიმოდივიზაციის, ისევე როგორც შასლენის ცნება დისკორდინაციის შესახებ, ეის პიროვნების დეზინტეგრაციის და ლუგარის ფსიქიკური დისოციაციის) სხვადასხვანაირი მხრიდან ეხება პიროვნების კლინიკური ფსიქოპათოლოგიის ძირითად პრობლემებს. აღნიშნული დებულება უფრო მართებულ გაშუქებას იძენს თანამედროვე პათოპერსონოლოგიის შუქზე (მთლიანი მოქმედების დარღვევა, ანტინომური რეაქციების გაუკუღმართება, ფსიქოენერგეტიკის დაქვეითება, დამოკიდებულებისა და შეფასების დამახინჯება).

გავშვთა და შელერეგულთა ფსიქოლოგიისა და პათოფსიქოლოგიის პერსონოლოგიური პროგლემები

კიბერნეტიკული აზროვნება და ადამიანის მთლიანობაში შესწავლის დღევანდელი აუცილებლობა მკვლევარისაგან მომიჯნავე მეცნიერებათა მიღწევების ცოდნას მოითხოვს.

აღნიშნული თეზისის თანახმად უეჭველად სასარგებლო და მასთან საჭიროა არის შემოქმედებითი სიმბიოზი მოზრდილთა ფსიქიატრიასა და პედოფსიქიატრიას შორის. ეპიდემიოლოგიური ძიებანი, პირველ რიგში კი მიკროსოციოლოგიური ფაქტორების როლისა და ხვედრითი წონის განსაზღვრა ერთნაირად აქტუალურია ყველა კლინიკური სფეროსათვის.

სავსებით სწორია კერბიკოვი, როდესაც აღნიშნავს, რომ შინაგანი გარემო პირობების დაზუსტება და აქედან გამომდინარე კონტაქტი ფსიქიატრებსა და სოციოლოგებს შორის საშუალებას იძლევა ახალი პერსპექტიული გზის დასასახავად პათოქარაქტეროლოგიურ და ნევროზულ განვითარებათა პროფილაქტიკისა და ფსიქოსომატურ აშლილობათა საქმეში.

მტკიცედ გვახსოვდეს, რომ მიკროსოციოლოგიური ფსიქოგენიის სემანტიკური აქტივობა მჭიდრო კავშირშია და ნაწილობრივ განისაზღვრება კიდევაც ასაკობრივი პერიოდით. სწორედ ასაკთან

ერთად იცვლება ფსიქიკური აპარატის რეაქტიული შემადგენლობანი. ამასთან, როგორც პ. განუშკინი მიუთითებს, ფსიქიატრიული სემიოლოგია ერგაზოლოგია (სწავლება რეაქციების შესახებ) როდია, სიტყვის ვიწრო გაგებით. ნებისმიერი ფსიქოპათოლოგიური გამოვლინებანი განხილულ უნდა იქნეს გარკვეული ნოზოლოგიური ფორმის სიმპტომატიკის ასპექტში.

თუკი ბავშვთა და მოზარდთა ბიოლოგიურ თავისებურებათა შორის არსებული ხარისხობრივი განსხვავება მოითხოვს ხაზგასმას, მაშინ მით უფრო აუცილებელია მათი ფსიქიური აპარატის თავისებურებათა შორის გამმიჯნავი საზღვრის გატარება.

მწუხარება და სიხარული, დარდი და მხიარულება, სიმართლე და სიცრუე, სიყვარული და სიძულვილი, სილაშაზე და სიმახინჯე, სიზარმაცე, გარჯა და სხვა მრავალი გამოვლინება ფაქტიურ ასახვას პოულობენ ბავშვთა და შეღერებულთა სუბიექტურ სამყაროში. ცხოვრებისეული გამოცდილების და მტკიცე ლოგიკური კონტროლის უქონლობის გამო ბავშვთა და შეღერებულთა შორის ფსიქოგენური რეაქციები ხორციელდება მოკლე ჩართვის ტიპით. ფსიქიკისათვის საგანგებო გარემოს დინამიკური გადამუშავებისა და ანალიზის დროს ადგილი აქვს რემინისცენციის ანუ ცოდნის პერიოდის გამოვარდნას.

თუ თანამედროვე ფსიქიატრია ევოლუციურ-დინამიკურია, მაშინ მით უფრო ვალდებულია პედოფსიქიატრია იდგეს ფსიქიკური აპარატის ჩამოყალიბების დინამიკურ პრინციპებზე. ამასთან, გულუბრყვილო მექანიკური გადახრა და დაპირისპირება ევოლუციურ-დინამიკური პრინციპების გარეშე მოკლებულია კონკრეტული მოვლენის არსსა და სიღრმეში წვდომის უნარს. ა. განუშკინის გამოთქმით, მსგავსი მოსაზრებანი უფრო მეტად გონების ვარჯიშზეც მიუთითებს, ვიდრე მომქმედ ძალთა შედარების ცოდნაზე.

დინამიკური განვითარების ან ფსიქიკური აპარატის ჩამოყალიბების პრობლემებთან მჭიდროდაა დაკავშირებული აქსელერაციის საკითხები.

აღსანიშნავია, რომ აქსელერაციისა და დელეტარნობის საკითხები პრინციპულად საჭირო საკითხებია თანამედროვე კლინიკური ფსიქიატრის თეორიასა და პრაქტიკისათვის.

აქსელერაციისა და დელეტარნობის მიმართ შემოქმედებითი ინტერესის გაძლიერება განპირობებულია იმითაც, რომ ეს ორი ცნება — აქსელერაცია, ე. ი. ინდივიდების ბიოფსიქოლოგიური მომწიფების დაჩქარება, და დელეტარნობა — სულით ავადმყოფო-

ბილ გაავთვისებიანობა პედიატრიული ფსიქიატრიის ვიწრო ლიმიტირებული საკითხებიდან გამომდინარეობს და როგორც ურთიერთგანსაზღვრული მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან.

როგორც ცნობილია, ბიოფსიქიკურ აქსელერაციაზე უკანასკნელი 10—15 წელია რაც მიუთითებენ, ამასთან დაკავშირებით ბავშვთა ასაკშიც არაიშვიათად გვხვდება უპირატესად მოზრდილთათვის დამახასიათებელი დაავადებები (საკმარისია აღინიშნოს შიზოფრენიის თვალსაჩინო გაახალგაზრდავება).

ფსიქოეთიოგენეზური და ფსიქოპროფილაქტიკური თვალსაზრისით ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ აქსელერაცია ერთგვარად განაპირობებს ბავშვის ფსიქიკურ მერყეობას. ეს უკანასკნელი კი მჭიდროდ არის დაკავშირებული დეონტოლოგიის ანუ ზნეობის, მორალის პრობლემასთან, რამაც არ შეიძლება ნებისმიერი, მით უფრო ექიმი პედიატრის და პედოფსიქიატრის ინტერესი არ გამოიწვიოს. უეჭველია, რომ აქსელირებულ ბავშვს საკმარისი გამოცდილების უქონლობის გამო სუსტად ექნება წარმოდგენილი პიროვნული კონტროლის, თვითანალიზის, თვითკრიტიკის და მოვალეობის შეგნების შესაძლებლობანი. ამგვარი ფსიქოლოგიური სიტუაციები ადვილად შობს კონფლიქტებს, გაუმართლებელ თვითშეფასებასა და მოუფიქრებელ ახირებულ ქცევებს.

ევოლუციის პროცესში ადამიანისათვის ღრმა სპეციფიკური პიროვნული დონე, რომელიც მის ინდივიდუალურ „მეს“ შეადგენს და აღნიშნული დონე როგორც ფსიქიკური აპარატის ჩამოყალიბების უმაღლესი საფეხური შეიძლება წოდებულ იქნას „ერგოფსიქიკად“.

მიკროსოციოლოგია და პერსონოლოგიური ფსიქოპათოლოგია დამოუკიდებელი კვლევის საგნებია, თუმცა ისინი მჭიდრო ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან (შემოქმედებითად მთლიანი, განუყოფელი). მიკროსოციოლოგიური ფაქტორების ანალიზი პერსონოლოგიური ასპექტის გარეშე შეუძლებელია სრულყოფილი იყოს. კერძოდ, ბავშვებში ცალკეულ განცდათა გენეზისა და კინეზის ანალიზისას მხედველობაშია მისაღები პიროვნული კატეგორიების ისეთი თავისებურებანი, როგორიცაა ნდობა და მფარველობა.

ვეხები რა ც. ნ. ს. დინამიკური საფეხურებისა და მასთან მთელი ფსიქიკური აპარატის ფილონტოგენეზური ჩამოყალიბების კანონზომიერებას, საჭიროდ მიმაჩნია შევჩერდე ძირითად ბიოლოგიურ კანონსა და რეკაპიტულაციის პრინციპზე, რომელთაც შემოქმედებითი განვითარება ჰპოვეს სამამულო ბიოლოგიის, კერძოდ, ა. სეევეროვის კაპიტალურ შრომებში.

ვიცით, რომ ქერქი ონტოგენეზურად გვიანი, ხოლო ფუნქციონალურად საპასუხისმგებლო წარმონაქმნი ჩნდება ყველაზე ადრე, ხოლო ქვალიტატიურ ფორმირებასა და დიფერენციაციას მოგვიანებით განიცდის. როგორც ვხედავთ, დიდი ჰემისფეროების ქერქის ჩამოყალიბება შესამჩნევად დიდ გზას მოიცავს.

პიროვნული პროტოტიპი ქერქული აპარატის მსგავსად ფსიქიკური აპარატის ფორმირების გარიჟრაჟზე ჩნდება და მისი სიცოცხლის მიწურულში, ჩასვენებისას წარიხორცება, იშლება.

ბავშვთა ფსიქოლოგიასა და ფსიქოპათოლოგიაში არსებული მდგომარეობა თანდაყოლილი მონაცემების ან მემკვიდრეობით რეფორმაციების შესახებ გაანალიზებულ უნდა იქნეს მისი ჩამოყალიბების მთელი ისტორიის ასპექტში. მონაცემები, თავისებურებანი შინაგანი სამყაროს (წრის) პირობების, ე. ი. ეგზოგენურად მომქმედი ფაქტორების ასახვას წარმოადგენენ. ევოლუციური ასპექტისათვის არ არსებობს სხვა გზა თუ არა ყველაზე უკიდურესი ენდოგენური — ეგზოგენის ხანგრძლივი ისტორიის რეზულტატი.

ჩვილი ყრმის ღიმილი პირველსავე თვეებიდანვე ქერქქვეშა ემოციების უბრალო გამოვლინება როდია. ის დედისადმი მორალური დამოკიდებულების მარცვალია — ემოციურობის მარცვალია. ემოციურობის მარცვალი როგორც სიყვარულის მორალისა და სათნოების საფუძველი თვითშეგნებამდე ისახება. ჩვილი ყრმის სიყვარული შეადგენს რა დედის ბედნიერებას და ცხოვრების მიზანს, ამავე დროს აკეთილშობილებს და ამხნევებს მას.

ემოციური ცხოვრება, რომლითაც ადამიანი ბუნების სილამაზესა და შემოქმედებითი შრომის ნაყოფს შეიცნობს, ადამიანური ყოფიერების ერთ-ერთ არსებით მხარეს შეადგენს.

მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ სილამაზისა და სიბრძნის გაგება ერთმანეთისაგან განუყოფელია. საჭიროა აღინიშნოს, რომ ყველა მატრამვირებელი ფაქტორიდან ბავშვებისა და შეღერებულთათვის უმძიმესი და ძნელად ასატანი ოჯახური ფსიქოტრამვაა, განიცდება განსაკუთრებით მწვავედ როგორც პირადი და ოჯახური ღირსების შელახვა და განვითარებაში მყოფი პიროვნება მიჰყავს სასოწარკვეთამდე.

ოჯახის დანგრევა, რითაც იბინდება ბავშვის აწმყო და მომავალი ყოფა, შეიძლება ემოციური შერყევისა და მთელი პიროვნული წყობის გაუკუღმართების მიზეზი გახდეს.

დადგენილია, რომ სოციალური რეაქციების დროს რთული გადართვების გამო ფსიქოზის ფენომენოლოგიაში გასაგები კავშირები

ყოველთვის როდი ინახება. კლინიკური ფენომენოლოგია წყდება ეტიოფსიქოგენურ მომენტებს. აღნიშნულ შემთხვევაში თუმცა დიაგნოზი — რეაქტიული ფსიქოზი ძალაში რჩება, მაგრამ დაავადებამ შეიძლება მიიღოს არასასიკეთო პროცესის ხასიათი უარყოფითი პროგნოზით. აქ სიმპტომი შედის სინდრომში მაგრამ ეს უკანასკნელი შესაკრებთა უბრალო მექანიკური ჯამი არ არის, არამედ ის, ხარისხობრივად ახალი, მთლიანი ფსიქოდინამიკური სტრუქტურაა.

ცნობილია, რომ მიკროსოციოლოგიური ფსიქომატრამვირებელი ფაქტორი პირველ რიგში კი ეგროტომენია, ე. ი. ოჯახური ხასიათის ფსიქოტრამვები, წარმოადგენენ ფსიქიკური და ფსიქოსომატური პათოლოგიის მიზეზს.

ჩვილობის, ბავშვობისა და შეღერებულობის პერიოდი გამოირჩევა განსაკუთრებული სიმყიფითა და მგრძნობელობით ოჯახური ფსიქოტრამვების მიმართ და ამიტომაც ეგროტოგენურ ასპექტს პედოფსიქოლოგიაში დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

დედისა და ბავშვის ჯანმრთელობის პრობლემები ჩვენი ყოფის ყველაზე ჰუმანურ, ადამიანურ და პერსპექტიულად ძირითად საკითხებს კერძოდ კი, ღირსეული, ფსიქოზურად ძლიერი, სამშობლოს პატრიოტების აღზრდას ეხება.

პედოფსიქოლოგიაში კარგად არის ცნობილი, რომ ახალგაზრდა განვითარებადი პიროვნების მორალური აღზრდის ძირითადი ამოცანა მისი გამდიდრებაა წარმოდგენებით. რომ ადამიანი ემსახურებოდეს დიდსულოვნების, კეთილშობილების, მამაცობის, გმირობის, სიყვარულის, სათნოების, შრომისა და ზრუნვის იდეებს.

თანახმად ერთ-ერთი გამოჩენილი ფსიქოლოგისა, წლამდე პერიოდი თავისი ფსიქოლოგიური სემანტიკით გაცილებით რთულია, ვიდრე პერიოდი ერთი წლიდან ნიუტონამდე. სწორედ პედოპერსონოლოგიისათვის არის საჭირო იმის ცოდნა, რომ მორალი ცოდნა არ არის. ნებისმიერი ასაკის ადამიანთა ყოფაზე მოქმედებს და გავლენას ახდენს არა დარიგება, ჭკუის სწავლება და სქოლასტიკური სენტენციები, არამედ პირადი მაგალითები.

მშობლიური სიყვარული და პირველ რიგში კი დედური გრძნობა ფსიქოლოგიურად არის განპირობებული. სოციალურ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო ვექტორის მეორე მხარეა, კერძოდ, შვილის პატივისცემა და სიყვარული მშობლისადმი. ეს უკანასკნელი ოჯახის ფსიქოლოგიურ მოდუსში ძირითად ფაქტორს შეადგენს და განსაზღვრავს ძველ და

ახალ თაობას შორის ურთიერთობის პრობლემების სოციალურ-ფსიქოლოგიურ შინაარსს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შემოქმედებითად; საინტერესოდ მიმაჩნია შევეხო დღეგრძელობის პრობლემებს. საქართველოსა და აზერბაიჯანის მთიან რაიონებში დღეგრძელთა არსებობა არა მარტო ზღაპრული კლიმატური პირობებით აიხსნება, არამედ მას ხანდაზმულთა განსაკუთრებული პატივისცემის ფსიქოლოგიური ტრადიციებიც განაპირობებს. აქედან, დედისა და ბავშვის ჯამრთელობაზე ზრუნვა პედოდეონტოლოგიის პრობლემების თეორიისა და პრაქტიკის კვლევასაც მოითხოვს.

ბავშვთა და შეღერებულთა მიკროსოციოლოგიის პრობლემა უწინარეს ყოვლისა ოჯახის პრობლემაა, არ არსებობს რა უფრო კატასტროფიული და მძიმე, ვიდრე ატარო ზურგშექცეული ბავშვის დაღი, მოკლებული დედობრივ ალერსს, მამის ავტორიტეტულ მზრუნველობას.

გამოჩენილი პოეტისა და ფსიქოლოგის ნიკოლოზ ბარათაშვილის აზრით შიშისა და უნდობლობის გარემო პიროვნების სულიერ კატასტროფას ე. წ. სულით ობლობას იწვევს, რომელიც ყველაზე უმძიმესია ადამიანურ განცდათა შორის და ძნელად გადასატანი ბავშვობისა და შეღერებულობის პერიოდისათვის. ნდობის საკითხს ბარათაშვილი ფსიქოლოგიურად უკავშირებს მორალური სიწმინდის პრობლემას.

ადამიანი კარგავს რა ნდობას საზოგადოების წინაშე, შიშობს თრთის, არ იცის ვის გაანდოს იდუმალი გრძნობები და იქმნება შიშის სიტუაცია, რომელიც საკითხებს უქმნის ინდივიდუმის ფსიქოფიზიკურ არსებობას. როგორც ვხედავთ, საქმე გვაქვს პიროვნების ზოგად საკაცობრიო პრობლემასთან, რომელიც შემდგომში ნდობის მოხვეჭასა და განზოგადოებას მოითხოვს.

ნდობის დაკარგვა ბადებს პესიმიზმს, სასოწარკვეთილებას, რომელიც შეიძლება რეაქტიული დეპრესიის მიზეზიც გახდეს. ირგვლივ არსებული გარემოს მიმართ იქმნება პასიურობისა და განურჩევლობის მდგომარეობა, რაც შპიცისა და ვოლფის მიერ კვალიფიცირებულია როგორც ანაკლისტური დეპრესია, და ემსგავსება ჭკუასუსტობის ან ბავშვთა ენცეფალოპათიური დეფექტის გამოვლინებებს.

ჩვენ სავსებით ვიზიარებთ იმ აზრს, რომ არასასიკეთო ოჯახური გავლენა (სულით ობლობა) შეიძლება შიზოფრენიული პრედისპო-

ზიციის მიზეზი გახდეს. ამასთან, უარყოფითი გავლენა მეტწილად გოგონებზე ვრცელდება.

როგორც ვხედავთ, ბავშვთა და შეღერებულთა ფსიქოლოგიის პრობლემები ოჯახისა და სკოლის პირობების პრობლემას უკავშირდება, ხოლო აქედან გამომდინარე, ბავშვთა ასაკის ფსიქოჰიგიენისა და ფსიქოპროფილაქტიკის პრობლემები მჭიდრო ურთიერთკავშირშია დეონტოლოგიური ფსიქოჰიგიენისა და დეონტოლოგიური ფსიქოპროფილაქტიკის საკითხებთან.

დეონტოლოგიური პროფილაქტიკა კი, უწინარეს ყოვლისა, ითვალისწინებს ადამიანურ ურთიერთობათა გაუმჯობესებასა და ზნეობრივ ამაღლებას ოჯახსა და მის ფარგლებს გარეთ.

პერსონოლოგია და ფსიქოთერაპია

ამყარებს რა ემოციურ თანაჟღერას ავადმყოფსა და ექიმს შორის, ფსიქოთერაპია ახდენს ფსიქიკურ ზემოქმედებას.

აღნიშნული ზემოქმედება ხორციელდება ფსიქიკურის ფსიქიკურზე გავლენის გზით და არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს ფიზიკო-ენერგეტიკულ პროცესს, ხოლო ჰიპნოზის ქიმიურ კონცეფციას მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ისტორიისათვის, როგორც ფსიქიკურ მოვლენათა მექანიკური განმარტების მაგალითს.

შეიცვალა არა მხოლოდ ჩვენი შეხედულებები ფსიქოთერაპიის თეორიული საფუძვლების შესახებ, არამედ მისი გამოყენების ფარგლებიც. ამ მხრივ საინტერესოა უხუცესი ფსიქოპათოლოგისა და კლინიცისტ-ფსიქიატრის კურტ შნეიდერის პოზიცია, რომლის თანახმადაც თანამედროვე ფსიქონევროლოგიის ყველაზე ახალ მომენტს წარმოადგენს ორგანული ე. წ. „ენდოგენური“ ფსიქოზების ფსიქოთერაპია.

გვერდს ავუვლით რა დაწვრილებით ექსკურსს ფსიქოთერაპიულ ლიტერატურაში, რომელიც არა მხოლოდ უზარმაზარი, არამედ განსაკუთრებით ჭრელი და წინააღმდეგობრივიცაა, გვინდა გაგიზიაროთ კლინიცისტ-ფსიქიატრის გამოცდილება, გადმოგცეთ დაკვირვებები და წარმოდგენები ორგანულ დაავადებათა ფსიქოთერაპიის თეორიისა და პრაქტიკის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს ფსიქოთერაპევტის ტაქტიკა.

მიუხედავად ლაბორატორიული და კლინიკური დიაგნოსტიკის მნიშვნელოვანი წარმატებებისა, ყოველი ექიმი, მით უფრო ფსიქიატრი, მოვალეა გაითვალისწინოს ავადმყოფის პიროვნული თა-

ვისებურებები. არასაკმაოდ დაკვირვებულ დამოკიდებულებას მივყავართ არა მხოლოდ მცდარ დიაგნოზთან, არამედ შეიძლება გახდეს ავადმყოფური დაშრევების მიზეზი, გამოიწვიოს რა ე. წ. იატროგენია.

ნანახია, რომ რთული პიროვნული რეაქციების დროს ყოველთვის არ ინახება გასაგები კავშირი ფსიქოზის ფენომენოლოგიაში. რთული ანტინომური გადართვების ძალით ავადმყოფობამ შეიძლება მიიღოს თავისებური არახელსაყრელი პროცესის ხასიათი.

სამამულო ფსიქიატრიაში (ფსიქონევროლოგიაში) განვითარებული პერსონოლოგიური მიმართულება საშუალებას გვაძლევს ახლებურად გავაშუქოთ ფსიქონევროზებისა და ფსიქოზების დროს კლინიკო ფსიქოპათოლოგიურ გამოვლინებათა ონტოლოგიური არსი.

ფსიქოთერაპია, როგორც მეცნიერული დისციპლინა, ითვალისწინებს პერსონოლოგიისა და პათოპერსონოლოგიის თეორიასა და პრაქტიკას. ნებისმიერი ფსიქოთერაპიული მიმართულება ვალდებულია, იდგეს თანამედროვე პერსონოლოგიური ცოდნის დონეზე.

საყოველთაოდ აღიარებულია სუგესტიის მნიშვნელობა ავადმყოფებზე ჰიპნოზური ზემოქმედებისას, მსგავსი თერაპიული ტაქტიკისათვის აუცილებელია ავადმყოფთა სათანადო შერჩევა.

როდესაც სიტყვა ეხება ადამიანის სულიერ ცხოვრებას, აუცილებელია რაც შეიძლება აქტიურად ავწიოთ და გავაძლიეროთ ავადმყოფის პიროვნული მოდუსი წარმოდგენებით შრომის მოვალეობისა და მორალის შესახებ. რაციონალური მეთოდი სწორედ ასე უნდა იყოს მიმართული, ამ საფუძველზე განხორციელებული ფსიქოთერაპიული მიდგომა კი იღებს პიროვნული ფსიქოთერაპიის, ე. ი. პერსონოფსიქოთერაპიის ან ეგოფსიქოთერაპიის ხასიათს.

ნებისმიერი ფსიქოთერაპიული მეთოდი, რომელიც გამოდის ე. წ. ღრმოვანი ფსიქოლოგიის პრინციპებიდან, როდესაც ცენტრალური ყურადღება ეთმობა მიზიდულობებს და ინსტინქტებს, არ შეიძლება აღმოჩნდეს სასარგებლო და ქმედითი.

დამაჯერებელი და ავტორიტეტული ფსიქოთერაპიული საუბრები განამტკიცებენ და აძლიერებენ ავადმყოფის პიროვნულ შესაძლებლობებს.

ფსიქონევროლოგიაში გამოკვლევის კლინიკური და პარაკლინიკური მეთოდების მსგავსად პრაქტიკულად მიზანშეწონილად მიმა-

ჩნია, განვასხვავოთ საკუთრივ ფსიქოთერაპია და პარაფსიქოთერაპია.

პარაფსიქოთერაპიას შეიძლება მიეკუთვნოს ე. წ. სამედიცინო ფსიქოთერაპია, პლაცებოთერაპია, შრომითი ანუ ეკტინგთერაპია (ანუ დასაქმების თერაპია), ბიბლიოთერაპია, კულტურული გართობა, კულტურული დასვენება, ისევე როგორც კურორტოთერაპია და ე. წ. თერაპია გარემოთი.

როგორც პარაკლინიკური მეთოდი წარმოადგენს დამატებითს, დამხმარეს, ფსიქონევროზებისა და ფსიქოზების დიაგნოსტიკაში და გადამწყვეტი მნიშვნელობა ეკუთვნის გამოკვლევის კლინიკურ-ფსიქოპათოლოგიურ მეთოდს, ასევე პარაფსიქოთერაპიაც მხოლოდ დახმარებაა ფსიქოთერაპიისათვის.

ინდივიდუალური და ჯგუფური (კოლექტიური) ფსიქოთერაპიის მნიშვნელობის შესახებ კლასიკური მითითებები ეკუთვნის ვ. ბეხტერევს.

მორენოს ფსიქოთერაპიული მიდგომა, ცნობილი ფსიქოდრამის სახელწოდებით, მიზნად ისახავს პიროვნების აქტივაციის გზების ძებნას, მაგრამ ეს მეთოდი ატარებს ხელოვნურად გამოგონილი ფსიქოლოგიური ჩარევის ხასიათს და არა აქვს დასაბუთებული გამართლება.

ვიდრე შევეხებოდეთ ფსიქოთერაპიას, რომელიც ატარებს ფსიქონევროზების და რეაქტიული ბუნების ფსიქიკურ მოშლილობათა დროს ეტიოპათოგენეზური ზემოქმედების ხასიათს, აუცილებელია, შევჩერდეთ იმ გარემოებაზე, რომელმაც აიძულა ფსიქიატრია მიემართა მისთვის ზოგიერთი ორგანული დაავადების დროს. ამასთან ერთად, სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ფუნქციონალურ და ორგანულ დაავადებებს შორის დინამიკური ურთიერთკავშირის მნიშვნელობის პრობლემა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამის მიზეზია შემდეგი სამი წინაპირობა ანუ გარემოება. წარმატებები ფსიქონერვულ გამოვლინებათა კომპენსატორული შესაძლებლობების შესწავლაში, წარმატებები ცენტრალური ნერვული სისტემის ორგანული დაზიანების სტრუქტურული (მორფოლოგიური) და ფუნქციური შეცვლადობის გამოკვლევაში და თანამედროვე მიღწევები ნეიროლეპსიური ნივთიერებების თეორიასა და პრაქტიკაში.

კომპენსატორულ გამოვლინებათა დიაპაზონის მიხედვით არც ერთი ორგანო არ შეიძლება დაუპირისპირდეს თავის ტვინს.

თუ ფსიქოგენური მოშლილობების დროს ფსიქოთერაპია იტოვებს ეტიოპათოგენეზური მკურნალობის უფლებას, ხოლო მედიკამენტოზურ პრეპარატებს მივმართავთ, როგორც სიმპტომატურ საშუალებას, ორგანული დაავადებებისას, პირიქით, ეს ორი მეთოდი მონაცვლეობს, თუმცა ორივეს გარკვეული ქმედობა ძალაში რჩება.

ახსნა-განმარტებითი ე. წ. რაციონალური თერაპია გარკვეულ დადებით გავლენას ახდენს არა მხოლოდ რეაქტიული ბუნების დეპრესიებისა და პარანოიდების, არა მხოლოდ გახანგრძლივებული ფუნქციური მოშლილობების, არამედ შიზოფრენიის დროსაც.

არსებული მონაცემების და საკუთარი კლინიკური დაკვირვებების საფუძველზე შესაძლებლად მიგვაჩნია, ვურჩიოთ განმარტებითი—დამამშვიდებელი ფსიქოთერაპია შიზოფრენიის მწვავე პარანოიდული ფორმების დროს, როდესაც სამკურნალო ნეიროლეპსია (ნეიროპლეგიური ნივთიერებების მოქმედება) რამდენადმე ასწორებს ბოდვით ლოგიკას და ჩნდება დაავადებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება. პარანოიდული შიზოფრენიის მოგვიანებითი ფორმებისას, პირიქით, უფრო მიზანშეწონილია მივმართოთ გამააქტივებელ რაციონალურ ფსიქოთერაპიას.

ათეროსკლეროზული დეპრესიის კომბინირებული მკურნალობის სისტემაში არსებითი როლი უნდა ეკუთვნოდეს ფსიქოთერაპიულ საუბრებს, ეს უკანასკნელი განსაკუთრებით სასარგებლოა ფსიქოსთენიისმაგვარი გამოვლინებებისას.

უკანასკნელ დროს მზარდი ინტერესით წერენ ფსიქოთერაპიული ზემოქმედების მნიშვნელობაზე ეპილეფსიის როგორც სიმპტომატიური, ისე ბირთვოვანი ფორმების მკურნალობისათვის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ რაციონალური ფსიქოთერაპია განსაკუთრებით ნაჩვენებია პარანოიდული სინდრომით გართულებული ბირთვოვანი ეპილეფსიისას, როდესაც ავადმყოფებს ჯერ კიდევ სავსებით არ დაუკარგავთ სოციალურ-შრომითი კავშირები.

საჭიროდ არ ვთვლით შევჩერდეთ იმ უზარმაზარ როლზე, რომელიც ეკუთვნოდა და ეკუთვნის ფსიქოთერაპიას ნარკომანიის, პირველ რიგში, ქრონიკული ალკოჰოლიზმის მკურნალობის საქმეში.

მოტანილი მასალა გვიჩვენებს, რომ ამჟამად ფსიქოთერაპია წარმოადგენს მნიშვნელოვან სამკურნალო მეთოდს, რომლის ჩვენებათა საზღვრები მოიცავენ როგორც რეაქტიულ-ფსიქოგენურ, ფუნქციონალურ, ისე ორგანულ მოშლილობებს. ამ მიმართულებით

შემდგომი შემოქმედებითი ძიების მნიშვნელობა გამართლებულია დღევანდელი დღის მოთხოვნილებებით. კლინიკურ-ფსიქოპათოლოგიური და ლაბორატორიულ-ექსპერიმენტული გამოკვლევების თანამედროვე დონე უმდიდრეს ახალ ჰორიზონტებს ხსნის ფსიქოთერაპიის თეორიისა და პრაქტიკის წინაშე.

ფსიქოთერაპიული საუბრების როლსა და მნიშვნელობაზე ყურადღების გამახვილება კვალიფიცირებული უნდა იქნეს, როგორც მკურნალი ექიმის მხრივ ავადმყოფის მიმართ.

მსგავსად ცნობილი შვეიცარიელი ფსიქიატრის იაკობ ვირშისა (ბერნი), მე ვაპირებ დავსვა საკითხი: წარმოადგენს თუ არა ჩვენი დრო ახალ ეპოქას ფსიქოგენიის და ფსიქოთერაპიის შესახებ სწავლების ისტორიაში? პასუხი უნდა იყოს მკაცრად დადებითი.

პავლოვის ფიზიოლოგიური მოძღვრება, პერსონოლოგიასა და პათოპერსონოლოგიაში თანამედროვე ცოდნა, ახალი მასალები ფსიქიკისა და ტვინის ურთიერთკავშირის და თვით ტვინის შესახებ, ახალი წარმოდგენები ფსიქორეაქტოლოგიის შესახებ, იასპერსის კლასიკური ტრიადის შეზღუდულობა და უკმარისობა, ნორმასა და პათოლოგიაში ანტონომიურ განცდათა ონტოლოგიის დაზუსტება, და, ბოლოს, ფსიქოდინამოგენეზის როლისა და მნიშვნელობის შესახებ თანამედროვე მოძღვრება შეადგენს იმ, უეჭველად ახალ, ეპოქალურ ფაქტორებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ფსიქოთერაპიის შემდგომ აკადემიურ ჩამოყალიბებას.

მე არ შემიძლია დავეთანხმო გამოჩენილი ფსიქოპათოლოგის და ფსიქოლოგის იასპერსის თეზისს, თითქოს ფსიქოლოგიისა და ფსიქოპათოლოგიის სპეციფიკა ისეთია, რომ ამ დარგებში საგანთა და მოვლენათა ობიექტური არსის ძალით არ არსებობენ დიდი ადამიანები.

ფსიქონევროლოგიას ჰყავს თავისი დიდი მოღვაწენი: ვ. ბეხტერევი, ს. კორსაკოვი და ემილ კრეპელინი.

თანამედროვე ჰიპნოფსიქოთერაპიის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ გარკვეული თერაპიული ეფექტი შეიძლება მივიღოთ აგრეთვე ცენტრალური ნერვული სისტემის ორგანული პათოლოგიის ზოგიერთი შემთხვევის მკურნალობის დროსაც. მე ვფიქრობ, შეიძლება დავუშვათ სამი შესაძლებლობა; სახელდობრ:

1. როგორც ჩანს საქმე ეხება დაავადების შედარებით მსუბუქ ფორმებს; 2. იხსნება ფსიქოგენურის ზემოქმედების გავლენა, რაც საბოლოო ანგარიშში განაპირობებს გარკვეულ თერაპიულ შედეგს.

3. და ბოლოს, არაა გამორიცხული ფსიქიკურის ზემოქმედების შესაძლებლობა ორგანულზე.

საჭიროა გვახსოვდეს, რომ, ტოლსტოის მიხედვით, სულიერი ჭრილობა, მსგავსად ფიზიკურისა, ზოგჯერ კლავს, ზოგჯერ შუშდება, მაგრამ ყოველთვის მტკივნეულია და ეშინია გარეშე გამაღიზიანებელის შეხებისა. ამასთან სულიერი ჭრილობა ხორციელდება ცხოვრების ვითარების მიხედვით.

ქართული ენის პერსონოლოგიური სემანტიკის შესახებ

ადამიანის ფსიქიკური აპარატის განვითარებისა და სრულყოფის ისტორიაში უსაზღვროდ დიდია მეტყველების მნიშვნელობა. ხოლო მეტყველების ევოლუციასთან დაკავშირებულ სიტყვათა მარაგის სიმტკიცე, სიმრავლე, სიმდიდრე, შინაარსეული დახვეწილობა, ე. ი. ენის (ჯერ ზეპირი და შემდეგ წერითი) თანდათანობით გამოძერწვა შეადგენს ადამიანის სამყაროს ყველაზე დამახასიათებელ ფსიქოლოგიურ და სოციალურ-ფსიქოლოგიურ თვისებებს; მეტად ცნობილი ფსიქოლოგის ზიგმუნდ ფრეიდის მიერ დასმული პრობლემა—„ჯერ სიტყვა თუ ჯერ მოქმედება“, ანუ ისტორიულ მსვლელობაში პირველად სიტყვა იყო თუ მოქმედება, მოითხოვს დიალექტიკურ ურთიერთკავშირსა და განუყრელობას. უეჭველად ცხადია ვითარება, რომ „სიტყვა“ და „მოქმედება“ ურთიერთს აპირობებს. ადამიანის სიტყვა და მოქმედება იმთავითვე ურთიერთს განსაზღვრავენ და ამით „სიტყვა“ და „მოქმედება“ დიალექტიკურად განუყოფელნი არიან.

გარკვეულ შემთხვევაში მდგომარეობათა შეცნობა-გაგება მოითხოვს სიტყვისა და მოქმედების ერთ მთლიანობაში გააზრებას. ფსიქოპათოლოგიაში ცნობილია, რომ ცალკეულმა სიტყვამ, თუ იგი რთულ განცდათა მქონეა, შესაძლოა გამოიწვიოს ფსიქოლოგიური ზვავი: სულიერი აფორიაქება, განცდათა აღრევა და წარსულში გადატანილი სიმწარის რეალური განხორციელება. თეორიულად და პრაქტიკულად უეჭველად საინტერესოა პრობლემები ენისა და გარემოს ურთიერთობის შესახებ. სიტყვა შეიძლება აღმოჩნდეს ყველაზე ტკბილი და ყველაზე მწარეც. აკაკი წერეთლის თანახმად, ენა მას ამბობს, „რაც სმენას სხვისაგან გაუგონია, ან თვალს უნახავს და ჭკუას გაუზომ-აუწონია“, ხოლო გიორგი ახვლედიანი მეტყველებაში პოულობს მსოფლმხედველობრივ შინაარსს. სიტყვა ადამიანს კიდეც არჩენს და კიდეც აავადებს.

ენა ხელს უწყობს ხალხთა სიახლოვეს, მეგობრობას, ურთიერთაღიარებას.

მსოფლიო აღიარება პოვა იმ განსაკუთრებულად მდიდარმა და საინტერესო აკადემიურმა შედეგებმა ლინგვისტიკიდან, რომლებიც შესრულებულია ქართული ეროვნული უნივერსიტეტის წიაღში.

ენა არის ცხოვრების ისტორიის ზუსტი ანარეკლი, ამავე დროს ხალხის ფსიქოლოგიური და სოციალურ-ფსიქოლოგიური ცხოვრების ერთ-ერთი წარმმართველი და მასწავლებელი. უეჭველად სწორია დებულება, რომლის მიხედვითაც სიტყვის უფრო გულდასმით აწონ-დაწონა ბადებს ახალ აზრსა და მოვლენათა ახალ შეფასებას. სიტ-ყვიერი ფაქტობრივი მასალა ისტორიულ ორომტრიალში ყველაზე მტკიცე და ურყევია. ნივთიერი ანუ მატერიალური დოკუმენტაცია ცხოვრების ქარცეცხლმა შეიძლება შებღალოს, დაანგრიოს ან მთლი-ანად მოსპოს, ხოლო ვიდრე არსებობს სიტყვა, მის ენაზე მოსა-უბრე ხალხი უკვდავ-უტეხია.

ყოველი სიტყვა თავის წარმოშობისას (თავის დაბადებიდანვე) საგნის, მოქმედების, ქცევისა თუ მოვლენის გარკვეულად განყენე-ბული შეფასებაა, ე. ი. არის აბსტრაქცია, რომლის დროსაც ადგი-ლი აქვს უნატიფესსა და ურთულეს ინტეგრაციას. ყოველ ენაში ყო-ველი ცალკეული სიტყვა (სუმარული შეჯამებული დერივატი) ინდივიდუმების გარკვეულ განცდათა და წარმოდგენათა შედეგია. სიტყვა არის მრავალ სულიერ ფუნქციათა, ასე ვთქვათ შენადნობი.

ივანე ჯავახიშვილის თანახმად, სიტყვაში ჩვენ ვხედავთ გარ-კვეულ აბსტრაქციას, ხოლო იმავე დროს სიტყვა გადმოგვცემს მოქ-მედების შინაარსს.

ფსიქოლინგვისტიკის შუქზე შემოქმედებით ყურადღებას იპ-ყრობს პრობლემა სიტყვის სემანტიკის შინაარსეულ ცვლილებათა, დინამიკისა და ფსიქოლოგიური სახეცვლილებების შესახებ: მაგა-ლითად, ივანე ჯავახიშვილი ჩერდება სიტყვების — „დღეგრძელო-ბა“ და „მზეგრძელობა“ სემანტიკის ურთიერთფსიქოლოგიურ კავ-შირზე და მათ ურთიერთდინამიკურ სახეცვლილებაზე.

სიტყვა არის ქმედითი კატეგორია არა მარტო ფსიქოლოგიუ-რად, არამედ ნეიროდინამიკურადაც. განწყობის ფსიქოლოგიის (რო-მელმაც მოიპოვა მსოფლიო რეზონანსი და აღიარება) ფუძემდებე-ლი და შემქმნელი დიმიტრი უზნაძე პიროვნების ფსიქოლოგიის პრო-ბლემათა ანალიზისას ჩერდება ფსიქიკური ცხოვრების ორ პლანზე. მისი თეორიის თანახმად, ფსიქიკის მეორე პლანი სპეციფიკურად ადამიანური, რთულია და მაღალი დონისაა, ვინაიდან ექსპერიმენ-

ტული განწყობის გამომუშავება დაკავშირებულია სიტყვიერ მასალასთან.

ჩვენ მიერ დამუშავებული და მოწოდებულია სიტყვიერი ექსპერიმენტი რვა ვარიანტის სახით. მტკიცდება, რომ როგორც ნორმის, ისე ავადმყოფობის პირობებში სიტყვიერი გაღიზიანება იწვევს სხვადასხვა გამოხმაურებას ადამიანის სულიერი აპარატის მხრივ; ხოლო რაც უფრო რთულდება სიტყვის შინაარსი (სემანტიკა), მით უფრო ძნელდება და რთულდება საპასუხო რეაქციები როგორც დროის ხანგრძლივობის, ისე შინაარსის მხრივ, მაგალითად, ზმნისმიერი არსებითი საგნის ამსახველი სახელი. ექსპერიმენტი სიტყვიერ გაღიზიანებაზე განსაკუთრებულად საინტერესო აღმოჩნდა, როდესაც ცდის პირს ვთავაზობთ პასუხები მოგვაწოდოს სიტყვის სემანტიკაზე საწინააღმდეგოდ.

დღეს ფსიქოლინგვისტიკაში ექსპერიმენტულ ძიებას დიდი თეორიული და პრაქტიკული ინტერესი ენიჭება. ენა ხალხის სიბრძნის, მისი გონიერებისა და გრძნობათა სამყაროს ამსახველია. ყოველი ერი ამაყობს და უეჭველად უნდა ამაყობდეს თავისი ენის საუნჯით. ამ მხრივ ქართველი ხალხი, რომელიც უძველესი კულტურის მქონე ერია, ცხადია, არ შეიძლება გამონაკლისს შეადგენდეს; პირიქით, ქართველი კაცი თავის ენას მშობელ დედად წარმოადგენს და ღვიძლ „დედაენას“ უწოდებს. სრულიად მართებულად აღნიშნავს შოთა ძიძიგური, რომ „მშობლიური ენის გატოლება დედის ცნებასთან თავისთავად საგულისხმოა, ენისა და დედის იდენტიფიკაცია ქართველი ხალხის მეტაფორული აზროვნების მშვენიერი მაგალითია და უტყუარად ადასტურებს ქართული ენის მნიშვნელობის ღრმა შეცნობას. კიდევ მეტიც: ქართველმა ხალხმა გააფართოვა სიტყვის „ქართული“ მნიშვნელობა და იგი საერთოდ ენის სინონიმად დასახა“.

ნიკო მარის თანახმად, ქართული შინაგანი თვისებებით მსოფლიო ენაა, რომლითაც ყველაფერი გამოითქმება, „რაც დედამიწაზე“ შეიძლება გამოითქვას. საყოველთაოდ ცნობილია ქართული ენის სიდიადე, ქართული მეტყველების პოტენციური შესაძლებლობანი.

ფსიქოლოგიურად და სოციალურ-ფსიქოლოგიურად განსაკუთრებულად საინტერესო და მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ქართულ სიტყვაში აღიბეჭდება ქართველი კაცის პატრიოტიზმი, მისი სულისკვეთება და ადამიანური გრძნობები. ილია ჭავჭავაძის აზრი, რომ ქართველობა არის რუსთაველის ენით მეტყველი, სიმბოლურად მიუთითებს ხალხის მიერ ისტორიულად შესისხლხორცებულ

წარმოდგენებზე ხდობის, მოვალეობის, სინდისის, სიფაქიზის, შრომისა და პიროვნების სიმტკიცის, ე. ი. პერსონოლოგიური კატეგორიების შესახებ. ქართული ენის სემანტიკასთან დაკავშირებით ილია ჩერდება სიტყვა „დედაკაცის“ ცნებაზე. იგი წერს „ქართველი დედასაც კაცად ჰხდის და ამიტომ „დედა-კაცს“ ეძახის... განსხვავება მარტო იმაშია, რომ თქვენ ერთი სქესისანი ხართ და ჩვენ მეორისანი, თქვენ დედობით ხართ კაცნი და ჩვენ მამობით, არსება კი ერთია — ორივენი კაცნი ვართ... ასე შეუნახავს დიდი ღირსება დედისა ჩვენს ენას. არა გვგონია, სხვა ენაში დედაცა და მამაც ერთნაირად კაცად წოდებული იყოს“ (ილია ჭავჭავაძე, თხზ., ტ. III, გვ. 427).

„დედაკაცისა“ და „მამაკაცის“ პერსონოლოგიური სემანტიკა არგუმენტაციის ურყევი სიმტკიცით განხილულია ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში რუსთაველის მიერ, მის გენიალურ პოემაში. როგორც რუსთაველის ეპოქაში, ისე მის შემდეგაც ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი ნათლად ერკვევა, რომ მამაკაცი და დედაკაცი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თავისი ფსიქოლოგიური თავისებურებებით. ცალკეული სქესის წარმომადგენლისათვის მათი თავისებურებანი შეადგენენ როგორც სიამაყეს, ისე მშვენებას.

თანასწორობის პრობლემა უნდა განვიხილოთ სოციალურ ფსიქოლოგიურ ასპექტში, როდესაც ორივე სქესი თავის სურვილებში, მისწრაფებებში, ტენდენციებში, მოთხოვნილებებსა და ზოგად განცდებში ხელმძღვანელობს პიროვნული ცნებებით ადამიანის შრომის, მოვალეობის, მორალისა და სინდისის შესახებ.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ თინათინის, ნესტანისა და ასმათის პიროვნული განცდები ისევე კეთილშობილურია როგორც ავთანდილის, ტარიელისა და ფრიდონის. ამაშია პოემის გმირ ქალთა და მამაკაცთა შორის ფსიქოლოგიური თანასწორობა და ერთიანობა.

პიროვნულ თავისებურებათა ღრმა ფსიქოლოგიური ანალიზის საშუალებით რუსთაველი ბრწყინვალედ ამტკიცებს ქალთა და მამაკაცთა თანასწორობას, მათი იდეების ჰუმანურ შინაარსსა და პროგრესულობას.

თანახმად აკაკი შანიძისა, პოემა „ვეფხისტყაოსანი“ მსოფლიო მნიშვნელობის ლიტერატურული ქმნილებაა, ვინაიდან იგი არის ქართული ენის განვითარების ისტორია. ყველა ენის თვისებაა, სიტყვაში იყოს ასახული ხალხის სულიერი საუნჯე, მაგრამ ქართული მეტყველება წარმოადგენს არა მარტო ლამაზს, მშვენიერს,

მოქნილს, ზუსტს და ზოგადად მსოფლიო მნიშვნელობის ენას. არა-მედ მისი განსაკუთრებულობა არის ის, რომ სიტყვაში ხშირად ჟღერს ადამიანის პიროვნული თვისებები: სიტყვაში ჩაქსოვილ-ჩადუღაბებულია ხალხის ჩანაფიქრი და, მეორეს მხრივ, სიტყვა წარმოადგენს ერთგვარ ფსიქოდინამიკურ ჩარჩოს პიროვნების მიზანსწრაფვისათვის.

ილიას თქმით, „ენა, როგორც გასაღები დაკეტილისა, ყველაზე უფრო შესაძლებელია და ყველაზედ სანდო მოწამეა ცივილიზაციის ისტორიისათვის“ (თხზ., ტ. IV გვ. 29).

ქართული ენის სემანტიკის შესწავლისას ყურადღებას იპყრობს კიდევ ერთი ფსიქოდინამიკური მომენტი, მხედველობაში მაქვს სხვადასხვა სულიერ განცდათა გადმოცემა სხეულის ორგანოს აღმნიშვნელი სიტყვით და აქ პირველ რიგში დასახელებული უნდა იყოს ორგანო—გული. სიტყვა „გულის“ საშუალებით ქართულ მეტყველებას შეუძლია გადმოგვცეს ფსიქიკურ სფეროთა თითქმის ყოველი უბნის მდგომარეობანი თუ განცდები. ხსენებული პრობლემის შესახებ ფუნდამენტური ფსიქოლოგიური გამოკვლევები აქვს ფსიქოლოგ ალექსანდრე ფრანგიშვილს. ადამიანის არსებობაში წამყვანი მნიშვნელობა აქვს გულს. ქართველი ერის წარმოდგენით, ბრძოლაში განსაკუთრებულად საჭიროა რკინის გული. ხსენებული ისტორიული ვითარება ალბათ ენის განვითარების გრძელ მანძილზე გახდა ფსიქოლოგიური მიზეზი, რომ გული და ადამიანის სულიერი სამყარო ურთიერთ დაახლოებულიყვნენ. ენის ზოგადთეორიული მონაცემები შემოქმედებითად საინტერესოა ფსიქოლოგიისა და პათოფსიქოლოგიისათვის, პირველ რიგში პერსონოლოგიური სემანტიკის თვალთახედვით, ფსიქოლინგვისტიკისა და პათოფსიქოლინგვისტიკის მონაცემები უეჭველად ყოველმხრივ სასარგებლო და მნიშვნელოვანია ფსიქონევროლოგიის თეორიისა და პრაქტიკისათვის.

ჩვენ მიზნად დავისახეთ პერსონოლოგიური სემანტიკის შუქზე შევისწავლოთ სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“. სიტყვის შინაარსის ანალიზისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თავად პერსონოლოგიურ კატეგორიებს, განზოგადოებებს, აბსტრაქციებს, დამოკიდებულებებისა და მოქმედების კატეგორიებს და ასე შემდეგ (სულხან-საბა ორბელიანი, „სიტყვის კონა“ ქართული, რომელ არს ლექსიკონი“. ს. იორდანიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით. საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა. თბილისი, 1949 წ.).

სულხან-საბა ორბელიანს უხდებოდა მოღვაწეობა მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეთა იმ პერიოდში, რომლის შესახებაც და-

ვით გურამიშვილი გვაუწყებს „ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლისო“.

ასეთ სოციალურ, ეკონომიურ და ფსიქოლოგიურ სიტუაციაში სულხან-საბა ევლინება ერს როგორც მოღვაწე პატრიოტი, ერის ვარამის მოჭირისუფლე... იგი პირველ რიგში ცდილობს ხალხს გაუღვიძოს მაღალი წარმოდგენები მოვალეობაზე, ნდობაზე, სიკეთეზე, სიყვარულზე, სიმართლეზე. იგი ცდილობს ხალხს გაუღვიძოს პატრიოტული გრძნობები, რათა მთელი თავისი ძალითა და ღონით ებრძოლოს უგვანობას და არაკაცობას. მთლიანად ემსახურება დეონტოლოგიის პრობლემებს და ოცნებობს გაამკვრივოს ქართველი კაცის პიროვნება, აღამაღლოს იგი და გახადოს ზნესრული.

შალვა ნუცუბიძე წერს: „ორბელიანმა შეადგინა არა ფილოსოფიური განმარტებითი ლექსიკონი, არამედ ფილოსოფიური ცნებანი ჩართულია საერთო ლექსიკონში“...

საბას ლექსიკონში ისეთი დარგის ცნებათა მასალის შესწავლის ნიადაგზე, როგორიცაა ფსიქოლოგია, მეცნიერებაში გამოთქმულია აზრი, რომ მიუხედავად ფსიქოლოგიურ ცნებათა საერთო ლექსიკონში ჩართვისა, ს. ორბელიანის ფსიქოლოგიური შეხედულებანი შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ფსიქოლოგიური სწავლის ერთგვარი სისტემა (შალვა ნუცუბიძე. ქართული ფილოსოფიის ისტორია. ტომი მეორე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი, 1958, გვ. 237).

სულხან-საბას შემოქმედებაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სიტყვას, მის საზოგადოებრივ მნიშვნელობას და მორალურ ხვედრით წონას. იგი დიდებულად ავითარებს უძველეს ფილოსოფიურ ფორმულას, რომ სიტყვის შინაარსი ((სემანტიკა) ანტაგონისტური ბუნებისაა. სიტყვა შეიძლება იყოს ყველაზე უტკბილესი ან უმწარესი კატეგორია.

სულხან-საბას კარგად ესმოდა სიტყვის როგორც ფსიქოთერაპიული, ისე ფსიქოტრამვული მნიშვნელობა. უფრო მეტიც, მისი გაგებით ავი სიტყვა და ავკაცობის პრობლემა ერთ მთლიან კატეგორიას წარმოადგენს.

სულხან-საბა დეონტოლოგიურ-პერსონოლოგიური ფსიქოლოგიის, ესე იგი მოქმედების ფსიქოლოგიის ბრწყინვალე წარმომადგენელია. მისი შემოქმედება უკვდავად აქტუალურია, ვიდრე არსებობს ადამიანი თავისი კაცური და არაკაცური თვისებებით.

„სიტყვის კონა“ სულხან-საბას ფასდაუდებელი ღვაწლია.

უეჭველად დიდია ლექსიკონის ისტორიული მნიშვნელობა ქართული ეროვნული კულტურის აღორძინებისა და წინსვლის საქმეში.

ვრწმუნდებით, რომ ლექსიკონში მოქმედებისა და შრომის, ე. ი. პერსონოლოგიურ ცნებათა გახაზვა-აკცენტუაცია აიხსნება გარკვეული ვითარებით. აქ წამყვანი მნიშვნელობა ენიჭება ფსიქოლოგიურ და სოციალურ ფსიქოლოგიურ პირობას.

თანახმად ჩვენი ექსპერიმენტული გამოკვლევებისა, ზმნური წარმოშობის არსებითი ფსიქოდინამიკურად უფრო რთული და ძნელად გადასაწყვეტია, ვიდრე საგნის ამსახველი სიტყვა ზმნურ არსებით სახელში, საგნის აბსტრაქციასთან ერთად წარმოდგენილია გარკვეული პერსონოლოგიური შინაარსი მოქმედების, სწრაფვისა და დამოკიდებულების სახით, ხოლო ქართულ სიტყვა-ზმნაში ზუსტად გადმოიცემა ინტერპერსონალური მიმართებანი. მხედველობაში მაქვს დამოკიდებულების ვექტორი ან სუბიექტისაგან, ან სუბიექტისაკენ.

სულხან-საბას „სიტყვის კონის“ მოცულობითი ზრდა ზმნური ერთეულების ცალკეულ სიტყვებად შეტანის ხარჯზე არ შეიძლება იყოს შემთხვევითად დაკავშირებული ავტორის შემოქმედების ფორმალურ სტილთან. პირიქით, ლექსიკონის ხსენებული თავისებურება ღრმა და მტკიცე პრინციპული ხასიათის მქონეა. ჯეროვან გააზრებასა და ანალიზს მოითხოვს სოლომონ იორდანიშვილის შემდეგი დებულება: „ჯდომაზმნიდან გამომდინარე: ჯდა, იჯდა, ჯდების, დაჯდების და ასე მრავალი სხვა. ზმნების ამ წესით სალექსიკონო ერთეულებად გამოყოფა და ანბანის რიგზე თავთავის ადგილას შეტანა საგრძნობლად ზრდის „სიტყვის კონის ერთეულებს“ (გვ. X).

მოცულობის ზრდა არა და არაა შედეგი მხოლოდ ფონეტიკურ-მორფოლოგიური ან მარტივი ენობრივი მოსაზრებისა. ავტორის შემოქმედებითი ნაბიჯი არ შეიძლება ყოფილიყო გულუბრყვილო შემთხვევითობა ან ემოციურად პირობადებული მოსაზრება.

ზმნურ სიტყვათა სულხან-საბასეული ძიებანი არსებითად შინაარსის პერსონოლოგიური დაზუსტებაა, რაც შემოქმედებისათვის აუცილებელი არის. ამით სიტყვის კონა მხოლოდ მექანიკურად კი არ გაიზარდა, არამედ ქართული ლექსიკური მარაგი, ქართული ენა და ქართველი კაცის მეტყველება გამდიდრდა, დაიხვეწა, მიიღო სოციალურ-ფსიქოლოგიური და ამით პერსონოლოგიური ხასიათი.

ყოველი სიტყვა გარკვეულ საგანთა, მოვლენათა, მოქმედებათა თუ განცდათა შინაარსის მხოლოდ მექანიკური შეკუმშვა კი არ არის, არამედ შიგ ასახულია ხალხის კულტურული სრულყოფა, წინსვ-

ლა და შემოქმედებითი სრულყოფა, წინსვლა და შემოქმედებითი ნაოფლარი, სიტყვა ნიშანდებულია ყველაზე მაღალი და სპეციფიკურად ადამიანური თვისებით და ამით პერსონოლოგიური კატეგორიების დვრიტვაა.

ლექსიკონში არსებულ სიტყვათა განმარტების განხილვისას ყურადღებას იპყრობს უეჭველად საინტერესო, მაგრამ ერთი შეხედვით თითქოს უცნაური გარემოება: პერსონოლოგიურ ცნებათა ამსახველი სიტყვები, როგორც მაგალითად „შრომა“, „მუშაკი“, „ნდობა“, „სიყვარული“ და ასე შემდეგ, ან სრულიად მოკლებულია, ან დართული აქვს მეტად მარტივი განმარტება.

სიტყვა „შრომას“ არა აქვს განმარტება. იმ დროს, როდესაც სიტყვებს „შრობა“ და „შტო“ თან ახლავს ჯეროვანი ახსნა. ყურადსაღებია, ნუთუ ქართველი მკითხველისათვის „შრობა“ ან „შტო“ უფრო რთულია, ვიდრე „შრომა“. ასევე სიტყვებს „მუჯი“ ან „მუცელი“ თან სდევს უფრო შინაარსიანი დეფინიცია, ვიდრე სიტყვას „მუშაკი“. სიტყვას „ნაჯახი“ მოსდევს უფრო სრულყოფილი ახსნა, ვიდრე სიტყვას „ნდობა“. კიდევ და კიდევ ვიმეორებ, ყურადსაღებია: ნუთუ ქართველი მკითხველისათვის სიტყვა „სიცივე“ მოითხოვს დეფინიციას, ხოლო „სიყვარული“ შინაარსით უფრო მარტივია და არ საჭიროებს რაიმე განმარტებას; ან კიდევ ნუთუ სიტყვა „პატარა“ უფრო რთული სემანტიკის მქონეა და საჭიროებს განმარტებას, ვიდრე სიტყვები „პატიოსანი“ ან „პატივი“.

აღნიშნული თავისებურება ჩვენ მიგვაჩნია პრინციპული მნიშვნელობის მქონე გარემოებად.

სულხან-საბამ უეჭველად კარგად იცოდა სიტყვათა სემანტიკური სართულიანი; გამოძებნილი უნდა იყოს გასამართლებელი და გასაგები მოსაზრება. სულხან-საბა არ თვლის საჭიროდ პერსონოლოგიური ხასიათის მქონე სიტყვებზე შეჩერებას, ვინაიდან სწორედ დუხჭირი დროის ვითარებაში ყოველი ქართველი ვალდებული იყო შესისხლხორცებული ჰქონოდა პერსონოლოგიურად მაღალი შინაარსის სიტყვები და ისინი მტკიცედ აღებეჭდა მეხსიერებაში.

ქართული სიტყვა ზმნათა ყოველ დროში, რომელიც გადმოგვცემს მოქმედებას, ქცევას, მიზანსწრაფვასა თუ განცდას, წარმოდგენილია სუბიექტთა შორის (ინტერპერსონალური) დამოკიდებულებანი მიმართებათა ვექტორის ზუსტი ჩვენებით. ილუსტრაციისათვის საკმარისია შევჩერდეთ პერსონოლოგიური მნიშვნელობის მქონე ორ სიტყვაზე: ვშრომობ (მე), შრომობს (ის), ვშრომობთ (ჩვენ), შრომობთ (თქვენ), შრომობენ (ისინი), ვენდობი (მე), ენდობი (შენ),

ენდობა (ის), ვენდობით (ჩვენ), ენდობით (თქვენ), ენდობიან (ისინი).

მოქმედებათა და დამოკიდებულებათა თეორიული თუ პრაქტიკული პრობლემები შეადგენს პერსონოლოგიური ფსიქოლოგიის ძირითად წამყვან საგანს. ამ მხრივ ლექსიკონში ყურადღებას იპყრობს არა მარტო სიტყვიერი მასალა, არამედ მოქმედებათა პრინციპის აკცენტუაცია ქართული ანბანის ცალკეული ასოს მიმართ. სულხან-საბას თანახმად, მოქმედება — დამოკიდებულებათა გამომხატველი სიტყვის გენეზი არაიშვიათად შეიძლება განისაზღვროს თვით ქართული ანბანის ასოთი. ავტორის წარმოდგენით ასო აქტიური ლინგვისტიკური კატეგორიაა, რომლის დინამიკური მონაწილეობა ცელის სიტყვის შინაარსეულ მხარეს. როგორც ვხედავთ, პერსონოლოგიური ძიება შეიძლება იყოს წარმოებული არა მარტო ქართული სიტყვის, არამედ ქართული ანბანის ცალკეულ ასოთა მიმართ.

ხსენებული თვისება ქართული მეტყველების ზეპირ თუ წერით სპეციფიკას შეადგენს. შევჩერდებით ლინგვისტიკურად აქტიურ რამდენიმე ასოზე. ასო „ბ“ ანუ „ბანის“ ჩართვა გადმოგვცემს სხვადასხვა მოქმედებებს: „მოაბი, ჩააბი, გააბი, წააბი და ეგევითარნი“ (გვ. 42). ასევე ასო „გ“ ანუ „გა“-ს საშუალებით ვღებულობთ ქმედითი შინაარსის მქონე სიტყვებს „გაუფლება“, „გაცხოველება“ გაქალაქება“, „გაკეთება“, „გაცემა“, „გაბოროტება“ და ასე ვითარნი“ (გვ. 58). ასო „ვ“ ანუ „ვინი“ გვეხმარება გამოვხატოთ პიროვნების მოქმედება:... „ვაკეთებ“, „ვაშენებ“, „ვაპირებ“ და ესე ვითარნი“ (გვ. 115). ასო „ი.“, ანუ „ინი“ — „იტყოდი“, „იქმოდი“ „იხმარებდი, „იკაცე“ და ასე შემდეგ პერსონოლოგიური შინაარსის მქონე სიტყვები „ისულგრძელა“, „ისულმოკლა“, „ისულმცირა“ (გვ. 142. 153, 154). „კ“ „კეთილობა“ „კეთილმძლეობა“ (გვ. 164). ასო მ(მანი) — „მაავაზაკა“, „მაალერსა“ (გვ. 187).

ქართულ შემოქმედებას ეკუთვნის ბრძნული ანდაზა, რომელიც ვაჟკაცისაგან მოითხოვს იქონიოს გული რკინისა, აბჯარი თუნდა ხისა. ხოლო რკინის გული სემანტიკურად ნიშნავს მაღალ, მტკიცე და მორალურად ფაქიზ პიროვნებას. ამიტომ სულხან-საბა დიდ გულისყურს უთმობს სიტყვა „გულიდან“ მიღებულ რთულ ფსიქოლოგიური შინაარსის მქონე სიტყვებს.

ოდითგანვე ქართველ კაცს მშობლიური სიტყვა მიაჩნდა ყველაზე მაღალ და სანუკვარ წმინდათაწმინდად, მით ცოცხლობდა, ამაყობდა, მას სწირავდა სისხლის უკანასკნელ წვეთს, სწირავდა თავის სიცოცხლეს, რათა შეენახა ენა და ქართული ზნე-ჩვეულებანი. ისტორიულად მრავლდებოდა ქართველი ხალხის ეროვნული პოტენ-

ცია: ძლიერდებოდა და მტკიცდებოდა ქართული ეროვნული კულტურა; იხვეწებოდა და ყალიბდებოდა ქართული სული, მისი შეუბერებელი და პერსპექტიული შემოქმედებითი სწრაფვა.

ჯერ კიდევ მეოთხე-მეხუთე საუკუნეში ქართულმა შემოქმედებითმა გენიამ შექმნა მაღალი პერსონოლოგიური შინაარსით აღსავსე ლიტერატურული ნაწარმოები („წამებაი წმიდისა შუშანიკისა"), რომელიც თანამედროვე ფსიქოლოგიისათვისაც იშვიათ შედეგს წარმოადგენს. ევოლუციური მსვლელობის ისტორიაში ქართული ენა, ქართული ანბანი და ზოგადად ქართული მეტყველება მდიდრდება პერსონოლოგიური წარმოდგენებით: განცდებით, იდეებითა და მიზანკვეთებით.

ქართველი კაცისათვის „სიტყვა" ღებულობს სოციალურ-ფსიქოლოგიური კატეგორიის სახეს, ხოლო ცნება „სიტყვის" გატეხის შესახებ საზოგადოებისათვის ხდება ყველაზე დაბალი და დაუშვებელი ამორალური მოვლენა. დღეს ფსიქოლინგვისტური მიმართულება საინტერესოა მრავალი მეცნიერული უბნისათვის. ამ მხრივ ძიებანი ქართულ ენაში უსაზღვროდ პერსპექტიულია ფსიქოლინგვისტიკის ზოგადი და კერძო პრობლემისათვის.

კაცთმცოდნეობის საკითხისათვის

ჩვენი საუკუნე წარმოადგენს არა მარტო სამეცნიერო-ტექნიკური, არამედ ფსიქოლოგიური წინსვლის პერიოდს.

ანთროპოფსიქიკური იდეების მიღწევები საფუძვლად დაედო ახალ კვლევით მიმართებებს — ფსიქიატრიას და ფსიქოლინგვისტიკას. ამავე დროს ზუსტი მეცნიერების წარმომადგენელთათვის, როგორნიც არიან: ალბერტ აინშტაინი და ნილს ბორი, აუცილებელი შეიქნა თავიანთ განზოგადოებებში მოეხდინათ ექსკურსი ფსიქოლოგიასა და ფსიქიატრიაში.

ადამიანის სუბიექტური სამყარო, მისი ფსიქოლოგიური და სოციალურ-ფსიქოლოგიური ანალიზი არასდროს არ წარმოადგენდა ისეთი რთული და დაძაბული შემოქმედებითი ძიების საგანს, როგორც სადღეისოდ. ადამიანის ინდივიდუალობა, მისი განცდებისა და მოქმედებების მიმართებანი ისევე როგორც მისი მნიშვნელობის შეფასება სულ უფრო მეტად განიხილება ადამიანურობის ზნეობრივი პრინციპების ჭრილში.

ცნება ადამიანის შესახებ, თავისუფლდება რა ინდივიდუალიზმის მშრალ ჩარჩოდ ან, იძენს მორალური კატეგორიის ცნებას, ხოლო

ზნეობრივი იდეები ღებულობენ მოწოდებითი (ანაკლიტიკურ) ჰუმანიზმის ხასიათს.

ადამიანურობის პრინციპების შინაარსი, მისი ისტორიული არსი და პერსპექტიული მონაცემი საზოგადო მეცნიერებების, ისტორიის და სოციოლოგიის, ფილოსოფიის და ფსიქოლოგიის, ლიტერატურის, ფერწერის და ხელოვნების ყურადღების ცენტრად იქცა და ჩვენს თვალწინ საფუძველი ეყრება დისციპლინას თავისი კვლევის საგნით, სადაც ყველაფერი შენდება ანთროპოფსიქიკური სპეციფიკის — პიროვნების მორალური ბირთვის საფუძველზე. სწორედ მეოცე საუკუნის სტრესული სიტუაციები და სოციალურ-ფსიქოლოგიური კატაკლიზმები უცილობლად ხდიან ადამიანის ბუნების შეცნობისას ცენტრალური ყურადღება დაეთმოს კატეგორიას—ჰომო მორალის. ხაზგასასმელია, რომ ადამიანის მოღვაწეობა უნდა განისაზღვროს არა მარტო ცოდნის პრინციპით, არამედ პირველ რიგში ზნეობრივი მიმართების დონით, ამით იქმნება საზოგადოებათმცოდნეობის ახალი დარგი: კაცთმცოდნეობა — ჰუმენოლოგია.

თუ ფილოსოფიის საგანს წარმოადგენს ყოფიერების არსი, ფსიქოლოგიის — ფსიქიკის არსი, ლინგვისტიკის — ენის არსი, სოციოლოგიის — არსებობის არსი, მაშინ ჰუმენოლოგიის საგანს წარმოადგენს „ადამიანურობის“ („კაცურობის“) არსი.

ზნეობრივი მოდუსი ინახავს ადამიანს, სინდისის უარსებულობა მას სპობს. ჰუმენოლოგია როგორც დარგი, შეისწავლის რა ადამიანურობის (კაცური კაცობის) პრობლემებს, თავის ძიების საგნად მიიჩნევს ყველაზე მაღალ პერსონოლოგიურ კატეგორიებს (სახელდობრ: მოვალეობა, ნდობა, შრომა, სილამაზე, სიბრძნე და თავისუფლება მოღვაწეობაში); ამავე დროს ჰუმენოლოგია, წარმოადგენს რა ფსიქოლოგიის და სოციალური ფსიქოლოგიის შემოქმედებით განშტოებას, ჰომო მორალის პრინციპს უმორჩილებს ადამიანის შემოქმედების ნებისმიერ გამოვლინებას; მოქალაქეობრივი ზრუნვა და სიყვარული ადამიანისადმი დგას მისი ყურადღების ცენტრში.

რამდენადაც ცნება ჰომო მორალის შესახებ მაღალია ჰომო საპიენსის ცნებაზე, ადამიანის შემოქმედება არ განისაზღვრება არც ცოდნის მარაგით, არც მატერიალურ-ეკონომიური პირობებით.

ადამიანური ჰუმანიზმის ეს უმაღლესი გამოვლინება წარმოადგენს და უნდა წარმოადგენდეს მთლიანი პიროვნების ძირითად სპეციფიკას. ადამიანურობის პრინციპების მნიშვნელობა განსაკუთრებულად იზრდება ადამიანის უფლებების შესახებ აქტიური დებატების პირობებში.

ხაზი უნდა გაესვას, რომ რაციონალიზაცია ადამიანის სულიერი სამყაროს, მისი მორალური მოდუსის და კაცური კაცობის დარგში უფრო მნიშვნელოვანი, საჭირო, აუცილებელი და მაღალია, ვიდრე ნებისმიერი ე. წ. ტექნიკური რევოლუციაა.

რაც შეეხება მომავალი ადამიანის სულიერ სრულყოფას, მაშინ ჰომო ნოვუს აუცილებლად უნდა იყოს ჰომო მორალის.

ჰუმენოლოგიურ ძიებაში წამყვანი ადგილი დაეთმობა მასალებს მხატვრული ფსიქოლოგიიდან (პირველ რიგში ი. ტურგენევის, ა. პუშკინის. თ. დოსტოევსკის, ლ. ტოლსტოის, ვ. შექსპირის, ვ. გოეთეს და მსოფლიოს სხვა კლასიკოსთა შემოქმედებას), დაკვირვებებს (ანუ ფენომენოლოგიას), ასევე ექსპერიმენტს.

საკუთრივ პათოპერსონოლოგიურ და პათოლინგვისტიკურ დაკვირვებებს მივყავართ დასკვნამდე, რომ სოციალურ-ფსიქოლოგიური ღირებულება წარმოდგენისა „მნიშვნელობის" (საგნების, ნივთების, მოვლენების) შესახებ ინდივიდუმისათვის უფრო მაღალი და მნიშვნელოვანია, ვიდრე წარმოდგენა „ცნების" შესახებ: ამიტომ პიროვნების მორალური სიმდიდრის და მორალური დაყენების ექსპერიმენტული კვლევისას სიტყვიერი ექსპერიმენტის მონაცემები ანალიზდება საპასუხო რეაქციების მნიშვნელობის პლანში.

ამავე დროს სიტყვიერი გამაღიზიანებლის ფორმულარის შედგენისას ჩვენ გამოვდივართ არეტოსის შესახებ შინაარსის და მნიშვნელობის კლასიკური ცნებიდან: მხედველობაში გვაქვს კეთილშობილება, სიდიადე, სიმამაცე, ვაჟკაცობა, ხელოვნება, სინდისი, დიდება, სიმართლე, ქველმოქმედება, სიყვარული, ზრუნვა, მოვალეობა და ა. შ. ასევე შეიძლება გამოვიყენოთ სიტყვა გამღიზიანებლები, რომლებიც წარმოადგენენ ადამიანურობის ანტიპოდებს, ასე მაგალითად: სიავეს, სიმკაცრეს, სიცრუეს, სიმდაბლეს, უხამსობას, ემოცენტრიზმი ე. წ. ავტოფილია ძველ ავტორთა მიხედვით (ინდივიდუუმს წარმოუდგენია, რომ იგი ცენტრი და არსია ცხოვრების) და ა. შ.

გამოჩენილი ფსიქოლოგი, ფსიქიატრი და ფილოსოფოსი ს. კორსაკოვი მიუთითებდა, რომ ადამიანი უნდა შეფასდეს არა იმით თუ რას იღებს საზოგადოებიდან, არამედ—თუ რას აძლევს მას.

აღნიშნული საკითხის მსგავსი გადაწყვეტისათვის სწორ გზად მიიჩნევა დაკვირვება, ანუ როგორც ფსიქოლოგიაში მიუთითებენ, ადამიანის მოქმედების დისტანტური ზონდირება. ჰუმენოლოგიურ ძიებაში წამყვანი ყურადღება უნდა დაეთმოს მხატვრულ ლიტერატურას, ვინაიდან მასში ადამიანის სულიერი ცხოვრების არსი სწორედ მოღვაწეობის სფეროშია ასახული.

სავსებით სამართლიანია ლიტერატურაში არსებული დაყენება იმის შესახებ, რომ გენიალური ლ. ტოლსტოის მსჯელობა მორალსა და სინდისზე გაცილებით ნაკლებად იჭრება და ასახავს ადამიანურობის არსს, ვიდრე მისი ლიტერატურული შემოქმედება. ავტორის მიხედვით ადამიანისათვის ძირითადია ქმედება (საგმირო საქმენი) და სინდისი, ამავე დროს სინდისი ქმედების გარეშე მკვდარია, ხოლო ქმედება სინდისის გარეშე — უხამსობა (უგვანობა).

ამგვარად, ადამიანის ცოცხალი ცხოვრება, მორალური პრინციპების თანახმად, გულისხმობს მოღვაწეობას, რაც წარმოადგენს კაცური კაცის დიდებას.

ტერმინი „კაცური კაცი" ეკუთვნის საქართველოს გამოჩენილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს ილია ჭავჭავაძეს, რომელიც ადამიანის ბედნიერებას ხედავდა შრომასა და მის მორალურ სრულყოფაში. როგორც თავისი ქვეყნის დიდებული შვილი იგი გვასწავლიდა, რომ ჭეშმარიტი პატრიოტი ვალდებულია უყვარდეს და პატივი სცეს სხვა ხალხს, ისევე როგორც თავისას.

ინდივიდუუმის დადებით, ხანგრძლივ და კაცური ცხოვრების მოდუსის პირობებს წარმოადგენს შემდეგი სამი ძირითადი პრინციპი: 1. შრომა, შრომა, შრომა. 2. არასდროს შეშურდეს სხვისი და 3. სთესოს მხოლოდ და მხოლოდ სიკეთე.

მეოცე საუკუნის დინამიურ ცხოვრებას მეცნიერებაშიც შეაქვს ტრანზიტორული დაყენებანი, შემოქმედებითად ურთიერთმიმყოლი ეტაპები, მთლიანი პიროვნების პრინციპებმა შექმნეს პირობები პერსონოლოგიის და პათოპერსონოლოგიის წარმატებითი წინსვლისათვის. თავის მხრივ პერსონოლოგიიდან განშტოდა ჰუმენოლოგია.

სოციალურ-ფსიქოლოგიური ქარიშხალი, ისტორიისათვის უჩვეულო მორალური კატეგორიის დეპრივაციის შემთხვევები, როდესაც ადამიანი ცხოვრობს მხოლოდ ინსტიქტებით, მიზიდულობებით და ტენდენციებით გამოძალვისაკენ, ინდივიდუუმში იწვევს მორალურ რღვევას.

თანახმად ა. ჩეხოვისა, მეცნიერება შინაგანი, მტკიცე მორალური ღერძის გარეშე არა თუ აღამაღლებს ადამიანს, არამედ დაჰყავს იგი უმდაბლეს ცხოველამდე, ველურდება რა არა ტყეში, არამედ საკუთარ გარემოში.

მეცნიერების ნებისმიერ წარმატებას არ შეიძლება ჰქონდეს უარყოფითი შედეგები მაღალზნეობრივი ეკოლოგიის პირობებში. კულტურამ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გამოიწვიოს ზო-

გად ფსიქოლოგიური დეპრივაცია, როდესაც ზედაპირულად და შინაგანი არსის გარეშე იჭრება ფართო ფენებში.

როგორც წესი, გულუბრყვილო მექანისტურ მეცნიერულ დაყენებებს მივყევართ სნობიზმამდე და ნიჰილიზმამდე თავისი უარყოფითი შედეგებით, ამიტომ ადათების, ზნე-ჩვეულებების და რელიგიური პოსტულატების ანალიზი უნდა წარმოებდეს მაღალ, ხაქმიან და აკადემიურ დონეზე.

წარსული საუკუნის ოცდაათიანი წლების ტურგენევისეული ნიჰილიზმი, თავისი გულუბრყვილო-მექანისტური ფილოსოფიით, მიიჩნევდა, რომ ბაყაყის ფიზიოლოგიის მეშვეობით გადაიჭრებოდა ფსიქოლოგიის თუ სოციალური ფსიქოლოგიის ყველა პრობლემა. მეოცე საუკუნის ოციანი წლების ფილოსოფიური ნიჰილიზმი სავსეა მტკიცე პესიმიზმით ადამიანის მნიშვნელობის და დანიშნულების შეფასების მხრივ. ხოლო ამჟამინდელი ნიჰილიზმი წარმოადგენს ჰედონიზმის აღორძინებას — მიიჩნევს რა ადამიანის არსის სპეციფიკად კმაყოფილების პრინციპს.

შიზოფრენიის პათოფსიქოლოგიის შესწავლისას ცენტრალური ყურადღება უნდა დაეთმოს ორი კატეგორიის, სახელდობრ, ცოდნის და მორალის კატეგორიის ურთიერთკავშირს და ურთიერთდამოკიდებულების პრობლემას.

კლინიკური და ექსპერიმენტულ-ფსიქოლოგიური დაკვირვებები ჩვენ ჩავატარეთ დ. გელაშვილსა და ნ. იმნაიშვილთან თანამშრომლობით მაღალი მორალური წარმოდგენების (პიროვნული დონე — სინიდისის და მორალის კატეგორიები) გამოკვლევისათვის. ჩვენ მიერ შედგენილია სპეციალური კითხვარი, ხოლო ავადმყოფთა ინტელექტუალური დონის დადგენისათვის გამოვიყენეთ ვექსლერის კლასიკური მეთოდი.

ცოდნის და მორალის პრობლემების გაშუქებისათვის დაკვირვებათა საკმაო რიცხვი დავყავით ინტელექტუალური კოეფიციენტების მაჩვენებლების მიხედვით, პირველი ჯგუფი მოიცავს შემთხვევებს, სადაც ვექსლერის კოეფიციენტი უდრის 80—89 (საშუალოზე დაბალია). მეორე ჯგუფში ვექსლერის კოეფიციენტი შეადგენს 75, ე. ი. შემთხვევები ინტელექტუალური დეფექტით.

პირველ ჯგუფში, სადაც ვექსლერის მეთოდიკა ავლენს საშუალოზე დაბალ ინტელექტუალურ დონეს ვერბალური ტესტებით, ამ ვერბალურთან შედარებით, ვიღებთ დამაკმაყოფილებელ შედეგებს. ხიტყვიერი პასუხები, ზოგადი მოსაზრებანი და ტესტები, რომელთაც აქვთ დამოკიდებულება შედარებით ადრეულ პერიოდთან, ნა-

წილობრივ დამაკმაყოფილებელია. ანალიზურ-სინთეზური ფუნქციები და შესაძლებლობა აბსტრაქციისადმი საგრძნობლადაა დაქვეითებული.

მეორე ჯგუფში ვექსლერის მეთოდიკა ავლენს ინტელექტუალური დეფექტის არსებობას. აღნიშნული ჯგუფის ავადმყოფები ნაკლებად პროდუქტიული არიან, შეკითხვებზე ხშირად არაადეკვატურად პასუხობენ, მოკლებულნი არიან ემოციურ რეაქციებს, ვერბალურ და არავერბალურ ტესტებზე ექსპერიმენტი არადამაკმაყოფილებელია. ვექსლერის მეთოდიკის მიხედვით ავადმყოფთა ანალიზური და სინთეზური შესაძლებლობანი დაქვეითებულია.

ზნეობრივი წარმოდგენების შესაძლებლობების დადგენისათვის ჩვენ მიერ მიწოდებული კითხვების ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს აღვნიშნოთ არსებითი ფაქტები. სახელდობრ, შიზოფრენიის შორსწასულ შემთხვევათა ორივე ჯგუფში აღინიშნება ტრაფარეტული, განურჩეველი პასუხები, ხოლო მაღალი დონის პროდუქტები მიუთითებენ ავადმყოფის პიროვნულ ჩონჩხში ცოცხალ ზნეობრივი ნაპერწკლის არსებობასა და შენახვაზე. მეორე ჯგუფების თუნდაც იმ შემთხვევებში, სადაც ექსპერიმენტი ადასტურებს მკვეთრ დეფექტს, მონაცემები ავლენენ პიროვნების ზნეობრივი ჩონჩხის გარკვეულ აქტივობას. აქ ტავტოლოგიის, დაბალი განსაზღვრებების და განურჩეველი პროდუქციების გვერდით ხშირად ვღებულობთ სწორ კვალიფიკაციას მაღალ პიროვნულ დონეზე.

კითხვაზე რას ნიშნავს შრომა, პასუხი — „რაც დათესე, ივას მოიმკი“ — წარმოდგენილია მიზეზსა და შედეგს შორის მოქმედების და დამოკიდებულების ასპექტი. კითხვაზე რა არის მორალი — „ადამიანი“ — მიღებულია ბრწყინვალე ასოციაცია ადამიანური სპეციფიკით. პასუხი მშობლიურ გრძნობაზე — „ეს ყველაფერი ნიშნავს თანაგრძნობას“ — შეინიშნება ზნეობრივი თანაგრძნობის აბსტრაქცია. სიკეთეზე პასუხი—„როდესაც ბოროტი არაა, რამდენადაც ის კეთილია“—მოცემულია ანტინომური კვალიფიკაცია. სიცრუეზე პასუხი—„სიცრუეს მოკლე ფეხები აქვს“. „ეს არის სიცრუე“ — განსაზღვრება ხორციელდება ბრძნული ხალხური ანდაზის მეშვეობით: სიყვარულზე პასუხი—„რასაც ადამიანი გამოხატავს... ეს არის“—აქ სიყვარულის ემოცია სავსებით სამართლიანად ასოცირდება ადამიანთან. სამშობლოსადმი სიყვარულზე პასუხი — „სინდისიერი ადამიანის ქმედება“ — მოცემულია ბრწყინვალე განსაზღვრება.

მოტანილი ფაქტიური მასალა ადასტურებს, რომ ანალიზურ-

სინთეზურ შესაძლებლობათა მკვეთრი დაქვეითებისას, როდესაც შესამჩნევად გამოკვეთილია შიზოფრენიით დაავადებულ ავადმყოფთა კრიტიკულად შემოწმებული და ლოგიკურად დასაბუთებული ცოდნის დეფიციტი (რომელიც მიუთითებს ინტელექტუალურ დეფექტზე), პიროვნებისათვის სპეციფიკურად დამახასიათებელი წარმოდგენები გარკვეულად შენახულია.

კლინიცისტი აღფრთოვანებული რჩება, როდესაც შორსწასული ე. წ. შიზოფრენიის გამოსავალ სტადიაში მძიმე აპათიურ-აბულიური სინდრომით (მისწრაფებებისა და ინიციატივის მოსპობა) ავადმყოფებს შეუძლიათ მისცენ განმარტება, რომ პატრიოტიზმი არის სინდისიერი კაცის ქველობა (ვაჟკაცობა, საქციელი), ხოლო სიყვარულის გრძნობა იწვევს ადამიანური ბუნების ასოციაციას.

ჩვენ ვხედავთ, რომ იმ ავადმყოფებშიც კი, რომლებიც ფსიქოლოგიურ გვამს გვაგონებენ, ზნეობრივი სპეციფიკის ნაპერწკალი როგორც გამოხატულება პიროვნების მორალური ჩონჩხის გარკვეული შენახვისა არა თუ ჩაფერფლილია, არამედ უნარი აქვს გაღვივების, ქმედითი რეაგირების.

ინტელექტუალურ და მორალურ შესაძლებლობათა ნაკვალევს ფსიქიატრიისათვის აქვს არა მარტო ზოგადაკადემიური, არამედ აქტიურ-ქმედითი მკურნალობითის ინტერესი.

აღნიშნული დებულების მნიშვნელობა უფრო მეტად იზრდება იმის გამო, რომ ჩვენი დაკვირვების თანახმად შიზოფრენიული პროცესის მოგვიანებული სტადიის პათოგენეზში სამედიცინო თერაპიის როლი ვიწროვდება, ინარჩუნებს ფუნქციის სტატიკის გამამაგრებელ დანიშნულებას. აქ წამყვანი სიტყვა მიეკუთვნება აქტიურ ფსიქოლოგიურ მეთოდებს, აქტიური ფსიქოთერაპიის გამოყენებით და მაღალი ფსიქიატრიული ჰუმანიზმისათვის ყველა პირობის შექმნით აუცილებელია გაირღვეს ფსიქოზის ფასადი, შევისწავლოთ და მოვახდინოთ ავადმყოფური პიროვნების ფარულ შესაძლებლობათა აქტიური მობილიზაცია. შიზოფრენიული პროცესის დროს პიროვნება, პირველ ყოვლისა, მოდის შერხევაში და შეშფოთებაში, მაგრამ მისი მორალური კატეგორიების ჩონჩხი განირჩევა განსაკუთრებული ამტანობით.

მორალი ყველაზე რაფინირებული და ყველაზე საპასუხისმგებლო სპეციფიკაა ადამიანის, ამავე დროს იგი წარმოადგენს ყველაზე ამტან კატეგორიას. ასეთია ადამიანის ბუნების სოციალურ-ფსიქოლოგიური და ბიოლოგიური თავისებურება.

პერსონოლოგიისა და პათოპერსონოლოგიის ზოგიერთი საკითხის შესახებ მხატვრულ ლიტერატურაში

სიმპტომებისა და სინდრომთა კლინიკურ-ფუნომენოლოგიური კვალიფიკაცია ფსიქოლოგიური ანალიზის რთულ და ძნელ ამოცანას უკავშირდება. აქ თეორიულ და პრაქტიკულ საკითხთა დამუშავებისას, კლინიკურ და ექსპერიმენტულ-ფსიქოლოგიურ კვლევებთან ერთად შეიძლება გამოვიყენოთ მხატვრული ლიტერატურის მასალები. ჩვენ ვიზიარებთ აზრს მეცნიერულ ფსიქოლოგიას და მხატვრულ ლიტერატურას შორის მყარი შემოქმედებითი სიმბიოზის შესახებ.

ასეთი შემოქმედებითი ცდების დროს აუცილებელია განსაკუთრებული სიფრთხილე გამოვიჩინოთ იმ ფაქტიურ მონაცემთა შედარება-დაპირისპირებისას, რაც, ერთის მხრივ, ცნობილია ლიტერატურაში, ხოლო, მეორეს მხრივ, ფსიქოლოგიასა და პათოფსიქოლოგიაში. განსაკუთრებით საჭიროა მოვერიდოთ ნორმალური და პათოლოგიური პიროვნებების მოქმედებებს შორის გულუბრყვილო პარალელის გავლებას.

მხატვრულ ლიტერატურაში კვლევითმა ექსკურსმა შეიძლება გაგვიწიოს ფასდაუდებელი სამსახური. რომ აღვიქვათ წამოყენებული მიმართულების მთელი მნიშვნელობა, საკმარისია მოვიყვანოთ ფსიქიატრიის კორიფეს, გამოჩენილი კლინიცისტისა და ადამიანის სულის იშვიათი მცოდნის ა. განუშკინის აზრი. ის წერს: „საჭიროა გამოვიკვლიოთ მხატვრისა თუ მწერლის ნაწარმოები თავისთავად, საჭიროა გამოვიკვლიოთ მისი გენეალოგია, ეპოქა, გარემო და ა. შ.“. ამ წინასწარი კვლევების რიცხვში არ უნდა შევამციროთ იმ კვლევათა მნიშვნელობა, რაშიც კომპეტენტური დღესდღეობით აღმოჩნდება ფსიქიატრი. საჭიროა გვახსოვდეს, რომ ახლა კლინიკური ფსიქიატრიის სწავლების სფეროში შესულია მოსაზღვრე მდგომარეობათა დარგი, ე. წ. მცირე ფსიქიატრია, დარგი, რომელიც შეისწავლის ტემპერამენტს და ხასიათებს.

საჭიროდ ვთვლით შევჩერდეთ იმ მომენტებზე, რომელნიც ჩვენს სინამდვილეში განსაკუთრებით აძლიერებენ ექსკურსთა აქტუალურ მნიშვნელობას მხატვრულ ლიტერატურაში. ეს პირობები შემდეგია: 1. ბიოლოგიისა და ზუსტი მეცნიერების და აგრეთვე მოლეკულური ბიოლოგიის ზღაპრული წარმატებების მიუხედავად, პრობლემა „ტვინი და ფსიქიკა“ კვლავ ძნელი გადასაჭრელი რჩება; 2. ორი მსოფლიო ომის შემდეგ ღრმა სოციალურ-ფსიქოლოგიური კატაკლიზმების ვითარებაში ფსიქოლოგიას არ ძალუძს გაუმკლავდეს

ფსიქორეაქტოლოგიის პრობლემებს, როცა ირკვევა, რომ არაფერია იმაზე ამაღლებული და კეთილშობილური, როდესაც ადამიანი ემსახურება შრომისა და მორალის იდეალებს. ამასთანავე, არაფერია იმაზე უხამსობა და უგვანობა, როდესაც ადამიანს არ გააჩნია შინაგანი სინდისის ხმა.

პიროვნების პრობლემა მარადიული და უკვდავია, როგორც ზოგადსაკაცობრიო პრობლემა ფსიქიკური აპარატის არსისა და მისი ონტოგენეტიკურად მაღალი ფსიქოდინამიკური დონეებისა. ის მარადიულია როგორც ზოგადსაკაცობრიო სოციალურ-ფსიქოლოგიური პრობლემა, რამდენადაც უშუალოდ ეხება ადამიანის ადგილის, მნიშვნელობის და დანიშნულების საკითხს.

თავის მხრივ, მორალური განწყობა, როგორც ძლიერი ფსიქოდინამოგენეზი აღაფრთოვანებს და პიროვნებას განაწყობს დადებითად შრომისადმი, შრომა და მორალი მოუხმობს ადამიანს თავის გადაწყვეტილებებში, მსჯელობებში, ქცევის და მოქმედების შეფასებაში იხელმძღვანელოს მხოლოდ მოვალეობის თვალსაზრისით. მოვალეობის, ნდობის, შემოქმედების, ეჭვიანობის და სხვა პრობლემები, რომლებიც გაშუქებულია მხატვრული ლიტერატურის გენიალურ წარმომადგენელთა ქმნილებებში, შეიძლება ფართოდ იქნეს გამოყენებული ყველაზე რთულ და განსხვავებულ სინდრომთა ფსიქოდინამიკური მექანიზმების ჩამოყალიბების ანალიზის დროს.

მხატვრული ლიტერატურის გენიალურ წარმომადგენელთა: შოთა რუსთაველის, შექსპირის, შილერის, გოეთეს, დოსტოევსკის და სხვათა შემოქმედების მნიშვნელობა არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ პოეზიის ჩარჩოთი. ისინი ერთნაირად საინტერესო და არსებითნი არიან ფილოსოფიურ, სოციალურ, სოციალურ-ფსიქოლოგიური და ფსიქოლოგიური ძიებისათვის.

ქვემოთ მოყვანილია მასალები მსოფლიოს კლასიკოსთა ნაწარმოებიდან. დაწვრილებითაა აღწერილი ქართული მხატვრული ლიტერატურის შედევრები. მეცნიერულ და მხატვრულ ფსიქოლოგიას შორის შემოქმედებითი სიმბიოზის აუცილებლობა ნახულობს განსაკუთრებულ ახახვას პერსონოლოგიურ ძიებათა დარგში.

ექსპერიმენტს, რაც გინდ დახელოვნებული და ზუსტი არ უნდა იყოს იგი, არ შეუძლია ჩაწვდეს ადამიანის შინაგან სულიერ სამყაროს. ამ მიმართებით, მრავალ რთულ პრობლემათაგან საკმარისია შევჩერდეთ ანტინომიურობაზე, რაც ასე დამახასიათებელია პიროვნების დონეზე ფუნქციონალურ გამოვლენათათვის.

(მართალია, არსებობს ექსპერიმენტულ-ფსიქოლოგიური ხერხები, მიუხედავად ამისა მხატვრულ ლიტერატურას ფასდაუდებელი სარგებლობა მოაქვს.

მსოფლიოს კლასიკოსთაგან საკმარისია მოვიტანოთ ლ. ტოლსტოის გენიალური ქმნილება „ომი და მშვიდობა". მასში ანტინომური დაპირისპირებანი და ურთიერთდაპირისპირებანი გვაოცებენ სიმდიდრითა და სიღრმით, სიფართითა და დიაპაზონით, ქმნიან რა ფსიქოლოგიური კვლევების დამოუკიდებელ დარგს.

ანტინომებით მდიდარია უძველესი ლიტერატურა, განსაკუთრებით საინტერესოდ ვთვლით აღვნიშნოთ ქართული მხატვრული შემოქმედების უძველესი მხატვრული შედევრი „წამებაი წმიდისა შუშანიკისა", რომლის ანალიზს (როგორც მსოფლიო შედევრს) გვაძლევს გამოჩენილი ქართველი მეცნიერი ი. ჯავახიშვილი.

ჩვენ აღფრთოვანებასა და გაკვირვებას ვერ ვმალავთ თუ როგორ შეიქმნა მეოთხე საუკუნისა და მეხუთე საუკუნის მიჯნაზე ნაწარმოები, რომელიც აოცებს თანამედროვე მკითხველს ანტინომურ აზრთა, გრძნობათა და განცდათა სიმაღლითა და სიღრმით.

პერსონოლოგიური პრობლემები შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანში"

ცრემლის პრობლემა პოემაში

ცრემლი ყოველთვის თან სდევს ადამიანის სულიერ ცხოვრებას როგორც ნორმის, ისე პათოლოგიის დროს.

ტირილი ჩვეული თანამგზავრია უსიამოვნო განცდისა, მაგრამ ადამიანი არაიშვიათად დიდი სიხარულის დროსაც შეიძლება ტიროდეს.

ყველა დროის მწერალს არაერთი გვერდი დაუთმია გმირთა უსიამოვნო განცდებისა და ტირილის აღწერისათვის.

ცრემლს განსაკუთრებით ხშირად ვხედავთ ძველი ლიტერატურის გმირთა თვალებზე. ამიტომ ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ამ სულიერი მდგომარეობის ფსიქოლოგიური ფესვების გარკვევა. აღნიშნული თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა შოთა რუსთაველის უკვდავი ქმნილება „ვეფხისტყაოსანი". ტირიან ნაწარმოების გმირები (რაინდებიც და ქალებიც), რომლებსაც მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობა უკავიათ, გაჩნიათ ცხოვრების მიზანი, იდეალები და მოვალეობა; აღვსილნი არიან დიდსულოვნე-

ბით, კეთილშობილებით, განუმეორებელი გმირობითა და ურთიერთ-სიყვარულით.

ადამიანის დეპრესიული მდგომარეობისა და შიშის უტყუარი გამოცდაა თვითდაცვის ინსტიქტი სიკვდილის შიშის განცდისას, მაგრამ პოემის გმირებს სიკვდილის შიში არა აქვთ.

ცრემლი ხშირია სუსტსულოვნების, ნევროზული მდგომარეობის, ისტერიისა და დეპრესიის დროს. მაგრამ რუსთაველის გმირების ტირილი ავადმყოფური მდგომარეობით როდია გამოწვეული და ვისაც ამგვარი რამ შესაძლებლად მიაჩნია, ღრმად ცდება.

ჩვენ ხშირად გვსმენია „განსწავლულ პირთაგან" უარყოფითი შეხედულება რუსთაველის პოემაზე იმის გამო, რომ ნაწარმოების ყველა გმირი ტირის.

რასაკვირველია, ეს ასე არ არის. აქ ავტორმა გამოიყენა გარკვეული მხატვრული ხერხი. სწორედ რუსთაველის გმირების მაგალითზე შეიძლება გადაწყდეს მნიშვნელოვანი შემოქმედებითი პრობლემა—„ტირილი და ცრემლი" პიროვნების დონეზე. ჩვენ ვხედავთ, რომ პოემაში სხვადასხვა სიტუაცია და სულიერი მდგომარეობა ქმნის ანტინომიურ ფსიქოლოგიურ რეაქციათა აღმოცენების პირობებს. საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნოთ, რომ თანამედროვე პერსონოლოგიისათვის ყველაზე ძნელი და საინტერესო პრობლემაა პიროვნების ანტინომიური ფსიქოლოგიური რეაქციები. ამ თვალსაზრისით პოემაში მოცემულია მდიდარი მასალა.

რუსთაველი ხშირად აღწერს შემთხვევებს, როდესაც ტირილი წარმოდგენილია როგორც თანაგრძნობის, ემოციური შეგულისხმიერების ან სულიერი რეზონანსის მაჩვენებელი.

ემოციურ შეგულისხმიერებას ვხედავთ აგრეთვე ასმათის განცდაში; როდესაც იგი დაინახავს, რომ ავთანდილი იწყებს ტირილს, ცრემლითვე თანაუგრძნობს მას მძიმე და რთული სულიერი მდგომარეობის დროს.

ცრემლი ორი რაინდის—ტარიელისა და ავთანდილის შეხვედრის დროს მოწმობს მათ სულიერ შეთანხმებულობასა და ურთიერთნდობას.

თანაგრძნობის ცრემლი ურთიერთდახმარების და დაცვის სიმბოლური ფიცია. არის შემთხვევები, როდესაც ცრემლი გამოხატავს სასოწარკვეთილებას და ჭეშმარიტ წუხილს. ამ შემთხვევაში მე ვკმაყოფილდები ფატმანის პიროვნული რეაქციის ჩვენებით, როდესაც იგი დასტირის ნესტან-დარეჯანის წასვლას, როგორც საკუთარი ქალიშვილის დაკარგვას.

ეს სამწუხარო ფაქტი უკარგავს მას ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს.

სასიამოვნო ემოციებს არა აქვს ფსიქოტრავმის ხასიათი და დაკავშირებული არ არის ასთენიურ განცდებთან, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ჯანმრთელი ადამიანი სიხარულით ტირის.

ფსიქოლოგიურად „სიხარულის ცრემლი" ვლინდება პიროვნული რეგისტრების დონეზე ფაქტებისა და მოვლენების ანტინომიური ანალიზის შედეგად. ასეთ შემთხვევაში სიხარულის ემოციები ერთგვარად ექიშპება ერთდროულად აღმოცენებულ მომავალი კეთილდღეობის დაკარგვის შიშის გრძნობებს.

რუსთაველის პოემაში ანტინომიურ განცდებთან ერთად ასახულია ფსიქოლოგიურად რთული სიტუაციები. მაგალითად, ტარიელის ყოველი დაბრუნება გამოქვაბულში იწვევს ასმათის დიდ სიხარულს, რომელიც არაფრით არ ჩამოუვარდება სიხარულს მოსიყვარულე და-ძმის შეხვედრისას.

ცრემლი ყოველთვის როდია სასოწარკვეთილების, უიმედობისა და უპერსპექტივობის მაჩვენებელი. ამ თვალსაზრისით პოემის გმირთა ტირილი სპეციალურ ფსიქოლოგიურ ანალიზს მოითხოვს. სავსებით ცხადია, რომ გარკვეულ პირობებში რაინდების თვალზე მომდგარი ცრემლი არ გამოხატავს მათ დეპრესიულ მდგომარეობას, პირიქით, ამ დროს ისინი სასურველი მიზნის მისაღწევად სავსენი არიან ძალითა და მოქმედების სურვილით. ცრემლი ამხნევებს და ახალისებს რაინდებს და განაწყობს მათ საგმირო საქმეებისათვის.

პიროვნების დონეზე ცრემლი ახალ ფსიქოლოგიურ შინაარსს იძენს, იგი ხდება ვაჟკაცობისა და რაინდული ძლიერების სიმბოლო. რუსთაველი ამგვარი მხატვრული ხერხით ცდილობს გამოხატოს რომანის გმირთა შეუდრეკელი ძალა. ამით ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ცრემლი ვერ გატეხს რაინდის სულს და მის ფსიქოლოგიურ მიმართულებას. ცრემლი გმირის განცდების კოლოსალური დაძაბვის გამოხატულებაა, რის შემდეგ იგი აღწევს სულიერი და ფიზიკური ძალების უდიდეს მობილიზებას შექმნილ სიტუაციაზე რეაგირებისათვის.

ადამიანის სულიერი სამყაროს დიდი მცოდნე, გენიალური ქართველი პოეტი ვაჟა-ფშაველა ამბობდა: არა არის რა იმაზე უფრო დიდებული სანახაობა, ვიდრე ცრემლი იმ მამულიშვილების თვალზე, რომლებიც გამსჭვალულნი არიან თავიანთი იდეალების განხორციელების რწმენითო.

საქართველოში მინახავს მამაკაცი, რომელსაც აფექტის მდგო-

მარეობაში, თავის ღირსების სრული შეგნების მიუხედავად, გულზე მუშტი დაურტყამს და თვალზე ცრემლი მოსდგომია.

ცრემლი და მჯიღის გულში ცემა ერთნაირად ასახავს რაინდთა სასოწარკვეთილებას და მწუხარების განცდებს, მაგრამ ავთანდილმა ისიც კარგად იცის, რომ განსაცდელში ძალთა მოკრებაა საჭირო და მარტო ცრემლი არ შველის.

ინტელექტუალური გრძნობის მსგავსად, რომელზეც ლაპარაკობს ვუნდტი, შეიძლება იყოს აგრეთვე ინტელექტუალური ცრემლი პიროვნული რეგისტრის დონეზე. ამ შემთხვევებში განცდები აძლიერებს და ლოგიკურად ამაგრებს პიროვნებათა შორის მორალურ ურთიერთდამოკიდებულებას, ასე მაგალითად, ცრემლი შეიძლება გაჩნდეს სამუდამო მეგობრობის, ფიცის დადების დროს.

ტარიელსა და ფრიდონს ცრემლი ადგათ თვალებზე, როდესაც მეგობრობას შეპფიცავენ ერთმანეთს.

როდესაც ავთანდილი მიდის ფრიდონთან, მასში იღვიძებს მწველი გრძნობა თინათინის მიმართ. ამ დროს იგი ივიწყებს სინამდვილეს და განსაკუთრებული, ცრემლიანი ღაღადით მიმართავს ცას.

ცრემლი არ არის ადამიანის სუბიექტური სამყაროს მარტივად ამსახველი სარკე. იგი დაკავშირებულია ღრმა და რთულ ემოციურ ძვრებთან.

პიროვნული რეგისტრის დონეზე ცრემლს აქვს სრულიად განსხვავებული ფსიქოლოგიური მნიშვნელობა. ემოციური რეაქციების მუდმივი თანამგზავრი ცრემლი საჭიროებს მრავალმხრივ ანალიზს და ინდივიდუალურ ფსიქოლოგიურ შეფასებას.

განსაკუთრებით რთულ სულიერ მდგომარეობათა პროგლემა პოემაში

ადამიანის ფსიქიკა მუდმივ რეაგირებას ახდენს სუბიექტურ (ენდოგენურ, შინაგან) და ობიექტურ (ეგზოგენურ, სიტუაციურ) გამღიზიანებელზე. ამჟამად მოძღვრება ფსიქიკური რეაქციების შესახებ ე. ი. ფსიქორეაქტოლოგია წარმოადგენს ნორმალური და პათოლოგიური ფსიქოლოგიის დამოუკიდებელ კვლევით მიმართულებას.

ინტერესს რეაქტოლოგიის მიმართ კიდევ უფრო აძლიერებს თანამედროვე პერსონოლოგიის მიღწევები, ვინაიდან პიროვნება ნორმალურ პირობებში გამღიზიანებლებზე უნდა პასუხობდეს მთლიანად, თავის შესაძლებლობათა უმაღლეს რეგისტრებზე.

მხატვრული, ლიტერატურული სახეების შემოქმედებითი ფსიქოლოგიური ანალიზი საყოველთაოდ აღიარებული ხერხია.

შოთა რუსთაველის უკვდავ ქმნილებაში ვხვდებით რთულ პერტურბაციებს, როდესაც შინაგანი ან გარეგანი ფსიქოლოგიური სიტუაცია ავალებს პიროვნებას ეძიოს აქტიური გამოსავალი შექმნილი პირობებიდან, გადაჭრას ძნელი, ცხოვრებისეული ამოცანა და განტვირთოს ემოციურად დაძაბული ფსიქოლოგიური მდგომარეობა.

ავთანდილი და ტარიელი, ნესტან-დარეჯანი და თინათინი მიჯნურობის ცეცხლით იწვიან, მაგრამ პოემის გმირების უსაზღვრო სიყვარული არ სცილდება პიროვნების ნორმალურ ფსიქოლოგიურ რეაქციათა ჩარჩოებს.

ჩვენ ვგებულობთ, რომ ავთანდილს სევდა შემოჰყრია: დამწუხრებულია არაბთა მეფე. მაგრამ ორივე შემთხვევაში წუხარება არ სცილდება ფიზიოლოგიურ საზღვრებს, ვინაიდან ეს განცდა მთლიანად მოქცეულია პიროვნების სუბორდინაციული კონტროლის გავლენის ქვეშ.

ტარიელისათვის, ნესტანის დაკარგვის შემდეგ, იქმნება რთული სიტუაცია—გამოუვალი მდგომარეობა მიჯნურისათვის. რაინდი ფსიქოლოგიურად იძულებულია უპასუხოს ამას განსვლის რეაქციით და მიატოვოს თავისი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა. ტარიელს თან ახლავს ასმათი და მასთან ერთად მოგზაურობს. ისმის კითხვა: ტარიელის ამგვარი გადანაცვლება ხომ არ არის სინამდვილიდან განსვლის ნეიროზული რეაქცია, რომელიც პათოფსიქოლოგიაში ცნობილია „ავადმყოფობაში განსვლის“ სახელით.

ტარიელის ეს ნაბიჯი ფსიქოლოგიურად სავსებით გასაგებად მიმაჩნია და გმირის ამ ქცევაში ვერავითარ ავადმყოფურ გამოვლინებას ვერ ვხედავ.

პოემის შინაარსის მიხედვით ვიცით, რომ ტარიელმა რაინდისათვის მისაწვდომი ყველა ხერხი იხმარა, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწია. ის არც შემდეგ იხევს უკან თავისი მიზნიდან და როდესაც ტოვებს ყველაფერს და გაიჭრება ველად, იმედის ნაპერწკალი გულში მაშინაც არ უქრება. ადამიანი არ კარგავს იმედს, თუნდაც სასიკვდილოდ იყოს განწირული, სადღაც მაინც შესაძლებლად მიაჩნია გამოსავლის პოვნა.

მართალია, ტარიელი ტოვებს სახელმწიფო მოღვაწეობის სარბიელს, მაგრამ იგი არ ემსგავსება უმიზნო განდეგილს, მას მთელი არსებით უყვარს ბუნება და მჭიდროდ არის დაკავშირებული მცენა-

რეთა და ცხოველთა სამყაროსთან. პოემაში მოქმედების ამგვარი განვითარება საჭიროა იმისათვის, რომ მომზადდეს მიჯნურთა შეხვედრის პირობები.

მიჯნურის დაკარგვით გამოწვეულ უმძიმეს სულიერ განცდებს ტარიელი თვითმკვლელობამდე არ მიჰყავს. უდიდესი მწუხარების ზეგავლენით იგი განმარტოვებას ეძლევა და სწორედ აქ ნახულობს ოპტიმალურ პირობებს თავისი სულიერი განცდების ანალიზისათვის. ამიტომ ტარიელის ეს ნაბიჯი ფსიქოლოგიურად გასაგებია და გამართლებული.

ტარიელი მალე თავისუფლდება ავადმყოფობისაგან, ხდება თავისებური თვითგანკურნება და მას გული კვლავ ფოლადივით მტკიცე უხდება. ადვილი გასაგებია, რომ ამ მდიდარ მხატვრულ აღწერილობაში ვერ ვხედავთ ვერავითარ ავადმყოფურ რეაქციას, ვინაიდან არ შეიძლება არ ვერწმუნოთ იმ დროის ექიმებს, რომლებიც აცხადებენ, რომ მსგავსი ავადმყოფობა არ იციან და, მათი აზრით, ტარიელის მდგომარეობა საბედისწერო შემთხვევით უნდა იყოს გამოწვეული.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ტარიელის ავადმყოფობა ერთობ ხანმოკლეა, მაშინ, როცა რეაქტიული მდგომარეობა გრძელდება მანამდე, სანამ არ ამოიწურება უსიამოვნო განცდის მიზეზი.

გასაგებია, რომ ამ შემთხვევაში არავითარ ფსიქიკურ ავადმყოფობაზე ლაპარაკი არ შეიძლება. ავტორი აქ განსაკუთრებული მხატვრული სიძლიერით და თავისებური ხერხებით აღწერს იმ ემოციურ შთაბეჭდილებას, რომელსაც ნესტანის სილამაზე ახდენს ტარიელზე.

ტარიელის მდგომარეობა, როდესაც მას ავთანდილი იპოვის მოკლული ლომისა და ვეფხის გვერდით უგონოდ დავარდნილს, უნდა გავიგოთ როგორც ადამიანის მძიმე ფიზიკური გადაქანცვა მხეცთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის შემდეგ. აგრეთვე დასაშვებია ვიფიქროთ, რომ ორთაბრძოლაში ადამიანის გამარჯვება მხეცზე გარკვეული სიმბოლური მნიშვნელობით არის მოყვანილი, ვინაიდან არ არსებობს ბუნებაში არავითარი ცხოველური ძალა, რომელსაც შეეძლოს საბოლოოდ გაემარჯვებინოს ადამიანზე.

ტარიელი არასოდეს ავადმყოფურად არ კარგავს გონებას. მიუხედავად იმისა, რომ ტარიელს ფიქრი იტაცებს იმაზე, ვისი სიყვარულის ცეცხლიც გულში უნთია, მისი ქცევა ყოველთვის სრულყოფილია, ხოლო რეაქციები სიტუაციაზე მთლიანი.

ტარიელი არასოდეს არ კარგავს ორიენტაციის. თუმცა ზოგჯერ ჩაფიქრებულია, როგორც მიჯნური. ამავე დროს შენარჩუნებული აქვს პიროვნული კრიტიკა, როდესაც გული უნდა ექვემდებარებოდეს გონებას და სუბორდინაციის პრინციპი ონტოგენეზური რეგისტრებისა არ იხსნება.

როგორც ცნობილია, ინტელექტის თვისებათა რაოდენობრივი მხარე ჯერ კიდევ არ მეტყველებს სულიერ ავადმყოფურ მდგომარეობაზე. პოემაში უგონობა გაგებულია, როგორც ადამიანის ძლიერი ემოციური დაძაბვის მდგომარეობა და არა ავადმყოფობა. ტარიელის აფექტი აღწერილია მაღალოსტატურად, ჰიპერბოლურ ფერებში.

პოეტური თხრობის მთელ მანძილზე ტარიელი დინჯი, კეთილშობილი დიდსულოვანია. იგი ძლიერი პიროვნებაა, სპეტაკი სურვილებით. ტარიელისათვის აფექტური რეაქცია მხოლოდ ეპიზოდია, რთულ სულიერ განცდათა რიგში, რაც, თავის მხრივ, მძიმე სიტუაციური ფაქტორებით არის გამოწვეული. ემოციურობა და აფექტურობა მასში მოცემულია როგორც რეაგირების მანერა და არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს გაგებული როგორც მისი პიროვნების თავისებურებიდან გამომდინარე ქცევები.

ჩემ მიერ ზემომოყვანილი დებულების თანახმად, ტარიელი არ შეიძლება მიეკუთვნოს აგზნებად, ლაბილურ (ისტერიულ) პიროვნებათა ჯგუფს. ვეხები რა პოემის გმირის რთულ სულიერ მდგომარეობას, მიზანშეწონილად მიმაჩნია დავაყენო საკითხი: ხომ არ შეიძლება ტარიელის სულიერი მდგომარეობა შეფასდეს როგორც თავისებური რეაქტიული დეპრესია. ინტერესი ამ საკითხისადმი იზრდება კიდევ იმ გარემოებით, რომ არსებობს ამ თვალსაზრისით გაშუქებული ნაბეჭდი შრომები.

წინასწარ მინდა აღვნიშნო, რომ ამგვარად დასმული საკითხი ვერ უძლებს ვერავითარ კრიტიკას. ყოველი მოქმედება ტარიელისა რაინდობითა და გმირობით არის აღბეჭდილი. ამიტომ იგი არ შეიძლება მიდრეკილი იყოს სულიერი ავადმყოფობისადმი, თუნდაც ხანმოკლე დეპრესიული შეტევის სახით.

პიროვნების ფსიქოლოგიის გენიალური მცოდნე რუსთაველი უნატიფესი სიზუსტით აღწერს არა დეპრესიულ მდგომარეობას, არამედ ადამიანის უმაღლეს ტენდენციებს და მისწრაფებებს. მას აინტერესებს ადამიანის რთული განცდები, პიროვნული ანტინომიური რეაქციები და სიტუაციით განპირობებული ფსიქოლოგიური პერტურბაციები.

ჩემ მიერ ფსიქიატრიულ პრაქტიკაში აღწერილია შემთხვევები, რომელთაც განვიხილავ როგორც აქტიური დეპრესიის მდგომარეობას, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ ამ შემთხვევაში აქტიურობა შეზღუდულია, ლიმიტირებულია და ვერ აღწევს ადამიანის მოღვაწეობის რთულ დონეს.

სად არის დეპრესია, როდესაც ტარიელი აქტიურია, შეუდრეკელია და ყოველთვის მზად არის გმირობისათვის, მას შეუძლია ბრძოლაში სისხლით შეღებოს მინდორი, ან მათრახით გაუპოს მტერს თავი. ხოლო ჭეშმარიტ დეპრესიულ მდგომარეობას (იქნება ეს ენდოგენური თუ რეაქტიული ბუნების) თან სდევს უმოძრაობა და ფიზიკურ ძალთა დაძაბუნება.

სინამდვილეში ტარიელის სიტყვებიდან ყოველთვის ჩანს თავისი მდგომარეობის აქტიური შეფასება, რომელიც შორს არის სასოწარკვეთილებისა და დეპრესიამდე მისული განცდისაგან.

ავთანდილის პიროვნული თავისებურებანი

პოემის გმირი, ავთანდილი, კომპაქტურ-მთლიანი, მაღალჰარმონიული პიროვნებაა. მისთვის რაინდული ბრძოლა და დიდსულოვნება მთლიანობაში მოცემული კატეგორიაა. ავთანდილი მიზნად ისახავს ცხოვრების გზაზე ყველაფერი დაუქვემდებაროს ემოციურ-ინტელექტუალურ ანალიზს. წინასწარ მინდა შევნიშნო, რომ ავთანდილი არ არის აბსტრაქტულად მოფიქრებული ფიგურა; იგი ადამიანია ყველა ადამიანური თვისებით, თუნდაც ადამიანურივე „სუსტი მხარეებით". ავთანდილს არ სძინავს, ღამე ტირის, მაგრამ გათენებისას უაღრესად მშვიდია და სანდომიანი. ყველაფერი ძირითადად აქ პიროვნულ შესაძლებლობათა ძალაშია, ავთანდილი ფაქიზია, ლმობიერი, ნაზი, აღვსილი მეტად თბილი ემოციებით და ძალა შესწევს უხელმძღვანელოს თავის თავს.

თანამედროვე პერსონალოგია ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ პიროვნება იქმნება შრომით საქმიანობაში, და მისი თვისებები ვლინდება საქმის პროცესში. ვფიქრობთ, რომ შემოქმედებისა და გარე სამყაროსთან კავშირის გარეშე ინდივიდუუმი მოგვაგონებს მძინარე ცხოველს, მოკლებულს ყველა სახის შეგრძნებებს (ანალიზატორებს). ასეთი ცხოველი ბიოლოგიური პროსტრაციის მდგომარეობაში იქნება მაშინ, როდესაც ადამიანი სოციალური ძილის მდგომარეობაში აღმოჩნდება.

უაღრესად მნიშვნელოვანია ავთანდილის მსოფლმხედველობა მოქმედების ასპექტში, რომელიც ადამიანის სპეციფიკას შეადგენს.

ავთანდილის შეხედულებათა მიხედვით, მოქმედება ადამიანის პიროვნული მოთხოვნილებაა; ამავე დროს მოქმედება ყოველთვის ემსახურება გარკვეულ მიზანს, რომელიც უნდა წარმოადგენდეს ადამიანის ცხოვრების ძირითად აზრს და პირდაპირ დანიშნულებას. მისი გაგებით, მიზნის ძალა უსაზღვროდ დიდია; მას შეუძლია ადამიანი საფლავიდან წამოაყენოს. „აკლდამის ძირზე ყოფნის“ მდგომარეობიდან სრულყოფილ ცხოვრებაში შესვლა მხოლოდ ძლიერ პიროვნებას ძალუძს, რომლისთვისაც გზის მანათობელი იდეებია მორალი, მოვალეობა და საკუთარი სიტყვის ერთგულება. აქტიური მოქმედება მჭიდროდაა დაკავშირებული სოციალურის და საზოგადოებრივ-ფსიქოლოგიურის შემეცნების აუცილებლობასთან. ამაზე მიუთითებს ავთანდილი ნეფე როსტევანისადმი მიმართულ ანდერძში. ავთანდილი მოკლებულია სიამაყის გრძნობას; მისი გაგებით, ადამიანი უნდა იყოს თავმდაბალი; ხოლო თავისი გმირული მოქმედების შესახებ იგი მოგვითხრობს როგორც უბრალო და ჩვეულებრივ საქმეზე.

ავთანდილის პიროვნებაში მოვალეობის გრძნობა უმაღლეს დონეზეა წარმოდგენილი. მისი სწრაფვა მიზნისაკენ—მოვალეობის შესრულებისაკენ არათუ სუსტდება მოქმედების პროცესში, არამედ უფრო მეტ ნებელობით დაძაბულობას იძენს, ამაშია ავთანდილის პიროვნების ძლიერება.

ადამიანთა მოქმედების შეფასებისას იგი ხელმძღვანელობს პრინციპით — ვინ არის უკეთესი, და არა იმით, თუ ვინ უფრო მაღლა დგას თავისი წარმოშობით, სიტყვა (მეტყველება) სპეციფიკური ადამიანური თვისებაა და ის უნდა ემსახურებოდეს სპეციფიკურ ადამიანურ დანიშნულებას; ამიტომ ადამიანის მიერ მოცემული სიტყვა ყოველგვარ ლითონზე უფრო მტკიცე უნდა იყოს. ავთანდილის წარმოდგენაში სიტყვის გატეხა ყველაზე ცდაბალი და ამორალური საქციელის თანასწორია.

ნამდვილ ადამიანში, ე. ი. მაღალი მორალის ადამიანში სიტყვის გატეხა იწვევს სინდისის ქეჯნას და არღვევს სულიერ სიმშვიდეს. თანახმად ავთანდილისა, მეგობრობისათვის თავდადება, მოვალეობის გრძნობა, ზრუნვა ღარიბებზე და სხვათა თავისუფლებაზე განხილულ უნდა იქნეს არა მარტო როგორც ადამიანის მაღალი ღირსება, არამედ როგორც მისი ცხოვრების ძირითადი მიზანი.

ჰატიოსნების, სიმართლის და სათნოების (სიკეთის) პრობლემე-

ბი, რომლებიც რუსთაველს აღელვებდა, კაცობრიობისათვის სამარადისოდ რჩება.

თანამედროვე პერსონოლოგიაში ხაზგასმულია ის გარემოება, რომ ჰარმონიული ფსიქიკა უნდა გაურბოდეს ასთენიურ, ე. ი. უარყოფით ემოციებს. ადამიანი ვალდებულია ცუდი დაივიწყოს, გაატაროს უსიამოვნებანი ფსიქიკურ აპარატში, როგორც საცერში, და მეხსიერებაში შეინარჩუნოს მხოლოდ დადებითი განცდები. წარმოდგენილ დებულებას განსაკუთრებული ფსიქოპროფილაქტიკური მნიშვნელობა აქვს. ნორმალურ და პათოლოგიურ პერსონოლოგიაში პიროვნების ძალის ერთ-ერთ საზომს წარმოადგენს გამოცდა (თავისებური ექსპერიმენტული ცდა) გამძლეობაზე.

ავთანდილის პიროვნება არათუ ძლიერი და მტკიცეა, არამედ გამოირჩევა გამძლეობით ყოველგვარ წინააღმდეგობასთან ბრძოლისას. მისი გაგებით, სუსტსულოვნების და გულგატეხილობის გრძნობა ადამიანისათვის დამახასიათებელი არ არის.

ავთანდილი მოუწოდებს წინააღმდეგობათა გადასალახავად მზადყოფნისაკენ; იგი დარწმუნებულია, რომ ცხოვრება ბრძოლაა.

ვაჟკაცობისა და შეუპოვრობის გრძნობა წარმატებითი ბრძოლის აუცილებელი პირობაა. ამასთან, აღნიშნული გრძნობა დამოკიდებულია განსაზღვრული პიროვნების განწყობით—ადამიანის მორალური ძალით.

შიშის პრობლემა, რომელიც ესოდენ საინტერესოა ნორმალური და პათოლოგიური ფსიქოლოგიისათვის, პოემაში გაანალიზებულია მაღალ აკადემიურ დონეზე. ავტორის მიერ განვითარებული დებულებანი ყურადსაღებია პიროვნული რეგისტრების ურთიერთზეგავლენის ასპექტში. ავთანდილი მტკიცედ დგას იმ პოზიციაზე, რომ შიში უნდა დაითრგუნოს.

ხოლო პოემაში ხაზგასმულია ის გარემოება, რომ ავთანდილი გულით შიშშეუვალია.

დებულება შიშშეუვალობის შესახებ რუსთაველის გენიალური განჭვრეტაა და 800 წლის შემდეგაც ინარჩუნებს ცოცხალ ინტერესს ფსიქოლოგიასა და ფსიქოპათოლოგიისათვის.

ამჟამად შეიძლება დადგენილად ჩაითვალოს, რომ გულსა და გონებას შორის ურთიერთობის ანალიზის გარეშე, უფრო ზუსტად, ემოციისა და პიროვნული რეგისტრების ურთიერთგავლენის გარეშე შეუძლებელია დაზუსტდეს შიშის ფსიქოლოგიის საკითხი როგორც ნორმის, ისე პათოლოგიის პირობებში. არავითარ ზეგავლენას არ ძალუძს შეამციროს გულის ხმა შიშის ან სხვა ემოციის

დროს, თუ არ იქნება პიროვნული ზემოქმედება, ე. ი. პიროვნული კრიტიკა და ცენზურა.

განმეორებით აღვნიშნავ, რომ გარდა ადამიანის ფსიქიკური აპარატის უმაღლესი დონის პიროვნული რეგისტრისა, არ არსებობს არავითარი ძალა, რომელსაც შეეძლოს უბრძანოს გულს (ე. ი. აფექტურ და ზოგჯერ ინსტინქტურ ცხოვრებას).

პოემაში პიროვნების მარეგულირებელი და წარმმართველი როლის პრობლემა განიხილება მაღალ აკადემიურ დონეზე.

ავთანდილს ჰყავს სატრფო, რომელიც მისთვის არა მხოლოდ მიზანია, არამედ მთელი ცხოვრების შინაარსი; მისთვის ყველაფერია; აწმყოც და მომავალიც. იგი იწვის სიყვარულის კოცონზე.

რთულ სიტუაციაში ავთანდილი თავის თავს არ ეკუთვნის, ის მიჯნურისადმი ტრფიალს შეუპყრია, მისი გული თინათინის გულთან ერთად ძგერს, მოჯადოებულია მზეთუნახავის მიერ.

სიყვარულით მოჯადოებულ ავთანდილს განუზომელი ძალით იზიდავს თინათინი. არ არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლოს შეცვალოს ეს ლტოლვა. ავთანდილის წინაშე რთული პრობლემა დგას: რა ქნას, როგორ მოიქცეს?

და აი აქ შოთა რუსთაველის გენია გამოსავალს პოულობს. ავთანდილის რეაქციას წარმართავს პიროვნული კონტროლი. გმირი იგონებს მიცემული სიტყვის ყოვლისშემძლეობას.

შოთა რუსთაველი მიუთითებს, რომ ადამიანი ყოველგვარ სიტუაციაში და პირობებში მორალისა და მოვალეობის მოტივებით უნდა ხელმძღვანელობდეს, მათ ექვემდებარებოდეს. ავთანდილი აღნიშნული დებულების ბრწყინვალე მაგალითია.

ამგვარად, ავთანდილი, რომელიც მოცულია ყოვლისშემძლე სიყვარულის ცეცხლით, მოქმედებს ღირსეულად. მის ქცევას განაგებს არა ინტელექტუალური სიბრძნე, არა უსაზღვრო გრძნობები და რკინის ნებისყოფა, ან გაუცნობიერებელი ორიენტაცია და ტემპერამენტისა და ხასიათის რეაგირების მანერა, არამედ მაღალი პიროვნული რეგისტრების რეაქცია. ამ დონეზე ცალკეული ფსიქიკური სფეროების გამოვლენები დიალექტიკურად მოხსნილია და ცნება მორალის, მოვალეობისა და შრომის შესახებ წარმართავს ადამიანის ქცევას, სურვილებს და მოქმედებას. ავთანდილის პიროვნებაში შეიქმნა ახალი მოდუსი: წლების მანძილზე მისტირის სატრფოს. გმირის წარმოდგენათა თანახმად მიჯნურისადმი სიყვარული მაღალია, სუფთა და წმინდაა, ამასთანავე სიყვარულის გრძნობა საი-

დუმლოდ უნდა ინახებოდეს და ამიტომ გმირი საკუთარი განცდების შესახებ მეგობარსაც კი არ მოუთხრობს.

როგორც ვხედავთ, არსებული ზოგადი დებულება, რომ, თითქოს, აზრის გაზიარება მღელვარებას და ემოციას აქარვებს, მიჯნურობის შემთხვევაში არ მართლდება. სიყვარულის ემოცია, ეს სთენიური განცდა, გარკვეულ ადგილს იჭერს ადამიანის ფსიქიკაში. პიროვნება სიყვარულის ემოციას ინახავს მუდამ საიდუმლოდ, მალავს და იცავს მას.

ავთანდილი, იდეალური მიჯნურის განსახიერებაა. განსაკუთრებულ სიტუაციაში, როდესაც იგი გულით გულისაკენ მიისწრაფვის, მას ძალუძს მოახდინოს ჯეროვანი ორიენტაცია და გონებით გულის ხმას გაუწიოს კონტროლი. გმირისათვის სატრფო გასართობი კი არ არის, არამედ გულზე ცეცხლის მომდები ალი.

ავთანდილის მორალური ძალა ურყევია მისთვის მეტად რთული სიტუაციის პირობებშიც. როდესაც ის მარტო რჩება ფატმანთან, ავთანდილის ემოციები მტკიცეა. ის დაუმარცხებელი მიჯნურია. მან შესანიშნავად იცის, რომ უფატმანოდ არ არსებობს სხვა გზა ნესტან-დარეჯანის კვალის მისაგნებად და ამიტომ აუცილებელია გამოიყენოს მისი ცნობები მაღალი მიზნებისათვის. ამასთან ერთად, ავთანდილი დარწმუნებულია, რომ ფატმანთან ნაცნობობა მას კატასტროფულ საშიშროებას არ უქადის.

ავთანდილის მაგალითზე პოემის ავტორი გვარწმუნებს, რომ არსებული პიროვნული მოდუსი შემთხვევითად შექმნილი სიტუაციის პირობებში ძნელად ექვემდებარება ცვლილებას. შოთა რუსთაველის მიხედვით, შემთხვევითი გარემოება ზეგავლენას არ ახდენს (და არც უნდა ახდენდეს) ადამიანის მორალურ კოდექსზე.

ტარიელის პიროვნული თავისებურებანი

ვეხებოდით რა პოემაში განსაკუთრებულად რთულ სულიერ მდგომარეობას, ჩვენ ძირითადად შევჩერდით ტარიელის უმძიმეს სულიერ განცდებზე.

აღნიშნული იყო, რომ ფსიქიკური რეაქციის მანერით არ განისაზღვრება პიროვნული შესაძლებლობანი, პიროვნების შინაარსი. ამ ასპექტში მოკლედ შევეხები ტარიელის ქცევის ზოგიერთ გამოვლინებას,

უფრო ობიექტური იქნება მოვუსმინოთ ავთანდილს, მაგრამ საჭიროდ მიმაჩნია წინასწარ შევჩერდე ზოგიერთ საკითხზე.

უბედურებისა და ტანჯვის პრობლემა ერთი შეხედვით ნორმალური ფსიქოლოგიის ანალიზის საგანია, მაგრამ იგი განსაკუთრებით საინტერესო და მნიშვნელოვანია ფსიქოპათოლოგისთვისაც.

როგორ ავლენს თავს ადამიანი, როცა საქმე ეხება პირად და სხვის უბედურებას, საკუთარ და სხვის ტანჯვას? როგორია მისი პიროვნული რეაქციის შინაარსი? აი, ის ძირითადი საკითხები, რომლებიც დასმულია თანამედროვე ფსიქოლოგიასა და ფსიქიატრიაში. ასეთ შემთხვევაში ავადმყოფური პიროვნული რეაქცია, როგორც წესი, ხდება წყარო სხვადასხვა ნევროზისა, ფსიქონევროზისა და რეაქტიული ბუნების არანორმალური სულიერი აბერაციისა.

სიხარული თავისი ფსიქოლოგიური და ფსიქოპათოლოგიური მექანიზმებით ნორმასა და პათოლოგიაში წარმოდგენილია უფრო სადად. მწუხარებისა და ბოღმის ემოციებთან შედარებით იგი არ იწვევს ადამიანის სულიერ ცხოვრებაში ღრმა ძვრებსა და ასთენიურ ემოციურ გადანაცვლებებს.

ფსიქიკურ მანომეტრს შეუძლია აიტანოს ყოველგვარი ძაბვის სიხარულის ემოცია მაშინ, როდესაც ასთენიური აფექტების დროს ემოციების ძლიერი და არაჩვეულებრივი ზემოქმედება მანომეტრის უკიდურეს გადაძაბვას იწვევს: ვითარდება მოსხლეტა, პიროვნება მიდის სრულ ფსიქო-ფიზიკურ ინვალიდიზაციამდე, რაც არაიშვიათად მთავრდება სიკვდილით. პიროვნება ან თვითონ ისპობს სიცოცხლეს და თვითმკვლელობაში პოულობს მოსვენებას, ანდა ვითარდება ფსიქოზი. ჩვენთვის, ფსიქოპათოლოგებისათვის, პიროვნების ძალის, მისი ამტანობისა და მძიმე ემოციურ მდგომარეობათა მიმართ თავისებური ფსიქოპათოლოგიური იმუნიტეტის საზომი ქცევის რეაქციებია. მხედველობაში მაქვს, თუ რამდენად არ იცვლება ამ დროს ადამიანი, ინარჩუნებს სინშვიდეს და რამდენად მედგრად ხვდება და იტანს ტანჯვის განცდებს.

აღსანიშნავია, რომ ადამიანის მორალური ხერხემლის სიმყარე, თავის მხრივ, განისაზღვრება პიროვნულ შესაძლებლობათა ძალით, სიღრმითა და სიმდიდრით, ყველაზე უფრო დიდსულოვნების, მორალური სიმტკიცის კეთილშობილების ძალითა და იმის შეგნებით, რომ ადამიანი, როგორც საზოგადოებრივ-სოციალური ერთეული, ცხოვრობს არა მარტო თავისთვის, არამედ, უწინარეს ყოვლისა, საზოგადოებისათვის.

მორალურად ძლიერი ადამიანისათვის პრაქტიკულად უფრო მნიშვნელოვანი თავისებურება ის არის, რომ იგი განსაკუთრებით

დადებით ზეგავლენას ახდენს სხვებზე. იზიარებს რა სხვის მწუხარებას, ინაწილებს მას და ამ გზით დამამშვიდებლად მოქმედებს.

აღნიშნულ ორ ასპექტში უთუოდ საინტერესოა ტარიელის პიროვნება: შეუცველელი — ტანჯვაში, მშვიდი — ზღვა ცრემლთა დენის დროს და შემამსუბუქებელი სხვისი სევდისა.

ტარიელის ფსიქიკური აპარატის აღნიშნულ თავისებურებებში ჩვენ ვხედავთ ზოგადადამიანურ პიროვნულ ხაზებს.

შოთა რუსთაველის მონაცემებს ტარიელის პერსონის შესახებ აქვს განსაკუთრებული ზნეობრივი, თანაც ფსიქოპროფილაქტიკური მნიშვნელობა (იმდენად, რამდენადაც ყოველ ზნეობრივ დებულებას აქვს ფსიქოპროფილაქტიკური ინტერესიც). იგი მნიშვნელოვანია აგრეთვე დღევანდელი დღის ფსიქოპათოლოგიის თეორიისა და პრაქტიკისათვისაც.

როგორც ვხედავთ, ტარიელი განსაკუთრებით ძლიერი პიროვნებაა, მდიდარი მორალური შინაარსით და მოვალეობის მაღალი შეგნებით. მის პიროვნებას არ ახასიათებს სიმკაცრე, ის დიდსულოვანია, რბილი, კეთილი და სინანულით განიცდის, რომ თითქოს უმიზეზოდ მოუხდა მტრის დასჯა. მას კარგად ესმის, რომ სიმკაცრე და შურისძიება სისუსტის გამომხატველია.

ჰარმონიული პიროვნება არ შეიძლება იყოს ცალმხრივად რბილი, განურჩევლად განწყობილი ყველას მიმართ.

ტარიელი დარწმუნებულია თავის თავში, მან იცის თავისი შესაძლებლობანი და საჭიროდ თვლის მკაცრად დაისაჯოს ის, ვინც არ ასრულებს თავის მოვალეობას.

ტარიელის პიროვნება არის უმაგრესი რკინისა. ამასთან ერთად ის ბრძნულად იქცევა, როდესაც ინდოეთის მეფე ფარსადანს განუცხადებს, რომ მას აინტერესებს არა მისი ქალის ბედი, არამედ სამეფოს მომავალი და ამიტომ გახდა იძულებული სისხლით გასწორებოდა მომავალ სასიძოს.

საკუთარი ტრფობის საკითხი ტარიელს სახელმწიფო მნიშვნელობის პრობლემამდე აჰყავს. ამ მიდგომით ფარსადანის გარშემო შექმნილ სიტუაციაში ის ორ მომენტს იგებს; პირველი—მტკიცდება, რომ ნესტანს ბრალი არ მიუძღვის სასიძოს მოკვლაში, მისი მონაწილე არ არის, ამიტომ სამეფო კარიც თავისუფალი უნდა იყოს ბრალდებისაგან, მეორე — ფარსადან მეფეს უღვიძებს პატრიოტულ გრძნობას სამეფოსა და ხალხის მომავალზე.

როგორც აღნიშნული იყო, პიროვნების თავდაჭერილობა და ამ-

ტანობა ფსიქიკური აპარატის ძალის ყველაზე უფრო ჭეშმარიტი და სარწმუნო მაჩვენებელია.

ტარიელს გადააქვს ისეთი ძლიერი ფსიქიკური დარტყმა, რომელსაც ვერ შეედრება მისი წარსული ცხოვრების ვერც ერთი მძიმე ფსიქიკური მდგომარეობა, არც ერთი ფსიქიკური ტრავმა არ შეიძლებოდა ყოფილიყო რაინდისათვის ისე მწარე და კატასტროფული, როგორც ოფიციალური დადასტურება ინდოეთის მეფისა და დედოფლის გადაწყვეტილების სიძედ მოეყვანათ ხვარაზმელი მეფისწული. პიროვნებისათვის ასეთ სამწუხარო ცნობას შეუძლია მიიყვანოს ადამიანი სულიერ აშლილობამდე, თვითმკვლელობამდე. . . . ფსიქიკური ტრავმის შედეგად, რაინდი, ფაქტიურად, მიწასთან არის გასწორებული. ის ფერფლად არის ქცეული, მაგრამ საბოლოოდ მაინც იმარჯვებს პიროვნების ძალა. ტარიელი, მართალია, იძლევა მწუხარე თანხმობას, მაგრამ იმავე წუთიდან ინახავს სათანადო გზებს მიზნის განხორციელებისათვის.

ზოგიერთი მოსაზრება ტარიელის ემოციურობის, აფექტურობის, გარკვეული თავდაუჭერლობის შესახებ, ჩემი ღრმა რწმენით, ვხება მხოლოდ მისი რეაქციების გარეგნულ მხარეს და მას არსებითი კავშირი არა აქვს პიროვნების შინაარსთან და ხასიათის თავისებურებასთან.

თანამედროვე პერსონალისტური ფსიქოლოგიისა და ფსიქოპათოლოგიის მასალით და პირადი მეცნიერულ-პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე ვფიქრობთ, რომ ემოციურ-ლაბილურ, ოდნავ არაწონასწორ პიროვნებას არასოდეს და არავითარ სიტუაციაში არ შეუძლია გამოავლინოს ტარიელის მსგავსი დიდსულოვნება. ამიტომ ყოველგვარი მოსაზრებანი რაინდის მიმართ ამ ასპექტში არ შეიძლება იყოს მიღებული.

ავთანდილის მსგავსად, ტარიელსაც სიცრუე და ორგულობა მიაჩნია წყაროდ ყოველი ბოროტებისა, რომლის ჩამდენი დაუზოგავად უნდა დაისაჯოს.

ხატაეთის მმართველს, რომელიც აღმოჩნდა დაუნდობელი მოღალატე, ტარიელი ბოროტმოქმედს (ვერაგს) უწოდებს. ამავე დროს ის აღფრთოვანებულია ინდოეთის მეფის, ფარსადანის, დიდსულოვნებით, იმ თბილი, თავაზიანი ზრდილობიანი დამოკიდებულებით, რომელსაც იგი იჩენს წარსულში ბოროტმოქმედის, მაგრამ ამჟამად ტყვედმყოფის მიმართ. მისთვის მამაცის მიერ ჩადენილი ასეთი სიკეთე ადამიანობის უმაღლესი გამოხატულებაა. მას უნდა დაუპირისპირდეს უხამსობა, როდესაც „კაცუნა“, ნაცვლად შეწყალე-

ბისა, პატიებისა, სუსტის წინაშე, გადაიქცევა გააფთრებულ ლომად.

ტარიელის მორალური პიროვნული მოდუსი გაორკეცებული აღიარებისა და აღფრთოვანების ღირსია, ვინაიდან დიდსულოვნების ასეთ რეაქციას ის ავლენს ძლიერი აფექტური დაძაბულობის მდგომარეობაში, როდესაც ადამიანს არ ძალუძს ანალიზი გაუკეთოს სხვის ქცევას.

თანამედროვე პერსონოლოგიაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან თეორიულ და პრაქტიკულ საკითხად ვთვლით მშობლებისა და შვილების ურთიერთდამოკიდებულების პრობლემას. მშობლების სიყვარული შვილებისადმი ფსიქოლოგიურად გასაგებია და ბიოლოგიურად განპირობებული (თავისი გვარის გაგრძელება). საზოგადოებრივ-ფსიქოლოგიურად უფრო საინტერესოა შებრუნებული ვექტორი, ე. ი. მადლიერების პატივისცემისა და სიყვარულის გრძნობები მშობლების მიმართ. შვილები ვალდებული არიან მტკიცედ დაიცვან აღნიშნული დებულება და არ იქონიონ არავითარი პრეტენზია და უკმაყოფილება მშობლების მიმართ.

ჩემ მიერ აღნიშნული ზოგადადამიანური პრობლემა — „მამებისა და შვილების" სათანადოდ დასმული და გადაჭრილია შოთა რუსთაველის გენიალურ პოემაში.

ტარიელის მამა, თავისი სურვილით ინდოეთის მეფეს, ფარსადანს აძლევს თავის სამეფოს და ამით საკუთარ შვილს მემკვიდრეობის უფლებას ართმევს. როგორი მოსაზრებითაც არ უნდა ეხელმძღვანელა სარიდანს, ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ტარიელის, როგორც მემკვიდრის, უფლებების შელახვის მომენტს. მაგრამ ამ საკითხშიც რაინდის მორალური მხარე შეუვალია. პოემაში არ მოიპოვება ადგილი, რომელიც შვილის მხრივ უფლების შელახვისა და უკმაყოფილების გრძნობაზე მიუთითებდეს. უფრო მეტიც, ტარიელი ღრმა პატივისცემით არის გამსჭვალული მამის მიმართ. ის ამაყობს და აღფრთოვანებულია თავის მამით, როგორც მეომრით, რომელსაც განსაკუთრებული სიმამაცე და იშვიათი შეუპოვრობა ახასიათებს. სიყვარულით იგონებს ტარიელი თავის მამას.

ავთანდილი ახასიათებს ტარიელს, როგორც სიყვარულის ცეცხლით აგზნებულ მიჯნურს.

ტარიელმა განდევნა თავისი ფსიქიკიდან ყოველივე, ის შეპყრობილია მხოლოდ ერთი მიზნით მოძებნოს ნესტანი. ამასთან, მასში მიზანი წარმოდგენილია პიროვნების დონეზე დიდი ნებითი დაძაბულობის სახით.

მის გარშემო შექმნილი ურთულესი სიტუაციის გამო რაინდი ხდება მონა თავისი გულისა. მიუხედავად ამისა, ის მზად არის ბრძოლისათვის.

ტარიელი არ შეიძლება ჩაითვალოს არაწონასწორ და ემოციურ, ლაბილურ პიროვნებად; მისთვის უმძიმეს სიტუაციაში, როდესაც გამოჩნდა რეალური მეტოქე, ტარიელი ამოწმებს თავის გულს, ბრძნულად აწონ-დაწონის სიტუაციას და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებს გარკვეულ ტაქტიკურ გადაწყვეტილებას.

ავთანდილის პიროვნულ თავისებურებათა გადმოცემისას ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ სიყვარულის ემოცია პიროვნების თავისებური გამოვლინებაა, რომელიც არ საჭიროებს სხვისთვის გაზიარებას. ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს ერთგვარ ფსიქოლოგიურ შინაგან თვითწვასთან. ეს მდგომარეობა ტარიელის პიროვნებისათვის, რომლის გარშემო შეიქმნა მიჯნურის უფრო რთული სიტუაცია, მძიმდება. ტარიელს უჭირს არამცთუ შეუდგეს თავისი გრძნობის ისტორიის გადმოცემას, არამედ საუბარსაც კი გაურბის ამ თემაზე.

ზემოთ განხილული საკითხი უშუალოდ დაკავშირებულია პიროვნების ასთენიურ ემოციათა თვითრეპროდუქციისა და ექსპერიმენტული რეპროდუქციის პრობლემასთან ნორმასა და პათოლოგიაში.

ფსიქოლოგიური ანალიზი გვიჩვენებს, რომ ტარიელის სახით საქმე გვაქვს მდიდარ, ძლიერსა და მაღალმორალურ პიროვნებასთან.

თინათინისა და ნესტან-დარეჯანის პიროვნული თავისებურებანი

ოჯახის წევრთა შორის ურთიერთსიყვარული, ურთიერთგაგება და ურთიერთპატივისცემა აუცილებელი ფსიქოლოგიური პირობაა მისი მონოლითურობისათვის. როგორც აღვნიშნეთ, მშობლების ემოციები შვილების მიმართ და, პირიქით, შვილებისა მშობლებისადმი, უზრუნველყოფს ოჯახის მორალურ ძალასა და სიმტკიცეს. შვილების პიროვნების განვითარების ნორმალურ პროცესში მნიშვნელოვანი და საპასუხიმგებლოა დედ-მამის როლი. ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ შვილის აღზრდაში მამის დამსახურებასთან ერთად წამყვანი როლი ეკუთვნის დედას. ყველაზე ტკბილი, ყველაზე ამაღელვებელია დედის სიტყვა.

ამ ასპექტში საინტერესო და საყურადღებოა როგორც თანამე-

მამულე. ისე უცხოელ ფსიქონევროლოგთა პოზიციები. თანახმად მათი შეხედულებისა ადამიანის ფსიქოდინამიკური განვითარება ადრეულ ასაკშივე იწყება, თანაც, ინდივიდუმის ნორმალური მსვლელობის პროცესში უმეტესად და ძირითადად გადამწყვეტ როლს დედის პიროვნება ასრულებს. დედა „მთავარი კანონმდებელია“ შვილების მორალური კოდექსის ჩამოყალიბებაში. მათში შრომის სიყვარულის, სინდისისა და მაღალსულოვნების ჩანერგვაში. დიდი, პასუხსაგები და კეთილშობილურია მისი როლი: ის ზრდის შვილებს, ქმნის ოჯახურ მყუდროებას, ზრუნავს ოჯახის კეთილდღეობაზე და ამავე დროს მამის მხარდამხარ აქტიურად მონაწილეობს თავისი ქვეყნის შრომითსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

„შოთა რუსთაველი მთელი პრინციპულობით წარმოადგენს ქალის მაღალ საზოგადოებრივ-სოციალურ სახეს და აყენებს გარკვეულ დებულებას დედაკაცის მამაკაცთან სრული თანასწორუფლებიანობის შესახებ.

პოემაში ნათლად ჩანს, რომ ქალის, ისევე, როგორც მამაკაცის, პიროვნებაში იმედები, მისწრაფებანი და ინტერესები უმაღლესი მოთხოვნილებებით განისაზღვრება.

ქალის პიროვნული მოდუსიც ემყარება პიროვნების შეგნებას შრომის, მორალისა და მოვალეობის შესახებ.

ამ ასპექტში მინდა შევჩერდე თინათინისა და ნესტან-დარეჯანის პიროვნულ რეაქციებზე.

მუდმივი და უსაზღვროა თინათინის სიყვარული ავთანდილისადმი. მიუხედავად ამისა, მას შეიპყრობს განსაკუთრებული ძლიერი კეთილშობილური სურვილი, დაეხმაროს მოგზაურ რაინდს, გაიგოს მისი ჭმუნვის, სევდისა და ცრემლთა საიდუმლოება; თინათინს ჰყოფნის სულიერი ძალა წინადადება მისცეს თავის სატრფოს—ავთანდილს მოძებნოს უცხო ჭაბუკი, ამისათვის სამი წელიც რომ დასჭირდეს.

უნდა აღინიშნოს, რომ თინათინის გადაწყვეტილება არ არის სენსაცია, გაუგებარი ახირება (ჟინი) ან სატრფოს მამაცობის გამოსაცდელი ხერხი, არამედ მაგალითია პიროვნების მაღალ, კეთილშობილურ განზრახვაზე გადანაცვლებისა, რაც შეეძლო მხოლოდ ვაზეულ პიროვნებას.

თინათინი თავისებური ავტორია ავთანდილის სახელთან დაკავშირებული ურთულესი ეპოპეისა.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია შემდეგი ფსიქოლოგიური დეტალი, სამი წლის მოლოდინის ემოციას შეუძლია ფოლადის

გულიც კი გაბზარეს, მაგრამ თინათინი იძლევა მტკიცე პირობას, დარჩეს ერთგული თავისი აზრისა, სურვილების და ოცნებისა. იგი მტკიცედ არის დარწმუნებული თავის შესაძლებლობებში, საკუთარი სულის ძალასა და ძლიერებაში.

მხოლოდ ახლად შექმნილ პიროვნულ მოდუსს, გამსჭვალულს, მოვალეობისა და კაცთმოყვარეობის ჭეშმარიტი გრძნობებით, შეუძლია გამოავლინოს მსგავსი გმირობა სახიფათო თავგანწირვისათვის. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მხოლოდ ძლიერი პიროვნების კრიტიკას და კონტროლს შეუძლია ალმოდებული გულის თუნდაც დროებით დაოკება.

თუ ანგარიშს გავუწევთ იმ გარემოებას, რომ ჩვეულებრივად ქალის ემოციები უფრო ძლიერი და მგზნებარეა, ცხადია თინათინის გრძნობა ავთანდილისადმი ნაკლებად ცვალებადია და ამიტომ პიროვნებისაგან უფრო აქტიურ კონტროლს მოითხოვს.

სულიერი რეაქციების სფეროშიც მეორდება საყოველთაოდ ცნობილი მოქმედების და უკუმოქმედების ურთიერთკავშირების პრინციპი. როგორც ჩანს, თინათინისათვის უფრო ძნელი იყო გულის ხმის მიყუჩება, ვიდრე ავთანდილისათვის.

მეორედ განშორება ფსიქოლოგიურად გაცილებით ძნელი გადასატანი ხდება, მაგრამ თინათინის პიროვნება მედგრად ხვდება განცდას, რომელიც ფაქტიურად ადამიანის სულიერი აპარატის გამძლეობის პირდაპირი ფსიქოლოგიური ექსპერიმენტია.

ღრმად ესმის რა სიტყვის მაღალი აზრი და გრძნობს რა მოვალეობის ძალას, თინათინი თავშეკავებით, გმირულად ხვდება ავთანდილის გადაწყვეტილებას მეორედ განშორების შესახებ, რომელიც უფრო სახიფათოა, საშიში და გაურკვეველია შედეგის მხრივ.

პიროვნული წარმოდგენილია წინა პლანზე, გრძნობა ექვემდებარება ფსიქიკური აპარატის უმაღლეს რეგისტრებს და ქალწული რაინდს სამახსოვრო საჩუქარს მიაწვდის. თინათინის ეს საჩუქარი ავთანდილისათვის დარიგების, გზის წმინდა დალოცვის, უსაზღვრო სიყვარულისა და მომავლის იმედის სიმბოლოა.

თინათინის პიროვნების მაგალითზე ავტორი გვიჩვენებს, რომ ფსიქიკური რეაქციების მხრივ არ არის განსხვავება დედაკაცსა და მამაკაცს შორის, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა რთული სიტუაციის ვითარებაში: ავტორის მიხედვით მათში გრძნობა ერთნაირად შეიძლება დაექვემდებაროს პიროვნულ რეგისტრებს.

ნესტან-დარეჯანის პიროვნების გაგებისათვის საჭიროა წარმო-

ვიდგინოთ ცხოვრების სიტუაცია, რომელიც ქმნის საერთო ფსიქოლოგიურ ფონს გმირი ქალის სულიერი რეაქციებისათვის.

ნესტანის ირგვლივ, თინათინთან შედარებით, რთული, ძნელი და გაურკვეველი გარემოება ვითარდება.

პატრიოტული გრძნობით გამსჭვალული და ცნობისმოყვარეობით ავსილი თინათინი თანხმდება, რომ ავთანდილი შეუდგეს უცნობი რაინდის ძებნას.

სულ სხვა განცდა აქვს ნესტანს, ისიც გზავნის თავის მიჯნურს ტარიელს საგმირო საქმეებზე, თუმცა ეს უკანასკნელი დაკავშირებულია უფრო რთულ, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პატრიოტულ ამოცანებთან.

ნესტანი, როგორც გულად მებრძოლს, სთხოვს ტარიელს, მკაცრად დასაჯოს მოღალატენი, რადგან ღალატი მისთვის მოვალეობის ანტინომიური ცნებაა.

მიჯნურისადმი წერილში ნესტანი აუწყებს, რომ იგი მთელი თავისი არსით მას ეკუთვნის, მაგრამ მისთვის მიჯნურობის ცნება დაკავშირებულია აქტიურ მოქმედებასთან, ბრძოლასა და გმირობასთან.

თავისი სულის სიძლიერით იგი აშშვიდებს მიჯნურს, ამხნევებს, აღაფრთოვანებს მაღალი პიროვნული საქმეებისათვის, ნათელ, კონკრეტულ ამოცანას ავალებს მას.

ნესტანის სიყვარულის ემოციის გამოხატულება და დაძაბულობა განსაკუთრებით მაღალ საფეხურს აღწევს. უნდა აღინიშნოს, რომ ნესტანი სულით მაღალი ადამიანია და ამიტომ მასში ემოციური იმყოფება უმაღლეს ფსიქიკურ დონეთა კონტროლქვეშ, პიროვნული რეგისტრების საკმაო სუბორდინაციაში.

პიროვნული მკაცრი გავლენისა და პიროვნული კონტროლის უშუალო ზემოქმედების გარეშე არ შეიძლება დავუშვათ, რომ ნესტანის მდგომარეობაში, როდესაც ემოციურ განცდათა სიმძაფრე თითქმის ხორციელ შეგრძნებათა ხასიათს იღებს, შეიძლებოდა ლაპარაკი საგმირო საქმეებსა და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანებზე.

ნესტანის განსაკუთრებულ ემოციურ გამოვლინებაში ჩანს არა მარტო პიროვნების განსაზღვრულად წამყვანი როლი, არამედ აგრეთვე ემოციები, რომლებიც თავის მხრივ აღწევს პიროვნულ რეგისტრებს, განიცდის რა სიმბოლურ გარდატეხას ფსიქიკური აპარატის მაღალ დონეზე. ასე, მაგალითად, სიყვარულის ემოცია იღებს სიცოცხლის ექვივალენტის, ე. ი. გულის ცემის ხასიათს. ამ საფუ-

ძველზე ნესტანისათვის სიყვარული, სიცოცხლე და გული თანაფარდი ცნებებია, როდესაც შესაძლოა დავუშვათ გაცვლა გულებსა და სიცოცხლეთა შორის, რაც ფსიქოლოგიურად თავგანწირვას უდრის.

ვჩერდებით რა პერსონოლოგიის პრობლემებზე შოთა რუსთაველის პოემაში, არ შეიძლება გულუბრყვილოდ ვირწმუნოთ, რომ გმირებისა და გმირი ქალების ფსიქიკური ცხოვრების მოძრაობა თითქოს მიდის წინასწარ განსაზღვრული მარტივი გზით და საქმე იფარგლება მხოლოდ პიროვნული რეგისტრების სუბორდინაციის მექანიზმებით.

საჭიროა გვახსოვდეს, რომ პერსონოლოგია შეადგენს ფსიქოლოგიურ ძიებათა ყველაზე რთულ და მძიმე დარგს ნორმასა და პათოლოგიაში.

რუსთაველს, როგორც ადამიანის ფსიქიკის უბადლო, გენიალურ მცოდნეს, აინტერესებდა სულიერ რეაქციათა უმაღლესი გამოვლინებანი: აინტერესებდა ყველაზე ადამიანური, უფრო ზუსტად, სპეციფიკურად ადამიანური, ე. ი. პიროვნული ფუნქციები.

სწორედ პიროვნების ფსიქოლოგიის ასპექტშია მოყვანილი პოემაში ფრიად მდიდარი, ძვირფასი მასალა. ჩვენ ვხვდებით რთულ პიროვნულ გადანაცვლებებს; აღწერილია ურთულესი შეჯახებანი ფსიქიკური აპარატის ცალკეულ დონეთა შორის, მაშინ, როცა გარეგნულად თითქოს მარტივი გასაგები გამოვლინებანი გამოწვეულია ღრმა ფსიქოლოგიური პერტურბაციებით. ვხვდებით ისეთ ფსიქიკურ რეაქციებსაც, როდესაც სუბორდინაცია დროებით იხსნება, ფსიქიკური რეაქციები ჩვეულებრივ ემოციურ-აფექტურ რეგისტრებზე მიმდინარეობს.

ამ პლანში საინტერესოა ნესტანის ძლიერი, ღრმად ემოციური რეაქცია ტარიელის საქციელზე, რომელმაც უფრო რაციონალური მოსაზრებით არ გამოიჩინა აქტივობა თავისი სავარაუდო მეტოქის მიმართ.

ნესტანი აღშფოთებულია ტარიელის რეაქციით, მისი დუმილით და, არ უსმენს რა რაინდს, საყვარელ ადამიანს ნაჩქარევად უყენებს დაუსაბუთებელ ბრალდებას. ნესტანი პირდაპირ, მოურიდებლად მიმართავს, რომ იგი, როგორც ქალი, მასში შეცდა, ტარიელის საქციელში ღალატი შენიშნა.

ახლადშექმნილი ფსიქოლოგიური სიტუაცია ტარიელის მიმართ ემოციურად იმდენად ძლიერია, რომ ნესტანი მზად არის ფსიქიკური ტკივილი მიაყენოს მას.

საკმარისი იყო მოესმინა დამამშვიდებელი, გარკვეული განმარ-

ტებანი ტარიელისა, რომ ნესტანი, ერთი შეხედვით, ემოციურ-ეფექტური რეაქციებისადმი განწყობილი, უეცრად იცვლება, მასში იმარჯვებს პიროვნული.

კრიტიკულ მომენტში, როცა მიჯნურისათვის რეალურ საფრთხეს ხედავს, ქალწულს ჰყოფნის ნებისყოფა მოიკრიბოს საღი გონება.

მან არამცთუ შეცვალა „რისხვა წყალობით", არამედ დაუსახა ტარიელს მოქმედების გეგმა და გზა. დარწმუნებულია რა საერთო იმედების გამარჯვებაში, ქალწული მოუწოდებს რაინდს, გამოიჩინოს შეუპოვრობა მიზნის მიღწევაში.

სულის ასეთ დაძაბულ მდგომარეობაში, როდესაც დგება ყოფნა-არყოფნის საკითხი, ნესტანი იჩენს დიდსულოვნებას, არ ივიწყებს კაცთმოყვარეობის გრძნობას და მიმართავს ტარიელს ფიზიკურად მოსპოს მხოლოდ მეტოქე.

ნესტანის მაგალითზე ვხედავთ, რომ სულიერ რეაქციათა მიმართულება განისაზღვრება პიროვნული ქცევით. ჩემი აზრით, ამ ასპექტშივე უნდა განისაზღვროს ფსიქოპათოლოგიისათვის მნიშვნელოვანი ემოციური რეაქციების, მოულოდნელ აფექტურ აგზნებათა და განტვირთვათა პრობლემა.

ფატმანის სიტყვებით, ნესტანს უნდა ჰქონდეს რკინისებური ნებისყოფა და ამასთან ერთად მაღალი ემოციებით გამსჭვალული კეთილშობილური სული. მას და მხოლოდ მას შეეძლო გაეძლო ძნელად ასატანი ტანჯვისათვის.

ამგვარ სიტუაციაში ადამიანი, ჩვეულებრივად, ვერ ერკვევა და, როგორც წესი, მას უვითარდება მელანქოლია ((დეპრესიული ფსიქოზი), ან ამთავრებს ცხოვრებას თვითმკვლელობით.

ნესტანის ფსიქიკური რეაქცია არ სცილდება ფიზიოლოგიური გუნება-განწყობის დაქვეითების ფარგლებს: ცუდად სძინავს, ჰკარგავს სახის ფერს.

იგი არათუ ერკვევა სიტუაციაში და შეუძლია მოქმედება, არამედ, თითქოს, აუმხედრდა კიდეც თავის მწარე ხვედრს.

ამგვარი რეაქცია, ე. ი. ქმედითი აქტივობა ფაქტების და მოვლენათა ლოგიკური ანალიზით გულის უმძიმესი ტანჯვის ფონზე, არ შეიძლება მიეწეროს მხოლოდ რკინისებურ ნებისყოფას ან ემოციურ განწყობას.

აქ ქმედითი აქტივობა დაკავშირებულია პიროვნულ ორიენტაციასთან და იმყოფება პიროვნული კონტროლის რეგისტრების ქვეშ, მხოლოდ მონოლითურსა და ძლიერ პიროვნებას შეუძლია გვიჩვე-

ნოს ისეთი მძლავრი და უძლეველი სულიერი ძალის მაგალითი, რითაც ხასიათდება ნესტანის პიროვნება.

გმირ ქალს მშვენივრად ესმის, რომ ადამიანის ცხოვრებაში მთავარია ბრძოლა მიზნისათვის, საჭიროა წინააღმდეგობათა დაძლევა, სიცოცხლის დასრულება „დანის დარტყმით" ყოველთვის მოესწრება.

„ვცდი"-ეს არის ნესტანის საბოლოო ფსიქოლოგიური და ლოგიკურ-ფსიქოლოგიური გადაწყვეტილება. ის ჩადრით იფარავს სახეს, სთხოვს ფატმანს რაშს და ამნაირად თავს იგრძნობს თავისუფლად.

ვეხები რა ნესტანის პიროვნებას, განზრახული მაქვს შევჩერდე სოციალურ-ფსიქოლოგიურად განსაკუთრებით მნიშვნელოვან და შემოქმედებითად საინტერესო პრობლემებზე, რომელიც წამოაყენა რუსთაველის გენიამ ჯერ კიდევ XII საუკუნეში: მხედველობაში მაქვს დებულება ორმაგი სიკვდილის შესახებ.

ჩვენ ვხედავთ, რომ ერთი სიკვდილი გარდუვალია, მაგრამ მეორე სიკვდილი ადამიანის პიროვნებისათვის მორალურად უფრო მწარე და კატასტროფულია.

ამასთან, მინდა გავიხსენოთ, რომ ჩვენი საუკუნის დასაწყისში პიროვნებისათვის მეორე სიკვდილის კატასტროფულობაზე მიუთითებდა გამოჩენილი პედაგოგი, ფსიქოლოგი და მორალისტი იაკობ გოგებაშვილი.

ნესტანს სიკვდილი არ აშინებს: მისთვის ტარიელი ცხოვრების ერთადერთი მიზანი, იმედი და სიხარულია.

ყველაზე მეტად მას ეშინოდა ორმაგი სიკვდილისა, რომ ცოცხალმა არ შეიტყოს მიჯნურის სიკვდილის ამბავი.

ნესტანი ფატმანის მეშვეობით ცდილობს დააჯეროს ტარიელი, რომ ქაჯები უჩვეულო წესით იბრძვიან და ამიტომ მათთან ბრძოლა უსაფუძვლოა. ის თხოვს ტარიელს არ აჩქარდეს და წინდახედული იყოს.

ნესტანის პიროვნება კეთილშობილურია მშობლების მიმართაც. იგი ღრმა მწუხარებით განიცდის ძვირფასი მამის სიკვდილს, მწარედ ტირის და შემდეგ სიხარულში, ბედნიერებაში მყოფი მწარედ იგონებს, რომ მამის უღირსი შვილი იყო.

რასაკვირველია, ეს ასე არ არის: ნესტანი სუფთაა, სულით მაღალი და კეთილშობილურია. არამცთუ სინამდვილეში, ფიქრითაც არასოდეს ყოფილა უღირსი შვილი. ნესტანი მხოლოდ შეყვარებულია და გმირულად უძლებს სიყვარულის რთულ ეპოპეას.

უკმაყოფილების გრძნობა ფსიქოლოგიასა და ფსიქოპათოლოგიაში ცნობილია კომპლექსის ან კომპლექსური განცდების სახელწოდებით.

კომპლექსი, როგორც წესი, გულისხმობს უსიამოვნო (ასთენიურ) ემოციას. არსებობს აგრეთვე კომპლექსური გამოთქმები, რომლებსაც მე ვთვლი მაღალკეთილშობილურ ან ამამაღლებელ კომპლექსურ გრძნობებად. გასაგებია რომ აქ მხედველობაში არა მაქვს ფსიქასთენიური მერყეობა ან ფარისევლური გამოთქმანი საკუთარი თავით უკმაყოფილების შესახებ.

შვილები მოწოდებული არიან იწვოდნენ მშობლების მიმართ კეთილშობილური კომპლექსით, რომ შეეძლოთ უკეთესნი ყოფილიყვნენ მშობლების ანდერძის განხორციელებაში.

აღტაცებას იწვევს ის გარემოება, რომ ჰუმანიზმის გარიჟრაჟზე რუსთაველი მთელი სიცხადით აყენებს მშობლების მიმართ შვილების ე. წ. კეთილშობილური კომპლექსის პრობლემას.

მამებისა და შვილების პრობლემა მარად საჭირბოროტოა და მართლაც რა შეიძლება იყოს უფრო კეთილშობილური და მაღალი, ვიდრე პრობლემა იყო შენი მშობლების, შენი წინაპრების ღირსეული მემკვიდრე!

ჩვენს დროში მიკროსოციოლოგია, რომელიც წარმოადგენს როგორც სოციალურ, ისე სოციალურ-ფსიქოლოგიურ საკვლევ დარგს, პირველ ყოვლისა გულისხმობს ოჯახის წევრთა შორის ურთიერთობის ფსიქოლოგიას.

მე მსურს, რომ ახალგაზრდობას მუდამ ახსოვდეს რუსთაველის მაღალი იდეები მშობლების მიმართ შვილების კეთილშობილური კომპლექსის შესახებ.

ზოგადი ხასიათის შენიშვნები ვეფხისტყაოსნის შესახებ

მიჯნურის პიროვნული ფსიქოლოგიის შესახებ

პოემაში ნათლადაა ნაჩვენები, რომ სიყვარულის ემოციას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სთენიურ და ასთენიურ განცდათა შორის.

ფსიქოლოგიისა და ფსიქოპათოლოგიის მონაცემების თანახმად, სთენიური ან ასთენიური ემოციების მქონე პიროვნება საჭიროებს ხალხთან ურთიერთობას, რაც განსაკუთრებით დადებითად მოქმე-

დებს ასთენიურ განცდებზე. ურთიერთობის შედეგად დარდი და მწუხარება გარკვეულად ფერმკრთალდება, კარგავს დაძაბულობის ხარისხს.

რუსთაველის მიხედვით, სიყვარულის ემოცია საიდუმლოდ ინახება, ფრიად სუბიექტურია პიროვნებისათვის. უფრო მეტიც, იგი გამოირჩევა თავისი სინაზით, ვერ ითმენს უცხო ხელის მიკარებას ადამიანი ცხოვრობს თავისი სიყვარულით, წმინდად ინახავს მას. პოემიდან ვრწმუნდებით, რომ სიყვარულის ემოცია მისი მატარებლისათვის წარმოადგენს ფსიქოლოგიურ სტიმულატორს.

ჩემს მიერ ხაზგასმული დებულება მთლიანად ემყარება სულიერ რეაქციათა ფსიქოლოგიურ დაკვირვებებს და ფენომენოლოგიურ აღწერას, აღნიშნული ფენომენოლოგიური მასალა გადმოცემულია ისეთი დამაჯერებლობითა და მხატვრული სიცხადით, რომ თამამად შეიძლება მოთავსდეს ექსპერიმენტულ-ფსიქოლოგიურ ძიებათა გვერდით.

მე ვჩერდები სიყვარულის ემოციის ფსიქოლოგიაზე იმიტომ, რომ შოთა რუსთაველის ფორმულა—სიყვარულის ემოცია ინახება საიდუმლოდ, გამართლებას პოულობს ფსიქოლოგიის მიმართ თითქმის კანონის ძალით.

აღნიშნული თეზისი თავისუფლად შეიძლება გადავიტანოთ პათოლოგიურ სულიერ რეაქციათა სამყაროში. ჩემთვის, როგორც ფსიქოპათოლოგისათვის აღნიშნულ ფსიქოლოგიურ დეტალს არსებითი მნიშვნელობა აქვს რეაქტიული ბუნების სულიერ ტანჯვათა მიზეზებისა და შინაარსის გახსნის საქმეში, როდესაც ფსიქოტრავმის სახით წამოწეულია სიყვარულის ემოცია.

ამგვარ ფსიქოლოგიურ მასალაზე ჩვენ ვხედავთ, რომ ავადმყოფები გაურბიან ფსიქოანალიზს, არ ხსნიან თავიანთი სიყვარულის გზებს, ცდილობენ აგვაცილონ მნიშვნელოვან და ძირითად მიზანს.

მე მგონია, რომ რუსთაველის სახელთან დაკავშირებული დებულება სიყვარულის ემოციის ფსიქოლოგიის შესახებ გამოყენებულ უნდა იქნეს კლინიკურ შემთხვევათა შემდგომი შემოქმედებითი ანალიზისათვის როგორც ფენომენოლოგიურ, ისე ექსპერიმენტულ-ფსიქოლოგიურ ძიებათა ასპექტში.

სიყვარულის ემოცია, რომელიც წარმოადგენს მიჯნურის ძირითად განცდას, გამოირჩევა ფსიქოლოგიური მექანიზმების დამახასიათებელი თავისებურებით. შალვა ნუცუბიძეს მოყვანილი აქვს ცნების შემდეგი განმარტება:

„მიჯნური“—შეყვარებული, სიტყვა არაბული სიტყვის „მიჯნონ“ —სიყვარულისაგან გახელებულის ქართული აღქმაა.

თანახმად რუსთაველისა, მიჯნური შეპყრობილია სიყვარულის ემოციის ცეცხლით, სასტიკად იტანჯება განცდებისაგან მაგრამ ამავე დროს, არ ძალუძს და არც სურს თავი დააღწიოს ამ განსაკუთრებულ სიტუაციას.

ახლად შექმნილი პიროვნული მოდუსი ადამიანს ისეთ მდგომარეობაში აყენებს, რომ მისი მოქმედება და ქცევა ირგვლივ მყოფთათვის გაუგებარი და მიუღებელია, მაგრამ მიჯნურისათვის იხსნება შეგრძნებებითა და ემოციებით მდიდარი სიცოცხლის „შარადიული სამყარო“, აქ ყურადღებას იპყრობს აფექტური დაძაბულობის ხარისხი, რომელიც არსებითად განსხვავდება ავადმყოფური ფსიქიკური რეაქციებისაგან.

აქვე შევნიშნავ, რომ ჩვენს დროშიც წერენ გაუგებარი, უაზრო, ანუ „პათოლოგიური სიყვარულის“ შესახებ, მაგრამ სიყვარულის ემოციის რაოდენობრივი დაძაბულობა, ჩვეულებრივად, არ აღწევს ავადმყოფურ მდგომარეობას. ავადმყოფური მდგომარეობა, ძირითადად, დამოკიდებულია პიროვნულ პათოლოგიურ ძვრებზე და არა მხოლოდ ფსიქიკური რეაქციის რაოდენობრივ მხარეზე.

პოემიდან ჩანს, რომ „მიჯნურობა“ ადამიანს ამაღლებს, უმაღლეს ტენდენციებს უვითარებს მას. აღნიშნული თავისებურება, რაზედაც ამახვილებს რუსთაველი ყურადღებას, მნიშვნელოვანია თანამედროვე პერსონოლოგიის პოზიციებიდან. მე დარწმუნებული ვარ, რომ მიჯნურობა არის ერთ-ერთი გამოხატულება ე. წ. ინტელექტუალური გრძნობისა. შეყვარებული ტარიელი ახალ პიროვნებად იქცევა, მაგრამ თვისობრივად არ იცვლება. ამასთან ახალი მიზანსწრაფვა არ ახდენს გავლენას მის ძირითად პიროვნულ ტენდენციებზე.

რუსთაველის მიხედვით, მიჯნური უნდა წარმოადგენდეს სიბრძნის, ე. ი. ინტელექტის, სიმშვიდის (ე. ი. ემოციური წონასწორობის) ან საბრძოლო შემართების (ე. ი. ნებისყოფის) ჰარმონიულ შერწყმას, ამასთან, მისთვის აუცილებელია გარეგნული სილამაზე.

ამ გაგებით, მიჯნური ფსიქოფიზიკური ჰარმონიის მატარებელია. აღნიშნული თვისებების გარეშე ადამიანი ცუდი მიჯნურია.

როგორც ვხედავთ, მიჯნურობა ემყარება მდიდარ და ჰარმონიულ, განვითარებულ პიროვნებას.

ამჟღავნებს რა თავის დამოკიდებულებას — „მძულს უგულოდ

სიყვარული“, რუსთაველი მოუწოდებს ერთგულებისა და სიწმინდისაკენ მიჯნურობაში.

მიჯნურის სულიერი სამყაროს შესახებ რუსთაველი აღნიშნავს, რომ ძნელია შეცნობა: მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად რთული ფსიქოლოგიური მდგომარეობის არსში წვდომა, როგორსაც სიყვარულის ემოცია წარმოადგენს. აქ აუცილებელია საგულდაგულო დაკვირვება სათანადო მეთოდების გამოყენებით. შოთა რუსთაველის შენიშვნა მიმაჩნია გენიალურ წინსწრებად, საწინააღმდეგოდ იმისა, რომ ემოციის ფსიქოლოგიის პრობლემა არ შეიძლება გადაწყვეტილ იქნეს გულუბრყვილო-მექანიცისტური ხერხებით. კარგი იქნებოდა, რომ ეს დებულება ხსომებოდათ ე. წ. სემიოლოგიის თანამედროვე მიმდევრებსაც.

რუსთაველის ეპოქის მხატვრულ ლიტერატურაში არსებობდა აზრი, თითქოს სიყვარული (მით უმეტეს სიყვარულის ძლიერი ემოცია) არ ექვემდებარება პიროვნული რეგისტრების კონტროლს, რუსთაველის პოემაში ამგვარი პოზიცია დაგმობილია. მიჯნურისათვის აუცილებელია ფსიქიკური აპარატის ჰარმონია.

პოემაში მიჯნური და გმირი განხილულია ერთსა და იმავე ფსიქოლოგიურ დონეზე, მათ შორის ისმება თავისებური, პიროვნული ტოლობის ნიშანი. ადვილი წარმოსადგენია, რომ გულადი მიჯნური მოვალეა გამოავლინოს პიროვნული ქცევა, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმე გვექნება არა გულად მებრძოლთან, არამედ ადამიანთან, რომელსაც ახასიათებს ბრმა და შემთხვევითი აქტივობა.

მიჯნურის რთულ სულიერ სამყაროში ჩახედვა შეუძლია მხოლოდ მიჯნურს.

თანამედროვე ნევროლოგიური და ნეიროფიზიოლოგიური კვლევით დასტურდება, რომ ქერქული აპარატი, მეტადრე ადამიანის ქერქული აპარატი სუსტი და უსუსურია. ქერქქვეშას შესატყვისი სტიმულაციის ან ქერქქვეშას ნერვული იმპულსების გავლენის გარეშე ქერქზე, რომელნიც გარკვეულ დონეზე ამყოფებენ ქერქული აპარატის ტონუსს. თუ გავატარებთ შემოქმედებით პარალელს ნეიროდინამიკურ და ფსიქიკურ მოქმედებათა შორის, აშკარა გახდება, რომ ადამიანის პიროვნება საჭიროებს თავისებურ ფსიქოდინამოგენეზს.

ფსიქიკა, რომელიც მოკლებულია ამგვარ ფსიქოდინამიკურ გავლენას მოგვაგონებს სუსტ, ამორფულ, უნებისყოფო, უმოქმედო

და სოციალურ-ფსიქოლოგიურად აბსოლუტურად ზარმაც, მცირეფასოვან სუბიექტს.

ყოველი სამუშაო, ფიზიკური იქნება ის თუ ფსიქიკური, მოითხოვს გარკვეულ პიროვნებისეულ განწყობას, პიროვნების დაძაბვას, ყოველ დადებით ემოციას, მაგალითად შემოქმედებითი შრომის სიხარულს, შეუძლია შეასრულოს აქტიურად მოქმედი ფსიქოდინამოგენეზის როლი. აქ რუსთაველი ამჟღავნებს გენიალურ შორსმჭვრეტელობას, გამჭრიახობას, როგორც ეს შესავლიდან ჩანს, ავტორს სურს აღიჭურვოს მიჯნურის გზნებით და სულიერი ცეცხლით; შემოქმედებით დასახული მიზნის კეთილად დაგვირგვინებისათვის. მიჯნურობა არა მარტო ემოციური გზნებაა, არამედ უპირველეს ყოვლისა, პიროვნების შემოქმედებითი განწყობაა აქტიური მოქმედებისათვის.

მხოლოდ ემოციური განწყობით არავის შეუძლია ემსახუროს მეგობრობა-ძმადნაფიცობის მაღალ მიზანს ავთანდილის, ტარიელისა და ფრიდონის დარად. ასევე არავის არ შეუძლია მსხვერპლად გაიღოს თავისი სიყვარული თინათინივით და ნესტანივით; არ შეუძლია მსხვერპლად გაიღოს სიყვარულის ემოციები, რადგან ადამიანისათვის ძნელია სულიერი განცდების გადალახვა მაშინ, როდესაც გრძნობა ინსტინქტების თვისებას იღებს.

გმირულ რეაქციებში პირველ პლანზეა ფსიქიკური აპარატის უმაღლესი რეგისტრები. ვლინდება პიროვნული რეაქციები (მოვალეობა, სინდისი; სიტყვის ძალა), რითაც სწორედ შესაძლებელი ხდება ემოციების მართვა და გრძნობის დაქვემდებარება ადამიანის მოვალეობისადმი.

პიროვნული რეგისტრები და ემოციური გამოვლინებანი

ფსიქოლოგიის ზოგადი და კერძო პრობლემების განხილვის დროს მე ხშირად ვუბრუნდები გონებისა და გრძნობის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემას. გენიალური პოემა შეიცავს აურაცხელ მასალას, რომელიც მრავალმხრივ აშუქებს პრობლემას: „ინტელექტი და ემოცია“, „გონების ხმა“, „გულის ხმა“. აღნიშნული საკითხი შეადგენს ზოგადსაკაცობრიო მარადიული ძიების საგანს.

საგანგებოდ, უზომო სიღრმემდე, ფაქიზად და პრაქტიკული სიცხადით გაშუქებული ეს პრობლემა ნიადაგ მომაჯადოებელია, რადგანაც ეხება ბრძოლას ადამიანის გონებისა და ადამიანის ვნებას შორის. საბოლოოდ, აღნიშნული ბრძოლა შეადგენს იმ ფონს,

რომელზედაც ვითარდება ფსიქიკური რეაქციები — ფსიქიკური აპარატის რეაგირების შინაარსი და მიმართულება ნორმასა და პათოლოგიაში.

ადამიანის ონტოგენეზს, უფრო მეტიც ადამიანის ქმნადობას, როგორც სოციალურ-ფსიქოლოგიურ კატეგორიებს, იქით მივყავართ, რომ ბრძოლა გონებასა და ვნებას შორის უნდა მიმდინარეობდეს პიროვნული რეგისტრების დონეზე, რაც აუცილებელია ადამიანისათვის.

პიროვნულ დონეზე ბრძოლის სიმძაფრე ნიველირდება, რბილდება, უფრო მეტიც, ექვემდებარება ცენზურას, კრიტიკასა და კონტროლს; შეიძლება ითქვას; ადამიანში ითრგუნება ცხოველი, ხმას იმაღლებს მორალი, მოვალეობა და სინდისი, რკინის ლოგიკით და კონკრეტული ფაქტების ბრწყინვალე აღწერილობით რუსთაველის გენია ადასტურებს, რომ ემოციები და მიზიდულობანი კონტროლს ექვემდებარებიან და იხშობიან პიროვნების მაღალი რეგისტრებით.

როგორც ცნობილია, ემოციისა და ინტელექტის ცალკეული გამოვლინებანი იხსნება პიროვნული რეგისტრების დონეზე და გვევლინება ერთიანი პროცესის სახით, რომელიც ცნობილია ინტელექტუალური გრძნობის სახელწოდებით. აქ ინტელექტუალური და ემოციური ერთმანეთს ერწყმის ფსიქოლოგიური ამალგამის სახით.

მეჯნურის ემოციური სტატუსი იმდენად გამსჭვალულია პიროვნულით, რომ ჩემი აზრით, შესაძლებელია მასზე, როგორც ინტელექტუალურ გრძნობაზე მსჯელობა. უკანასკნელისათვის დამახასიათებელია არა ჰედონური პრინციპი გრძნობათა ორვექტორულობით (სასიამოვნო-უსიამოვნო), არამედ—გრძნობათა ერთვექტორულობა: მხედველობაში მაქვს ამამაღლებელი, გამამხნევებელი დამამშვიდებელი, აგრეთვე შემოქმედებითად ამაღელვებელი გრძნობები.

რუსთაველის მიხედვით, ემოციური გამოვლინებანი უფრო ადვილად ექვემდებარება ზეგავლენას, და თვით ფსიქიკური ტკივილიც ადვილად მოიხსნება, როდესაც ადამიანს ეძლევა აქტიური მითითება: ისწრაფვოდეს და მოქმედებდეს. ქმედითმა პროგრამამ შეიძლება გადაატანინოს ადამიანს არა მარტო ჩვეულებრივი დარდი, არამედ ორმაგი ტანჯვაც.

უფრო მეტიც, დებულება, რომ შრომა და ქმედითობა წარმოადგენს საუკეთესო მეთოდს დეპრესიის მკურნალობისათვის, თანამედროვე ფსიქონევროლოგიისათვის აქსიომალურია.

პიროვნულის ემოციაზე აქტიური ზემოქმედების ბრწყინ-

ვალე მაგალითად უნდა ჩაითვალოს ავთანდილის განწყობა და მისი საბოლოო გადაწყვეტილება იყოს ბოლომდე მტკიცე.

როდესაც ავთანდილი მიემართება ზღვისპირით, ის მთლიანად შეპყრობილია აზრით—როგორმე მიაგნოს ნესტანის კვალს. მას, რასაკვირველია, თინათინის უსაზღვრო სიყვარული სწვავს და ამოქმედებს, სხვა ყველაფერი შხამზე უმწარესია.

მაგრამ ავთანდილი კონტროლს უწევს თავის ემოციურ მდგომარეობას; მან კარგად იცის, რომ სხვა გზა არ არის. სასოწარკვეთილ და სუსტსულოვნების გზას, პირიქით, შეუძლია მრავალი ჭრილობის მოყენება.

თინათინის და ნესტან-დარეჯანის, ამ შესანიშნავი ქალების გარდა შოთა რუსთაველი იძლევა ისეთი ქალების ბრწყინვალე აღწერას, რომელთა ემოციური ქცევა შორს დგას მოვალეობისა და მაღალი მორალის მოთხოვნებისაგან. ამ შემთხვევაში ქცევა არ ისაზღვრება უმაღლესი პიროვნული რეგისტრებით და ბატონობს გრძნობა.

პიროვნული რეგისტრის და სიყვარულის ემოციის ფსიქოდინამიკური ურთიერთგავლენის პრობლემის ანალიზის დროს განსაკუთრებით საინტერესოდ მიმაჩნია. განწყობილი შიშის ემოციის ფსიქოლოგია.

ნორმაში შიშის ემოციის შედეგად პიროვნება ინვალიდდება, პიროვნებისეული ხერხემალი ტყდება, ადამიანის ქცევა და მოქმედება მხოლოდ თავდაცვის და პიროვნული კეთილდღეობის შენარჩუნების წვრილმანი მოსაზრებებით განისაზღვრება.

შიშის ფსიქოლოგიის შესახებ რუსთაველი იძლევა ღრმა ფსიქოლოგიური ცოდნით გამსჭვალულ მითითებებს.

ავტორი აღწერს ვითარებას (ავთანდილი ანადგურებს მეკობრეებს), როდესაც შიში ხდება სიყვარულის წყაროდ. რასაკვირველია, სიყვარულს ვგულისხმობთ ბრჭყალებში. გასაგებია, რომ აქ საქმე გვაქვს არა სიყვარულის ემოციასთან, არამედ შიშისაგან დაძაბუნებულ პიროვნებასთან.

რუსთაველის თანახმად, პიროვნება შიშის კორექციას უნდა ახდენდეს.

ძმადნაფიცობის პიროვნული ფსიქოლოგიის შესახებ

ადამიანებს შორის ღრმა და უანგარო ძმური სიყვარული ანუ ძმადნაფიცობა წარმოადგენს მეგობრობის, ჰუმანური ურთიერთობის და სამაგალითო კაცთმოყვარეობის უმაღლეს ფორმას.

როგორც ფსიქოლოგიური ცნება, ის ასახავს პიროვნების ყველაზე კეთილშობილურ სურვილებსა და ტენდენციებს. ძმადნაფიცი წმინდად ინახავს ნაკისრ მორალურ ვალდებულებას: ის მზად არის ყოველ წამს და ყოველგვარ ვითარებაში სიცოცხლე გასწიროს მეგობრისათვის.

სიტყვის მიცემა სამუდამო დაძმობილებაზე, ეს არა მარტო მოქალაქეობრივი აღთქმაა ან მეგობართა შორის მორალური ხელშეკრულება, არამედ ამით პიროვნება გადაირთვება მოქმედების განსაკუთრებულ მოდუსზე, მოვალეობაზე ახალი წარმოდგენებით. ამოცანები, რომლებიც წამოიჭრება ძმადნაფიცის წინაშე, უკიდურესად დიდი და კეთილშობილურია, მაგრამ ამავე დროს უსაზღვროდ პასუხსაგები.

ძმადნაფიცობა ადამიანისაგან მოითხოვს მაქსიმალურ აქტივობასა და თავდადებას.

რუსთველოგიური კვლევით დადგენილია, რომ ძმადნაფიცობა წარმოადგენს ხალხთა მეგობრობის ზოგადსაკაცობრიო პრობლემის კერძო ცნებას, რომელიც სოციალურ და სოციალურ-ფსიქოლოგიურ კვლევასთან არის დაკავშირებული.

მე მაინტერესებს ძმადნაფიცობის კერძო, ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური მხარე პერსონალისტური პოზიციებიდან.

ძმადნაფიცობა გმირობაა, ამიტომ უმაღლესი პიროვნული წარმოდგენებით უნდა ვხელმძღვანელობდეთ.

მხნეობა და ფსიქიკური ჰარმონია ძმადნაფიცობისათვის ქმნის ძირითად ფსიქოლოგიურ ფონს.

ყოველი ძმადნაფიცი თავისთავად ძლიერი და კეთილშობილია, მაგრამ როდესაც ისინი ერთად მოქმედებენ, მაშინ სიდიადე ძმადნაფიცებისა და მათი ფსიქოფიზიკური შესაძლებლობანი უსაზღვროა. ძმადნაფიცობის ცნების ფსიქოლოგიური არსი იმაში მდგომარეობს, რომ ძმური მეგობრობით გაერთიანებული პიროვნებანი უძლეველნი არიან: „აქედან, მეგობრობა როგორც ფიზიკური, ისევე მორალური გამარჯვების წყარო და საწინდარია.

პოემაში სამი რაინდის ძმადნაფიცობა გვევლინება როგორც ადამიანთა ურთიერთობაში პიროვნული ჰარმონიის მაგალითი.

პოემაში ვხედავთ, რომ სიყვარულის უმაღლესი ემოციები მეგობრობის, ძმადნაფიცობის შემაკავშირებელი რგოლია, ამასთან ყოველ ლითონზე უფრო მაგარი რგოლი. ამიტომაც გრძნობენ განსაკუთრებულ წუხილს, როცა მეგობარი ტოვებს მეგობარს.

პიროვნული სიყვარულის მნიშვნელობის როლი მეგობრობისათვის დაუფასებელია. სიყვარული არა მარტო აკავშირებდა, ამხნევებდა, გზას აძლევდა რუსთაველის გმირებს, არამედ უძლეველ ფიზიკურ და ფსიქიკურ ენერგიასაც აღუგზნებდა მათ. სწორედ მეგობრული სიყვარულის წყალობით გაუძლეს გმირებმა მრავალი ბრძოლისა და შეტაკების ეპოპეას და გადარჩნენ.

ეხება რა თავის და ავთანდილის თავგადასავალს, ტარიელი ხაზს უსვამს რომ საჭირო არ არის ამბის გრძლად თხრობა, და საქმის კეთილად დაგვირგვინებას ისინი უნდა უმადლოდნენ სიყვარულს.

მეგობრის სიყვარული, მისთვის დახმარების აღმოჩენა, აი, ძმადნაფიცობის კრედო „კაცთა მოყვრისა გაწირვა“, ამბობს ავთანდილი, „არ მოუხდების, არ, ავად“.

ხაზგასმული იყო, რომ ძმადნაფიცობა, როგორც ფსიქოლოგიური ცნება, დაკავშირებულია რაინდთა პიროვნულ მოქმედებასთან.

პოემაში მოცემულია ქალთა ტიპები, რომლებიც ხასიათდება ძლიერი პიროვნული თვისებებით და მაღალი წარმოდგენებით მოვალეობასა და მორალზე.

მეგობრობის გრძნობა და ძმური სიყვარული აერთიანებს ავთანდილსა და ტარიელს. მაგრამ სიყვარულისა და მეგობრობის ასეთივე გრძნობები ახასიათებთ ნესტანსა და თინათინსაც. თუმცა აღნიშნულმა მეგობრობამ თინათინსა და ნესტანს შორის მიიღო რეალური გაფორმება მხოლოდ ეპოპეის გამარჯვებით დაგვირგვინების შემდეგ, როცა ისინი შეხვდნენ და გაეცნენ ერთმანეთს. თინათინსა და ნესტანს შორის იმდენად ძლიერი და ღრმა მეგობრობა დამყარდა, რომ მათთვის ძნელი შეიქმნა განშორება.

მართლაც თინათინი და ნესტანი დაკავშირებული არიან სიყვარულისა და ურთიერთგაგების გულწრფელი გრძნობებით და ისინი დები გახდნენ. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ნესტანისა და თინათინის პიროვნული დამოკიდებულება არ შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ მათი პირადი ნაცნობობის პერიოდით და მას ქრონოლოგიურად ვერ მივაკუთვნებთ მხოლოდ ეპოპეის დასასრულს. ამგვარი დასკვნა არ შეიძლება გამართლებული ყოფილიყო ბრძოლებისა და ძიებათა ხანგრძლივი ისტორიის ფსიქოლოგიური სვლებით, როდესაც თინათინი არა მარტო ფორმალურ თანხმობას, არამედ საბრძოლო დავალებას აძლევს ავთანდილს, რათა დაეხმაროს ტარიელს ნესტანის პოვნაში. ეს ფსიქოლოგიურად უკვე მეგობრობის დამყარებად მიმაჩნია.

ეს მეგობრობა სიძლიერით, სილრმითა და დაძაბულობით, ისევე, როგორც თავისი მორალური შინაარსით, მიმდინარეობს პიროვნული რეგისტრების უმაღლეს დონეზე და თამამად შეიძლება რაინდთა დაძმობილებას გავუტოლოთ.

„ძმადნაფიცობის". პრობლემასთან ერთად, საკითხის წამოჭრის თვალსაზრისით, ვფიქრობ, შეიძლება დაისვას პრობლემა —დადნაფიცობისა. შემოქმედებითი აზრის მიმართვა ამ მხრივ მოკლებული არ იქნება ფსიქოლოგიურ ინტერესს.

ამგვარი ძიება გამართლებულია თვით პოემის დედააზრით. რუსთაველი დაწვრილებით ჩერდება პიროვნულ-ემოციურ მეგობრობაზე არა მარტო მამაკაცთა და დედაკაცთა შორის, არამედ ქალსა და კაცს შორისაც. უკანასკნელ შემთხვევაში, სიყვარულის ფორმა აყვანილია ადამიანის ფსიქიკის ყველაზე მაღალ რეგისტრებამდე და სავსებით ექვივალენტურია დისა და ძმის უწმინდესი გრძნობებისა.

მამაკაცსა და ქალს შორის მეგობრობის პიროვნული მოდუსის ჩამოყალიბება განსაკუთრებით მაღალი სოციალური შეფასებისა და გულწრფელი მორალური აღტაცების ღირსია.

პოემა გვარწმუნებს, რომ ასმათი ჭეშმარიტად ღვიძლი მორალური დაა არა მარტო ტარიელისა, არამედ მოვლენათა განვითარების პროცესში იგი ასეთივე ღვიძლი და ხდება ავთანდილისთვისაც.

ასმათი შეპყრობილია რაინდთა პიროვნული ემოციებით, იგი არა მარტო ცხოვრობს ამ განცდებით, არამედ იწვის ამ მიზნებისათვის. ასმათი ინაწილებს რაინდთა მწუხარებასა და უბედურებას და ასევე აღფრთოვანდება მათი გამარჯვებითა და სიხარულით.

ასმათს ღვიძლი მებრძოლი დის ყველა თვისება გააჩნია. უფრო მეტიც, მისთვის მეგობრობას ღრმა აზრი აქვს, თვლის მას მაღალი მორალურ-სოციალური და ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური შინაარსის შემცველ სპეციფიკურ ადამიანურ მოთხოვნილებად.

რუსთაველმა გენიალურად წამოაყენა და სათანადოდ განავითარა ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულების პრობლემები, საფუძვლად დაუდო მას სიყვარულის, კეთილშობილებისა და მეგობრობის პრინციპები.

ჰუმანიზმის პირველი იდეების გარიჟრაჟზე რუსთაველმა გაამდიდრა ადამიანის აზროვნება ახალი წარმოდგენებით ადამიანთა შორის ჭეშმარიტი მეგობრობისა და სიყვარულის შესახებ.

ფსიქოფიზიკურ კორელაციათა ზოგიერთი საკითხის შესახებ

გენიალური მოაზროვნის შემოქმედებას ახასიათებს მარადიული ინტერესი მის მიერ წამოყენებული პრობლემისადმი.

მაგრამ არის მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი თავისებურება. მხედველობაში მაქვს გენიოსის შემოქმედებითი წინასწარგანჭვრეტა, როდესაც თავისი დროის ცოდნის ყოველმხრივი აღქმით და საგანთა და მოვლენათა არსში შემოქმედებითი ინტუიციური ჩაწვდომით იგი აყენებს ისეთ პრობლემურ საკითხებს, რომლებიც დასაბამს აძლევს ძიების ახალ, მანამდე უცნობ უბნებს და რომლებიც კვლევითს განხორციელებას პოულობს მრავალი წლის (ზოგჯერ საუკუნეთა) შემდეგ.

შოთა რუსთაველის გენია არა მარტო წამოჭრის და გარკვეულად წყვეტს მარად ცოცხალ პრობლემებს, არამედ სახავს ახალ საკვლევ პრობლემებსაც. ამ მხრივ უფლებას მივცემ ჩემს თავს შევჩერდე ზოგიერთ საკითხზე, რომელთაც კავშირი აქვთ სამედიცინო ფსიქოლოგიასა და ფსიქოპათოლოგიასთან.

პოეტი ამით ხაზს უსვამს, რომ საჭიროა ექიმს მოვუყვეთ ავადმყოფობის შესახებ, ანუ მართებული მკურნალობისათვის აუცილებელია, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ ზუსტი ანამნეზი. ამავე დროს საკითხის უფრო ღრმად განხილვისას ნათელი ხდება, რომ რუსთაველს მხედველობაში არა აქვს ჩვეულებრივი ანამნეზური ცნობები. ექიმს უნდა მოვახსენოთ, „რაცა სჭირდეს“ ანუ აუცილებელია ავადმყოფმა გაუხსნას ექიმს თავისი სუბიექტური სამყარო.

პოემის კონტექსტიდან ადვილად ვგებულობთ, რომ ავტორს მხედველობაში აქვს ფსიქოლოგიური (ფსიქიკური) და არა ფიზიკური გაჭირვება. ამიტომ ექიმისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ავადმყოფის სუბიექტურ განცდათა ანალიზს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფსიქოლოგიურ ანალიზს.

მთელი თანამედროვე თეორიული და პრაქტიკული ფსიქოპათოლოგია დაფუძნებულია სულიერ აშლილობათა სუბიექტური და ობიექტური გამოვლინების ფსიქოლოგიურ ანალიზზე. როგორც ვხედავთ, ფსიქოლოგიური ანალიზის საწყისები შორეულ წარსულშია.

დაკვირვება და ანალიზი შეადგენს იმ მეთოდურ გზებს, რომლებითაც სარგებლობს სულის გენიალური მცოდნე ადამიანის სუბიექტური (ფსიქიკური) სამყაროს შინაარსისა და კანონზომიერებათა არსში ჩაწვდომისათვის. პრობლემებისადმი სწორი მიდგომა და

ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნა საშუალებას აძლევს რუსთაველს არ განაცალკევოს სულიერი და ფიზიკური (ფიზიოლოგიური) და დასვას ფსიქოფიზიკური კორელაციების, ურთიერთკავშირებისა და დინამიკური ურთიერთმოქმედების პრობლემური მნიშვნელობის საკითხი.

მორალური აღტკინებისა და განდიდების ყოველ საფეხურს თავისი ფიზიოლოგიური წინამძღვრები აქვს. არც ერთ ადამიანს არ ძალუძს მოწყდეს „მიწიერ" მოთხოვნილებებს.

პოემაში სათანადო ადგილი ეთმობა ადამიანის სომატიკას, ადამიანისა, რომელიც, თანახმად რუსთაველისა, ადამის, თავისი წინაპრის, შვილია და აღვსილია ადამიანური მიზიდულობებით და კვების ინსტიქტით.

დებულება სომატიკურისა და ფსიქიკურის მთლიანობის შესახებ თავის ძალას ინარჩუნებს ადამიანის სიცოცხლის მთელ ონტოგენეზურ პროცესში. თუმცა, თანახმად ავტორისა, ჰარმონია და პროპორცია ფიზიკურსა და ფსიქიკურს შორის ირღვევა სიბერისას.

ფიზიკური თანდათან კნინდება; ფსიქიკური შესაძლებლობანი ჭკნება უფრო მოგვიანებით და ადამიანი ჯერ კიდევ არ კარგავს მომავლისათვის პასუხისმგებლობის გრძნობას; ჩნდება ზრუნვა თავისი მუშაობის პერსპექტივაზე; ზრუნვა ოჯახისა და მისი წევრების მომავალზე და ა. შ.

ყოველივე აღნიშნული, უეჭველად, მნიშვნელოვანია, თანამედროვე სამეცნიერო კვლევითი უბნისათვის, რომელსაც გერონტოლოგია და გერიატრია ეწოდება და ეხება დღევანდელი დღის მაკროსოციოლოგიის ზოგად და კერძო საკითხს.

პოემაში აღძრული საკითხი მოქნილი და მკვრივი სხეულის ანუ მისი დინამიკურობისა და პლასტიკურობის შესახებ შეიცავს მოვლენის როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქიკურ მხარეს და ეხება ფსიქოფიზიკურ კორელაციათა საკითხს.

ჩვენს დროში წერენ ფსიქოლოგიური და მედიკამენტური ფსიქოთერაპიის შესახებ. მხედველობაშია ფსიქოთერაპიული ზემოქმედება, როგორც სიტყვის, ისე სამკურნალო პრეპარატის საშუალებით. უფრო მეტიც, უკანასკნელ 10—15 წლის განმავლობაში შეიქმნა დამოუკიდებელი მედიკურ-ბიოლოგიური უბანი, რომელსაც ფსიქო ფარმაკოლოგია ეწოდება. იგი აწარმოებს თეორიულ და პრაქტიკულ ძიებას, რათა მოიძებნოს ისეთი სამკურნალო საშუალებანი, რომლებიც უშუალოდ იმოქმედებს ცალკეულ ფსიქიკურ ფუნქციებზე. ამ მიმართულებით, უკვე პრაქტიკულად არის განხორციელე-

ბული ფსიქოზების დროს დეპრესიულ მდგომარეობათა მკურნალობა სამკურნალო პრეპარატებით. ამ კვლევას უშუალო კავშირი აქვს ფსიქოფიზიკურ კორელაციათა პრობლემასთან.

ამრიგად, ფორმულა „სულის წამალი" ალსავსეა ღრმააზროვანი შინაარსით და უეჭველად, გენიალური განჭვრეტაა იმისა, რაზეც მუშაობს თანამედროვე კვლევითი აზრი.

სისხლის მიმოქცევის ფიზიოლოგიასა და პათოლოგიაში გულის მუშაობას ცენტრალური და წამყვანი ადგილი უჭირავს.

ცნება სიკვდილისა დაკავშირებულია გულის გაჩერებასთან, გულის ცემის შეწყვეტასთან.

ქართველ ხალხს საუკუნეებით განსაკუთრებული წარმოდგენა აქვს გულზე, რაც დასტურდება იმ გარემოებით, რომ სიტყვა „გულს" ქართულ ენაში აქვს განსაკუთრებით მდიდარი სემანტიკური წარმონაქმნები.

სიტყვა „გულის" მეშვეობით ქართული ენა გადმოსცემს სულ სხვადასხვაგვარ ფსიქოლოგიურ ფუნქციებს.

ეს მონაცემები შექმნილია თვით ხალხის მიერ. მოკლებული არ იქნება აქტუალურ ინტერესს გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებაში ფსიქიკური ფაქტორების როლის დაზუსტება.

ფსიქოსომატიკურ ურთიერთდამოკიდებულებათა კლინიკის პრობლემაში ყურადღებას იპყრობს სიტყვა „გულიდან" წარმოქმნილი სიტყვების, გამოთქმების წარმოდგენებისა და ცნებების სემანტიკური ანალიზი.

ქართველი ფსიქოლოგის ა. ფრანგიშვილის მიხედვით, სიტყვა „გულისა" და მისი წარმონაქმნების მეშვეობით ქართული ენა გამოხატავს ცალკეულ ფუნქციებსა და რთულ მოვლენებს, რომელთაც კავშირი აქვთ ემოციის, ყურადღებისა და ინტელექტის სფეროებთან.

საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ჩვენ, რა თქმა უნდა, ფსიქოლოგიურ ტერმინებსა და ცნებებს არ ვუკავშირებთ გარკვეულ სოციალურ კატეგორიებს. ქართული ენის ლექსიკა განსაკუთრებით მდიდარია. ხშირად ვხვდებით სინონიმებს. საჭიროა მივუთითოთ ცალკეულ შემთხვევებზე, სადაც სინონიმურ განსაზღვრებებს საფუძვლად უდევს სიტყვა „გული", ასე მაგალითად, „გულჩვილი". („ლმობელი"), „გულშემატკივარი" (დ. ჩუბინაშვილით.).

პოემაში წამოყენებული დებულებანი მიუთითებენ გარკვეულ კავშირზე გულსა და ასთენიურ (უსიამოვნო) განცდებს შორის: ლაპარაკია სულიერ ტკივილზე, გულის ბოღმაზე, გულის ჭრილობებზე. აქ გული და სულიერი წარმოდგენილია როგორც ერთი

მთლიანი ფსიქოდინამიკური პროცესი. გასაგებია, რომ ასთენიური ემოცია წმინდა სულიერი პროცესია, რომლის დროს გულის მნიშვნელობა ხაზგასმულია როგორც მეტად მგრძნობიარე ორგანოსი, რომელიც იძლევა უსიამოვნო ფიზიკურ შეგრძნებებს.

ასთენიურ განცდათა სიღრმე ავტორის მიერ გადმოცემულია გულის შეგრძნების საშუალებით. ბოღმის, მწუხარების და, საერთოდ, უბედურების ემოციებიც გადმოცემულია გულის შეგრძნების საშუალებით.

ბოღმის, მწუხარების და, საერთოდ, უბედურების ემოციური მდგომარეობის გადმოცემისათვის ფიზიკურ-ფიზიოლოგიური საშუალების გამოყენების ხერხი მეცნიერულად არის გამართლებული.

თანამედროვე ფსიქოპათოლოგიამ და ფსიქოლოგიამ კარგად იცის, რომ დაბოღმიანებისა და მწუხარების დროს (იქნება იგი ფიზიოლოგიური თუ პათოლოგიური) როგორც წესი, ადგილი აქვს არასასიამოვნო შეგრძნებათა აღღერებას გულის მხრივ (სიმძიმე გულის არეში „ლოდი გულზე" და ა. შ.).

რუსთაველის წარმოდგენით, ფსიქიკურმა ტკივილმა (მწუხარება, დარდი), შეიძლება მიიღოს ფსიქოლოგიური დარდის ხასიათი, რომელიც გულს მრავალ ჭრილობას მიაყენებს.

რუსთაველის მითითებანი გულის შეგრძნებათა როლის შესახებ როგორც დეპრესიის ფიზიკური კორელატისა, სრულ აღიარებას პოულობს თანამედროვე ფსიქოპათოლოგიაში.

უფრო მეტიც, დეპრესიისა და გულის მხრივ, შეგრძნებათა ურთიერთკავშირის თვალთახედვით, ისახება შემდგომი მნიშვნელოვანი კვლევები ფსიქოპათოლოგიის დამოუკიდებელი შემოქმედებითი დარგის სახით, რომელსაც მე ეუწოდებ პალეოფსიქოპათოლოგიას.

დედაკაცისა და მამაკაცის პიროვნული ფსიქოლოგიის ერთიანობის შესახებ

უეჭველია, როგორც რუსთაველის ეპოქაში, ისე მის შემდეგაც, ყოველი საღად მოაზროვნე ადამიანი ნათლად ერკვევა, რომ მამაკაცი და დედაკაცი ერთმანეთისაგან განსხვავდება თავისი ფსიქოლოგიური თავისებურებებით. ცალკეული სქესის წარმომადგენლისათვის მათი ქარაქტეროლოგიური თავისებურებანი შეადგენენ როგორც სიამაყეს, ისე მშვენებას.

თანასწორობის პრობლემა უნდა განვიხილოთ სოციალურ-ფსიქოლოგიურ ასპექტში, როდესაც ორივე სქესი თავის სურვილებ-

ში, მისწრაფებებში, ტენდენციებში, მოთხოვნილებებსა და ზოგად განცდებში ხელმძღვანელობს პიროვნული ცნებებით ადამიანის შრომის, მოვალეობის, მორალისა და სინდისის შესახებ.

სწორედ ამ თვალსაზრისით არის წამოჭრილი პოემაში პრობლემა ერთიანობისა და თანასწორუფლებიანობის შესახებ.

ეპოპეის მთელი მსვლელობა მიუთითებს, რომ მისი ყველა გმირი—მამაკაცი თუ ქალი, უმაღლესი პიროვნული თვისებების მატარებელია და წარმოადგენს სრულყოფილი ადამიანის (მოვალეობა, მორალი, სინდისი) გარკვეულ მაგალითს. ერთგულება, მიზნისათვის თავდადება და მამაცობა შეადგენს ასმათის პიროვნულ თავისებურებებს, რომლებიც ისევე მყარი და დაუმარცხებელია, როგორც ავთანდილისა და ტარიელის მისწრაფებანი და სურვილები.

ასმათი სიკვდილამდე ერთგულია ტარიელისა. ამავე დროს, იგი მზად არის წმინდად შეინახოს რაინდის საიდუმლოება.

კვლავ მინდა ხაზგასმით აღვნიშნო: თინათინის, ნესტანისა და ასმათის პიროვნული განცდები ისევე სულით ძლიერი, მაღალმორალური, სულგრძელი და კეთილშობილურია, როგორც ავთანდილის, ტარიელისა და ფრიდონისა.

ამაშია პოემის გმირ ქალთა და მამაკაცთა შორის ფსიქოლოგიური თანასწორობა და ერთიანობა.

პიროვნულ თავისებურებათა ღრმა ფსიქოლოგიური ანალიზის საშუალებით რუსთაველი ბრწყინვალედ ამტკიცებს ქალთა და მამაკაცთა თანასწორობას, მათი იდეების ჰუმანურ შინაარსსა და პროგრესულობას.

პიროვნული ფსიქოლოგია როგორც ზოგადსაკაცობრიო პრობლემა

რუსთაველი როგორც გენიალური შემოქმედი ფსიქოლოგი ეხება ყველაზე რთულსა და არსებით, სოციალურ ფსიქოლოგიურ პრობლემებს. იგი თითქოს გეოლოგიური წერაქვით გადაგვიშლის და აღმოგვიჩენს სულ სხვადასხვაგვარ გამოვლინებათა გენეზის, ჩამოყალიბების ონტოლოგიური ბუნებისა და საზოგადოებრივი ღირებულების საკითხს.

რუსთაველის ფსიქოლოგიურ შემოქმედებითს ძიებაში ცენტრალური ადგილი უჭირავს პიროვნულ ფსიქოლოგიას, რომელიც პოემაში წამოყენებულია როგორც ზოგადსაკაცობრიო პრობლემა.

ადამიანის პიროვნების ძირითადი თვისებებია ცნებები მოვა-

ლეობის, მორალისა და შრომის შესახებ. თანახმად რუსთაველისა, ადამიანი ვალდებულია სათუთად და წმინდად ატარებდეს ამ სპეციფიკურად ადამიანურ თავისებურებებს, დაძაბულად ემსახურებოდეს მათ და ყოველდღიურად ხელმძღვანელობდეს თავის მოღვაწეობაში.

არის რა პიროვნული სიყვარულის აპოლიგეტი, რუსთაველი ავითარებს თეზისს, რომ სიყვარული მოვალეობისა და მორალის წყაროც არის და შედეგიც. უფრო მეტიც, პრაქტიკაში სიყვარულს, როგორც ადამიანის მორალის უმაღლეს გამოვლინებას, აქვს თავისი ასახვა: ერთსა და იმავე დროს სიყვარულით იწყება ადამიანის ყოველგვარი საქმიანობა და მითვე მთავრდება, აღნიშნულ ფსიქოლოგიურ დეტალს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის საზოგადოებრივ-შრომით მოღვაწეობაში. სავსებით მართებულია, რომ ყოველ შრომითს რეაქციას თან უნდა ახლდეს გატაცება და სიყვარული; შრომის შედეგები ადამიანს ანიჭებს თავისი საქმით კმაყოფილებისა და სიყვარულის გრძნობას.

ირკვევა, რომ სიყვარული არის დასაწყისი და დასასრული ამაღლებული და კეთილი გამოვლინებებისა, რომლებიც შესაძლებელია გამომჟღავნდეს ადამიანში. თანახმად რუსთაველისა, პიროვნება მოწოდებული და ვალდებულია ხელმძღვანელობდეს ცნებებით მოვალეობისა და მორალის (სიყვარულის) შესახებ და მუდამ იყოს აქტიური შრომითს საქმიანობაში.

შრომითი მოღვაწეობა არის ის ბრძმედი, რომელშიც ისახება, ვითარდება, იწრთობა და ყალიბდება ადამიანის პიროვნება.

შრომა ადამიანისათვის არა მარტო მოვალეობა და მოთხოვნილებაა; იგი როგორც მისი სპეციფიკური თავისებურება, წარმოადგენს მისთვის სიხარულს და მშვენებას, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის სიცოცხლის აზრს, დანიშნულებასა და შინაარსს.

თავს ნებას მივცემ გავაკეთო რამდენიმე ზოგადი ხასიათის შენიშვნა.

შრომა არა მარტო დასაწყისია ადამიანის სულიერი და ფიზიკური ჯანმრთელობისა, არამედ წყაროა მატერიალური კეთილდღეობისა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ტალანტის მქონე ადამიანი ბევრს და დაძაბულად მუშაობს თავის თავზე.

თუ ეგრეთ წოდებული ნიჭიერი ადამიანი ზარმაცია, ის ორმაგად ღირსია საზოგადოებრივი გაკიცხვისა, ვინაიდან იგი მარხავს ბუნებრივ სიმდიდრეს, რისი მორალური უფლებაც არა აქვს.

ნიჭიერების ცნება არაფრით არ ეგუება წარმოდგენას სიზარმაცეზე. ნიჭით აღსავსე არ შეიძლება ზარმაცი იყოს. თავის მხრივ შრომით შემოქმედებითი გატაცება უეჭველად გარკვეული ტალანტის არსებითი ნიშანია.

შემოქმედი პიროვნებისათვის ძირითადი ამოცანაა მიზნის ღირსეულად მიღწევა.

რუსთაველი ავითარებს აბსოლუტური სიკეთის იდეას და მის გამარჯვებას ბოროტებაზე. ავტორი პიროვნების წინაშე სვამს ამოცანას — ირწმუნოს უსაზღვრო სიკეთე და იხელმძღვანელოს ამ იდეით.

მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ არავითარი ემოცია, თუნდ სიკეთის რწმენაც, არ შეიძლება მოქმედი პრინციპი გახდეს, თუ არ განმტკიცდება პიროვნების წარმოდგენებით მოვალეობასა და მორალზე.

როცა აფექტის მდგომარეობაში პიროვნული ორდინაცია იხსნება, მაშინ ადამიანი თავისი რეაქციით მხეცს ემსგავსება.

როგორც ვხედავთ, ყველასათვის და ყოველგვარ მდგომარეობაში აუცილებელია პიროვნების ცენზურა, მისი წარმმართველი და მაკონტროლებელი როლი.

განუმეორებელი მხატვრული ხერხით და ამავე დროს განსაკუთრებული დამაჯერებლობით რუსთაველი გვიჩვენებს, რომ შრომის, მოვალეობის, მორალისა და დიდსულოვნების ცნება ადამიანის ყველაზე დამახასიათებელი (სპეციფიკურად დამახასიათებელი) თვისებურებაა.

ამით რუსთაველის გენიის მიერ ჯერ კიდევ XII საუკუნეში მთელი სიღრმით დასმულია პიროვნების პრობლემა.

ნაჩვენებია პიროვნული სრულყოფისადმი მისწრაფების სიდიდე; პოემაში ფართოდ არის მოყვანილი პიროვნული აბერაციები.

პიროვნების პრობლემა მუდმივი და უკვდავია, როგორც ფსიქიკური აპარატის არსი (მისი ბუნების, შინაარსის კანონზომიერების მექანიზმების) და მისი ონტოგენეზურად უმაღლესი ფსიქოდინამიკური დონის საკაცობრიო ფსიქოლოგიური პრობლემა.

უფრო მეტიც, პიროვნება წარმოადგენს აგრეთვე მარადიულ ზოგადსაკაცობრიო სოციალურ-ფსიქოლოგიურ პრობლემას იმდენად, რამდენადაც ისმება ადამიანის ადგილის, მნიშვნელობისა და დანიშნულების საკითხები.

აღნიშნული პრობლემები და მათთან დაკავშირებული საკითხები ცოცხალ მეცნიერულ და პრაქტიკულ ინტერესს წარმოადგენს

ჩვენს დროში, როდესაც მაკრო-მიკროსოციოლოგიური საკითხების ფსიქოლოგიური ასპექტი იზიდავს მკვლევართა ფართო წრის აქტიურ შემოქმედებით ყურადღებას.

პერსონოლოგიური გამოკვლევის საფუძველზე დადგენილად ითვლება, რომ პიროვნების სპეციფიკური თავისებურებანი: — შრომა, მოვალეობა და მორალი—არ წარმოადგენს ერთიმეორისაგან გათიშულ ცნებებს. პირიქით, მოქმედ პიროვნებაში მითითებული სამი კატეგორია ურთიერთდაკავშირებულ ჰარმონიაში მყოვანდება, ერთიმეორეს განაპირობებს.

შრომის მოთხოვნილება ადამიანში ქმნის სოციალურ-ფსიქოლოგიურ მიმართულებას, რის საფუძველზეც გამომუშავდება ადამიანის მორალური კრედო.

თავის მხრივ, მორალური განწყობა, როგორც მძლავრი ფსიქოდინამოგენეზი, აღაფრთოვანებს და დადებითად განაწყობს პიროვნებას შრომისათვის.

შრომა და მორალი მოუწოდებს ადამიანს თავის გადაწყვეტილებაში, მსჯელობაში, შეფასებაში, მოქმედებასა და ქცევაში იხელმძღვანელოს მხოლოდ მოვალეობის გრძნობით.

ამგვარად, პიროვნულ დონეზე შრომის, მოვალეობისა და მორალის კატეგორიები წარმოდგენილია ერთიანი სპეციფიკური ადამიანურ-ფსიქოლოგიური სისტემის სახით.

იქმნება ფონი სიყვარულისა და სიქველის გრძნობის განვითარებისათვის, როდესაც ადამიანი თავის წმინდა მოვალეობად თვლის იზრუნოს სხვაზე და ყოველთვის მზად იყოს დაეხმაროს მას.

მუშაობა, ნაკარნახევი მხოლოდ ინსტინქტური მოთხოვნილებებით, ემსახურება ვიწრო პრინციპს ინდივიდუუმის ან ინდივიდუუმების თვითდაცვისათვის და თვითშენახვისათვის.

აქვე გვსურს შევეხოთ მორალისა და მეცნიერების ურთიერთდამოკიდებულების პრობლემას. გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე პ. მელიქიშვილი აღნიშნავდა, რომ ერთგულება, სიყვარული და პატივისცემა წარმოადგენენ იმ ძირითად ფსიქოლოგიურ თვისებებს, რომელსაც მოითხოვს მეცნიერება.

.გასაგებია, რომ ზემოთქმული თავისებურებანი ადამიანის მორალური კრედოსაგან გამომდინარე პიროვნული კატეგორიებია.

გამიგონია ზოგჯერ, რომ მეცნიერი, რომელსაც დიდი ზნეობრივი სიფრთხილე მოეთხოვება, უარყოფს იმ ურთიერთობას, რომელიც ჭეშმარიტად არსებობს მეცნიერებასა და ეთიკას შორის. ამ დამოკიდებულების უგულებელყოფა არაა სწორი, თუნდაც იმ შემ-

თხვევაშიც, როდესაც მხედველობაში გვაქვს პოზიტიური ურთიერთდამოკიდებულება.

ყოველი შრომა, მათ შორის, მეცნიერულიც, აუცილებლად ითვალისწინებს მაღალ მორალურ თვისებებს და სულიერ სისპეტაკეს. სინანულის ღირსია ის მეცნიერი, ვინც ამ ჭეშმარიტებას ანგარიშს არ უწევს.

უნდა აღინიშნოს. რომ ჰუმანიზმის იდეა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ და მხოლოდ მაღალ პიროვნულ დონეზე.

ჰუმანიზმი ანუ ადამიანობა როგორც სპეციფიკური თავისებურება ძირითადად გულისხმობს ორგვარ დამოკიდებულებას, სახელდობრ, ადამიანის სიყვარულს და პატიოსნებას მოქმედებასა და ქცევაში.

ეს სპეციფიკური თავისებურებანი, ე. ი. სიყვარული და პატიოსნება, წარმოადგენს ფსიქიკური აპარატის უმაღლესი განვითარების შედეგს და აქვს უეჭველად დიდი ფსიქოპროფილაქტიკური მნიშვნელობა და დანიშნულება ადამიანის ცხოვრებაში.

კეთილი და სიყვარულით აღსავსე დამოკიდებულება ადამიანისადმი არა მარტო ხსნის კანიბალიზმის ნიშანს, არამედ ხელს უწყობს ისეთი ფსიქოლოგიური მოდუსის ჩამოყალიბებას, როდესაც უსიამოვნო განცდები ეძლევა დავიწყებას და ადამიანი იხსომებს მხოლოდ დადებითსა და სასიამოვნო განცდებს.

რაც შეეხება პატიოსნების კატეგორიას, აქ საჭიროა ორი მომენტის გახსენება: პირველ რიგში, პატიოსნების საშუალებით ხორციელდება მატერიალური თუ სულიერი სიმდიდრის დაგროვება და მეორე, პატიოსან კაცს სძინავს მშვიდად და იგი მოკლებულია სინდისის ქენჯნას.

აღნიშნულ მომენტებს აქვს ღრმა ფსიქოპროფილაქტიკური აზრი. ამ მხრივ საინტერესოა ანტინომიური თეზისი ერთი ცნობილი მწერლისა „პატიოსნურად მძაგს, მაგრამ გულწრფელად მიყვარს".

შრომას პიროვნულ დონეზე, რომელიც წარმოადგენს ადამიანის უმაღლეს სოციალურ-ფსიქოლოგიურ გამოვლინებას, აქვს უფრო ფართო და შორეული დანიშნულება და არ ისაზღვრება თავდაცვის ინსტიქტით.

პირიქით, ადამიანის შრომითი მოღვაწეობა, ფიზიკური იქნება ის თუ ინტელექტუალური, ანიჭებს მას უდიდეს კმაყოფილებას საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებაში.

შრომითი პროდუქცია ემსახურება არა მარტო ინდივიდუუმის, არამედ მთელი საზოგადოების ფიზიკური და სულიერ-მორალური

კეთილდღეობის საქმეს, ამასთან, შრომის ნაყოფი, როგორც სულიერი და მატერიალური სიმდიდრე, დიდხანს რჩება.

გენიის პროდუქცია კი, როგორც ადამიანური აზრის გიგანტური აღმაფრენა მარადიულია.

მინდა აღვნიშნო კიდევ ერთი ფსიქოლოგიური დეტალი, შრომის, მოვალეობისა და მორალის ადამიანი აღსავსეა კეთილშობილებისა და დიდსულოვნების გრძნობებით: იცის თავისი ადგილი და დანიშნულება ოპტიმისტურად ბედნიერია თავისი ცხოვრებით და თავის სოციალურ შრომითს მოღვაწეობაში პოულობს კმაყოფილებას, ბედნიერებას, აგრეთვე მომავლის რწმენას. შემოქმედებითი შრომა და მოვალეობის გრძნობა შეადგენს იმ სუბიექტურ-ფსიქოლოგიურ პირობებს, რომლებიც შეიძლება ადამიანმა გამოიყენოს თავისი სულიერი ცხოვრების იდეალისა და მიზნის შექმნისათვის, და არა მარტო ფიზიკური არსებობისათვის.

არის სულ საწინააღმდეგო ფსიქოლოგიური სიტუაცია, როდესაც ადამიანი უსაქმურობის, სიზარმაცისა და სიცრუის გავლენაში ექცევა. ამგვარი პიროვნება მოვალეა ისწრაფოდეს შრომისადმი, რომელიც წარმოადგენს სიბილწის, სიმდაბლისა და ადამიანის ყოველი მანკიერების ერთადერთ მძლავრად მოქმედ სამკურნალო საშუალებას. შრომა და მოვალეობა ქმნის ნამდვილ ადამიანს.

შოთა რუსთაველის გენიამ რვა საუკუნის წინათ შექმნა ქარგა, რომელშიც ჩააქსოვა ადამიანთა შესანიშნავი სახეები. მოვალეობისა და მორალის გრძნობებით. ამით მან არა მარტო დაადასტურა, რომ მოვალეობა და მორალი რჩება მუდმივ ცხოველ სოციალურ-ფსიქოლოგიურ თავისებურებებად: რუსთაველი იძლევა მოქმედებათა გეგმას, რისთვისაც უნდა ისწრაფოდეს ადამიანი და რაშიც მდგომარეობს ადამიანის სრულყოფის საზოგადოებრივ-ფსიქოლოგიური შინაარსი.

ჰუმანიზმის, კაცთმოყვარეობის — სხვადასხვა ხალხთა შორის ძმობისა და მეგობრობის იდეა, განვითარებული ე. წ. აღმოსავლეთის რენესანსის განთიადზე, ცხადია მოითხოვდა შესაფერ ფსიქოლოგიურ და სოციალურ-ფსიქოლოგიურ დასაბუთებას.

როგორც ცნობილია, იდეები თავიანთ პრაქტიკულ განხორციელებას პოულობენ რეალურ და კონკრეტულ მაგალითებზე.

რუსთაველის პოემა აღვსილია მუდმივი შემოქმედებითი ინტერესით პერსონოლოგიისათვისაც.

მ. ჯანაშვილი სამართლიანად აღნიშნავს, რომ შოთა რუსთა-

ველს აუცილებლად ჰყავდა თავისი შემოქმედებითი წინამორბედი. მას ხელთ გააჩნდა აგრეთვე გარკვეული ლიტერატურული ნიმუშებიც.

ნიკო მარის მიხედვით, შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანის" ესოდენ დიდი პოპულარობა იმით აიხსნება, რომ იგი ასახავს ქართველი ერის სულიერ სამყაროს და გამოხატავს მის მისწრაფებას. ჩვენის აზრით, ქართველი ხალხის სიყვარული „ვეფხისტყაოსანისადმი" მხოლოდ ამით არ განისაზღვრება. ცნობილია არა ერთი მხატვრული ნაწარმოები, რომელშიც მშვენივრადაა აღბეჭდილი ერის ეთნოფსიქოლოგია, მაგრამ იგი არასოდეს არ გამხდარა ხალხის საზოგადოებრივ-ფსიქოლოგიური ცხოვრების მოდუსი.

ისმის კითხვა: რით უნდა აიხსნას, მართლაც, ის გარემოება, რომ რუსთაველის პოემამ ეროვნული რელიქვიის, კანონისა და სწავლების ხასიათი მიიღო? როგორ მოხდა, რომ მთელი რვაასი წლის მანძილზე ქართველი ერი სწორედ ამ პოემით ხელმძღვანელობდა თავისი ისტორიის ბედნიერებისა თუ ავბედითობის დროს? რაა მიზეზი, რომ იგი ერს მორალურ კოდექსად გადაექცა?

არცთუ ისე ცოტაა მხატვრული ნაწარმოები, რომელიც თავისი ფსიქოლოგიური პრობლემატიკითა და მხატვრულ-ესთეტიკური სიძლიერით ფასდაუდებელ საგანძურს წარმოადგენს კაცობრიობისათვის, მიუხედავად ამისა, ბევრ მათგანს მაინც არ გააჩნია ზოგადფსიქოლოგიური კოდექსის ხასიათი.

ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ინტერესმოკლებული არაა ლ. ფოიხტვანგერის შეხედულებანი, რომლებსაც იგი ავითარებს რომანში „იუდეველთა ომი". იგი შენიშნავს, რომ მსოფლიო ისტორიის მანძილზე სახელმწიფოები იქმნებოდნენ და იღუპებოდნენ: შენდებოდა ციხესიმაგრეები და ტაძრები, მაგრამ ისინიც ასევე ინგრეოდნენ და ა. შ. არაფერი არ იყო მუდმივი, გარდა ერთისა — „კანონი" და „სწავლება" იყო და არის სამარადჟამო.

გასაგებია, რომ ამ შეხედულებას ვერ დავეთანხმებით. მიწაზე აშენებულ და ცისქვეშ არსებულ კედლებს, ციხესიმაგრეებსა და ტაძრებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ყოველი ერის სულიერი სიძლიერის დახასიათებისათვის. ისინი ხომ მატერიალურ ძეგლებს წარმოადგენენ და თავისებური ისტორიული დოკუმენტაციაა. ამასთან ერთად, ისიც უეჭველია, რომ „სწავლებას" ანუ მოძღვრებას დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხთა ფსიქოლოგიისათვის.

რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი" სწორედ ისეთი თავისებური მოძღვრება იყო ქართველი ერისათვის, რომლითაც იგი

ხელმძღვანელობდა საუკუნეების მანძილზე. უნდა აღვნიშნოთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ უდიდესი გავლენა მარტო იმით კი არ იყო გაპირობებული, რომ მასში ზოგადსაკაცობრიო იდეებია ასახული და მხატვრული თვალსაზრისით ხელთუქმნელი შედევრია, ამ პოეზიის უნივერსალური ხასიათი განისაზღვრება იმით, რომ აქ, ისე, როგორც არსად, გენიალურადაა მოცემული პიროვნების შინაარსი, დანიშნულება და მისი მნიშვნელობა. მითითებულია, რომ ყოველი პატრიოტი თავისი ერისა უნდა ხელმძღვანელობდეს პიროვნების ისეთი სპეციფიკური თავისებურებებით, როგორიცაა შრომა, მორალი და მოვალეობა.

პერსონოლოგიური პრობლემები სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედებაში

მეცნიერი, ლინგვისტი, ლექსიკოლოგი, ფილოსოფოსი, მორალისტი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე, მგზნებარე პატრიოტი, დიდი ადამიანი, მოქალაქე, ბრძენი მოაზროვნე. აი ვინაა სულხან-საბა. ასეთი იყო, არის და ასეთად დარჩება იგი ქართული ეროვნული კულტურის ისტორიაში.

სულხან-საბას უხდებოდა მოღვაწეობა მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეთა იმ პერიოდში, რომლის შესახებაც დავით გურამიშვილი გვაუწყებს „ქართლის ჭირსა ვერვინ მოთვლისო“.

ერისათვის ყოველი მტერი მძიმე ასატანი და საშიშია, მაგრამ როდესაც თავისი სისხლი და ხორცი, შუბლი და გული, თავისი აზრი და გრძნობა თავისი მკლავი და მარჯვენა გაჯოჯოხეთდება, ეს ყველა ჭირ-ვარამზე უმძიმესია, როდესაც ადამიანი კარგავს ყველაფერს ადამიანურს და გადაიქცევა მხეცზე უარეს საშინელ სატანად.

ამ პერიოდში სპარსულ-ყიზილბაშური ცხოვრების შედეგად ხალხში ისპობა ეროვნული ტრადიციები, ადამიანი მორალურად ბრმავდება, ნადგურდება და ხდება ხორციელ სურვილთა სრული მონა.

ძარცვასა და მონობის ობიექტურ სიტუაციაში ადვილად იკიდებს ფეხს „დღევანდელობის“ ფსიქოლოგია, როდესაც მომავალზე ფიქრი და ზრუნვა მთლიანად ისპობა, და ადამიანი ფიქრობს მხოლოდ და მხოლოდ დღევანდელ ნეტარებაზე, ვერ გრძნობს მწარე ლუკმას და მოცულია მოხვეჭის სურვილებით... იმდროინდელი პოლიტიკურ-ეკონომიური ვითარება ქმნის, ჰამლეტის სიტყვები რომ ვიხმაროთ, „დროის მორალურ ამოვარდნილობას“. იქმნება დრო,

როდესაც, ვაჟას თქმით, სულს ეკიდება ობი, ხოლო სინდისი ჟანგდება.

თუ რა მორალურ კატასტროფამდე შეიძლება მივიდეს ადამიანი საკმარისია გავიხსენოთ მეჩვიდმეტე საუკუნის გარემოება, როდესაც გამაჰმადიანებულმა ერეკლე პირველმა (ნაზარალიხანად წოდებულმა) ირანის ჯარებით დაიკავა ქართლის ტახტი. ხოლო 1723 წელს ქართლის მეფემ, გამაჰმადიანებულმა კონსტანტინემ ლეკების დახმარებით აიღო და გადაწვა თბილისი.

ასეთ სოციალურ, ეკონომიურ და ფსიქოლოგიურ სიტუაციაში სულხან-საბა ევლინება ერს როგორც მოღვაწე-პატრიოტი. ერის ვარამის მოჭირისუფლე... იგი პირველ რიგში ცდილობს ხალხს გაუღვიძოს მაღალი წარმოდგენები მოვალეობაზე, სიკეთეზე, სიყვარულზე სიმართლეზე. იგი ცდილობს ხალხს გაუღვივოს პატრიოტული გრძნობები, რათა მთელი თავისი ძალითა და ღონით ებრძოლოს უგვანობას და არაკაცობას. იგი მთლიანად ემსახურება დეონტოლოგიის პრობლემებს და ოცნებობს გაამკვრივოს ქართველი კაცის პიროვნება, აღამაღლოს იგი და გახადოს ზნესრული. სულხან-საბა ორბელიანის მოღვაწეობაში და შემოქმედებაში დიდი ყურადღება ერთმობა დეონტოლოგიური ფსიქოლოგიის პრობლემებს. მის შემოქმედებას განსაკუთრებული ინტერესი აქვს თანამედროვე პერსონოლოგიური ფსიქოლოგიისა და ფსიქოპათოლოგიისათვის.

მნიშვნელოვანი მეცნიერული გამოკვლევები სულხანა-საბას ფსიქოლოგიური შეხედულებების შესახებ ეკუთვნის ჩვენს გამოჩენილ ფსიქოლოგს ალექსანდრე ფრანგიშვილს. შალვა ნუცუბიძე კი ამის შესახებ წერს"—ს. ორბელიანმა შეადგინა არა ფილოსოფიური განმარტებითი ლექსიკონი, არამედ ფილოსოფიური ცნებანი ჩართულია საერთო ლექსიკონში, რომელიც ცოდნის ენციკლოპედიის მაგვარია.

საბას ლექსიკონში ისეთი დარგის ცნებათა მასალის შესწავლის ნიადაგზე, როგორიცაა ფსიქოლოგია, მეცნიერებაში გამოთქმულია აზრი, რომ მიუხედავად ფსიქოლოგიურ ცნებათა საერთო ლექსიკონში ჩართვისა, ფსიქოლოგიური შეხედულებანი ს. ორბელიანისა შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ფსიქოლოგიური სწავლების ერთგვარი სისტემა"[15]

ცნობილია, რომ ორბელიანის ქადაგებანი არ წარმოადგენს

---

15 შ ა ლ ვ ა ნ უ ც უ ბ ი ძ ე, ქართული ფილოსოფიის ისტორია. ტომი მეორე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი 1958, გვ. 237.

ორიგინალურ ნაწარმოებს ვიწრო გაგებით... მაგრამ აქ საქმე გვაქვს ისეთი დონის, სიღრმის, მჭევრმეტყველებისა და მიზანდასახულობის ორატორთან, რომ მისი მიმართვა საზოგადოებისათვის იქნებოდა უეჭველად ახალი სიტყვა... სიტყვა ანგარიშგასაწევი, შესასმენი, უყოყმანოდ მისაბაძი, გულთბილად მისაღები და ზნეობრივად ძვირფასი. ამავე დროს აღნიშნულ ნაწარმოებში არის ის, თუ რა აწუხებს ავტორს, რით ცხოვრობს და რას ემსახურება იგი. აქაა მისი სულისთქმა, სინდისის ხმა, გულისნადების გადაშლა და წმინდა მოწოდება, რათა ხალხმა იცნოს თავისი თავი, შეიგნოს და იწამოს სამშობლოსათვის თავდადების აუცილებლობა, „ჰომილისტიკა“ ანუ ქადაგებანი იმ დროისათვის წარმოადგენდა ინფორმაციის ერთ-ერთ აქტიურ გზასა და საშუალებას. ორბელიანი მიუწოდებდა ერს სამშობლოს ჭირი შეუმსუბუქონ და ეროვნული იარა მოუშუშონ.

ქადაგებათა სემანტიკური სპექტრი გაშლილია ენციკლოპედიზმის პრინციპზე; აქ წარმოდგენილია მეცნიერება ლინგვისტიკა, მხატვრული ლიტერატურა, ფოლკლორი, რიტორიკა თეორია და პრაქტიკა. თეოლოგია, ფილოსოფია, ფსიქოლოგია, მორალისტიკა და დეონტოლოგია.

შალვა ნუცუბიძე წერს „ს. ს. ორბელიანი მრავალმხრივი მწერალი და მოაზროვნე იყო; როგორც ასეთი, იგი თვალსაჩინოა მორალური ფილოსოფიის სფეროში, სადაც მას ცხოვრების საკითხები აქვს სააზროვნო თვალსაზრისით განხილული. ამას მიეკუთვნება მისი არაკების მორალური გაგება — ინტერპრეტაცია“[16]. და იქვე: „რა თქმა უნდა ავტორის გონებრივი ვითარებისათვის მნიშვნელოვანია მორალური ფილოსოფის მოტივები და მიზანდასახულობაც და პედაგოგიკური შეხედულებანიც. ისინი არა მარტო არკვევენ ს. ს. ორბელიანის გონებრივი მუშაობის არეს, არამედ თანამედროვე ვითარების ანარეკლს, იდეოლოგიურ ასახვას წარმოადგენენ. ავტორი, ჩანს, მორალურ ფილოსოფიასაც არ უყურებდა გაბნეულად და აქ იმდენად მხილების მიზნები არ ჰქონდა მხედველობაში, რამდენად თანამედროვეებზე ისეთი ზეგავლენა, რაც საბოლოო ანგარიშში, იმავე აღმზრდელობით მიზნებს ისახავდა“.

სულხან-საბას გაგებით ბუნებაში არსებობს კეთილი მიზნობრივობა და კეთილი წონასწორობა. არაკი „მთიელი და კაკლის ხე“ ილუსტრაციაა აზრისა, რომ ყოველ საგანს თავისი ადგილი აქვს, თორემ კაკალი რომ ყოფილიყო ნესვის სიმძიმისა და მოცულობი-

---

16 შ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი. გვ. 236.

სა, იგი ადამიანს თავს გაუჭყლეტდა. ავტორი მიგვითითებს შევიცნოთ ბუნება და პირველ რიგში ჩვენი თავი, რათა საკუთარი მოქმედება ყოველთვის გააზრებულ-მოფიქრებული იყოს.

ილიას წარმოდგენით ორბელიანს უნდოდა ეთქვა: „მე ზღაპარს გეუბნები და სიბრძნეს კი გამცნობო“, ხოლო ჩემი „სიცრუე ნამუსიანიაო“.

სულხან-საბას შემოქმედებაში სიცრუე მხოლოდ ქარგაა, დედააზრი კი ღრმა ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური, სოციოლოგიურ-ფსიქოლოგიური, მორალისტურ-ფსიქოლოგიური და დეონტოლოგიურ-ფსიქოლოგიური ძარღვის მქონეა.

ორბელიანი ისწრაფვის და იღწვის ახალგაზრდობის მორალური სიფაქიზისათვის.

„სიბრძნე სიცრუისა“ თავისი სათაურით, კონსტრუქციითა და შინაარსით ფასდაუდებელ ინტერესს წარმოადგენს პერსონოლოგიური ფსიქოლოგიისათვის.

უწინარეს ყოვლისა, აქ უნდა იყოს აღნიშნული ის გარემოება, რომ სულხან-საბას შემოქმედებითი გენია წარმოდგენილია მეტად მარტივი, ნათელი, თვალსაჩინო და ცოცხალი მაგალითებით, რომლებიც ანდამატური ძალით მსმენელთ აიძულებს ჩაფიქრდნენ, მოიკრიფონ ყურადღება და გამოიტანონ სათანადო დასკვნა. მაგალითებში მოცემული სწავლება და საერთოდ განზოგადებული ფორმულები თავისუფალია მშრალი, მოსაბეზრებელი მენტორობისაგან და წარმოადგენს უეჭველად გამართლებულ და ყველაზე ევრისტიული ზეგავლენის გზას. არაკების სახით გადმოცემული სიბრძნე უფრო ადვილად ხვდება გულს. აქ ავტორის მიზანსწრაფვას ემატება ძალა და ზეგავლენის შესაძლებლობა. აღნიშნული ფორმით მოწოდებულ მორალისტურ და დეონტოლოგიურ დებულებებს უფრო ქმედითი ფსიქოპროფილაქტიკური მნიშვნელობა აქვს.

საჭიროა ხაზგასმით იყოს აღნიშნული ის გარემოება, რომ ორბელიანის უსაზღვრო შემოქმედებითი ძალა მკვეთრად ჩანს როგორც ორიგინალურ, ისე ნათარგმნ ნაწარმოებებში. ალექსანდრე ბარამიძის აზრით, სულხან-საბა ორბელიანი როდია „ქილილა და დამანას“ მხოლოდ გამლექსავი. იგი ნამდვილი შემოქმედი ავტორია (ან თანაავტორი) ამ ჩინებული წიგნის ქართული რედაქციისა. „ქილილა და დამანას“ დამუშავების პროცესში ნათლად გამომჟღავნდა სულხან-საბა ორბელიანის იშვიათი დახელოვნება ლექსთწყობაში. მისი ფართო პოეტური ერუდიცია, დახვეწილი გემოვნება, უზადო შემო-

ქმედებითი ნიჭი და, ბოლოს, მისი ასაკისათვის უჩვეულო მგზნებარება და ტემპერამენტი.

სულხან-საბა მოქმედების ფსიქოლოგიის უებრო წარმომადგენელია.

იგი გვაფრთხილებს, რომ ხმაურით, ხმამაღალი ყეფითა თუ ყივილით სოფლად არაფერი გაკეთდება და აუცილებლად საჭიროა ინიციატივა და მოფიქრებული ქმედობა. ჩვენ ვრწმუნდებით, რომ ცნებას „ანაკლეზო"[17] მოსდევს იმედგაცრუება, ბოღმა და დეპრესია; ამიტომ ტირილი და ცრემლით მოთქმა უნდა შეიცვალოს შრომით, გარჯით.

ორბელიანი სვამს საკითხს: „რომელსა კაცსა ჩასდებია საშმელი უხელოდ, რომელსა შემოსია სამოსელი გაურჯელად"[18].

ავტორი გვაფრთხილებს, რომ უმოქმედობა ოქროს ქვად აქცევს, ხოლო ავად ქონება არქონებაზე უარესიაო.

ორნახევარი საუკუნით ადრე ორბელიანის შემოქმედებითმა ინტუიციამ წამოაყენა დებულება, რომელიც მხოლოდ ჩვენი დროისათვის იქნა ექსპერიმენტული მეცნიერების მიერ დადასტურებულ-აღიარებული.

მე მხედველობაში მაქვს თეზისი, რომ შრომა არა მარტო სულიერი საუნჯის, არამედ ნივთიერი დოვლათის საწინდარია.

დოსტოევსკიზე ბევრად ადრე სულხან-საბამ მოგვაწოდა ფორმულა სიზარმაცისა და სიამაყის ბილწიერების შესახებ. როგორც ვიცით, დოსტოევსკიმ მხოლოდ გასული საუკუნის ოთხმოცდაწლებში, პუშკინის საზეიმო დღეებთან დაკავშირებით, საჯაროდ წამოაყენა სათანადო დებულება.

სულხან-საბა წერს: „ამპარტავნება ესე არს თავისის ნაქნარის მამწონებელი და უმსგავსო დიდების მოყვარე. გულმაღალი და სწავლის მოთაკილე[19]. და იქვე: „ამპარტავნება არს საზოგადო ყოველთა კაცთათვის, რომელიც მდიდარია შორისცა იქმნებიან ამპარტავანნი და გლეხკაცთაგანიცა, აზნაურთაგანიცა და უაზნონი, უღირსთა სიმაღლისა მდომელნი"[20].

---

17 „ანაკლეზო" ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ყვირილს, მოთქმას, ტირილს, ხმამაღლივ შველას, ცრემლით ჩივილს. რუსული თარგმანია:

18 ს ულ ხ ან-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებანი, ტომი 1, „საბჭოთა საქართველო" თბილისი, 1959, გვ. 14.

19 ს ულ ხ ან-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, ტომი IV, 1965, გვ. 56.

20 იქვე.

ავტორი ამასთანავე გვაფრთხილებს, რომ კეთილი საქმე და კეთილი მოქმედება ყველაფერია, ხოლო ზვაობა არაფერი: „ანუ საყვარელნო, ზვაობა ოდესცა მოგვიხდეს, მიირბინე საფლავად და შთაიხედენ სამარხოთა მკვდართასა, სადა არიან ერთბაშად ძვალნი შიშველნი ზვავთა და მდაბალთანი, მეფეთა და გლახაკთანი, აზნაურთა და მონათანი, შვენიერთა და უშვერთანი, მწყაზართა და გონჯთანი, და მაშინ განქარდეს ზვაობა შენი"[21].

ამასთან ერთად ადამიანის ცხოვრებაში ყველაზე მაღალი, პატიოსანი და კეთილი განცდა არის სიყვარულის ემოცია, რომელიც ადამიანს ამშვიდებს, აკეთილშობილებს და ქმნის ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთმზრუნველობის სიტუაციას. სულხან-საბა მიგვითითებს — „ჰოი, დიდ არს სიყვარული და ყოვლისა სათნოებისა და უაღრესი და ყოველთა მადლთა უდიდებულესი და ყოველთა კეთილთა უკეთესი და ყოველთა პატიოსნებათა უწარჩინებული"[22]. უფრო მეტიც, სიყვარული თურმე ყოფილა უტყუარი ფსიქოპროფილაქტიკური საშუალება. სულხან-საბა გვაფრთხილებს—სიყვარულის გრეშე დაძაბუნდებით: „ყოველს კაცსა სიყვარულს უნდა აჩვენებდე, თვარა რა გაუმტერდე და ვეღარ შეიძლო, დაძაბუნდები"[23].

პატივი და სიყვარულის გრძნობა პირველ რიგში უნდა გამოვიჩინოთ მასწავლებელთა და მშობელთა მიმართ, ხოლო ყოველ ღირსეულ გამზრდელს შეუძლია უთხრას თავის მოწაფეს: „მე ჩემი ცოდნა, თუ რამ ვიცოდი, შენ გასწავლე და მე ჩემთვის აღარა შევინახე რა. აწ ვიცი, ხელთა გყევარ და ბევრს ავსაც მიზამ"[24]. სიავე შეგირდის მხრივ ყველაზე საძრახია.

სულხან-საბას ნათლად აქვს წარმოდგენილი, რომ მშობელთა გრძნობები შვილისადმი პირობადებულია სოციოლოგიურად და ბიოლოგიურად. პირიქით, უფრო პრობლემურია შებრუნებული ვექტორი: შვილთა დამოკიდებულება დედ-მამასთნ. ამ მხრივ ორბელიანი იჩენს განსაკუთრებულ სიმტკიცეს და ცდილობს შვილთა მორალური მოდუსი აამაღლოს. იგი შვილისაგან მოითხოვს თავგანწირვას, რაც სიმბოლურად უდრის საჭიროების დროს სამშობლოსათვის თავდადებას.

აღნიშნული ურთულესი პრობლემის ზუსტ გადაწყვეტას ჩვენ

---

21 სულხან-საბა ორბელიანი, დასახ. ნაშრომი, III, გვ. 223.

22 იქვე, 1963, გვ. 92.

23 ორბელიანი, ტომი I, 1959, გვ. 123.

24 იქვე, გვ. 135.

ვხედავთ შემდეგ ლაკონიურ ფორმაში: „შვილმან ეგრე მოახსენა: თუცა შენ გერგება, ჩემი თავი და შენისა ჴირისამც ნაცვალი იყოს, აჰა, დამკალ, მამა შვილსა შობს და შვილი მამას ველარაო“[25].

სიყვარულისა და მამა-შვილობის პრობლემის შემდგომ ორბელიანი ეხება სოციალურ-ფსიქოლოგიურად დიდად მნიშვნელოვან საკითხს ამხანაგობის მიზნისა და დანიშნულების შესახებ. ადვილი წარმოსადგენია; ადამიანთა შორის სიყვარულის გრძნობა ბადებს და აღვიძებს ამხანაგობას, ხოლო უკანასკნელი სიყვარულის ზოგადი პრინციპის გარეშე ფუჭი და უსაგნოა. ამნაირად სიყვარული და ამხანაგობა ერთი მთლიანი პერსონოლოგიური კატეგორიაა.

ყოველგვარი გაზვიადების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ სულხან-საბას განმარტება ამხანაგობის ცნებისა არა მარტო აგებულია მაღალ სოციოლოგიურ მორალურ დეონტოლოგიურ და ზოგადფსიქოლოგიურ პრინციპებზე, არამედ თავისი ფორმით წარმოადგენს წარმტაც სიმფონიას, სადაც მოისმის ადამიანის დამამშვიდებელი და ამამაღლებელი ჰანგები.

შოვუსმინოთ ავტორს: „თუმცა მფრინველს ეგოდენი გონი აქვს, წინასწარ გამოიკითხავს საქმესა, შენ ხომ კაცი ხარ და მეფის წინ აღზრდილი, რად იქმ უგვანსა, რად არ დაადუმებ ცუდს საუბრისაგან ენასა.

კარგი ამხანაგი ადვილად არ იშოვების, იაფად ვერავინ იყიდის, გზაზედ ცუდად არ იპოვების.

ამხანაგი ციხე წყლიანია, ზღუდე მაღალია, სიმაგრე დაუღვეველია.

ამხანაგი ლხინი ფრიადია, სიხარულთა გამამდიდრებელია, სუფრათა შემამკობელია.

ამხანაგი გულთა ნათელია, თვალთა ჩინია, მკლავთა ძალია და ზურგთა მომბმელია.

ამხანაგი მტერთათვის მაზიანებელია, მოყვარეთათვის საიმედოვნეა, უცხოს თანა გამოსაჩენია და მეცნიერსა თანა მოსამსახურეა.

ამხანაგი მარტოსათვის ხმის გამცემია, ჯართათვის მარგებელია და ცოტას კაცთა შემაქცეველია.

ამხანაგის უკეთესსა შენ რას იშოვნი. რად გძულან, რად ეშურვლი; რად ეკამათები. მე მრავალი კარგი კაცი მინახავს, მამაშვილობასა და ძმობას გაჰყროდეს და ამხანაგს შესწყობოდეს“.

---

25 ორბელიანი, ტომი I. 1959, გვ. 89.

ჭეშმარიტი ამხანაგობა გულისხმობს გულწრფელობის გრძნობის აუცილებლობას, რომლის ანტიპოდიც არის ფლიდობა.

ადამიანის პიროვნებისათვის, როგორც იერარქიულად ყველაზე მაღალი აპარატისათვის, სპეციფიკურად დამახასიათებელია ინტეგრაციის, მთლიანობის პრინციპი. ორბელიანის თანახმად მსგავსი მთლიანობა და ფსიქოდინამიკური ურთიერთსმენა აუცილებლად საჭალდებულოა საზოგადოებისათვის.

არაკში „ოთხი ყრუ" ავტორი მხატვრულად, ამავე დროს დიდი დამაჯერებლობით აგვიწერს ვითარებას, რომ საჭიროა ურთიერთშესმენა, ურთიერთგაგება, დღევანდელი ენით რომ ითქვას საჭიროა მორალურად ფაქიზი კომუნიკაციები. ხოლო დიდად კატასტროფულია ვითარება, როდესაც „დიდნი და პატარანი, ყველანი, ყველანი დავყრუებულვართ" (ტომი I, გვ. 28). თორემ რატომ არ გვესმის ურთიერთძახილი (მაღალი თუ დაბალი ხმით) და რატომ ხმას არ ვიღებთ რამ დაგვამუნჯაო.

ხულხან-საბა აღნიშნავს, რომ კაცი თავის მოქმედებაში უნდა იჩენდეს სიდარბაისლეს, სიდინჯეს და საჭიროა ყოველი საქციელის გააზრება და აწონ-დაწონა, ხოლო ემოციური სიჩქარე და დაუფიქრებლობა მარად საზიანოა. ამის მაგალითია ობოლი ბავშვისა და დედის ბაასი: „იყო ერთი ობოლი მარტვილი, რა მოიზარდა, დედას ჰკითხა:

— დედავ ყოველს კაცს მამა უვის, მე რად არ მყავს.
დედამ უთხრა:
— შვილო, შენცა გყვანდა, მაგრა წყალმან დაარჩო.
შვილმა უთხრა:
— მას წყალზე ხიდი არ იდვა, მას ზედ გასულიყო.
დედამ უთხრა:
— იდვა, მაგრა შორს იყო.
შვილმან უთხრა:
— ასრე შორს იყო, რომ აქამდის ევლო, ვერ მოუარდა.
დედას გაეცინა და ეგრე უთხრა:
— თუ მაგდენი გაესინჯა, არც კი დაირჩობოდა".

როგორც ვიცით, ქართველი ერის დიდების პერიოდში რუსთაველის მიერ პიროვნების მაღალ დონეზე გაშუქებულია ცრემლის ანუ ტირილის პრობლემა. პოემა „ვეფხისტყაოსანში" ტირილი გარკვეულ სიტუაციაში გვეხატება როგორც შეტევითი ვაჟკაცური რეაქციის სიმბოლო; ზოგჯერ წარმოდგენილია, როგორც თანაგრძნობის ურყევი ნიშანი; ზოგჯერ ცრემლი ძმადნაფიცობისა და დადნაფიცო-

ბის ლოგიკური დასაბუთებაა; ხოლო ზოგჯერ ცრემლი სიმბოლური შეეედრებაა დასახული მიზნის გამარჯვებისათვის. ამნაირად ტირილი რთული პროცესია, რომელიც ადამიანის პიროვნების დონეზე ღებულობს სულ სხვადასხვა მიზნობრივ შინაარს.

ქართველი ერის ურვისა და ვარამის პერიოდში სულხან-საბას მიერ ხელახლად ისმება რთული პრობლემა ცრემლისა და ტირილის შესახებ. ხსენებული პრობლემა ორბელიანის მიერ აგრეთვე განიხილება პიროვნების მაღალ რეგისტრზე, მაგრამ აქ ტირილს ეძლევა უფრო ქმედითი სახე და იგი განიხილება ანტიპოდურ რეაქციასთან დაპირისპირებით.

თანახმად დღევანდელი პერსონოლოგიური წარმოდგენებისა, ყოველი პიროვნული კატეგორია გვეელინება ანტაგონისტურ შეჯახებათა ჭიდილში, რის შედეგადაც ძლიერდება და ღრმავდება მოვლენათა არსის წვდომა. შეუღლებულად მიმდინარე ორი ანტაგონისტური მოვლენა არა მარტო ამდიდრებს ჩვენს წარმოდგენებს გარკვეულ ასპექტში, არამედ ამ გზით მოვლენის გავლენა გარემოზე უფრო ქმედითი და შედეგიანია.

ჩვენი დროის ცნობილი ფსიქოლოგი ზიგმუნდ ფრეიდი აღნიშნავდა, რომ ადამიანი სიტყვისათვის ძნელად მისაწვდომი არსებაა და მას სჭირდება ჯოხი.

ფრეიდი არ არის მართალი, ჯოხისა და შიშის გზა ეს ცხოველის სპეციფიკაა და არა ადამიანისა. ასეთი მიმართებით ადამიანი არ სწორდება, არამედ უფრო მრუდდება, მორალურად შიშვლდება და ცხოველის დონეს უახლოვდება. მაგრამ ფრეიდი მართალია, რომ ლიტონი სიტყვა, მით უმეტეს რთულ სოციალურ ვითარებაში, ადამიანისათვის ძნელად შესასმენია.

სულიერი ცხოვრების დიდ მცოდნესა და მესაიდუმლეს ორბელიანს კარგად აქვს გათვალისწინებული სიტყვის ძალა და ამიტომ იგი ცდილობს ტირილ-სიცილისა თუ სიცილ-ტირილის საშუალებით მოახდინოს გავლენა ადამიანის პიროვნებაზე, დაანახოს მისთვის შეუმჩნეველი და გააგონოს მისთვის გაუგონარი. მოვუსმინოთ ავტორს:

„ორნი კაცნი იყვნენ ქალაქსა ერთსა. ერთი წამდაუწუმ სულ ტიროდა და ერთი სრულობით იცინოდა, რომე მოწყენილს ვერავინ ნახავდა.

ჰკითხეს მოტირალს კაცსა: ავსა და კარგზე, საცინელსა და სატირელზე სულ რატომ სტირიო.

მან ეგრე თქვა: რა ვქნა, ეს სოფელი მოკლეა, ყოველნი კაცნი

ამ საწუთროს საქმეს შვრებიან, საუკუნო სასჯელი დაუვიწყებიათ და მით ვტირი, ყოველნი ჯოჯოხეთს იშენებენო.

შერმე მას მოცინარეს კაცს ჰკითხეს: შენ რა გაცინებსო.

მან ესრე თქვა: ეს სოფელი მოკლეა, ყოველნი კაცნი ავს შვრებიან კარგს არ იქმონენ, ყოველ კაცს ვუქადაგე, ვურჩიე, ვერა დავაჯერებინე რა და აწ სიცილს ძალი მოვეც მეც რომ ზრუნვით თავი მოვიკლა, რას მარგია და ან მათი რა სარგებელია.

მის მსგავსად, შენთვის ვიურვე, ვიწუხე, ვინაღვლე, გასწავლე, ჩემი ვერა მოგასმინე რა; ახლა მეც სიცილს ძალი მივეც"[26].

მე მსმენია დებულება: ზნეობრივი მოსაზრებით სწორია, მხოლოდ საქმიანი მოსაზრებით არაა სწორიო, ყოვლად დაუშვებელია ასეთი გათიშვა. შეუძლებელია არსებობდეს რაიმე დადებითი საქმიანობა ზნეობრივობის გარეშე ხოლო ყოველი სიკეთე უნდა თავდებოდეს მადლობის გრძნობით.

ავტორი წერს:

„ერთი გლახაკი კაცი ვიდოდა გზასა, ნახა ორი გველი—ერთი შავი და ერთი წითელი, იბრძვის და შავი ერეოდა.

და თქვა მან კაცმან: წითელს ეჭირვება მოხმარება და მოვეხმარებიო.

მივიდა შავს გველს ჯოხი დაჰკრა და მოკლა.

მოვიდა წითელი გველი, თავი ადგილზედ დაუკრა და კალთას კბილით მოეკიდა და გაზიდა. გაჰყვა ეს კაცი. ერთს კლდის ქვაბში მიიყვანა. ეგზომი განძი აჩვენა, მეფეს არა ჰქონდა იმდენი, და გაამდიდრა კაცი იგი"[27].

ვაჟას სწორედ ორბელიანის არაკზე უთქვამს: გველმაც კი სიკეთე დაინახა და შეიგნო და შენ, ადამიანო, რატომ დაკარგე სინდისნამუსიო.

სულხან-საბა ეხება სინანულისა და საყვედურის კატეგორიებს, რომლებიც აგრეთვე შეადგენს პერსონოლოგიური ძიების საგანს.

ავტორი ჩერდება მარგებელ სინანულზე, როდესაც პიროვნების დონეზე ხდება მოვლენათა ანალიზი, რასაც მოსდევს აფექტური განტვირთვა და მდგომარეობის გამოსწორება:

— „სინანული ეს არს მარგებელი: ჟამს ცოდვილი ადრე მოეგოს თავსა თავისსა და გონებათა თვისთა, განიხილავდეს და შესტირობდეს"[28].

---

26 ორბელიანი, ტომი, 1, გვ. 136.

27 ორბელიანი, ტომი I, გვ. 114.

28 ტომი III, გვ. 85.

მაგრამ პერსონოლოგიაში ცნობილია აგრეთვე ზიანის მომტანი ურგებელი სინანული, რასაც მოსდევს პესიმიზმი, იმედგაცრუება, სასოწარკვეთილება, შეუქცევადი ბოლმა, ღრმა დეპრესია და შესაძლოა თვითმკვლელობაც.

სულხან-საბა როგორც მოქმედების ფსიქოლოგიის წარმომადგენელი, საყვედურს განიხილავს როგორც მეტად დაუშვებელ და უარყოფით ფსიქოლოგიურ მოვლენას მისი გაგებით „სამადლო საქმე მალვითა სჯობს“ და დაუშვებელია ვითარება, როდესაც „კაცმან შენზე სამსახური ქმნას, იკვეხდეს და ზვაობდეს“ (ტომი I, გვ. 53). თუ სიკეთე გაკეთდა, კარგია, მაგრამ თუ ადამიანი საყვედურით დავახრჩეთ, სჯობდა კარგი საქმე არ გაკეთებულიყო. მოქმედება და ზრუნვა ეს არის ადამიანის ძირითადი ამოცანა, მოწოდება და დანიშნულება. ამიტომ ყველას თავისი საფიქრებელი, სადარდო ანუ საანაღვლო უნდა ჰქონდეს: „უნაღვლო და უზრუნველი კაცი არა არს პირსა ყოვლისა ქვეყანასასაო“ (ტომი I, გვ. 35). ირკვევა, რომ ვერავითარი ქეიფი და განცხრომა ადამიანს ვერ აკმაყოფილებს და ნაღველს ვერ უხსნის. ადამიანი დაბადებულია შრომისათვის, ზრუნვისათვის, კეთილი საქმისათვის და არა სიამოვნებისათვის, ჰედონისტური ცხოვრებისათვის. თურმე სამოთხის სიტუაციაც ადამიანს ნაღველს ვერ უსპობს.

მოვუსმინოთ ავტორს:

„მივიდა წალკოტსა ერთსა. დილა მშვენიერს მრავალი კარგი ინახებოდა, ზღუდე თეთრის მარმარილოსი ედგა. შევიდა ნახა კორდი ზურმუხტისა მსგავსი, ზედან ყვავილნი სურნელნი. ბულბულთა ყეფა. იადონთა სტვენა შაშვათა მღერა, მერცხალთა ჭიკჭიკი. ყურთა უამესი არა ისმოდა რა, არცა თვალთგან სახილველი ინახებოდა, შუა თალარი შემკობილი იდგა. წყალნი და წყარონი ამონი დიოდეს.

ათნი კაცნი სხდეს, ზოგნი ჭაბუკნი, ზოგნი მხცოვანნი, წინა ტაბლა შემკობილი, დიდად იხარებდენ. ყვავილთა ფშვანი, ხილთა ფხვრანი, ფრინველთა ხმანი, ღვინოთა სმანი შეიწყობოდეს, ნათში შეჭირვებისა ნიშანი არა იპოებოდა.

რა მივიდა მეფე მოეგებნეს, დასვეს. სამი დღე ესეთი ლხინი აჩვენეს, უკეთესი არ ეგებოდა.

უთხრა მათ მეფემან: უნაღვლოთა კაცთა ვეძებდი და აჰა თქვენ გპოვეთ.

მათ მოახსენეს: ჩვენ უნაღვლონი არა ვართ, ყოველთა მწუხარებათა უსაწყლესი გიპოვნივართო“!

ჰედონიზმის ანუ სიამოვნების პრობლემასთან ახლოს დგას ადამიანის მიზიდულობათა ანუ ვნებათა ყინის საკითხები, და პირველ რიგში, სიმთვრალე (ლოთობა).

სულხან-საბა განსაკვიფრებელი ინტუიციით ეხება ხსნებულ პრობლემას და მისი თეორიული და პრაქტიკული მოსაზრებანი არასდროს არ დაკარგავენ აქტუალობას და მარად საინტერესო იქნებიან მედიცინისათვის და პირველ რიგში ფსიქონევროლოგიისათვის.

ორბელიანის თანახმად სიმთვრალე შეიძლება იყოს ღვინითა (ლოთობა) და უღვინოდ. უკანასკნელი ფორმა გულისხმობს მიზიდულობათა და ინსტინქტურ მოთხოვნილებათა აღვირახსნილობას.

მისი აზრით პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს ფიზიკურ მოწამვლასთან, ხოლო მეორე შემთხვევაში — ფსიქოლოგიურ მოწამვლასთან. უღვინო მოწამვლისას პიროვნება ეშვება დაბალ საფეხურზე, სავალდებულო პესონოლოგიური კატეგორიები ითრგუნება და ადამიანი ხდება თავდაუჭერელ ვნებათა და ბოროტი განზრახვების მსხვერპლი, რასაც ჩვეულებრივად მოსდევს სოციალურად საშიში მოქმედებანი (შესაძლოა კრიმინალიც).

ორბელიანი წერს:

„მთვრალი იყო ჰეროდე არა ერთითა სიმთვრალითა, არცა მარტო სთროდა ღვინითა, არამედ ღვინითა სთროდა და უღვინოთაცა მთრვალი იყო, რამეთუ ხუთნი არიან მთვრალობანი: ერთი ღვინისა მიერ და ოთხნი უღვინოდ. ხოლო მას ხუთითავე სიმთვრალითა სთროდა:

მთვრალ იყო ღვინითა და შებრუჟულ...

მთვრალი იყო სიძვისა გულისთქმითა, ვინაითგან ენება ძმისცოლისა შერთვა[29].

— მთვრალი იყო ამპარტავანებითა,

— მთვრალი იყო ნდომითა, ვინაითგან უნდოდა ცოდათა დიდი, და რაცა საქმე უნდეს კაცსა კეთილი გინა ბოროტი წუხილი არღარა აცადებს გულისხმისყოფად, არამედ უფრორე დაათრობს ღვინისა უმეტეს.

— მთვრალი იყო გულისწყრომითა,

— არა ძმა, არა არს მემთვრალობა სტუმართა და მოყვასთა მოყვარეობა, არამედ ფრიადი სიძულვილი, ვინაითგან:

შეიყვან სახლთა შენთა კაცსა ბრძენს და კეთილად მხედველსა,

---

[29] სულხან-საბა ორბელიანი, თხზ., ტომი I, გვ. 35.

ალტიოსნად გონიერსა და ტკბილად მოუბარსა, დაუგებ ტაბლასა, არა ზომიერ ასმევ და არცა საწყურვალოთა ასმევ, რათამცა კეთილი იყოს, არამედ გარდამეტებით ასმევ და გარდამეტებით აჭმევ და ასხამ ღვინოსა, ვითარცა ყვიბართა შინა. მოეღების სიბრძნე ღმრთისაგან მინიჭებული, და აღერევის თვალნი კეთილად მხედველნი, არ რა ესმის ალერსი სხვათა და თვითუბნობს, ვითარცა ხელი. ოდეს აღივსის, იწყის ჯლოყინად და აღმოთხევად, ვითარცა თხიერმან პირგასახსნილმან"[30].

სულხან-საბას კარგად ესმის, რომ მხოლოდ დადებითი მაგალითების ილუსტრაციით ვერ ხერხდება დაცემული, დაშლილ-დანგრეული მორალური მოდუსის გამოსწორება-აღდგენა. ამიტომ იგი საზოგადოებას იშვიათი სიღრმითა და სიზუსტით უხატავს უგვანო პირთა სულიერ სამყაროს.

დადებითი და უარყოფითი, ღირსეულის და ულირსის, კარგისა და ავის, ბოროტებისა და სიკეთის, მაღალისა და დაბალის სიტკბოსი და სიმწარის ურთიერთდაპირისპირება უფრო ქმედითი გზაა სულხან-საბას წმინდა მიზნების მისაღწევად. ორბელიანი ეხება ანგარებას, არაკაცობას, მოხვეჭას, შიშს სიმხდალეს, მრუშობას, სიძუნწეს, სულმდაბლობას, სულმოკლეობას, მედიდურობას, გაუტანლობას, ვერაგობას, ღალატს და უგვანობის სხვა მრავალ სახეს.

დღემდე მსოფლიო მწერლობაში უგვანობის ფსიქოლოგიის ცოდნის მხრივ დოსტოევსკის ბადალი არა ჰყავს.

ჩემი ღრმა რწმენით ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ უგვანობის ფსიქოლოგიურ პრობლემათა დაზუსტებაში სულხან-საბა არამცთუ დოსტოევსკის უთანატოლდება, არამედ მასზე მაღლა დგას.

იგავის „მეფე და ვაზირნის" თანახმად ბოროტ საქმეს უსათუოდ ბოროტება მოსდევს, ეკლის მთესველს—ეკლიანი „მადლობა", ხოლო ცილისწამება და დასმენა ქვეყანას ბუგავს.

დოსტოევსკიზე ბევრად ადრე ორბელიანი ამტკიცებს, რომ დებულება „ყველაფერი ნებადართულია" ადამიანისათვის კატასტროფულია.

როდესაც ადამიანი სირცხვილს კარგავს, იგი გველზედ უარესია: „უბრალოსას, თუ გველი ცდილობს არა აწყინოს რა, შენ ხომ ადამის ტომი ხარ. ჩვენ შენთან შეცოდება არა გვიტს რა, და ნურც

---

30 სულხან-საბა ორბელიანი, ტომი III, გვ. 196—197.

ეგრე გესლით გვშხამავ, თვარა უბრალოს ღმერთი არ მოიძულებს და არც შენის გულისას უზამს"[31].

ამასთან ერთად ყველაზე საზარელია ფარისევლური ლოცვა: „კაცი ვინმე იყო ყოვლისა ბოროტისა მოქმედი და დიდად მლოცავი, რო ბოროტისაგან მოიცალის, დაიწყის ლოცვა და ტირილი"[32].

მაგრამ მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ მონანიებას სჭირდება საქმე ისე, როგორც არასდროს.

ორბელიანი გვიჩვენებს, რომ ფარისევლობისა და ფლიდობის ფსიქოლოგიაში მთავარია გულწრფელობისა და სინდისის შინაგანი ხმის უქონლობაო. ამ მხრივ საყურადღებოა „ორი მოლას" ამბავი: როგორც ვიცით, ორი სპეციალისტი, ანუ ორი თანადარგის მუშაკი არც ისე იშვიათად მოსისხლე მტრები არიან; მაგრამ ამ იგავში ნაჩვენებია საქციელი მოლასი, რომელიც დაეხმარება თავის მტერს. მოლამ მტერი ორმოში სიკვდილს გადაარჩინა და შექმნა სიტუაცია იმ მიზნით, რომ მოეცილებინა გარყვნილებისა და ცოლის ღალატის ლაქა. იგი ეუბნებოდა თავის მტერს: „მერმე მან მოლამ ასე უთხრა: შენ იცი როგორი მტერი ვარ შენი, მაგრამ ეს ამისათვის გიყავ, მეც ავის მქმნელი არ ვეგონო ვისმე, რომე ჩემის სახის მსგავსება გაქვს, მისთვის მოგარჩინე შენც მოლა ხარ და მეცაო[33]".

ადვილი გასაგებია, მოლა მოქმედებს არა მაღალი პიროვნული კატეგორიების კარნახით (მოვალეობა, სიკეთე, დიდსულოვნება), არამედ ფარისევლური მოსაზრებით—ვინმემ რამე ცუდი არ იფიქროსო. უნდა ითქვას, რომ ხსენებული იგავის სენტენცია თუმცა ფარისევლურია, მაინც გარკვეულად სასარგებლო იქნებოდა ავბედობის დროს, როდესაც სულხან-საბა ცხოვრობდა და მოღვაწეობდა.

სულხან-საბას ე. წ. დამდაბლების შემთხვევები მიაჩნია საზოგადოების მორალის დასეტყვის შედეგად, როდესაც უგვანო პიროვნება ფიქრობს მხოლოდ სხვის ჩაგვრაზე და ქალწულთა გახრწნაზე.

„დამდაბლება არს სიმაღლისაგან ჩამოსვლა: კვალად დამდაბლებად ითქმის დაჩაგროს ვინმე, განა ქალწული გახრწნას"[34].

დამდაბლებასთან ორგანული კავშირი აქვს მლიქვნელობას, რომლის შესახებაც ავტორი იძლევა ზუსტ და ნატიფ ანალიზს.

---

31 ორბელიანი, ტომი I, გვ. 127.
32 იქვე, გვ. 19.
33 ორბელიანი, ტომი IV, გვ. 25.
34 ორბელიანი, ტომი IV, გვ. 197.

„მეფისა თანა მყოფი კაცი და ზამთარ დიდ ცეცხლთან მჯდომი სწორია. თუ ახლოს ზის, სიცხე დასწვავს და თუმცა შორს წავა, ყინვა დაჰზრავს. მეფისა თანა მყოფსა კაცსა ხუთნი ძნელნი საქმენი უნდა სჭირდეს:

ერთი: რომე ორის თვალისაგან ერთი ასეთი მხედველი უნდა იყოს, რომე ასის თვალისაგან უმეტესს ხედვიდეს და მეორის თვალით ბრმისაგან უბრმესი იყოს.

მეორე: ეგრევ ცალი ყური ასმინოს და ერთი დაიყრუეოს.

მესამე: გული ფუნდუკისაგან უდიდესი ჰქონდეს, რაც ყურიდამ შეეიდეს დაიგროვოს და შეინახს.

მეოთხე: რომელიც არ ვარგიყოს, გაგონილი არა თქვას და რომელიც კარგი და ჭკუათ საფერი იყოს, იგი გამოიღოს და თქვას.

მეხუთე; ასეთი ენა ჰქონდეს, თაფლი და სამსალა ორივე სდიოდეს“[35]. და შემდეგ ავტორი იქვე განაგრძობს:

„მეფეთა თანა მყოფთა სამნი საქმენი უნდა სჭირდეთ.

პირველად: რომელიც კაცი უყვარდეს, იგი არ შეასმინოს, თვარა სიყვარულით არ შეისმენს და შენ დაზიანდები;

მეორედ: ვისაც სიტყვა იამება. შენც უქო, თვარა თუ უძაგო, არ ეძაგება და შენ გასცრუვდე;

მესამედ. ამას სცდილობდე, რომელიც მისი გულითადია, იგი გაიერთო თვარა დღე დაგიმოკლდება“.

ადვილი დასაჯერებელია, უგვანო უგვანოს ეძებს, ხოლო ეშმაკი ხედავს ეშმაკს, მათ რიგებს ავსებენ გაიძვერა და მსუნაგი ადამიანები, რომელნიც ხშირად სამოსს იცვლიან და გვევლინებიან მლოცველ პილიგრამებად. ამით მათი ბუნება არ იცვლება და გესლიანობა არ ისპობა.

იგავში „მოძღვარი მელა“ წარმოდგენილია ამორალობის მეორე დიდი პრობლემა: მხედველობაში მაქვს ვითარება, როდესაც მოძღვარი ტეხს სამწევრთა მიერ განდობილ აღსარებას.

როგორც ჩანს, ფლიდი აღსარება და მისი გამოყენება მატერიალური კეთილდღეობისათვის სულხანს ძლიერ აწუხებდა. ადვილი წარმოსადგენია, რომ რთულ სოციალურ და ეკონომიურ ვითარებაში აღსარეკას გამოიყენებდნენ მოხვეჭის მიზნით.

აქვე ავტორი დაასკვნის, რომ საბოლოო შედეგი კატასტროფულია იმავე მოძღვრისათვის: ფორმულა ერთია: ავსა და ბოროტს

---

35 ორბელიანი, ტომი IV. გვ. 197.

მიეძღვნება შესაფერისი. როგორც იგავიდან ირკვევა, დაჩეჩქვილმა მელამ განუტევა სული.

მიუხედავად ამორალობის სიმძიმისა, იგავში იგრძნობა დადებითი მომენტიც. უღირსი მოძღვარი მაინც იგრძნობს თავის უგვანობას, ბოროტებას, სიბილწეს, ავხორცობას, გახრწნილობას და სიკვდილის წინ მოასწრებს თქმას: „რასაც მოძღვარს აღსარება სამოწმოდ გაუხდია, უარესიც დაემართება“.

ადამიანთა შორის პირად ურთიერთობათა განხილვისას ფსიქოპათოლოგიაში ცენტრალური ყურადღება ეთმობა დავის და საერთოდ მოდავეობის პრობლემას. ორბელიანის თანახმად მოდავეობაში მნიშვნელობა აქვს გარემო სიტუაციას, მაგრამ წამყვანი როლი უნდა დაეთმოს თვითონ პიროვნების ინდივიდუალურ განწყობას, მის მიერ ძალთა მოკრების შესაძლებლობას და ასეთი გზით ვითარების ობიექტურ შეფასებას. უეჭველად სწორია დებულება: შენ თავი დაანებე და სხვა აღარ შეგედავებაო, „ორნი ამხანაგნი ნადირობდნენ. ხევი იყო და ხევს გაღმა-გამოღმა რონინებდნენ. ერთს ამხანაგს დათვი შემოეჭიდა... ქვეშ ჩაიდვა. მეორე ამხანაგმან უყივლა: გაუშვი ეგ დათვი და წამოდი, სხვა საქმე გვიძსო.

მან დაუძახა: დათვი არ მიშვებს, თვარა მე წეღანვე გავუშვებდიო.

— მისი არ იყოს, შენ არავის ეშვები და არ აწყნარებ, თვარა შენი საუბარი არცა ვის იამება და არცა ვის ეხალისება“[36].

არაკაცური საქციელი ხშირად დაკავშირებულია ფიზიკური ყოფიერების მრავალ საკითხთან, და პირველ რიგში მოხვეჭისა და ანგარების სურვილებთან. ხსენებული გრემოება მაღალ მეცნიერულ დონეზე განიხილება ორბელიანის შემოქმედებაში. მისი განმარტებით „ანგარი უსამართლოდ შემკრებელი ესე არს უსამართლოდ შემკრებელი და მომხვეჭელი, ანგარი და უძღები არს მომხვეჭელი და უსამართლოს ამღებელი და მჭამელი გლახაკთა“[37].

ამ მხრივ მეტად საინტერესოა ვითარება, როდესაც სიმდიდრე იწვევს დავრდომილობას და ადამიანის დაგლახაკებას: „დავრდომილი, რომელი სიმდიდრისაგან დაცემული იყოს და დაგლახაკებულ იყოს“[38].

---

36 ორბელიანი, ტომი I, გვ. 81.

37 ორბელიანი, ტომი IV, გვ. 59.

38 იქვე, გვ. 166.

მოხვეჭის გრძნობა უსაზღვრო და შეუჩერებელია, ამიტომ მას მე განვიხილავ როგორც „მოხვეჭის ამოკს“. მსგავსი პირი გამსჭვალულია მხოლოდ ერთი აზრით. სხვა მხრივ იგი აბსოლუტურად ბრმაა. ამიტომ სრულიად გასაგებია ქურდი მკერავის ლოგიკა. მოვუსმინოთ ავტორს „ერთი მკერვალი იყო ღია ქურდი. რაც ნაქსოვი გამოსჭრის, ბევრი მოიპარის, ღამესა ერთსა ნახა სიზმარი: პირთა ხე ამოსლოდა და ყოველი ნაპარავი ნაჭერი ზედ ეკიდა რტოთა. რა გაეღვიძა, შეშინდა. შვილს უთხრა: როდესაც შემატყო მაკრატელთა ხმარებასა შიგან პარვა, ხე მომაგონეო.

ერთმან დიდებულმან ერთი უცხო ოქროქსოვილი გამოაჭრევინა. რა პარვა დაიწყო, შვილმან ხე მოაგონა. ეწყინა მკერვალსა და მაკრატელი პირში ჩასცა, ეგრე უთხრა: ამისთანა ნაქსოვი როდის ეკიდა მას ხეზედაო“[39].

ქურდი მკერავი მოცულია ერთი ფიქრით: იგი მისტიკური შიშისაგან დაზღვეულია. ამავე დროს იგავთა შინაარსი გვარწმუნებს. რომ ანგარების ლუკმა მწარეა; ხოლო მოხვეჭა წარმავალია, ქრება უკვალოდ და შესაძლოა მისგან აღარაფერი დარჩეს. ავტორი წერს:

„იყო დიდვაჭარი ერთი, რომელი ღმერთსა არა ესვიდა. გასცა ყოველი თვისი მონაგები და პური იყიდა: მომავალსა წელსა უკეთუ დამცირდეს, ერთსა სამ-ოთხად გაეყიდაო.

მომავალსა წელსა უმრავლესი მოვიდა. კვალად იყიდა იაფად, გონებდა, სხვას წელს გავყიდი უკეთაო. ყოველთა წელთა უმრავლესი და უმრავლესი მოვიდა, და დაულპა ყოველი პური მისი და განქარდა ყოველი მონაგები მისი. აღარა დარჩა რა“[40].

სულხან-საბას შემოქმედებაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სიტყვას, მის საზოგადოებრივ მნიშვნელობას და მორალურ ხვედრით წონას. იგი დიდებულად ავითარებს უძველეს ფილოსოფიურ ფორმულას, რომ სიტყვის შინაარსი (სემანტიკა) ანტაგონისტური ბუნებისაა. სიტყვა შეიძლება იყოს ყველაზე უტკბილესი ან უმწარესი კატეგორია. ორბელიანი წერს: „ესეთი სიტყვის სიტკბო ჰონდა, მხეცთა კაცთა მსგავსად მოაქცევდის, ტინთა ცვილებრ დაადნობდის და მფრინველთა კაცებრ აუბნებდის“[41].

სულხან-საბას კარგად ესმოდა სიტყვის როგორც ფსიქოთერაპიული, ისე ფსიქოტრავმული მნიშვნელობა. უფრო მეტიც, მისი გა-

---

39 ორბელიანი, ტომი I, გვ. 24.

40 იქვე, გვ. 14.

41 იქვე, გვ. 7.

გებით ავი სიტყვა და ავკაცობის პრობლემა ერთ მთლიან კატეგორიას წარმოადგენს.

ენის დაკოდვა მეტად მძიმეა, ენით მიყენებული ტრავმა ხშირად ფიზიკურ ტრავმაზე უფრო ძნელი ასატანია; ამიტომ მეტყველების ღერძს უნდა შეადგენდეს სინდისი, ნდობა და მოვალეობის გრძნობა. კარგად უნდა გვახსოვდეს დათვის მიერ თქმული სიტყვები: „შენის ცულით დაკოდილი თავი გამიმთელდა და შენის ცოლის ენით დაკოდილი გული არაო“.

ჩვენ უკვე შევჩერდით საკითხზე, თუ რა უფრო ქმედითი და ძლიერია: სიტყვა თუ ჯოხი, როგორც უკვე ვთქვით ჩვენი დროის ცნობილი ფსიქოლოგი ზიგმუნდ ფრეიდი უფრო ჯოხის ძალისაკენ იხრება.

ფრეიდზე ბევრად ადრე სულხან-საბა მიუთითებდა: ვიდრემდის შენთვისაც შინდის ჯოხს არ მოსპრიან, შენს მანკიერს ენას ვერავინ დაადუმებს“[62].

კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ ცნებას ჯოხის ძალა-მნიშვნელობის შესახებ სჭირდება მტკიცე კორექცია. ჯოხი, შეშინება და დაშინება მოქმედებს მხოლოდ მდაბალ პირებზე, კაცუნებზე, არაკაცებზე, ხოლო იქ, სადაც წარმოდგენილია პიროვნების სპეციფიკა და მაღალი პიროვნული კატეგორიები, ჯოხი სრულიად უმოქმედოა.

უეჭველად საინტერესოა აგრეთვე ორბელიანის პოზიციები ენით მიყენებული ჭრილობის შებრუნებისა, აღდგენადობისა ანუ რევერზიბილობის შესახებ.

ენით წყლულის მოშუშების შესახებ სულხან-საბა გვამცნობს: „უდღეოდ ენით მკვდარი ენამ ველარ აღადგინოს და აღარც ენით წყლულს ელხინოს“[43].

ავტორი უეჭველად სწორია, რომ მორალური ტრავმა მძიმე მოსაშუშებელია. მაგრამ აქვე საჭიროა გავიხსენოთ პიროვნების დონის ყოვლისშემძლე უნარი. თუ მიყენებული ჭრილობა გადამუშავდა პიროვნების დონის ბრძმედში, არაა გამორიცხული მორალური ჭრილობის შეხორცება. დიახ, არაიშვიათად უნაწიბურო ფსიქოლოგიური შეხორცება.

საკმაოდ ფართოა პიროვნული სპექტრის შესაძლებლობა, მაგრამ ორბელიანი გვაფრთხილებს, ნუ ვიქნებით გულუბრყვილოდ რბილნი უღირსთა მიმართ, ვინაიდან ისინი მეტად საშიშნი არიან

---

[42] სულხან-საბა ორბელიანი, ტომი I, გვ. 132.

[43] იქვე, გვ. 32.

თავიანთი ვერაგობით, ცბიერებითა და დაუნდობლობით. ავტორი წერს: „შეუმცნებელს უსუსურად ნუ ეჩვენები"[44].

უგვანობა საშიში მოვლენაა. იგი საჭიროებს მტკიცე შერკინებას, რათა დაძლეულ იქნეს... უგვანობის და უხამსობის მიმართ მორალურ ძალებთან ერთად საჭიროა აგრეთვე ფიზიკური ზეგავლენაც.

სულხან-საბა, როგორც პერსონოლოგიური ფსიქოლოგიის პრობლემათა უდიდესი მცოდნე. ამომწურავად იძლევა კაცურ და არა კაცურ, ადამიანურ და არაადამიანურ ქცევათა ანალიზს საზოგადოებრივი მორალის შუქზე. იგი გვაწვდის დებულებას:" ძველთგან თქმულა: არას კაცს კარგის მოქმედებისათვის კარგი არ უქმნიაო და მის მაგიერ ავი მიუგია"[45].

ხსენებული ფორმულა არანაირად არ შეიძლება მივიღოთ როგორც ავტორის ღრმა პესიმიზმი და ხელჩაქნეული გულგატეხილობა. პირიქით, სულხან საბა მოგვიწოდებს ვიფიქროთ მომავალზე და არ დავკარგოთ ადამიანისადმი ნდობა და პატივი. იგი მიგვითითებს: „კარგისათვის კარგი არავის უქმნია ნუ ამბობ"[46]. აქვე გვაფრთხილებს და გვიჩვენებს: „მაგრამ კაცისა დიდის სიკეთე იგია, რომე სიავე არ იმახსოვროს და სიკეთით დაფაროს"[47].

წარმოდგენილ ფორმულებს აქვს არა მარტო ზოგადი დეონტოლოგიურ-მორალისტური, არამედ განსაკუთრებულად დიდი ფსიქოპროფილაქტიკური აზრი და მნიშვნელობა.

უეჭველად შესაძლო და მოსახერხებელია ავი დავივიწყოთ, დავიხსომოთ მხოლოდ კარგი და ავს მივუზღოთ სიკეთე. მაგრამ ხსენებული დებულების განხორციელება შესაძლოა მხოლოდ და მხოლოდ პერსონოლოგიურ დონეზე პიროვნების ძალთა მობილიზაციის გზით.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ყოველ შემოქმედებაში უკვე არსებული ცოდნა და ავტორის შეხედულებანი ურთიერთს ერწყმება და ყალიბდება ახალი ორიგინალური კრედო. ხოლო ფსიქოლოგიურ დებულებათა ორიგინალობის განხილვისას საჭიროა მხედველობაში იყოს მიღებული აგრეთვე დროისა და ადგილის ფაქტორები. სულხან-საბას დეონტოლოგიურ-ფსიქოლოგიური მრწამსის მნიშვნელობა

---

44 სულხან-საბა ორბელიანი, ტომი I, გვ. 93.

45 იქვე, გვ. 113.

46 იქვე, გვ. 115.

47 იქვე, გვ. 72.

ძლიერდება და მრავლდება დროის ფაქტორთა ვითარებით. უგვანობა ყოველი დროისა და სიტუაციისათვის შესაძლო მუწუკია, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა ამოიწვას და დაიშანთოს.

სულხან-საბა დეონტოლოგიურ-პერსონოლოგიური ფსიქოლოგიის, ესე იგი მოქმედების ფსიქოლოგიის ბრწყინვალე წარმომადგენელია. მისი შემოქმედება უკვდავი და აქტუალურია. არსებობს ადამიანი თავისი კაცური და არაკაცური თვისებებით.

პერსონოლოგიური პროგლემები ნიკოლოზ გარათაშვილის შემოქმედებაში

ფსიქიკური აპარატის მთლიანი და ინტეგრირებული მუშაობა წარმოადგენს ჰარმონიული პიროვნების წანამძღვარებს. პიროვნება თავის ყოველდღიურ მოქმედებაში მოწოდებულია უსმინოს შინაგანი სინდისის ხმას და უანგაროდ ემსახუროს სიყვარულის, მეგობრობის, ძმობისა და პატრიოტიზმის მაღალ იდეებს.

აღვნიშნავთ, რომ პიროვნების ცალკეულ გამოვლინებათა შესწავლისათვის ნორმასა და პათოლოგიაში უეჭველად დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ ფსიქოლოგიურ მასალას, რომელსაც გვაწვდის მხატვრული ლიტერატურა. ფსიქოლოგისა და ფსიქოპათოლოგის ეს თავისებური ექსკურსი სასარგებლოა როგორც გარკვეულ ფსიქოპათოლოგიურ პრობლემათა დაზუსტებისათვის, ასევე ლიტერატურულ გმირთა ფსიქოლოგიური ანალიზისათვისაც.

ჩვენი ცოდნის თანამედროვე დონეზე განსაკუთრებით აუცილებელია შემოქმედებითი სიმბიოზი მეცნიერებასა და ხელოვნებას შორის. მხატვრული ფსიქოლოგიის მასალები (ლიტერატურის, მუსიკისა და ფერწერის) შეიძლება ფართოდ იქნეს გამოყენებული სხვადასხვა ფსიქოლოგიური პრობლემების მეცნიერული ანალიზისათვის. ზოგჯერ ისინი უფრო ღრმად, ფართოდ და მრავალფეროვნად გვიჩვენებენ ადამიანის სუბიექტური სამყაროს ურთულეს შინაარსს, მის უღრმეს ლაბირინთებს.

მხატვრული ფსიქოლოგიის კლასიკური და გენიალური წარმომადგენელია შოთა რუსთაველი, რომელიც პოემა „ვეფხისტყაოსანში“ ეხება პიროვნების გამოვლინებათა რთულ მხარეებს.

უდავოა, რომ თავისი სიღრმითა და შინაარსის სირთულით ფსიქიკური სამყარო შეუდარებლად უფრო რთული პრობლემაა, ვიდრე ფიზიკური რეალობა. ამ მხრივ მხატვრული ფსიქოლოგიის მონაცემები უაღრესად ობიექტურ და ღრმა ანალიზს მოითხოვს. ყველასა-

თვის უეჭველი დებულებაა, რომ მხატვრული შემოქმედება არის არსებულის ასახვა, იმ გარეშე სიტუაციის ჭვრეტით, რომელშიც ავტორი იმყოფება. ეს ასახვა რთული და უშუალოა. დავსძენთ, რომ გენიოსთა შთაგონების მარადიულობა და ზოგადკაცობრიულობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მათთვის ცხოვრების პირობები წარმოადგენს მხოლოდ ქარგას, რომელზედაც იქსოვება არა მარტო პირადული (სასიამოვნო ან უსიამოვნო ბედნიერება თუ უბედობა), არამედ მუდამ ახალი და ცხოველმყოფელი საწყისი. შევნიშნავთ, რომ ჩვენს შრომაში, რომელიც ეხება შოთა რუსთაველის პერსონოლოგიურ შეხედულებებს, დასმულია შემდეგი პრობლემა: რით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ რუსთაველის პოემამ მიიღო ქართველი ხალხისათვის ნაციონალური საუნჯის რელიქვიის, პატრიოტული კოდექსის კანონისა და მოძღვრების ხასიათი, რომლითაც სარგებლობდა იგი მთელი რვა საუკუნის მანძილზე საკუთარი ბედნიერებისა თუ უბედობის ჟამს.

პოემის უკვდავება განპირობებულია იმით, რომ მასში, როგორც გენიალურ მხატვრულ ნაწარმოებში, ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური ღირებულების პრობლემებია დასმული და ნათლად არის ნაჩვენები პიროვნების მნიშვნელობა, შინაარსი და დანიშნულება. რუსთაველის გენია ყოველთვის დიდ გავლენას ახდენდა შემოქმედებით აზროვნებაზე. ქართული მხატვრული ლიტერატურის ისტორიამ არაერთი მაგალითი იცის ასეთი ცხოველმყოფელი ზეგავლენისა. მას თავისი დიდი წინაპრის ღირსეული მემკვიდრეები აღუზრდია.

პერსონოლოგიური თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ვაჟა-ფშაველას მხატვრული შემოქმედება.

ილია ჭავჭავაძემ ნ. ბარათაშვილის შემოქმედების კლასიკური შეფასება მოგვცა: მან აღნიშნა, რომ ბარათაშვილის მწუხარება, გოდება და ვედრება ზოგადსაკაცობრიო ხასიათისაა. ბარათაშვილი თავის ფიქრთა პასუხს ეძებდა არა მარტო საკუთარ გულში, არამედ მთელი კაცობრიობის გულისთქმაში.

პატრიოტული სიამაყის გრძნობით უნდა აღინიშნოს, რომ 1893 წელს, განჯიდან ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებამ მიიღო დიდი ეროვნული ხასიათი. იმდროინდელი პრესა აღფრთოვანებული წერდა: ერმა მუხლი მოიყარა თავისი მომავლის წინასწარმეტყველის წინაშე, ხოლო კუბოს თაყვანს სცემდა როგორც წმინდანის ნეშტსო.

ქართული ეროვნული კულტურის დიდი მოამაგე ილია ჭავჭავაძე იძლევა შემდეგ ფორმულას ბარათაშვილის შესახებ: „მისნი გულისთქმანი, მისნი გრძნობანი, მისნი ჭირნი და მწუხარებანი უფრო საყოველთაო საკაცობრიო არიან, ვიდრე კერძონი, ვიდრე მისი საკუთარი გულისანი. მისი კვნესა კაცობრიობის კვნესაა, მისი ჩივილი კაცობრიობის ჩივილია, მისი ვერმიწვდენა სურვილისა კაცობრიობის ულობაა". და შემდეგ, მგოსანი თავისი ფიქრებით პასუხს ეძებდაო „მარტო თავის გულში კი არა, მთელის კაცობრიობის გულში!".

ნიკოლოზ ბარათაშვილი ადამიანის სულიერ განცდათა უდიდესი მცოდნეა. მის მიერ დასმულ ზოგადსაკაცობრიო პრობლემებს უშუალო კავშირი აქვს პერსონოლოგიასთან.

პოეტი აღიარებს ადამიანის სულიერი სამყაროს უაღრეს სირთულეს. ამასთან მიუთითებს, რომ გარეგანი ასახვა ანუ მოვლენის ფენომენოლოგიური შესწავლა გარკვეულ წინააღმდეგობაშია მის შინაარსთან. ამ დასკვნამდე მიდის პოეტი მკაცრი გონებრივი განსჯის შემდეგ. ბარათაშვილს მრავალგზის აღუნიშნავს, რომ ხშირად, ერთი შეხედვით, მაღალი გრძნობათა მიღმა უსულგულობა იფარება, ხოლო სულიერი სილამაზე ცნობიერების ფარდა ყოფილა.

პოეტის გულისთქმაში, ისე როგორც აღსარებაში, მოცემულია მორალურად დაბალი ადამიანის შეფასება. ამასთან ერთად მისი დასკვნა მოკლებულია ყოველგვარ აფექტურ-ემოციურ შეფარდებას და წარმოადგენს ლოგიკურ დასაბუთებაზე დამყარებულ დებულებას. აი, რას წერს, ბარათაშვილი, ჯერ კიდევ 26 წლის ჭაბუკი, მაიკო ორბელიანისადმი 1842 წლის 31 ოქტომბერს მიწერილ ბარათში: „ვინც მაღალის გრძნობის მქონე მეგონა, მას სული არ ჰქონია. ვისიც გონება მრწამდა ზეგარდმო ნიჭად, მას არცთუ განსჯა ჰქონია; ვისიცა ცრემლიანი მეგონებოდნენ ცრემლად სიბრალულისა გამოშეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანნი ცხოვრებისა, წვეთნი საშინელის საწამლავისა! სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკოს თავი?! ვიცი, გაიცინებ ასე გეგონება, დამწვარი ცლაპარაკობ. ჭეშმარიტად, მაიკო, ასე გულცივად ჯერ განსჯარ არა მქონია, ასეთი თავისუფალი ფიქრი მაქვს და ასეთი მტკიცე გული, რომ სამოცი წლის მოხუცსაც ვერ ექნება ჩემისთანა უსყიდველი მსაჯული".

ახალგაზრდა პოეტის სახით ჩვენ ვხედავთ ბრძენ ადამიანს, რომელმაც შეიცნო ამქვეყნიური ცხოვრება და ადამიანის სულისკვეთება. ნ. ბარათაშვილი ადამიანთა ვნებების, მისწრაფებებისა და მა-

თი სულიერი სამყაროს დიდი მცოდნეა. ამ მხრივ მის იდეებთან ძლიერ ახლო დგას შექსპირისა და დოსტოევსკის შემოქმედება.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ნ. ბარათაშვილის პირადი ავბედითობა წარმოადგენდა მისი ცხოვრების მხოლოდ პლასტიკურ და არაგენეზურ მხარეს. პირადი ცხოვრების წარუმატებლობამ მოახდინა მისი პოეტური შემართების მობილიზაცია, რითაც იგი უფრო ღრმად და ყოველმხრივ ჩასწვდა ადამიანთა ურთიერთობის სოციალურსა და ფსიქოლოგიურ სიმრუდეს.

ნ. ბარათაშვილი ეხება ისეთ საკითხებს, რომელთაც უშუალო დამოკიდებულება აქვთ ადამიანის არსებობისა და დანიშნულების პრობლემებთან. ნაღველი, სასოწარკვეთილება და იმედგაცრუება მის მიერ განხილულია მაღალ პიროვნულ დონეზე. აქ იგი გულისხმობს პატრიოტიზმს, მოქალაქეობრივ ვალდებულებას და თავისი ერისადმი უანგარო თავდადებას.

ბარათაშვილის მიერ განვითარებულ ზოგადფსიქოლოგიურ პრობლემას ეხმაურება თ. დოსტოევსკის გამოთქმები. დოსტოევსკის თანახმად, სატანაც კი ეს ყველაზე უხამსი და მდაბალი არსება, კარგავს პიროვნულ სპეციფიკურ თვისებებს და ამოტივტივდება რაღაც მხეცური, ზოოლოგიური. დოსტოევსკი წერს: „მხეცი არასდროს არ შეიძლება იყოს ისე სასტიკი, როგორც ადამიანი, ისეთი არტისტული, ისე მხატვრულად სასტიკი. ვეფხვი მხოლოდ გლეჯს... მას თავშიც არ მოუვიდოდა ადამიანი მიეკედა ყურებით, რომ შეეძლებოდა კიდეც ეს“.

ბარათაშვილის შემოქმედებისათვის ყველაზე დამახასიათებელია ყაცთმოყვარეობის იდეა. მისი პოეზიის მოწოდებაა ადამიანის სიყვარული და პატივისცემა.

ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში, ბარათაშვილისადმი მიძღვნილ ლექსში ილია ჭავჭავაძე იძლევა მისი შემოქმედების ღრმა და ლაკონიურ განსაზღვრას. ჭავჭავაძის თანახმად, ბარათაშვილის პოეზია არის „ზღვა გულისა სიყვარულის სხივქვეშ გაშლილი“.

პიროვნული ფსიქოლოგიის პოეზიიდან საყურადღებოა მარტოობის ანუ „სულის ობლობის“ პრობლემა.

პიროვნება სოციალურ-ფსიქოლოგიური კატეგორიაა და ამიტომ არ შეუძლია დარჩეს საზოგადოების, კოლექტივის გარეშე, ამასთან ერთად, იგი გამუდმებულად უნდა იყოს მოქმედებაში, მისთვის ღირსეულის ძებნაში.

პოეტის მიმართვა თავისებური პროგრამული დავალებაა; მისი მოწოდება აგებულია შეუბრალებელი სინდისის ხმის მოთხოვნაზე.

როგორც ამას ხაზს უსვამს ილია ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი უკვდავია. მის შემოქმედებაში წინ არის წამოწეული პიროვნული ფსიქოლოგიის პრობლემები ადამიანის დანიშნულებისა და არსებობის აზრის შესახებ.

ადამიანი ვალდებულია გაჰყვეს ცხოვრებას, უსმინოს მშობლის ხმას, იზრუნოს ხალხზე, საზოგადოებაზე, სამშობლოზე და რაც მთავარია, საზოგადოებაში მყოფ მიცვალებულს არ უნდა ჰგავდეს: მოქმედების გარეშე ადამიანი შეიძლება აღმოჩნდეს „უძლურ მომაკვდავთა კატეგორიაში“, ანუ ბარათაშვილის სიტყვით, „გლახ მოკვდავნი“.

პატივისცემის, სიყვარულისა და ურთიერთზრუნვის იდეები წარმოადგენს ღერძოვან საკითხებს ბარათაშვილის პერსონოგიურ ძიებაში. მაგრამ ამ მხრივ ყველაზე არსებითსა და მთავარს წარმოადგენს ნდობის პრობლემა, როგორც პოეტის შემოქმედების ფილოსოფიური და სოციალურ-ფსიქოლოგიური კრედო.

როგორც ცნობილია, ნდობის საკითხი უშუალოდ დაკავშირებულია ადამიანის მორალური სისპეტაკის პრობლემასთან.

ბარათაშვილის თანახმად, როდესაც ადამიანს ეკარგება ნდობა საზოგადოებისა, ეშინია, კრთის, არ იცის ვის მიმართოს, ვის გაუზიაროს ფარული განცდები, იქმნება სიტუაცია შიშისა; როდესაც კითხვის ნიშნის ქვეშ აღმოჩნდება ადამიანის ფიზიკური და სულიერი არსებობა, მაშინ ისმის კითხვა, რა გაკეთდეს, და საით წავიდეს იგი? და თუ „აღარა აქვს მას ნდობა ამა სოფლისა, ეშინიან, იკრძალვის, არღა იცის, ვის აუწყოს დაფარული მან გრძნობა“, აქ ჩვენს წინ წამოიჭრება პიროვნების ზოგადსაკაცობრიო პრობლემა, რომელიც გულისხმობს ნდობას და გარკვეულ თავისუფლებას, შიშისა და უნდობლობის ვითარება ქმნის არსებობისათვის კატასტროფულ პირობებს: ამიტომ „სულით ობლობა“ არის განსაკუთრებული ვარამი ადამიანის არსებობისათვის.

პოეტი მოგვიწოდებს აქტიური ბრძოლისათვის და პიროვნული, სპეციფიკური თავისებურებების გმირული შენარჩუნებისათვის.

ამგვარი კატასტროფული სიტუაციის დროს არსებობს სამი გამოსავალი: ან დარდისაგან ფიზიკური სიკვდილი; ან ადამიანის მორალურ-ფსიქოლოგიური განადგურება, გაუხამსება, როდესაც ადამიანი ჭამს „მწარე პურს“ ანდა ბოლოს, მომავლის მტკიცე რწმენით აღსავსე აქტიური ბრძოლა. უადგილო არ იქნება აქ გავიხსენოთ დოსტოევსკის გამონათქვამი სიმხდალისა და უხამსობის შესახებ. იგი წერს: „სმერდიაკოვი უმდაბლესი ბუნების და მხდალი ადამი-

ანია. იგი მხდალი კი არა ქვეყანაზე არსებული ყველა სიმხდალის ჯამია, ორ ფეხზე მოსიარულე, იგი დაბადებულია ქათმისაგან".

უსიამოვნო, ასთენიური ემოციებით დატვირთული ინდივიდუუმი, თუ არ მიდის დეპრესიამდე, არ მიდის უიმედო სასოწარკვეთამდე, ღრმად პესიმიზმამდე, როდესაც ერთდადერთ გამოსავალს სიკვდილი წარმოადგენს, მაშინ ასეთი სიმტკიცე მხოლოდ პიროვნულ დონეზე ხორციელდება.

პიროვნების დონე სწორედ ის ბრძმედია, რომელშიაც მაღალი და ბრძნული პოზიციებიდან შეიძლება გადახარშული იყოს ცხოვრებისეული ნაღველი, რომელშიც შეიძლება დაიწვას უხამსობა, სიმდაბლე და ცხოვრებისეული ინსტინქტები.

პიროვნული ბრძმედი გადახარშავს და საბოლოოდ დაფერფლავს ყველაფერ მდაბალს, არაადამიანურს და აღავსებს ადამიანს შემოქმედებითი შერკინების ცეცხლით, განსაზღვრავს მოქმედებისათვის საჭირო ცხოვრების გზას.

>წმყოს სიმრუდისა და უსამართლობის ბარათაშვილისებური გაკიცხვა აქტიური უარყოფა, რადიკალური შებრძოლება და ასეთი სამყაროდან განსვლა ახლისაკენ, ახალი სამყაროს ძიება, ეს არის არა იმედგაცრუებული, სუსტი მხდალი და მშიშარა ადამიანის განსვლა, არამედ გენიოსის მიერ დასახულ სიძნელეთა გადალახვის აუცილებლობა, როდესაც მას ვერ აშინებს ვერანაირი მტერი, ვერ აშინებს ხვედრი უპატრონო ადამიანის სიკვდილისა: მას არ აშინებს აზრი, რომ შეიძლება ვერ დაიმარხოს თავის მამულში, წინაპართა საფლავებს შორის: არ აშინებს სატრფოს მწუხარე ცრემლის დაკარგვა, არარსებობა, ტიალი მინდვრის პირობებში ყორანის მესაფლაველობა; შავბედს აქამომდე არ ემონა და „არც აწ ემონოს შენი მხედარი". ეს ძიება საჭიროა იმისათვის, რათა ადამიანმა ამცნოს, გაუზიაროს სხვას გულის საიდუმლო.

ნ. ბარათაშვილი იწვის ისეთი ვითარებისათვის, როცა შესაძლო იქნება ადამიანის ნდობა, თავისი საიდუმლოს გაზიარება და თავისუფალი, ყოველგვარ ლიმიტირებას და შეზღუდულობას მოკლებული აზროვნება. მაგრამ ასეთი შერკინება შესაძლოა და უფრო რეალურია, დამარცხდეს; გამარჯვებული შემოქმედებითი ბრძოლის გაჭიმული სიმი, მოსალოდნელია, უფრო გაწყდეს; მაგრამ მომავლისათვის მებრძოლს და მომავლის მორბედს ასეთი ბრძოლის ტრაგიკული დასასრულის შესაძლებლობა არ აშინებს: იგი კი არ აფერხებს მის გეგმებს, არამედ უფრო ამკვრივებს და აფოლადებს მის მიერ დასახული ბრძოლის ურთულეს, უმძიმეს და უმწარეს გზას.

ნიკოლოზ ბარათაშვილის აზრით, ცხოვრების სვლის შეჩერება არანაირად არ შეიძლება. ბრძოლა, უეჭველად, შედეგიანად დამთავრდება, ხოლო ეს დიადი ბრძოლა უნდა ხორციელდებოდეს პრინციპით, რომ წინა კაცი უკანა კაცის ხიდია.

სოციალურ-ფსიქოლოგიური სიმრუდისა და უუფლებობის აქტიური უარყოფა არ წარმოადგენს სუსტი და მხდალი პიროვნების განსვლას სინამდვილისაგან. პირიქით, ასეთი რეაქციაში უეჭველად ჩანს სიძნელეების გადალახვის აუცილებლობა.

ბრძოლის დასახული გეგმა, რომელიც ითვალისწინებს მოსალოდნელ სიძნელეებს, არა მარტო მაღალმორალური ხასიათის ემოციური განწყობაა, არამედ ძლიერი პიროვნების გადაწყვეტილებაა— გმირულად დასძლიოს ყოველგვარი სიძნელე და აიტანოს ყოველი ნაკლებობა, რათა განხორციელდეს ნდობის, სიმართლისა და თავისუფლების იდეები.

ხაზს ვუსვამთ, რომ ასეთი მიზანდასახული ბრძოლისა და გმირული თავგანწირვის გეგმა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ პიროვნების დონეზე. პიროვნული სიყვარული ბარათაშვილის შემოქმედებაში შეფასებული უნდა იქნეს როგორც ინტელექტუალური გრძნობა. უკანასკნელი მოკლებულია სომატოსენსორულ შეგრძნებებს და წარმოადგენს თავისებურ შერწყმას (ამალგამას, ლეგირებას) გონებრივ-მკვრეტელობით და გედონისტური აღქმისას. იქმნება პირობა საგნებისა და მოვლენების ინტელექტუალურ-ემოციური შეფასებისა პიროვნულ დონეზე. სიმბოლური შედარებისა და დაპირისპირების გზით ინდივიდუუმს აქვს შესაძლებლობა გარემოს უფრო მკვეთრი აღქმისა და ფართო ორიენტაციისა.

რათა გვაჩვენოს ადამიანის სამყაროს სოციალურ-ფსიქოლოგიური სიმახინჯე ნ. ბარათაშვილი მიმართავს ბუნებას, რომელიც თავისი სიფაქიზითა და სისპეტაკით სინამდვილის სრულ წინააღმდეგობას წარმოადგენს. პოეტის დამოკიდებულება ბუნებასთან სიმბოლურია. სიმბოლური ენა მას საშუალებას აძლევს არა მარტო შეიგრძნოს, არამედ ჩასწვდეს, მოუსმინოს უსულო საგანთ საუბარსაც: ამ მხრივ პოეტის პიროვნულ სიმბოლიკას გარკვევით ესიტყვება ვაჟა-ფშაველას შემოქმედება. როგორც ცნობილია, ემოციურ-ინტელექტუალური ეფექტის გაძლიერებისათვის ვაჟა-ფშაველა იყენებს წყაროს, ქვის, ველის, ფოთლებისა და ფესვების ენას. ეგრეთ წოდებული პანთეისტური ანალიზი წარმოადგენს მხოლოდ შემოქმედებით ხერხს და არავითარი კავშირი არ აქვს გარკვეულ ფილოსოფიურ მსოფლმხედველობასთან.

ამასთან, უსულო საგნების შეგრძნებანი, მსჯელობა და დიალოგები როდია პროტესტი ცივილიზაციისა და ურბანიზმის წინააღმდეგ. როგორც აღვნიშნეთ, სიმბოლიკა აძლიერებს პოეტურ შთაბეჭდილებებსა და ადამიანთა არსებობის სრულიად სხვადასხვა მხარეთა მხატვრულ ინტერპრეტაციებს.

პოეტი აღნიშნავს, რომ ცხოვრებაში ყველაზე არსებითია ადამიანთა ურთიერთკავშირი, ურთიერთმახლობლობა და ურთიერთგაგება.

ბარათაშვილის შემოქმედებაში მოცემულია სიყვარულის გრძნობის და შეყვარებულის განცდების ანალიზი. პოეტი შემოქმედებითად იმეორებს თავის დიდი წინაპრის, გენიალური შოთა რუსთაველის იდეებს ამ საკითხთან დაკავშირებით.

ბარათაშვილის მიხედვით, ეს ემოციები აკეთილშობილებენ და ამაღლებენ შეყვარებულებს, მათ სულს ჭეშმარიტი სილამაზითა და შთამაგონებელი სინაზით მოსავენ. იქმნება გარემო უკვდავებისა და მარადიული სიჭაბუკისათვის, ვგებულობთ, რომ სულში მოცემულია თვით უკვდავება, რომელსაც ვერ მოსპობენ ვერც შემთხვევითობანი და ვერც ყამთა ნსვლელობა. ამ აზრს პოეტი განსაკუთრებით ხაზს უსვამს ლექსში „რად ჰყვედრი კაცსა“.

ბარათაშვილი ყურადღებას აქცევს სიყვარულის გრძნობის ორ ფორმას, რომლებიც მოცემულია ფსიქიკური აპარატის სხვადასხვა დინამიკურ დონეზე. დაბალ დონეზე სიყვარულის გრძნობას აქვს ხორციელ-გრძნობითი ხასიათი და ახლოა ინდივიდუუმის ინსტიქტურ მოთხოვნილებებთან. უმაღლეს დონეზე კი ვლინდება ნამდვილი სიყვარული, რომელიც ატარებს უფრო ინტელექტუალური ემოციის ხასიათს. აქ საინტერესოა ბარათაშვილის გაკიცხვა იმ მანდილოსანთა, რომელთაც მხოლოდ წარიტაცებთ ტენდენცია გარეგნული ფორმალური სილამაზისა. როდესაც ქალს ავიწყდება თავისი ძირითადი მოქალაქეობრივი მოვალეობა.

ბარათაშვილის თვალსაზრისით. ადამიანი მოვალეა აიტანოს ყოველგვარი შეზღუდვა და გასაჭირი ზოგადსაკაცობრიო ინტერესებისათვის. იცხოვროს ურთიერთნდობით, სიმართლითა და გულწრფელობით.

მაღალი პერსონოლოგიური იდეების ზოგადსაკაცობრიო პრობლემების სიღრმის მიხედვით ბარათაშვილი შეიძლება დავაყენოთ რუსთაველის, შექსპირის, გოეთესა და დოსტოევსკის გვერდით.

უცხადებს რა ბრძოლას სიყალბეს, სიცრუეს, უხამსობას, უნდობლობისა და შიშის სიტუაციას, პოეტი სახავს ნამდვილი ადამიანური მოქმედების გმირულ გზას, ე. ი. სულიერი დასვენებისა და სიმშვიდის სიტუაციისაკენ მიმავალ გზას.

თუ რუსთაველი იძლევა გენიალურ დებულებას მოვალეობისა და პიროვნული სიყვარულის შესახებ, თუ შექსპირი ჰკიცხავს სიცრუესა და შურს, თუ გოეთე აღიარებს წესრიგის აუცილებლობის პრინციპს, თუ დოსტოევსკი გვიჩვენებს მდაბალი და უხამსი ადამიანის შინაარსს, თუ ტურგენევი ამტკიცებს, რომ სიმართლე მაღლა დგას ჭეშმარიტებაზე, ნიკოლოზ ბარათაშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ადამიანთა შორის, უნდობლობის სიტუაცია და სულიერი ობლობა აუტანელია და საჭიროა ნათელი მომავლისაკენ სწრაფვა.

ბარათაშვილის პერსონოლოგიური იდეები ისტორიულად დაკავშირებულია რუსთაველის იდეებთან ადამიანის მნიშვნელობისა და დანიშნულების შესახებ.

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში ჩვენ ვხედავთ დიადი წინაპრის ღირსეულ მემკვიდრეს.

პერსონოლოგიური პროგლემები ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში

ილია ჭავჭავაძისათვის დამახასიათებელია მრავალმხრივი ნიჭი. იგი არის მგოსანი და პროზაიკოსი, ლინგვისტი და ისტორიკოსი, ფსიქოლოგი და ეთნოფსიქოლოგი. პუბლიცისტი და კრიტიკოსი, მასწავლებელი და დამრიგებელი, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე და განმანათლებელი, თავისუფლებისა და პატრიოტული სიყვარულის მღაღადებელი...

ილია ჭავჭავაძეს აინტერესებდა თავისი ხალხის კულტურული, სოციალური და ეკონომიური ყოფიერების პრობლემები...

საქართველოს ცხოვრებაში არ ყოფილა არც ერთი შემოქმედებითი წამოწყება, რომელსაც არ შეხებოდა დიდი ჰუმანისტის მძლავრი კალამი.

თავის ავტობიოგრაფიული ხასიათის წერილში ილია გვაცნობებს: „ამის გარდა ბევრი წერილია კიდევ ჩემ მიერ დაწერილი საპოლიტიკო, საპუბლიცისტო საკრიტიკო და საპოლემიკო შინაარსისა, აგრეთვე წერილები საპედაგოგო საგნების შესახებ“[48].

ილია ჭავჭავაძე გახლავთ ფუძემდებელი თანამედროვე, სინთეზური მიმართულებისა, რომელიც მიზნად ისახავს შეისწავლოს მთლიანი ადამიანი. ამით დაამყაროს მტკიცე და მჭიდრო კავშირი მეცნიერებასა და ლიტერატურას, მეცნიერებასა და ხელოვნებას შორის. უფრო მეტიც, ილიას მთელი შემოქმედება ბრწყინვალე მა-

[48] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. ტ. IX. 1957, გვ. 313.

გალითია იმისა, რომ გადაუდებელი, საჭირო და აუცილებელია სიმბიოზი მეცნიერულ ფსიქოლოგიასა და მხატვრულ ლიტერატურას შორის.

ილიას აზრით, თუ პოეტი საკმარისად არ ერკვევა მეცნიერების საკითხებში მარტო ცარიელი ნიჭი ვერ უთარგმნის ცხოვრების წიგნსა, ამასთან ერთად მეცნიერება და ხელოვნება მოწოდებულია პასუხი გასცეს ცხოვრების ყოველ საჭირბოროტო საკითხს. მოვუსმინოთ ავტორს: „მეცნიერება და ხელოვნება რომელნიც დღე-მუდამ ზედ დასტრიალებენ ცხოვრებასა, რომ ყოველი ცვლილება მისი ცნობიერად გადმოიღონ, რომ ყოველი ყავილი მისი მოჰკრიფონ, შეიტყონ, რისთვის არიან იგინი და რანი არიან, — მეცნიერება და ხელოვნება სხვადასხვა გზით იკისრებენ ახალის ვითარების ახსნასა, ცნობაში მოყვანისა"[48] და შემდეგ განაგრძობს „მეცნიერება და ხელოვნება — ეს ორნივ ერთ და იგივე მსახურობენ"[49]. „მეცნიერებას და ხელოვნებას ჩვენ ვუყენებთ, როგორც ცხოვრების გასამჯობინებელ ღონისძიებათა... ჩვენ მეცნიერებას და ხელოვნებას მოვთხოვთ არსებითსა პურსა ცხოვრებაში გამომცხვარსა და მშიერთათვის მოსახმარებელ და გამოსადეგად[50].

პატრიოტული სიამაყის გრძნობით უნდა ითქვას, რომ გენიოსის ცნების ილიასეული განმარტება მთლიანად ასახავს მისი პიროვნების ღვაწლსა და მისწრაფებას. ჩვენ ვკითხულობთ: „შორმხედველობა, დროებაზედ უფლობა მარტო გენიოსის საქმეა. ის თავის თამამს სელაში შემოიბღერტავს ხოლმე მტერსა, რომელიც ჩვენითანა კაცსა უფარავს საგნის მნიშვნელობასა, გულ-უშიშრად მიდის წინ, როგორც ბელადი წინ მიუძღვის ხალხსა და უნათებს თავის ჭკუის სხივებით გზასა"[51].

მწერლის საზრუნავ საგანს შეადგენს ისტორიისა და სოციოლოგიის, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის, ლინგვისტიკისა და პედაგოგიკის მეცნიერებისა და ტექნიკის და ამასთან ერთად თავისი სამშობლოსა და ხალხის კეთილდღეობის პრობლემები.

მთელი თავისი მორალური და ფიზიკური არსით ილია ჭავჭავაძე ემსახურებოდა ხალხს, მის ინტერესებს და ამიტომ მოიპოვა დიდი პატივისცემა და გულწრფელი სიყვარული როგორც სამშობლოს მამამ.

---

48 ი. ჭავჭავაძე, ტომი III, სახელგამი, თბილისი, 1953, გვ. 60.
49 იქვე, გვ. 63.
50 იქვე. გვ. 68.
51 იქვე. გვ. 57.

მისი მოღვაწეობის სპეკტრი გვანცვიფრებს სიღრმით, მრავალმხრივობით სიდიადით და იმსახურებს განსაკუთრებულ შემოქმედებით ყურადღებას პერსონოლოგიის იდეათა შუქზე.

უწინარეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ ილია შოთა რუსთაველის სულისა და გრძნობის, აზრისა და გონების, სურვილისა და სწრაფვის, მოვალეობისა და შეგნების, სიყვარულისა და სიძულვილის, ძმადნაფიცობისა და დადნაფიცობის აპოლოგეტია. „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით ილია ჭავჭავაძე იძლევა ტირილისა და საერთოდ ცრემლის პრობლემის არა მარტო ღრმა ფსიქოლოგიურ ანალიზს, არამედ ცრემლს განიხილავს პერსონოლოგიური სხვადასხვა დონის შუქზე: „დიდი მწუხარება ცრემლს უშრობს კაცს, პატარა კი ცრემლს ადენს; დიდს სიხარულს ხშირად ცრემლი მოჰყვავს და პატარას კი—ღიმილი; დიდი გულისთქმა, ჭეშმარიტი გრძნობა მუნჯია, უტყვია და პატარა კი ყბედი და ლაქლაქა“[52].

პერსონოლოგიურად განსაკუთრებულად საინტერესოა ილიას აზრი ტარიელის სულიერი თვისების — მისი გულისთქმის შესახებ. ჩვენ ვგებულობთ, რომ გულისთქმის კაცს ძალუძს დაიმორჩილოს ჭკუა და გონება. პერსონოლოგიიდან ვიცით, რომ დამორჩილების ასეთი ძალა მხოლოდ პიროვნების ხვედრია; ამიტომ შინაარსობრივად ილიას ცნება გულისთქმის შესახებ გულისხმობს პიროვნების თანამედროვე გაგებას. ავტორი წერს: „კარგს, გონებამახვილს და გამჭრიახს ფსიქოლოგს, რომ ეს ძლიერება და ძალღონივრობა ტარიელისა აცოდინოთ და ამასთან ეს უეცარი შემოყრა გულისა დაწვრილებით უამბოთ“ — პირდაპირ მოგახსენებთ, რომ ტარიელი დიდის გულისთქმის კაცია, იმისანა გულისთქმისა, რომელიც ჭკუას გონებას მთლად იმორჩილებს როგორც ზარი, ელდა, მეხი... ეს თვისება გულისთქმისა რუსთაველმა ძლიერ კარგად იცის და ამიტომ აქებს იმ კაცს, ვინც გულისთქმას იმორჩილებს და ეურჩება“[53].

პიროვნულ პრობლემებს სიმართლისა და ჭეშმარიტების, და აგრეთვე პატიოსნებისა და უფლების შესახებ პოეზიაში უკავია ცენტრალური ადგილი.

პატრიოტიზმი განხილულია მაღალ პიროვნულ დონეზე, ხოლო სამშობლოს სიყვარულის წმინდა საქმეში დედაკაცი და მამაკაცი აბსოლუტურად თანაბარნი არიან.

---

52 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ტომი III, სახელგამი, თბილისი, 1953, გვ. 172.
53 იქვე, გვ. 170.

ილიასათვის ქართველი ერი, ენა, მისი სიტყვებით, რუსთაველი, ხალხი, უნდა იყოს მთლიანი, შეკრული ერთი აზრითა და გულით... უნდა იყოს „განუყოფელი ქართული „გამარჯვება", ხოლო „ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა: ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, საცა ყველაში თითო არ არის და თითოში—ყველა, საცა თვითეული ყველასათვის არ ჰფიქრობს და ყველა თვითეულისათვის, საცა „მე" ხშირია და „ჩვენ"-იშვიათი"[54].

პირველ რიგში უნდა დავიცვათ დედაენა, ქართული მეტყველება, ენა რუსთაველისა და აქ დაუდევრობა ყოვლად დაუშვებელია.

მოვუსმინოთ ილიას: „რომ არა გვყვანდნენ რუსთაველი, ალ. ჭავჭავაძე ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, კიდევ პო, გვყვანან, რატომ არ ვსწავლობ იმათ მშვენიერს ენას. დაუდევრები ვართ ქართველები და კიდეც ეგ მოგვიღებს ბოლოს, თუ ჩვენს საუბედუროდ არ გავსწორდებით როდისმე"[55].

ფსიქიკური პროცესები, რომლებიც დაკავშირებულია მუდმივ ანალიზთან და დაძაბულ ორიენტაციასთან, ხშირად უპირისპირდება ინდივიდუუმის განწყობას, ტენდენციებს, სურვილებს და მიზიდულობებს. ამის შედეგად ადამიანის ფსიქიკურ აპარატში წარმოიშობა კონფლიქტურ განცდათა გარკვეული კვანძი, რაც მოითხოვს ლოგიკურ ამოხსნას. რაც უფრო რთულია სუბიექტური და ობიექტური სიტუაცია, მით უფრო ღრმად და მწვავედაა წარმოდგენილი კონფლიქტური ბუნების ანტინომური რეაქცია. ამიტომ გამოჩენილ მწერალთა მხატვრულ ფსიქოლოგიაში განსაკუთრებული სიდიდით წარმოდგენილია ანტინომიური ბუნების შეჯახებანი, მსჯელობანი და გადანაცვლებანი. ხსენებულ ასპექტში ილია ჭავჭავაძის პოეზია და პროზა მოითხოვს სპეციალურ ფსიქოლოგიურ ანალიზს.

მოთხრობაში „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი" ჩვენ ვხედავთ ანტინომიური ბრწყინვალე მაგალითს პიროვნების დონეზე. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბოროტების დამახსოვრება გმირისათვის არ არის დამახასიათებელი, რომ გმირი უნდა იყოს კეთილშობილი და დიდსულოვანი ყოველი სიტუაციის პირობებში, ხოლო შურისძიება და უსიამოვნო აფექტის დახსომება არის დაბალ და წვრილმან ადამიანთა ხვედრი. ბოხუცმა მებრძოლმა ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილმა ჩამოაგდო ცხენიდან თავისი მოწინააღმდეგე და დასცა

---

54 იქვე, გვ. 76.

55 იქვე, გვ. 15.

იგი მიწაზე, მაგრამ უმალვე ჩამოხტა, ააყენა მტერი და უთხრა: ნუ გეშინია, თავს არ მოგკვეთავ, ცოდვაა შენი სიკვდილი, წადი მშვიდობითო. ჭავჭავაძის გმირის მსგავსად ვაჟა-ფშაველას გმირი ალუდა ქეთელაური აგრეთვე იჩენს განსაკუთრებულ კეთილშობილებას და დიდსულოვნებას.

მაღალი ჰუმანიზმი და გულწრფელი კაცთმოყვარეობა, რაც ახასიათებს ჭავჭავაძის მოთხრობის გმირ-მანდილოსანს ოთარაანთ ქვრივს, ხორციელდება ანტინომიური ქარაქტეროლოგიური თვისებების საშუალებით.

ილია ჭავჭავაძე არის მოქმედების ფსიქოლოგიის გამოჩენილი წარმომადგენელი მხატვრულ ლიტერატურაში. მისი აზრით შრომისა და წესრიგის კატეგორიები უნდა განსაზღვრავდეს და მიმართავდეს ადამიანის სულიერი ცხოვრების მთელ შინაარსს. ამასთან ერთად ჩვენ ვხედავთ, რომ შრომის კატეგორიის მოსპობის შედეგად ადამიანი შეიძლება დაეშვას ბიოლოგიურ საფეხურამდე.

მოქმედების ფსიქოლოგიის იდეები განსაკუთრებული სიცხადით და ლოგიკური სიმტკიცით მოცემულია მოთხრობაში „გლახის ნაამბობი". ჩვენ აქ ვხედავთ, რომ უსაქმურობა, ფუქსავატობა და ლიტონი ჰედონიზმი შესაძლოა გახდეს მიზეზი უგვანო მოქმედებათა, სურვილთა და საბოლოოდ ადამიანი მიიყვანოს კატასტროფამდე, როდესაც ყველაფერი დადებითი და სუფთა ისპობა.

ილია ჭავჭავაძის თანახმად უსაქმურობა წარმოადგენს ყველაზე საშინელ და აუტანელ მანკიერებას ცხოვრებაში.

შრომა და წესრიგი ქმნის მტკიცე რწმენას მომავლისადმი და ამასთანავე სახავს მდიდარ ოპტიმისტურ მომავალს.

ახალგაზრდობას უნდა ახსოვდეს, რომ მთავარია ცხოვრებაში მოქმედება და მუდმივი წინსვლა. მგოსანი აფრთხილებს ახალგაზრდობას, რომ ბედნიერია ის, ვინც ნაყოფიერად იყენებს დროს.

შრომის პრინციპი ერთნაირად ეხება როგორც მამაკაცს, ისე დედაკაცს. ოთარაანთ ქვრივი გვეუბნება: „თუ არ გაუგონიათ, ეხლა გაიგონონ... მითამ მე რითა ვარ ნაკლები იმ დამპალ გოგიაზედ. თუ იმასა ჰშვენის ბარი და თოხი, მერ რაღა დარდუბალა გადამკიდებია... რა საპყარი და დავარდნილი მე მნახესო"[56].

რკინის ნებელობით შრომისადმი ოთარაანთ ქვრივი ინახავდა თავისი ოჯახისა და თავისი მეუფის სახელსა და პატივს. რაც ქმა-

---

56 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ტომი II, მხატვრული პროზა. „ოთარაანთ ქვრივი", სახელგამი, თბილისი, 1950, გვ. 256.

რი მოჰკვდომოდა, მას აქეთ სულ ასე ექცეოდა ამ იარაღსა. სულთ-მობრძავი რომ ყოფილიყო, მაინც ერთს კვირას ისე არ გაატარებდა რომ არ დაეწმინდა, არ დაეკრიალებინა, ცხვრის დუმით არ გაეპოხა და ისე არ დაეკიდა თავის ადგილას. ხოლო ერთხელაც ისე არ გაუწმენდია, რომ თვალში ცრემლი არ მოჰრეოდეს, გული არ ამოსჯდომოდეს და არ ატირებულიყოს. „გატყდა შუაზედ ჩვენის წუთისოფლის უღელიცა, მოგიკვდა, ოთარაანთ ქვრივო, ტოლდასადები მეუღლე, დარჩი ცალად[57]“.

მოთხრობაში „სარჩობელაზედ“ ილია ჭავჭავაძე გვიმტკიცებს, რომ ყოველი ჰუმანიზმი და მასთან გულთბილი მგრძნობიარობა კარგავს თავის მიზანს და დანიშნულებას პიროვნების აქტიური მოქმედების გარეშე.

ავტორის თანახმად მორალი პოულობს ნამდვილ განხორციელებას მხოლოდ და მხოლოდ აქტიურ მოქმედებაში.

ზოგჯერ მამობრივ ზრუნვასაც აქტიური დახმარების გარეშე შეუძლია უარყოფითი შედეგის მოცემა. ბოროტებასა და უსამართლობასთან ბრძოლა არ შეიძლება წარმოებდეს მხოლოდ ემოციური თანაგრძნობის გზით, აქ საჭიროა აქტიური მოქმედება. საზოგადოებრივი ბრალდება „გვესმის შემდეგ სიტყვებში: „პატარები ვიყავით. ყველა ხედავდა, რომ თვალნათლივ გვძარცვავდნენ, არავინ არ გამოგვესარჩლა, არავინ მოგვეშველა, არავინ ხმა არ ამოიღო, ჩვენი ცოდვა ყველამ დაიდო კისრად. მამინაცვალმა კი არა, თქვენ ყველამ გაგვძარცვეთ ჩვენ, თქვენ ყველამ მოგვიღეთ ბოლო“. და შემდეგ: „განა შენ კი ამხანაგი არა ხარ ჩემის მამინაცვლისა. განა შენც კი არ დამირჩე ერთადერთი ძმა. განა შენ კი არ მიიყვანე ის სარჩობელამდე. შვილი გაოცდა, მამას ცივმა ოფლმა დაასხა. — მე რა შუაში ვარო? — დაიძახა კვნესით და თრთოლვით შეშინებულმა პეტრემ. პეტრე მთლად ცახცახებდა, მართლადა ჩვენი ბებერი პეტრე რა შუაში უნდა იყოს“[58].

საკითხი სულისა და ხორცის ურთიერთკავშირის შესახებ პერსონოლოგიის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა. პიროვნება მოწოდებულია მიმართოს და გარკვეული კორექცია გაუწიოს ინსტინქტებსა და მიზიდულებებს.

რით შეიძლება დასრულდეს ალტერნატული ბრძოლა ორ საწ-

---

57 ი. ჭავჭავაძე, ტომი II, მხატვრული პროზა. „ოთარაანთ ქვრივი“ სახელგამი, თბილისი, 1950. გვ. 259.

58 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ტომი II, „სარჩობელაზედ“, გვ. 212, 214, სახელგამი, თბილისი, 1950.

ყისს შორის: ფსიქიკურსა (პიროვნული) და ბიოლოგიურს (ინსტინქტები, მიზიდულებანი) შორის.

ხსენებული, განსაკუთრებულად რთული, მძიმე და მასთან ერთად მნიშვნელოვანი პრობლემა გენიალურად შუქდება ილია ჭავჭავაძის პოემაში „განდეგილი"[59].

ავტორს ნათლადა აქვს წარმოდგენილი პიროვნული კონტროლის საზღვრები და შესაძლებლობანი. იგი გვაფრთხილებს, რომ გული თავისებური და იდუმალი რეაქციების მქონეა: რომ გულისათვის სიტყვა ზოგჯერ წარსული თოვლის მსგავსია.

პოემა „განდეგილში" წარმოდგენილია სიტუაცია, როდესაც ინდივიდუუმის ფსიქიკამ, სიტყვამ და მორალურმა განწყობამ უნდა დასძლიოს ფიზიკური საწყისი.

ასეთი დასკვნისათვის ყველა პირობაა მოცემული. როგორც ვიცით, ამ სოფლისაგან წასული ბერი დასახლდა შორს, სადღაც მთებში.

ამნაირად შექმნილია პირობები, რომელთაც შეეძლოთ ბერის აბსოლუტური გარანტია ყოველგვარი შემთხვევითობისაგან, ხორციელი სურვილებისა და მაცთურობისაგან.

მაგრამ შემთხვევითმა გარემოებამ შექმნა ახალი ვითარება: გამოქვაბულში ბერთან მოხვდება მწყემსი გოგონა.

ეს მოულოდნელი სტუმარი აღმოჩნდა მშვენიერების განსახიერება.

ვხვდებით მოულოდნელობას: ბერი დამარცხდა და ხორციელმა საწყისმა გაიმარჯვა. ამნაირად ინსტინქტური მიზიდულება დაუძლეველი შეიქმნა.

შეეძლო თუ არა ილია ჭავჭავაძეს ასეთი დასკვნის გამოტანა, რომ პიროვნება მარცხდება ინსტინქტით; რომ ხორციელი თუ ფიზიკური ძლიერია პიროვნებაზე.

რასაკვირველია არა. ამ პოემაში ლოგიკური სიმტკიცით ნაჩვენებია, რომ პიროვნული კატეგორიები მოვალეობის, სინდისისა და მორალის შესახებ კარგავენ თავის მნიშვნელობას და დანიშნულებას, თუ ადამიანი არ იმყოფება აქტიურ მოქმედებაში და მოწყვეტილია შრომას, გარჯას.

ხალხიდან და სასარგებლო შრომითი მოქმედებიდან განსვლა

---

59 ი. ჭავჭავაძე, ტომი I, ლექსები, პოემები, „განდეგილი". სახელგამი, თბილისი, 1951.

ყოველთვის მთავრდება დამარცხებით. ამით აიხსნება ბერის განდეგილის სამწუხარო დასასრული.

მაღალი სურვილი და სულიერი სწრაფვა უსარგებლოა შრომითი კავშირების გარეშე. პიროვნების საბსახური ყოველთვის დაკავშირებულია რეალურ ცხოვრებასთან და სიკეთე მეღავნდება მხოლოდ მოქმედებაში.

ამით ილია ჭავჭავაძემ გენიალურად განსჭვრიტა თანამედროვე შრომათერაპიის თეორიული საფუძვლები.

ილია ჭავჭავაძე მოქმედების ფსიქოლოგიის ბრწყინვალე წარმომადგენელია და ამიტომ მის შემოქმედებაში ყველგან და ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი გარჯას—შრომას.

მისი აზრი გარჯისა და სინდისის ოფლის შესახებ წარმოადგენს შრომის ჰიმნს, რომელიც არის არა მარტო მოწოდება, არამედ მოქმედების პროგრამა კაცური კაცის დანიშნულებისა. მოვუსმინოთ ავტორს: „ვაქკაცობა უნდა შრომისა, რომ ოფლი ჰღვაროს. კიდევ ვიტყვით, ქვეყანა ეხლა იმისია, ვინც ირჯება და ვინც იცის წესი და ხერხი გარჯისა, ვინც უფრთხილდება ნაშრომს ვინც იზოგავს ნაღვაწს... ხმლით მოსეულმა ვერა დაგვაკლო რა-შრომით და გარჯის, ცოდნით და ხერხით მოსეული—კი თან გაგვიტანს, ფეხქვეშიდამ მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს, გაგვიწყვეტს, სახსენებელი ქართლისა ამოიკვეთება და ჩვენს მშვენიერს ქვეყანას როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან. შრომასა და გარჯას, ცოდნასა და ხერხს ვერავინ-ღა გაუძლებს, თუ შრომა და გარჯა, ცოდნა და ხერხი წინ არ მივაგებეთ, წინ არ დავახვედრეთ, წინ არ დავუყენეთ... ეხლაც ომია, ხოლო სისხლის ღვრისა-კი არა ოფლის ღვრისა, ომი უსისხლო მშვიდობიანი წყნარი... ეს ომი შრომისაა, და ვითარაც შრომა-პატიოსანია, ნამუსიანია და ისეთივე თავმოსაწონებელი, თავგამოსაჩენი, როგორც უწინ თოფისა და ხმლის ომი იყო, ვაქკაცობა ამისთანა ომში ბევრით წინ არის სისხლის ომის ვაქკაცობაზე. ვაქკაც გულადზე მშრომელი სამის გაფრენით მეტიაო იტყოდა გლახაკი“[60].

ილია ჭავჭავაძის სიტყვები ილია ოქრომჭედლიშვილის ღვაწლის შესახებ შეადგენს თანამედროვე პერსონოლოგიის წამყვან იდეას. ოქრომჭედლიშვილს თამამად შეეძლო ეთქვა: „ჩემის მხნეობით ვძლიე წყალსაც, ცეცხლსაც, ნიაღვარსაც, არაფერს შევუ-

---

[60] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ტ. V, გვ. 13.

შინდი, არაფერს გავექეცი, საქმე საქმეზე მივიყვანე და ჩემი გავიტანეო. გაიტანა და მერე როგორ. არა მდაბალი ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით. საქმიანი კაცობაც ეს არის. გამრჯელი და მშრომელი ამითანა მხნე კაცს ეთქმის"[61].

ჭავჭავაძის შემოქმედებაში შრომის ანუ გარჯის გრძნობა გაშუქებულია მაღალ პერსონოლოგიურ დონეზე და იგი შეფასებული უნდა იყოს როგორც პიროვნული ბუნების განცდა, ესე იგი ინტელექტუალური გრძნობა.

განსაკუთრებულად საინტერესოა ის გარემოება, რომ ორი სახის ინტელექტუალური გრძნობა—გარჯა და პატრიოტიზმი—მოცემულია ერთი მთლიანი პიროვნული კატეგორიის სახით. ილიას აზრით გარჯა და პატრიოტიზმი ურთიერთშერწყმული, ურთიერთგანუშორებელი და ურთიერთგანმსაზღვრელი ფსიქოლოგიური ცნებებია. იგი წერს: „თვითეულის ჩვენგანის გული ერთს გრძნობაზედ არის ასხმული და ეგ გრძნობა ის პატივისცემაა, რომელსაც ყოველი მამულიშვილი გულში უნდა მოწიწებით ინახავდეს და სამართლიანად შესწირავდეს ქვეყნისათვის გამრჯელსა და მოამაგეს"[62].

პიროვნების ფსიქოლოგიაში ცენტრალური ადგილი უკავია დეონტოლოგიას, ესე იგი მოძღვრებას სინდისის სიფაქიზესა და საერთოდ ადამიანის ზნეობრივი შინაარსის შესახებ. ხსენებული პრობლემა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია დღეს, როდესაც ტექნიკურმა აზროვნებამ და კიბერნეტიკულმა მანქანებმა თითქმის დათრგუნა ადამიანის ხულიერი სითბო, მისი გრძნობა და გულისთქმა, ხოლო ორი მსოფლიო ომის შედეგად მოხდა ესოდენ ღრმა ფსიქოლოგიური ძვრები, რომ შეირყა ტრადიციული წარმოდგენები ადამიანის სიცოცხლის მიზნის, აზრის, მნიშვნელობისა და დანიშნულების შესახებ. ამიტომ დეონტოლოგიის მნიშვნელობა დღეს საყოველთაოდ აღიარებულია.

ეროვნული სიამაყის გრძნობით უნდა ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძე დეონტოლოგიის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელია, იგი ეხება და ჯეროვნად წყვეტს ზოგადფსიქოლოგიურ, მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემებს. ავტორი ნათლად გვიჩვენებს, თუ რა არის ადამიანის დანიშნულება და ურყევი ლოგიკით გვიხატავს კაცური კაცის მდიდარ, ნათელ და მაღალ ბუნებას.

---

61 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ტ. V, გვ. 260.

62 იქვე, გვ. 259.

ჯერ კიდევ რუსთაველის დროიდან და კიდევ უფრო ძველთაგან მომდინარე დეონტოლოგიურმა იდეებმა შეინახა ქართველი კაცის პატრიოტული სული მისი გულადი ვაჟკაცობა, სინდისის. ოფლის პატივისცემა და შეუდარებელი კეთილშობილება. ხოლო ეს იდეები ილიამ გააღვივა, განამტკიცა და აუცილებლობის სამოსით შემკული მოგვაწოდა მუდმივ სახელმძღვანელოდ.

ილია გვასწავლის, რომ მთავარია კაცური ხასიათი, ესე იგი ადამიანის პიროვნების დონე და მისწრაფება და არა ცენზი, თუ სახელმწიფოებრივი სამოსი. იგი წერს: „არიან ბევრნი დიდ-ხარისხოვანი, მეცნიერნიცა, მოღვაწენიცა, მწერალნიცა, და არიან მხოლოდ ხასიათის კაცნი, კაცნი გულთა სრულნი. მძლედ მობურთალნი ქვეყნიერების მოედანზედ მარტო დიდ-ხასიათის კაცნი არიან. ქვეყნის ღერძს მარტო ის ატრიალებს, ვისაც მიჰმადლებია გულთა-სრულობა, დიდ-ხასიათობა, იმისდა მიუხედავად ტრიალი ემარჯვათ თუ ემარცხათ. ყოველივე დიდებული საქმე, რითაც-კი კაცობრიობა ჰქადულობს და თავს იწონებს, ქმნილია ხასიათიან კაცთა მიერ და არა ვისაე სხვისაგან. ამიტომაც ხასიათიდან კაცის წინაშე ყველა უნებლიეთ თავს იხრის მოწიწებით და სასოებითა: ამიტომაც ყველა, დიდი და პატარა, უკან მისტირის, როცა ამისთანა კაცი მიდის უკან დაუბრუნებლად და სამუდამოდ“[63].

ყოველი ადამიანი ვალდებულია იფიქროს თავის კაცობაზე, გაამართლოს თავისი არსებობა. ამიტომ თანახმად ილიასი „აქედან დიდი სახტომი არ არის იქამდე, რომ კაცმა თვალი შიგნით ჩაიბრუნოს და თავის გულში დაიწყოს იმის პასუხის ძებნა თუ რისთვისა ვარ რა გამიკეთებია, რით მომიგონოს ჩემმა შემდეგმა. დიახ, ამისთანა მაგალითი მოგვივლენს ხოლმე თავისთავის განკითხვის დღესა, გვწვრთნის, გვასწავლის, გვზრდის“[64]. „ხოლო მართალიც არის. კაცურის კაცობის თავი-და თავი ღირსება და ორი გრძნობაა: თუ სამართლიანი ხარ და კაცთმოყვარე, მაშინ ყველაფერი ხარ“[65].

მსგავსად ივანე ტურგენევისა, ილია მართალ გულისთქმას ჭეშმარიტებაზე მაღლა აყენებს. აი რას წერს იგი დიმიტრი ყიფიანის შესახებ: „ერთმა ჩვენმა მეგობარმა გვითხრა: იგი იყო კაციო, რომელიც თავის დღეში არ იტყოდა „ჰოს“. როცა მისი გული ამბობდა „არას“, ძნელია უკეთესად გამოთქმა ადამიანის ღირსებისა; დიახ, დიმიტრი ყიფიანი იყო მართალი კაცი; იმიტომ, რომ მართალი

63 ი. ჭავჭავაძე, ტ. IX, გვ. 223.

64 იქვე, გვ. 230.

65 იქვე, გვ. 299.

მარტო ის არის, რომ „ჰო“ არა სთქვა, როცა გული „არას“ ამბობს. კაცმა სთქვას, რაც ჭეშმარიტია, არამედ ისა, რასაც ვფიქრობთ და რაც გულში გვაქვსო“[66].

ილიას თანახმად კაცი მარტო თავის თავზე არ უნდა ზრუნავდეს, მისი წმინდა მოვალეობაა სხვაზე ფიქრი და იგი ვალდებულია გამოეხმაუროს გამოესარჩლოს სხვას, როცა ხედავს უსამართლობას. „ერთხელ და ორჯერ არ შეგვხვედრია, რომ კაცი უსაბუთოდ ჰლანძღავს და ლაფში სვრის და როცა გამოსარჩლებია ვინმე, უკითხაეთ: „შენი რა არისო“—ჩემი რა უნდა იყოს, არც კი ვიცნობო—„თუ არ იცნობ შენს სხვისთვის რად იჭაჭებიო“ „იმიტომაო, რომ ისიც კაცია და უსაბუთოდ შებღალვა კაცის ნამუსისა უნამუსობაა, და დღეს ის ამოგიღია ნიშანში, ვინ გვითავდებებს, რომ ხვალ სხვას ვისმე მაგ დღესვე არ დააყენებო“[67].

ყველაზე საშინელებაა უგვანობა, როდესაც ადამიანი ზნეობრივად შიშვლდება. კარგავს ნამუსს და ცდილობს არაკაცური გზით ლელოს გავიდეს, ცდილობს დაიკმაყოფილოს მხოლოდ თავისი ბინძური ზრახვები, გადაწყვეტილებანი და ადამიანს გასრესს, ვით ჭიანჭველას, უწმინდური იარაღის ხმარება უნდა ამოიწვას, დაიშანთოს, დაიდაღოს... აი რას ამბობს ილია: „პატიოსანს, ნამუსიანს კაცს ხელთა აქვს მარტო პატიოსანი და ნამუსიანი სახსარი მტრის მოგერიებისა და გაძღოლისათვის. თუ არ ამისთანა სახსარს იგი ხელს არა ჰკიდებს, თუ არ ამისთანა იარაღს, იგი სხვას არას ჰკადრულობს, და ამის გამო უფრო რჩებს დამარცხებულ იქმნას უნამუსო შრისაგან, ვიდრე უწმინდურის იარაღით ეჭიდოს და გაიმარჯვოს, უსირცხვს და უნამუსო კაცს-კი ამის დარდი არა აქვს: ოღონდ თავისი გაიტანოს და ყოველგვარს საძაგლობას ჰკადრულობს, ყოველგვარს უკადრის იარაღს ხელსა კიდებს“[68]. და იქვე: „სამარცხვინო გამარჯვებას ისევ პატიოსანი დამარცხება სჯობია, როგორც ნაძრახს სიცოცხლეს—სახელოვანი სიკვდილი“[99].

ამასთან ერთად გულითადი აზრი ის არის, რომ სასჯელი ზღვევა არ იყოს, სამაგიეროს გადახდას არ მოასწავებდეს.

ილია მიგვითითებს, რომ ზნეობრივი სიფაქიზე განსაკუთრებულად მოეთხოვება ლიტერატურას, ხოლო მორალური გახრწნილობა უსაზღვროა. „როცა ლიტერატურა—ეგ ადამიანის ჭკუისა და ზნეო-

---

66 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ტ. IV, გვ. 222.

67 იქვე გვ. 262.

68 იქვე, გვ. 22.

69 იქვე, გვ. 8.

ბის საგანძე — შეიკედლებს მაგ საძაგლობას, როცა მაბეზღარს თავის ცარს გაუღებს ხოლმე, მაშინ თვით საზოგადოების გახრწნილობა ცხადია და სულთ-მობრძაობა მისის წყობისა უეჭველია"[70].

ვრწმუნდებით, რომ ნამუსის შებღალვა, ნამუსის ახდა, კაცის სახელის გატეხვა ისეთი დიდი უბედურებაა, რომ აქ ბრძოლაში ლიტერატურამ არავის არ უნდა დაუთმოს იოტის ოდენაცა.

ილია აგვიწერს უგვანო შემთხვევას, უსაზღვრო — „დოსტოევშჩინას", როდესაც „კაცმა სინდისიც უნდა დაივიწყოს, ნამუსიც უნდა ჩვარში გამოჰკრას, პატიოსნებაც ჰგმოს, ერთის სიტყვით, ყველა ღვთაებურს ნიჭს ადამიანისას უნდა გადაუდგეს"[71].

ილია გენიალური ფსიქოლოგიური დაკვირვებებით გადმოგვცემს ვითარებას, რომელიც უნდა შეფასდეს, შექსპირის გმირის ჰამლეტის სიტყვები რომ ვიხმაროთ, როგორც „დროის ღრძობა-ამოვარდნა".

მორალური მარაზმი, ესე იგი „დროის ამოვარნილობა" უსაზღვრო კატასტროფაა. აქ ბრძოლა უნდა მიმდინარეობდეს ორი მიმართულებით: ცუდი მაგალითი საჭიროა გაიკიცხოს, ხოლო კარგი მაგალითები გამრავლდეს, რათა საზოგადოებას ჰქონდეს მორალური საყრდენი, სინდისის საბჯენი.

ილიას დეონტოლოგიური იდეები შეიძლება შეჯამდეს მის მიერვე მოწოდებული ფორმულით: „არის ზოგიერთი იმისთანა ზნეობრივი კანონი, რომელიც კაცთა ერთმანეთობით ცხოვრებას საძირკვლად უდევს და რომელიც ყველასათვის ერთნაირად სავალდებულოა რა დასისა და რწმენისაც გინდა იყოს"[72]. აღნიშნული ერთნაირად სავალდებულო ზნეობრივი კანონი დაფუძნებულია კატეგორიებზე.

ილიას თანახმად ცხოვრების ზნეობრივ კანონს ჰქმნის ხალხი. მას უყვარს ხალხი, ოპტიმისტურად სჯერა ხალხის და აქვს მისი იმედი. ავტორის რწმენით ხალხი წყაროა სულიერი საუნჯისა; მიმართეთ ხალხს, ისწავლეთ მათგან, იცოდეთ, სულიერი სალარო ხალხშიაო...: იგი გვაფრთხილებს: „ჭკუა რომ დაიკარგოს, ხალხში უნდა მონახოთ. სულიერს განძს კაცობრიობისას აქ აქვს თავისი სალარო და ლოღიკაც — ეს უკეთესი ნიჭი ადამიანისა — აქა ჰპოულობს თავის სადგურსა"[73].

---

70 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ტ. VIII, გვ. ę.

71 იქვე გვ. 20.

72 იქვე, გვ. 304.

73 იქვე, გვ. 272.

დღეს კულტურის ყოველ უბანზე წამოჭრილია მეტად მნიშვნელოვანი შემოქმედებითი პრობლემა, რომ ძიების სინთეზურმა კვლევამ უნდა დაფაროს ვიწრო ანალიზური ხასიათის მიმართულებანი. საჭირო ხდება ადამიანის შესწავლა მთლიანობის ასპექტში.

ხსენებული გზა-წესის აუცილებლობა და პერსპექტიულობა ილიამ გენიალურად განსჭვრიტა ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს. უფრო მეტიც პიროვნების მთლიანობის პრობლემასაც იგი ანზოგადებს და მსჯელობს ხალხის, ერის მთლიანობის ეროვნულ მნიშვნელობაზე. ხოლო ერის მთლიანობის მძლავრ და უტყუარ დუღაბს წარმოადგენს მისი ისტორია. წარსულის შემოქმედებითი ტრადიციები აწმყოსი და მყობადის მტკიცე საფუძველია. ილია წერს: „ყოველი ერი თავისი ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძე, საცა ერი პოულობს თავისის სულის ღონეს, თავისის სულის ბგერას, თვის ზნეობითს და გონებითს აღმატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვისებას. ჩვენის ფიქრით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნეობისა და გვარტომობისა ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა“[74]. პიროვნულად მტკიცე ადამიანს მუდამ სწამს თავისი ჩანაფიქრი; იგი არ უშინდება არც ლანძღვას, არც მუქარას და თავისი სიმართლით ჩადის საფლავში.

ილია ჭავჭავაძის პერსონოლოგიური იდეები მნიშვნელოვანი შეცნიერული განძია ფსიქოლოგიისა და ფსიქოპათოლოგიისათვის. ჩვენ ვეცნობით მოქმედი პიროვნების სულიერ სამყაროს, ადამიანის მნიშვნელობასა და დანიშნულებას. ჩვენ ვეცნობით კაცური კაცის ფაქიზ სულიერ საუნჯეს... ჩვენ ვიგებთ, რომ უგვანო ადამიანის სულიერი სიბინძურე დიდი „შინაგანი სატკივარია, სანაღვლოა“.

პერსონოლოგიური პრობლემები ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში

ვაჟა-ფშაველას მხატვრულ ნაწარმოებებს აქვს განსაკუთრებით ღრმა ზოგადფსიქოლოგიური, სოციალურ-ფსიქოლოგიური და ეთნოფსიქოლოგიური მნიშვნელობა.

ავტორის შემოქმედებით მიღწევებს ხელი შეუწყო არა მარტო მის მიერ მხატვრული ლიტერატურის, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ამომწურავმა ცოდნამ, არამედ საკუთარი ხალხის საყოფა-

---

74 ი. ჭავჭავაძე, ტ. IV. გვ. 9.

ცხოვრებო წყობის, ზნე-ჩვეულებების. მდიდარი კულტურის, წარსულისა და აწმყოს იშვიათმა წვდომამ, საქართველოს განუსაზღვრელმა სიყვარულმა.

პოეტი შესანიშნავად გრძნობდა ადამიანის შინასამყაროს, ესმოდა მისი მისწრაფებები და იდეები.

ვაჟა-ფშაველა აღფრთოვანებით უმღერდა კეთილშობილებას, სულგრძელობას და ადამიანის სიყვარულს, მაგრამ სასტიკად გმობდა სიმდაბლესა და უხამსობას. საუკუნეობით ჩამოყალიბებული თემური წყობის ფსიქოლოგიის გენიალური მცოდნე, იგი ხედავდა, რომ ცხოვრების დაუწერელი მორალური კანონი წარმოადგენს თემური წყობილების სულიერ და ფიზიკურ საფუძველს. ამავე დროს, პოეტი სულგრძელობასა და კაცთმოყვარეობას, როგორც პიროვნულ თავისებურებებს, თემური ფსიქოლოგიის მოთხოვნილებებზე მაღლა აყენებს.

პოეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პერსპექტიული მომავლის საწინდარი უნდა იყოს მორალური სისპეტაკის იდეა და ამიტომაც მიუღებელია ყოველგვარი რელიგიური ან ვიწრონაციონალური მოქმედება.

ვაჟა-ფშაველა არა მარტო დიდი პოეტია, პროზაიკოსი და დრამატურგი, არამედ უნიჭიერესი პუბლიცისტი და ეთნოსოციოლოგი, ფოლკლორისტი და ენათმცოდნე, ეთნოგრაფი და ეთნოფსიქოლოგი.

სიმართლის პრობლემას პოეტი ჭეშმარიტების პრობლემაზე მაღლა აყენებს და კატეგორიულად წინააღმდეგია ადამიანის მორალური კოდექსის გაბინძურებისა.

პატრიოტული სიამაყით ვაჟა-ფშაველა აღწერს მთიელთა პიროვნულ თვისებებს, მათს სულგრძელობას და კეთილშობილებას მშვიდობიან ცხოვრებასა და ბრძოლაში, ჰუმანურ ტრადიციებს გმირული თავგანწირვისა და სამშობლოსათვის, სიმართლისა და კაცთმოყვარეობის იდეისათვის.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას პერსონოლოგიისათვისაც განსაკუთრებული ინტერესი აქვს. როგორც ცნობილია, მხოლოდ პიროვნების დონეზე შესაძლოა განხორციელდეს იდეები სულგრძელობისა და კეთილშობილების, მომავლის რწმენა, ოპტიმისტური დაყენება და გულისთქმის, ე. ი. გრძნობების კონტროლი. პოეტის მიმართვა გულისადმი არის პიროვნების მოწოდება, რათა

იგი იყოს მედგარი და გაუკეთოს მობილიზაცია თავის ძალთა შესაძლებლობებს.

სიცოცხლე ადამიანისათვის ნიშნავს, რომ მოძმე უყვარდეს და უერთგულოს გაჭირვებაში.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში წარმოდგენილია სილამაზის ფსიქოლოგიის ნატიფი და, ამავე დროს, ღრმა და ლაკონიური განმარტება. ხაზგასმულია, რომ კეთილგანწყობილება პიროვნების ყველაზე დიდი სილამაზეა, ხოლო შური მახინჯთა ხვედრია.

სპეციფიკურ პიროვნულ თვისებებთან პირდაპირი კავშირი აქვს ურთიერთზრუნვის, ურთიერთპატივისცემის პრინციპებს, აგრეთვე ადამიანთა შორის გულითად და სულიერ დამოკიდებულებას.

არც ერთი წამოწყება, არც ერთი ინიციატივა, არც ერთი საქმე დადებითად არ დასრულდება, თუ მათში ფსიქოლოგიურად არაა ჩაქსოვილი გული და სული. სინდისის ჩუმი შინაგანი ხმა, როგორც სუბიექტური კონტროლი, უეჭველად განაპირობებს ადამიანის შრომის ხარისხს. ამ მხრივ პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება ვაჟა-ფშაველას დებულებას ადამიანის სულისა და გულის შესახებ. იგი გვაფრთხილებს, რომ ყველა კაცს აქვს სული და გული, თუმცა ყოველი ადამიანი სუნთქავს და დადის ორ ფეხზე... გვაფრთხილებს, რომ საჭიროა ბრძოლა უსულგულობასთან.

ეს სიტყვები განსაკუთრებით უნდა ახსოვდეთ ექიმებს, უპირველეს ყოვლისა — ფსიქიატრებს.

ვაჟა-ფშაველას თანახმად, სულს ჟანგი უნდა ჩამოვაშოროთ და უნდა ვეცადოთ არ დაიფაროს იგი კიდევ უფრო მეტი ჟანგით და ობით. ადამიანი არ უნდა იყოს უგულო, უსულო, კამეჩივით ხქელკანიანი.

პათოფსიქოლოგიაში ვხვდებით რთულ, დახლართულ და მრავალნაირ სულიერ პერტურბაციებს. განვითარების პროცესის ანალიზის დროს, ე. ი. სხვადასხვაგვარი პათოფსიქოლოგიური გამოვლინების განვითარების ახსნისას საჭიროა გვახსოვდეს ვაჟა-ფშაველას აზრი, რომ ყოველ ვნებას, ყოველ გრძნობას აქვს თავისი ბუნება, თავისი განვითარება, დაბადების ჟამი, ყრმობის, ჭაბუკობის, მოწიფულობის და სიკვდილის დრო—და ეს ყოველივე ადამიანს უნდა ჰქონდეს მხედველობაში.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში სოციოლოგიურ-ფსიქოლოგიური პრობლემები მჭიდროდაა დაკავშირებული პერსონოლოგიურ-

თან. პოეტი ჩერდება თემური ფსიქოლოგიისა და ინდივიდუალური ფსიქოლოგიის ურთიერთდაპირისპირებისა და შეჯახების პრობლემებზე.

პოემაში „სტუმარ-მასპინძელი", აგრეთვე სხვა ნაწარმოებებშიც, გატარებულია ძირითადი აზრი, რომ ადამიანი, რომელიც ხელმძღვანელობს მოვალეობისა და მორალის პიროვნული კატეგორიებით, ისტორიულად დაკანონებულ თემურ ხალხურ ტრადიციებზე მაღლა უნდა იდგეს და გამოიჩინოს სულგრძელობა.

ლიტერატურაში გავრცელებულია აზრი, თითქოს არსებული სოციოლოგიური ამოცანის ასეთი გადაწყვეტა იყოს პოეტის ხარკი კერპთაყვანისმცემლობისადმი. უკეთ რომ ვთქვათ, ქრისტიანობის წინაშე პერიოდის თემური ტრადიციებისადმი. ხსენებული შეხედულება ჩვენ მიგვაჩნია მეტად მცდარად. გადაჭრით უნდა ითქვას, რომ პოეტის შემოქმედებაში არანაირად არ ჩანს უკან დახევის არავითარი კვალი; პირიქით, თემურ-ფსიქოლოგიური ტრადიციების ფონზე წინ წამოწეულია პერსონოლოგიური ხასიათის პრობლემები.

ვაჟა-ფშაველა ავითარებს და აღმავებს კლასიკურ თეზისს: ადამიანი ჯერ უნდა იყოს მოქალაქე და შემდეგ პოეტი.

—·—

გენიალური მწერლის შემოქმედებაში ერთგვარ ასახვას პოულობს შოთა რუსთაველის იდეა მოვალეობასა და მორალურ სიწმინდეზე, შექსპირის წარმოდგენა სიცრუესა და შურზე, გოეთეს აზრი წესრიგისა და ცხოვრების ჰარმონიის შესახებ, ნიკოლოზ ბარათაშვილის იდეა ნდობისა, ტურგენევის დებულება სამართალზე და დოსტოევსკის შეხედულება ადამიანის უგვანობაზე.

ვაჟა, როგორც არავინ სხვა, იძლევა ანალიზს უმაღლეს პიროვნულ დონეზე ადამიანის მნიშვნელობისა და დანიშნულების ურთულესი ფსიქოლოგიური პრობლემის შესახებ.

ვაჟა-ფშაველა, ჯერ კიდევ ბავშვობის წლებში, ითვისებს შოთა რუსთაველის, დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის მოწინავე იდეებს და, ამ მხრივ, თავისი გენიალური წინაპრების ღირსეული მემკვიდრე ხდება. შემთხვევით არ არის, რომ სწორედ დიდმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ ილია ჭავჭავაძემ პირველმა მიაქცია ყურადღება ჯერ კიდევ უცნობი მთიელის ტალანტს. ვაჟას პოემების გაცნობის შემდეგ ილია ჭავჭავაძემ საჯაროდ განა-

ცხადა, ძველი თაობის პოეტებმა აღარ უნდა აიღონ კალამი ხელშიო.

როგორც ცნობილია, გეოგრაფიული პირობების გამო ფშავ-ხევსურეთი და თუშეთი ისტორიულად უფრო დაცული იყო საქართველოს სხვა რაიონებთან შედარებით, რის გამოც მთის ხალხმა წმინდად შეინახა თავისი დიალექტი და ქართველი ერის ტრადიციები. მთამ აგრეთვე შემოინახა შოთა რუსთაველის უკვდავი საერთო-საკაცობრიო იდეები მოვალეობასა და ვალდებულებაზე სინდისსა და პატიოსნებაზე, კანონსა და წესრიგზე; შემოინახა იდეები სიყვარულისა და სიძულვილის, თავგანწირვისა და ღალატის, სიმართლისა და უზნეობის შესახებ.

აღწერდა რა თავისი გმირების მოქმედებას, ვაჟა-ფშაველას შესანიშნავად ესმოდა, რომ მხოლოდ ძლიერ პიროვნებას შეუძლია ღიმილით შეეგებოს სიკვდილს.

შოთა რუსთაველის გენიალურ პოემაში ცრემლის პრობლემის განხილვისას ვწერდით, რომ ცრემლი მუდამ სასოწარკვეთის, მწუხარებისა და მომავლის უიმედობის მაჩვენებელი როდია. ამ მიმართულებით, რუსთაველის პოემა სპეციალურ ანალიზს მოითხოვს. ჩვენ ვხედავთ, რომ გარკვეულ პირობებში რაინდთა თვალებზე-მომდგარი ცრემლი პიროვნების დეპრესიას არ გამოხატავს. ცრემლი როგორც ემოცია, სიმხნევეს მატებს რაინდებს და საგმირო საქმეებისაკენ მოუწოდებს.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში ვხვდებით პიროვნულ დონეზე ცრემლის პრობლემის შემდგომ ანალიზს. მოთხრობაში „ბათურის ხმალი" ავტორი შემდეგნაირად აგვიწერს ერთ-ერთი გმირის, ხეტეს ტირილსა და მწუხარებას: „გმირის ტირილი გამწარებული ვეფხის რუხრუხსა ჰგავდა, რომლისთვისაც ვიღაც თავხედ მონადირეს ლეკვები მოუპარავს, შვილების მაძებარი აწყდება აქეთ-იქით, ადუღებული სისხლი ყელში ებჯინება; რომ ნამდვილი მტერი ვერ უპოვნია, ხესა და ქვასღა ჰლრღნის, მიწას ჰღადრავს კლანჭითა". ეს ტირილი უფრო წყევლა-კრულვა იყო მტრის, ბრაზში და ნაღველში ამოვლებული, ცრემლით განბანილი. მაგრამ ეს ცოტაა ხეტეს გლოვის დასასურათებლად; ეს ვეფხვი უნდა იქცეს ცრემლის მფრქვეველ სალ კლდედ თავისი სიმტკიცით და შეუდრეკელობით, მხოლოდ მას შერჩეს მსგავსება ვეფხისა. „ეს ორი საგანი შეაზვავეთ ერთად ოცნებაში, ადინეთ ცრემლი, ალაპარაკეთ; მხოლოდ, ამ გლოვისა და ვაების დროს, სრულიად, უკლებლად შერჩეს სიმტკიცე

გაუტეხელობა, დიდებულება კლდისა, ეს იქნებოდა სრული სურათი ხეტეს გლოვისა, მისი მოაზრებისა"[75].

ამ განმარტებაში მოცემულია განცდათა უფაქიზესი პერსონოლოგიური ანალიზი.

იმისათვის, რომ სევდის და მწუხარების ჟამს შეინარჩუნო მოქმედების სიმტკიცე, ნებელობის ურყეობა და სულის სიდიადე, უსიამოვნო (ასთენიური) ემოცია პიროვნულ დონეზე უნდა ვითარდებოდეს.

— · —

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში მოცემულია მოვალეობის კატეგორიის, როგორც პიროვნული სპეციფიკის, გენიალური ფსიქოლოგიური ანალიზი. ადამიანის ცხოვრების ძირითადი მიზანია ხალხისა და სამშობლოს სამსახური. პოეტი ხაზს უსვამს, რომ მოვალეობით განპირობებული მოქმედება აწ3ყოთი არ შემოიფარგლება. იგი არ წყდება და სამარადისო გმირული ხასიათის მაგალითს იღებს. ვაჟა წერს: „ბათური ფშავში, თავის სამშობლოში საკაცით მოიტანეს ბრძოლის ველიდან თანამოძმეებმა და დიდის ამბით მიაბარეს მშობლიურ მიწას. მოზარეთა ზარი დედემიწასა სძრავდა, მთებს ქედს ახრევინებდა და ცრემლს ადენდა. ბევრმა ლამაზმა ქალმა და რძალმა მოიჭრა ხშირი ყორნის ბოლოსავით შავი თმა, თორმეტ ნაწნავად დაწნული, ნიშნად ღრმა მწუხარებისა. საკაცეს თან მოაყოლებდენ ბათურის ცხენს, რახტში ჩამჯდარს; ცხენსაც კი ჯავშანი ეცვა, ზედ არავინ იჯდა. უნაგირის ტახტებზე იყო დაკიდებული გმირის რკინის სამოსელი: პერანგი, ჩაჩქანი, საფუხრეები. თავად ბათურსაც მტრის ისარმა მოუღო ბოლო. გააფრთებულს ბრძოლაში, ხმლის ქნევის დროს, ისარი დაჰკრეს იღლიის ძირში, რადგან იმას არ უფარავდა ჯაჭვი".

„...მაგრამ ხალხი ხმალზე უფრო ბევრსა ლაპარაკობდა, ბათურის ხმალზე: ქარქაშიდან ამოდის და ქარქაშიანი სწუხს, მიცვალებულის მკერდიდან აქეთ-იქით გადად-გადმოდისო".

მაგრამ ყველაზე განსაცვიფრებელი ის იყო, რომ თემის წევრებმა დაინახეს: „ღამით როცა ყველას ღრმა ძილით ეძინა, ცეცხლიც ღეელფზე შეხვეული, ნაცარმიყრილი, მთელ დარბაზში წყვდიადი გამეფებული, ხმალი თავისთავად ამოწვდილა ქარქაშიდან და დაუწყია ჰაერში ნავარდი, პრიალი ისე, როგორც მას ბრძოლის

---

75 ვაჟა-ფშაველა, ტომი, VII „ბათურის ხმალი", გვ. 116.

დროს ატრიალებდა ბათური. შემდეგ თავისთავადვე ჩაგებულა ქარ-ქაშში. ამ ამბის მნახველი რამდენიმე წევრი იყო ოჯახისა ცალ-ცალკე, ხოლო მაგალითი არა ყოფილა, ხმლის ნავარდი ორს ერ-თად ენახა".

.გასაგებია, ფსიქოლოგიურად ჩვენ საქმე გვაქვს თემის სურ-ვილთან წმინდად შეინახოს და უკვდავჰყოს ხსოვნა ბათურის გმი-რობისა. ხალხი მოუწოდებს, მიჰბაძონ მის გმირულ საქციელს.

ბათურის ხმალი მხოლოდ მაშინ დამშვიდდა, როდესაც სათე-მო დროშის გვერდით მოათავსეს.

პოეტის შემოქმედებაში წინ წამოწეულია მაღალჰუმანური პა-ტრიოტიზმის პრინციპი, რომელიც ადამიანს მოუწოდებს პატივი-სცეს და უყვარდეს, როგორც თავისი, ისე სხვა ერი. ვაჟა აღნიშ-ნავს, ჩვენ არავის ვართმევთ სამშობლოს და ჩვენც ნურავინ შეგ-ეედავებაო.

მსგავსი პატრიოტული გრძნობა შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს როგორც ინტელექტუალური ემოცია პიროვნულ დონეზე.

ნამდვილი პატრიოტი ვალდებულია იყოს სულგრძელი და არ ემონოს სიბერეს.

გმირის მწუხარება უსაზღვროა, მაგრამ ასევე უსაზღვრო და უტეხია მისი გადაწყვეტილება დაეხმაროს თუშ და ფშავ-ხევსურ თანამოძმეებს დამპყრობლებისაგან სამშობლოს განთავისუფლება-ში. პოეტის წარმოსახვაში თავისი ხალხის სიყვარულის პიროვნული გრძნობა მარად ახალგაზრდაა.

მშობლიურ გრძნობას, პატრიოტიზმთან ერთად პირდაპირი და-მოკიდებულება აქვს ადამიანის მორალურ სიწმინდესთან.

ვაჟა-ფშაველა ბავშვთა სოციალურ-ფსიქოლოგიური პროფი-ლის ფორმირებაში წამყვან როლს ანიჭებს დედას. ამით იგი შემო-ქმედებითად წინასწარ განსჭვრეტს ფსიქოლოგიისა და პათოფსიქო-ლოგიის თანამედროვე დაყენებას.

ჯავარას მაგალითზე („მოკვეთილი") ვეცნობით დედას — პატ-რიოტს, რომელიც, თავის სამშობლოზე მწუხარებით მოსილი, ცდი-ლობს ვაჟიშვილს გაუღვივოს უმაღლესი ემოციები. სამშობლოს საზ-ღვრებს გარეთ ცხოვრებით კმაყოფილი ბახა ამშვიდებს დედას შემ-დეგი სიტყვებით: „აბა, დედავ, ძალიან რო სტიროდი და იმდუღრე-ბოდი ხააქაოდ როცა გამოვემგზავრეთ რა გვქონდა სატირალი? რა გვიჭირს. კარგად ვართ; პური აქაც არის, ვაჟო, წყალი, გაიძახი გიჟი-ვით; ვაჰმე. ჩემო ფშავის-ხევო, ვაჰმე ზემო ფშავის-ხევო — ქისტე-

თი რით არ ნაკლები შენს ფშავის-ხევზე? აქ უკეთესი მთებია. აქაც ცივი წყაროებია, მაშ, რაღას სწუწუნებ, შე საწყალო?"[76].

დედაშვილურად უხსნის რა ვაჟს, რომ ადამიანის სუნთქვა, ცოცხალი გულისცემა არ განისაზღვრება მარტო პურითა და წყლით, ჯავარა ეუბნება ბახას: „ვენაცვალე ჩემს ფშავის-ხევს, ის მაინც სხვაა... აქ მე, შვილო მარტო ვგევივარ ცოცხალს, განა ცოცხალი ვარ, განა ცოცხალია ჩემი გული?! ე ქისტის კაცები განა მეკაცებიან, ან დედაკაცები მედედაკაცებიან? ქაჯებად მიჩანან თვალში, სუ დედაშვილობას, მაგას როგორ ამობ, ცოდვა არ არის? ვაჰმე, ჩემო საორბევ, ჩემო დეკიან-გორო! ვაჰმე, ჩემო არაგვო, შენი ხვივილი ვეღარ გავიგონე, ეს მესამე წელი მიდის. ნეტავი ერთხელ კიდევ მაჩვენა ღვაურობა თვალით: აქ როგორ უნდა დავიმარხო, ვისთან უნდა დავიმარხო, სადაური სად მოვკვდე! მადლობა შენთვის, უფალო, ალბათ, ეს იყო ჩვენი წერა, ეს იყო ჩვენი ბედი, ვაჰმე! დედაშვილობას, აღარ თუ მოგაგონდება მაშ თავის ქვეყანა? თავისი სალოცავები, აღარ თუ გინდა იქ ყოფნა, თავის ძმებში, თავის თემში?"[77].

ვაჟა-ფშაველა გვიჩვენებს აგრეთვე მშობლისადმი შვილის ემოციის ძალას. ხაზგასმულია, რომ ცრემლით დანამული დედობრივი ალერსი და სიყვარული ისეთ მტკიცე დამოკიდებულებას ჰბედს, რომლის დათრგუნვა არც ცეცხლით და არც მახვილით არ შეიძლება.

შოთა რუსთაველის მსგავსად ვაჟა-ფშაველა დიდი შემოქმედებითი ძალით აშუქებს ძმადნაფიცობის პიროვნული ფსიქოლოგიის, აგრეთვე ქალისა და კაცის პიროვნული ფსიქოლოგიის პრობლემებს. მაგრამ ამ საკითხების განხილვის დროს ყურადღებას იპყრობს შემდეგი: შოთას პოემაში ძმადნაფიცობის და პიროვნული ერთიანობის იდეის ფსიქოლოგიური ფორმირება ხორციელდება დროის გარკვეულ პერიოდში.

რუსთაველის შემოქმედებაში ვხვდებით ისეთ მომენტებს, როდესაც კაცთმოყვარეობის და მოვალეობის უმაღლესი იდეები პოულობენ საჭირო ლოგიკურ განხორციელებას.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში აღწერილია ისეთი რთული და ტრაგიკული სიტუაციები, რომ დრო არ რჩება ამა თუ იმ მომენტის აწონ-დაწონისა და საჭიროა სწრაფი მოქმედება. ამავე

---

76 ვაჟა-ფშაველა, ტომი VII, „მოკვეთილი", გვ. 296.
77 იქვე.

დროს გმირები პოულობენ გზას, რომელიც განსაზღვრულია პიროვნული მოთხოვნილებებით.

ვაჟა აღნიშნავს, მეტად დიდია მამოძრავებელი ძალა და მისი შესაძლებლობანი, როდესაც იგი ხელმძღვანელობს უმაღლესი პიროვნული კატეგორიებით.

ვაჟა-ფშაველა ნაწარმოებებში გვიმტკიცებს, რომ ქალსა და კაცს ერთნაირად შეუძლიათ ემსახურონ შრომის მოვალეობასა და მორალის პრინციპებს. საჭირო შემთხვევაში ქალი მოწოდებულია შეასრულოს მამაკაცის საქმე.

პოემა „ბახტრიონის“ გმირი ქალი სანათა აღვსილია მწუხარებით, მაგრამ მას სწამს, რომ ქალის მოვალეობაა არა წუხილი, არამედ მოქმედება.

პატრიოტული გრძნობებით გამსჭვალული ქალი ურყევია თავის გადაწყვეტილებებში. იგი დედის გულს და სიყვარულს შვილისადმი უმორჩილებს პიროვნების კონტროლს.

„მოკვეთილის“ გმირი ქალი ჯავარი იძულებულია აღიაროს მწარე ფაქტი, რომ მისი შვილი, ბახა, სამშობლოს მოღალატეა. მან შეგოიყვანა მტერი მშობლიურ მხარეში და ამით ჩაიდინა შეუწყნარებელი დანაშაული.

— • —

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას არავითარი საერთო არა აქვს სიმბოლიზმთან. პოეტი თუმც ხშირად მიმართავს უსულო სამყაროს „ხმებს“ ან ცხოველთა ენას, მაგრამ იგი შორსაა ფილოსოფიური ჰანთეიზმისაგან.

მისი გადახრები და ექსკურსები მხოლოდ მხატვრულ ხერხს წარმოადგენს საგნებისა და მოვლენების რეალური აღქმის გასაძლიერებლად. შედარებათა დაპირისპირებათა და მოვლენათა იდენტიფიკაციის შემთხვევაში პოეტი ოსტატურად მიმართავს სიმბოლიკურ აღწერას და ასევე სიმბოლიკურად ასახავს ფსიქიკური აპარატის მრავალ გამოვლინებას.

უმანკო ბუნება თავისი უშუალობითა და უმწიკვლობით წარმოადგენს უცილობელ ლოგიკურ დოკუმენტს შესაძლო ფსიქოლოგიური პერტურბაციების ურთულესი მექანიზმებისათვის; კვანძის ვასკვნისა და გახსნისათვის, ფსიქიკურ პროცესთა მიქცევისა და უკუქცევისათვის.

სწორედ ბუნების მაგალითებზე ბუნების წიაღში პოეტი გვიჩვენებს თანაგრძნობისა და გაკიცხვის, სიყვარულისა და სიძულვი-

ლის, დიდსულოვნებისა და უსამართლობის, ღირსებისა და მანკიერების ზოგადფსიქოლოგიურ ბუნებას.

ამგვარი, შემოქმედებითი გზით ავტორს საფუძველი ეძლევა დარწმუნებით წამოაყენოს ორი თეზისი: 1. უმაღლესი და კეთილშობილური გამოვლინებანი შეინიშნება ბუნებაშიც. ამიტომაც ადამიანი ვალდებულია არ ჩამორჩეს ბუნებას თავისი მორალური სიწმინდითა და სასარგებლო მოღვაწეობით.

2. ადამიანი ვალდებულია ახსოვდეს, რომ უმაღლესი და კეთილშობილური ქცევა წარმოადგენს მის აუცილებელ თანამგზავრს, ბუნებრივ კატეგორიებს. ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში პიროვნული ფუნქციები პირველ რიგში, ჰუმანიზმი, კაცთმოყვარეობა, სიბრალულის და თანაგრძნობის ემოციები ბრწყინვალედაა ნაჩვენები ცხოვრების, ჩიტებისა და მცენარეების და ასევე, უსიცოცხლო სამყაროს მაგალითებზე.

ალეგორია ე. წ. „ზოოფსიქოლოგიზმისა“ და „პანთეიზმის“ მეშვეობით იძლევა საშუალებას უფრო ღრმად და სრულად გადმოგვცეს სუბიექტური სამყაროს პროცესების აზრი და შინაარსი ადამიანის პიროვნების დონეზე.

პანთეისტური სტილი, ე. ი. ბუნებისადმი მიმართვა, წარმოადგენს ვაჟა-ფშაველას თავისებურ შემოქმედებით კრედოს. თანახმად პოეტის თვალსაზრისისა, ადამიანები და ბუნება წარმოადგენენ ერთ მთლიანს. „გარეშე ბუნებისა და ადამიანთა ცხოვრებისა არ არის პოეზია; ვისაც კარგად ესმის ბუნება და ცხოვრება, თუნდაც ლექსებს, დრამებს, რომანებს არ სწერდეს, მაინც პოეტია. არ შეიძლება კაცთა ცხოვრებაში ისეთი რამ მოვლენა დავასახელოთ, რომ მისი მსგავსი თვით ბუნებაშიც არ მოიპოვებოდეს...

„როგორც კაცთა საზოგადოება გვაძლევს მარტოოდენ მავნებელს ადამიანს, წევრს, აგრეთვე ბუნება—სხვადასხვა გესლიან ქვეწარმავალთ, რომელნიც ჩვენ გვეზიზღება.

„რაც უნდა განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწიოს კაცობრიობის ცხოვრებამ, მაინც მასში უნდა სჩანდეს ისევ ბუნება საერთოდ... ჩვენ ბუნებაში ვართ—იგი ჩვენშია. საით, როგორ შეგვიძლიან იგი თავიდან ავიშოროთ, იმას გავექცეთ, დავემალნეთ?! ცოცხალნიც მისი ვართ და მკვდარნიც“...

„რამდენადაც ნიჭიერია მწერალი, რამდენადაც მაღალი და დიდებულია მისი გრძნობა გონება, იმდენად სავსებით ჰხატავს იგი ბუნებას არჩეულ ტიპის მეოხებით. შექსპირი იმიტომ არის დიდებული ყველა მგოსანთა შორის, რომ ბუნება სავსებით გამოსჭვირს იმის

ნაწერებში. ამ მხრივ შეეხედეთ საგანს, ვნახოთ, თუ არ დამეთანხმოთ...

ყველაფერი, რასაც ბუნებრივობა ეტყობა: სიძულვილი თუ სიყვარული, შური, მტრობა, სიმამაცე და სიმხდალე, ქველობა თუ სიძუნწე და სხვ. იქ უსათუოდ პოეზიაა. ყველაფერს თავისი გასამართლებელი საბუთი აქვს, მიზეზი, გარემოება. მწერალს ეს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ ბუნებრივ კანონს არ უმტყუნოს, წესიერება ბუნებისა დაიცვას—ისე უნდა გადმოგვცეს სურათი, რომ არა ვსთქვათ,—ეს ყოვლად შეუძლებელია, ეს ბუნების წინააღმდეგიაო".

მცირე ფორმის მოთხრობაში: „შვლის ნუკრის ნაამბობი" ვაჟა-ფშაველამ განსაკუთრებული სიღრმით, თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად დაგვიხატა უთანასწორო, გულცივი ბრძოლა სუსტი, უმწეო არსებისა, ერთი მხრივ და ფიზიკურად ძლიერ, ამა ქვეყნის ულმობელი წარმომადგენლისა, მეორე მხრივ, გამახვილებულია ყურადღება ადამიანის როლისა და მოვალეობის მიმართ.

შექსპირისა და დოსტოევსკისათვის დამახასიათებელი დრამატიზმის ძალითაა ნაჩვენები, თუ ზოგიერთი ადამიანის მოქმედება რამდენად უფრო მძიმეა, უფრო მწარე და უგულო, ვიდრე სტიქიური უბედურება.

თვალნათლივ ვხედავთ, რამდენად უფრო მკაცრი შეიძლება იყოს ადამიანის მოქმედება პიროვნული მორალის კონტროლის გარეშე ჰედონისტური დაკმაყოფილების პრინციპის ჭარბობისას, ვიდრე სტიქიის ან ნადირის მოქმედების შედეგი.

უსუსურობა, უმწეობა გამოხატულია ბუნების ფონზე, სოციალურ-ფსიქოლოგიური პრობების გარეშე, ამიტომაც უფრო მკვეთრად გაიკიცხება ადამიანის უღირსი მოქმედება.

შვლის ნუკრის მდგომარეობა ტრაგიკულია. იგი ამბობს, როგორც აღსარებას: „გზადაკარგული დავდივარ. აი, დახედეთ ჩემს სისხლიან ფეხსა, — ეს, წყლის დასალევად რომ ჩავედი ხევში, მაშინ ვიტკინე... გული მიწუხს, გული. საბრალო დედეჩემი! მანამ დედა მყვანდა ცოცხალი, სულ ალერსში ვყვანდი: ძუძუს მაწოვებდა, მიალერსებდა, მაფრთხილებდა; რაღა მეშველება მე, საბრალოს, ეხლა! ძუძუს აღარ ვწოვ, მხოლოდ ბალახის ნამსა ვსუტავ დილით და საღამოთი, როდესაც ნამია, და რძის ნდომას იმითი ვიკლავ, უპატრონო რომ ვარ, სულ მეშინიან, ვკანკალებ, მუდამ დღე სიკვდილს ველი, გზაარეული დავეხეტები...: ღმერთო, რამდენი მტერი გვყავს..." „გენაცვალე, ტყეო! შენ ბევრს მშველი, თორემ აქამდის ჩემის ქათიბის ბეწვიც არ იქნებოდა"...

„რას გიშავებ, ადამიანო, მითხარი რას? რა დაგიშავა საბრალო დედაჩემმა, რა შეგისვა, რა შეგიჭამა, რომ მოჰკალი და უპატრონოდ დამაგდე, დამაობლე?! ოჰ, ადამიანებო! თქვენს ხერხსა და ღონეზე ხართ დაიმედებულნი და ჩვენი ჯავრი არა გაქვსთ... არა ჰგრძნობთ, რომ ჩვენც გვიყვარს თავისუფლება, არა ჰგრძნობთ თქვენის შეუბრალებელის გულით, რომ ჩვენც გვიყვარს სიცოცხლე, ბუნება: ფოთლის შრიალი, წყლის ჩქრიალი, რომელსაც სულგანაბული ეგრე ხშირად ყურს ვუგდებ ხოლმე, ბალახის ბიბინი და ტყის ცხოველებთან ერთად ნავარდობა... შენ კი, ოჰ, ადამიანო!... თვალებდასისხლიანებული, გაფაციცებული დამეძებ მე და ჩემს ფერს სუსტსა და უპატრონოს ათასს სხვას... იარაღი გაქვს, მოგვეპარები, მუხთალად გვკრავ ტყვიას და გამოვასალმებ წუთისოფელს“!

მოთხრობაში „პატარა მწყემსის ფიქრები“ ვეცნობით ყრმა მოჯამაგირის ბედს. მასში ნიშანწყალიც კი არ არის მშობლების მიმართ უკმაყოფილების. მას მხოლოდ ერთი სურვილი აქვს „ეჰ, ნეტავი მშობლები ცოცხლები მყვანდნენ და რა ვუყოთ!“

საკითხები ადამიანის არსებობის დინამიკური მთლიანობის შესახებ წარსულში, აწმყოსა და მომავალში უშუალოდაა დაკავშირებული გერონტოფსიქოლოგიის პრობლემებთან.

ვაჟა-ფშაველას შესანიშნავად ესმის ევოლუციური კანონის უცილობლობა, ცოცხალი არსება იბადება, განვითარებაში აღწევს თავის აპოგეას, ბერდება და კვდება. ოღონდ ისმის კითხვა, როგორ მოვიქცეთ, რომ ღრმა ფიზიკური მოხუცებულობის დროს შევინარჩუნოთ ბრძნული სიბერე.

მოთხრობაში „ხმელი წიფელი“ გადმოცემულია მეზობელი ხეების ზერელე დამოკიდებულება ბებერ წიფელთან. მათ დაივიწყეს მისი ადრინდელი სიდიადე. თაკილობენ მის მომაკვდაობას და ხშირად ამბობენ: „ნეტავი შენ არ გვაუშნოებდეო!“ არ იციან უგუნურმა ხეებმა, რომ ხალხს ჯერ არ დაუვიწყნია ხმელი წიფელის სახელი, კიდევ ახსოვს მისი სიდიადე.

ალბათ, ჭიებიც მრავლად დაბუდდნენ ძველ ხეში და, როგორც ჩანს, არც ალერსი და არც წყენა წიფელზე უკვე აღარ მოქმედებს. ხოლო სიმბოლური მოხუცის წინაშე ვაჟა-ფშაველა აყენებს დილემას, გადაწყდეს, მაგრამ არ გადაიღუნოს და თავის მდგომარეობაზე ფიქრის დროს არ დაივიწყოს მომავალი.

ავტორის თანახმად, მომავლის რწმენა არის რწმენა: „ხმელი წიფელი შეუშფოთრადა სდგას, არც ავს იტყვის, არც კარგს, სდგას

გაშტერებული. იმან არც სიბრალური იცის, არც სიმძულვარე! არც სამტროდ აუდუღდება გული, არც სამოკეთოდ; ფიქრობს ხმელი წიფელი თავის თავზე, წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე; გულში თითქო ღრმად ჩასჭდევია მწუხარება. ხანდახან გადმოაცქერდება მის ერთს ფესვის ბოლოზე ამოსულს პატარა დასახულს ყლორტს, რომელიც მზეს და წვიმას უცდის, რომ განზარდოს. ესღაა იმისი ნუგეში!...

ვაჟა-ფშაველას მიერ განვითარებული იდეა სახავს ოპტიმისტურ გზას სიბერით დაუძლურებულთათვის, ამასთან, ზრუნვა მომავალზე შეადგენს შეურყეველ პრინციპს ყოველი ასაკობრივი პერიოდისათვის.

მოლოდინის ემოციას განსაკუთრებული თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ფსიქოლოგიასა და პათოფსიქოლოგიაში, იგი ცნობილია როგორც შერეული აფექტი, ე. ი. გრძნობა, რომელშიც ერთდროულადაა მოცემული სთენიური და ასთენიური ღერძი.

ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა „მთანი მაღალნი", რომელშიც პოეტი შემოქმედებითი ანალიზისათვის მიმართავს ფიზიკურ სამყაროს, ბუნებას, მგოსანი ალეგორიულად უშვებს „მაღალ მთებთან" მოლოდინის, სიმბოლური გრძნობის შესაძლებლობას.

ავტორი წერს:

„სდგანან და ელიან. წვიმა წვიმს იმათ თავზედ, ელვა უტუსავს ოქროს ქოჩორს, შეხი ეთამაშება იმათ თვალებს და ხშირადაც ერეზობა ისარივით გულ-მკერდში, არაფერია. ინგრევა ნახევარი მთა და ზვავად მიდის ხევში. არაფერია ეგრევ, თუ კლდე და ლოდები მაინც ელიან"...

„სდგანან და ელიან. გული სტკივათ, ძალიან სტკივათ. მაგრამ არ იხოცებიან, არც ჭლექდებიან. ელიან, ვის? ან რას? რაღაცას. დიაღ რაღაცას. ეს რაღაცა უნახავის დანახვა. ჰნახეს და გაათავეს, რასაც იმათი თვალი და გული მისწვდებოდა. სხვა ახალი მოწსყურებია იმათ თვალსა და გულსა. ეს ხომ თვალ-გულის გაუმაძღრობაა? სწორედ რომ ისაა"[78].

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში მოლოდინი მოცემულია როგორც ინტელექტუალური გრძნობა, მოკლებული უსიამოვნო (ასთენიურ) ღერძს. ამასთან იგი დაკავშირებულია მომავალთან, რო-

---

78 ტომი V, „მთანი მაღალნი", გვ. 308.

გორც უკვდავი შემოქმედებითი სწრაფვა, რათა შეიცნო შეუცნობელი, უხილავი.

სწორედ ამ წინსვლის პროცესში მდგომარეობს კაცობრიობის, ადამიანის ყოფიერების ჭეშმარიტი შემოქმედებითი დაკმაყოფილება. „მუდამ ქმედობა და სწრაფვა ახლისაკენ“ — შეადგენს გენიალურ ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ერთ-ერთ ძირითად თეზისს.

თუ მაღალი მთების ალეგორიულ ცხოვრებაში, რომელნიც მარად მდუმარე, უმოქმედო, განდგომილი, ცივი და განურჩეველია, მოსალოდნელია მოლოდინი, როგორი უნდა იყოს პიროვნული მოთხოვნილება ადამიანისადმი?

როგორც ვიცით, ფსიქიკური აპარატისათვის დამახასიათებელია მთლიანი ინტეგრალური მოქმედება, ერთნაირად გამოხატული ყველა მის დინამიკურ დონეზე; ეს თვისება წარმოადგენს ყველაზე სპეციფიკურს პიროვნების რეგისტრებზე.

ფსიქიკის მთლიანობა აუცილებელი პირობაა უმაღლესი ფსიქიკური რეაქციებისათვის.

აღსანიშნავია, რომ ფსიქოდინამიკური პროცესების ძვრადობა უზრუნველყოფს ფსიქიკური აპარატის სინთეზური მუშაობის სისწრაფეს.

ფსიქიკურ გამოვლინებათა მთლიანობა და ძვრადობა, რომელიც ესოდენ ახასიათებს პიროვნების დონეს, ქმნის დინამიკურ ფონს ანტინომიური ფსიქოლოგიური რეაქციებისათვის.

გენეტიკური ფესვები და ფსიქოლოგიური ანტინომიის დინამიკური მექანიზმები ძნელად ექვემდებარება გაგების, შთაგონების და ახსნის ანალიზს ფსიქოლოგიის ჩვეულებრივი პოზიციებიდან.

აქ საქმე გვაქვს დროებითი გადართვის ფსიქოლოგიურ პროცესებთან, პიროვნების ძირითადი კრედოს შენარჩუნების მიზნით.

ჰარმონიული პიროვნება მოწოდებულია სათანადოდ აწონ-დაწონოს ფაქტი და მოვლენა (ანალიზ-სინთეზი) და მოახდინოს საჭირო ორიენტაცია რთულ გარემო სიტუაციაში და ასევე სუბიექტურ განცდებში.

აქედან ცხადია, რომ ჰარმონიული ფსიქიკური აპარატის მქონე ადამიანი ავლენს არაშაბლონურ ფსიქიკურ რეაქციებს.

მუდმივ აწონ-დაწონასთან და დაძაბულ ორიენტაციასთან დაკავშირებით ფსიქოლოგიური პროცესები ხშირად ეჯახება პიროვნების საწინააღმდეგო განწყობილებას, ტენდენციებს, სურვილებსა და სწრაფვას. ამით ადამიანის ფსიქიკურ აპარატში იქმნება კონფლიქტური განცდების გარკვეული კვანძი, რომელიც ითხოვს ლოგიკურ

გადაწყვეტას და ფსიქოდინამიკურ განტვირთვას. რაც უფრო რთულია სუბიექტური ან ობიექტური სიტუაცია, მით მკვეთრად, ღრმად და უფრო კონფლიქტურადაა წარმოდგენილი ანტინომიური რეაქციები.

უნდა აღინიშნოს, რომ ანტინომიური რეაქციები ინტელექტუალურ გრძნობაზე შენდება. ამ გრძნობით უნდა იყოს გამთბარი აგრეთვე სუბიექტური განწყობის გარეშე მდგარი ობიექტური კრიტიკა, როდესაც შესაძლოა გულწრფელი სიძულვილისა და პატივისცემის ერთდროული გამოვლინება.

ანტინომიურ, ფსიქოლოგიურ რეაქციათა ჭრილში განსაკუთრებით ყურადღებას იმსახურებს ვაჟა-ფშაველას პოემა „ალუდა ქეთელაური". ხსენებულ ნაწარმოებში აღწერილია ორი გმირის, ხევსური ალუდასა და ქისტ მუცალის, შეტაკების განსაკუთრებული განცდებით აღვსილი სცენა. აქ წარმოდგენილია ღრმა ტრაგიზმი, როცა ისმება საკითხი—„სიკვდილი ან სიცოცხლე, მესამე გზა არ არსებობს.

გმირული შერკინება მთავრდება ხევსურის სრული გამარჯვებით, მაგრამ, ვაჟას თქმით, ადგილი აქვს „სასწაულს".

ხევსურის არაჩვეულებრივი, პირველი შეხედვით, ასე ვთქვათ, უცნაური და გაუმართლებელი საქციელი ღრმა ფსიქოლოგიურ ანალიზს მოითხოვს.

რაში მდგომარეობს ის სასწაული, რომელსაც ადგილი ჰქონდა მუცალის სიკვდილის შემდეგ? სიძულვილი იცვლება აღტაცებით, სურვილი შეურაცყოფისა — დატირების ძმური გრძნობით, სიბრაზე—გულწრფელი გულკეთილობით, ზიზღი — სიყვარულით, გაკიცხვა—პატივისცემით, შურისძიება—კეთილშობილური პატიებით, განურჩევლობა—თვითგანწირვამდე მისული ზრუნვით, გრძნობა მტრისადმი—ძმური სიყვარულის გრძნობით, ბოროტება—სიკეთით.

აღნიშნული ღრმა ანტინომიური ხასიათის ფსიქოლოგიური რეაქცია, რომელსაც ალუდა ავლენს სწრაფი გადანაცვლების სახით, ხანგრძლივი ფიქრისა და ფსიქოლოგიური „ცოხნის" გარეშეა.

ღირსეული მეტოქის გმირული წინააღმდეგობა ალუდაზე ახდენს ისეთ ღრმა შთაბეჭდილებას, რომ იგი უძველესი ადათის წინააღმდეგ იჩენს იშვიათ დიდსულოვნებას და მტრის გულწრფელი მეგობარი და პატივისმცემელი ხდება.

უფრო მეტიც, ალუდა არ უშინდება თემიდან გაძევების მუქარას და მტკიცედ გადაწყვეტს შესწიროს მსხვერპლი ყოველ მტერს, მოუნათლავ მუცალს.

საჭიროა გვახსოვდეს, რომ აღნიშნული ანტინომიური გადართვები შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ მაღალ პიროვნულ დონეზე.

მე მქონდა შემთხვევა მესაუბრა ერთ-ერთ ლიტერატორთან, რომელსაც ალუდას საქციელი მიაჩნდა ფსიქოლოგიურად გაუგებრად, შეუძლებლად და ავტორის არარეალურ ფანტაზიად.

აღნიშნული აზრი უეჭველად მცდარია. პიროვნულ დონეზე შესაძლოა მიმდინარეობდეს უაღრესად რთული და მოულოდნელი გადანაცვლებანი, ხსენებული თვალსაზრისით ვაჟას შემოქმედებითი მასალა ფასდაუდებელია პერსონოლოგიური ფსიქოლოგიის საკვანძო პრობლემებისათვის.

შებრალების გრძნობა დამარცხებული მტრისადმი ინტელექტუალურ ემოციას წარმოადგენს.

ალუდა ქეთელაური აღტაცებულია მოწინააღმდეგის გმირობით, რომელსაც გულის ნაცვლად „რკინა“ აღმოაჩნდა და მისთვის განსაკუთრებულად ძვირფასია ხმა მოვალეობის ადამიანური სიწმინდისა, იგი მედგრად (სტოიკურად) ღებულობს თემის გადაწყვეტილებას მისი განდევნის შესახებ.

პოემა „სტუმარ-მასპინძელი“ პიროვნულ ანტინომიურ მოქმედებათა ბრწყინვალე მაგალითია.

შეხლა თემის კანონსა და ინდივიდუალურ რეაქციათა შორის დაკავშირებულია ღრმა ფსიქოლოგიურ პერტურბაციებთან. განცდათა ამ კალეიდოსკოპში ყურადღებას იპყრობს, ძირითადად, ორი მომენტი, სახელდობრ: 1. ძველის მიმართ შესაძლოა პროტესტი და იგი არ არის აბსოლუტურად უმწიკვლო და 2. მოვალეობის ზოგადსაკაცობრიო თვალსაზრისით, მორალურად განმტკიცებული რეაქცია სასარგებლო და პერსპექტიულია.

სამშობლოს მოღალატისა და გამყიდველის ბახასა და მისი ბიძაშვილის ღვთისოს დიალოგში ვაჟა ჩერდება ფსიქოლოგიურად უაღრესად საინტერესო მომენტზე, სახელდობრ: ღვთისო ერთდროულად ავლენს ორ საწინააღმდეგო ტენდენციას: დადებითსა და უარყოფითს.

მოგვყავს ამ დიალოგიდან ცალკეული გამოთქმანი.

ღვთისო მიმართავს ბახას (დადებითი ტენდენცია—პატრიოტიზმი):“ — შენი ვარ და პირში იმიტომ გეუბნები, უხერხული, უმსგავსო საქმეა. მაგრამ ჩვენ ერთობლივ საგვარეულომ ხვალ ფხა უნდა გამოვიჩინოთ, ეგ ნალი მთელს საგვარეულოსა ჰხვდება, მთელი თემის და გვარის ჭუჭყია“.

ღვთისო უარყოფითი ტენდენცია — „წაქეზება, შური იძიოს განთქმული მებრძოლის, ჩონთას, წინააღმდეგ: „ვინც როგორ მომექცევა, ძმაო, მეც ისე მოვექცევი, რა ვქნა. ჩონთამ როდის დაგვიძახა, — შენი საცოლე შიმყავ და თუ ბიჭი ხარ, მოდი, წაიყვანეო. შენც მიდი, მიარტყი თოფი“... „შორს, თუ გინდა, მე ჩამოვაგდებ. დროს შევურჩევ, მიზეზს მე მივცემ და როცა საქმე საქმეზე მივა, შენ შენსას ეცადე მაშინ“... „მაგრამ, შენ რომ ერთი დრო გქონდა კარგი და ვერ მოიხმარე, ეგ დიდი სირცხვილია შენთვის. ხელშეკონილი კი არ უნდა გაჰყოლიყავი თან, მანამ დრო გქონდა, ეგ ხანჯალი, ეხლა რო გულში იმარჯვებ. ჩონთასათვის უნდა გემარჯვა, მაშინ დაგიკოცნიდი მარჯვენას“.

ბახა პასუხობს: „მე განა მიწა მიმიღებს, განა სამარე, ჩემთვის გათხრილი, პირს არ შაიკრავს, მე რომ მაგათი ჯავრი გამყვეს თანა და ისე მოვკვდე?!“

ღვთისო მიუგებს: „თუნდა სამარემაც პირი შაიკრას; სამარემდე ვინ მიგიტანს, ზედაც არ შემოგხედნებ მე თითონ და სხვა უარესს გიზამს“.[79]

საყოველთაოდ ცნობილია პოემა „გველის მჭამელის“ ღრმა ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური მნიშვნელობა. მასში დასმულია აგრეთვე ფსიქოლოგიური ანტინომიის მნიშვნელოვანი პრობლემები. ამ ასპექტში ყურადღებას იპყრობს ბავშვებისადმი პიროვნული დამოკიდებულების პრობლემა. პოემის გმირი, მინდია, ერთი მხრივ, ბავშვებისათვის მშობელთა თავგანწირვას ქადაგებს, მეორე მხრივ, მომხრეა მათ მიმართ მკაცრი და მომთხოვნი დამოკიდებულებისა. მისი აზრით, ბავშვები უნდა იყვნენ ქმედითნი და ნებისყოფის მქონე შრომაში.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში სიყვარულისა და სილამაზის გრძნობები ურთიერთისაგან განუყოფელია კაცის მიმართ. ადამიანის სიყვარული როგორც პიროვნული სპეციფიკა, არ შეიძლება არსებობდეს სილამაზისადმი სათანადო დამოკიდებულების გარეშე. ამის გამო პიროვნულ დონეზე აღნიშნული ორი განცდა წარმოდგენილია შერწყმულად (ლეგირებული სახით), როგორც უმაღლესი, ემოცია.

სიყვარული და სილამაზე, თითოეული ამ გრძნობათაგანი ცალ-ცალკე ძლიერდება და თანაარსებობაში მტკიცდება.

---

[79] ტომი VII, „მოკვეთილი“, გვ. 280, 282.

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ იას სამართლიან საყვედურს, მიმართულს ადამიანისადმი „ალბათ, ვერ აფასებს ჩვენს სილამაზეს“.

იას მიმართ გამოხატავს თავის აღტაცებას ყველაფერი, რაც არსებობს ბუნებაში: ძველიც და ახალიც, ლამაზიც და ნაკლოვანიც. მოვუსმინოთ თვით იას: „მანამ ცოცხალი ვარ, ჩემის სილამაზით დავატკბობ ტყეს, ბალახს და იმ გაღმიდამ გამომცქერალს გულხავსიანს კლდესა. სურნელებას მოვაფრქვევ არემარეს. ყველას ვუყვარვარ: აგერ, იმ დამპალს ყუნჭს, თვალი სულ ჩემკენ უჭირავს, მიცინის ხოლომე, უნდა ჩემთან მოვიდეს, — მაკოცოს მაგრამ არ შეუძლიან, მხოლოდ შორიდან გამიცინებს, — გაიღიმება საცოდავი თუმცა უშნოდ, მაგრამ გულკეთილობა კი დიდი გადაეფინება ხოლმე პირზედ“[80].

როგორც ვხედავთ, სიყვარულსა და სილამაზეს სიკეთისაკენ მივყევართ, ბუნებაში წარმოიქმნება პირობები ბედნიერი ღიმილისა, საყოველთაო აღტაცებისა და კმაყოფილებისა... ცხოვრება ჰპოვებს აზრსა და გამართლებას.

შრომისა და აქტიური ქმედობის პრობლემებს, რომლებიც შეშეადგენენ პიროვნების ფსიქოლოგიის ძირითად შინაარსს, წამყვანი ადგილი უჭირავთ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში. პოეტის აზრით უმჯობესია იყო ქვა ან ხე, ვიდრე უსაქმო.

შრომით საქმიანობას მოწყვეტილი ადამიანი აღმოჩნდება საზოგადოების გარეშე, მეტად მძიმე და აუტანელ სიტუაციაში.

უსაქმურობა ეს არის მანკიერება არა მარტო აწმყოსათვის, არამედ პირველ ყოვლისა, მომავლისათვის. იგი იწვევს იმედის დაკარგვას. უსაქმურობა წარსულში შეიძლება დაჰგმო, მაგრამ ეს უკვე იქნება დაგვიანებული. ქმედობა აუცილებელია და სავალდებულოა ცხოვრების ნებისმიერი პერიოდისათვის, მოხუცისა და ახალგაზრდისათვის.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში მთელი პრინციპულობით არის დასმული საკითხი, თუ რომელია ადამიანისათვის სპეციფიკურად დამახასიათებელი თავისებურება—ქმედობა თუ სიტყვა. პოეტის აზრით, სწორედ პიროვნული ქმედობა წარმოადგენს, ძირითადად, სპეციფიკურ ნიშან-თვისებას, სწორედ იგი განაპირობებს ადამიანის ცხოვრებისეულ მიმართებას.

ვაჟა-ფშაველას მთელი შემოქმედება ამ დებულებით არის გამ-

---

80 ტომი V, „ია“, გვ. 35--36.

ᲡᲫვალული. ადამიანი მოწოდებულია იყოს ქმედითი და არა მდუმარე ცხედარი.

სული და გრძნობა თან უნდა ახლდეს ადამიანს მის ქმედობაში. საქმიანობა, რომელიც სრულდება ადამიანური სინდისის, სულისა და გრძნობის გარეშე, არა მარტო ფუჭი და არაპროდუქციულია, მავნეც არის. ვაჟა-ფშაველას აუცილებლად მიაჩნია, რომ „მწერალნი და საზოგადო მოღვაწენი, რომელნიც ეროვნულ რეალურ თუ გონებრივ ღირებულებას ჰქმნიან, უნდა იყვნენ გამსჭვალულნი იმ აზრით, რომ დღევანდელი დღე უკეთესი იყოს ქვეყნისათვის, დღევანდელი ხალხი ცალ-ცალკე და საერთო საჭირო აზრით და გრძნობით აღიჭურვოს, მოქმედებაც თვითეული ჩვენგანისა იყოს აზრშეწონილი, დღევანდელს თვითეულის ჩვენგანის მოქმედებას უნდა იქ მივყევნდეთ, საცა საჭიროა ჩვენი მისვლა თვითეულის ჩვენგანის მოქმედება, მაშასადამე, ის გზა უნდა იყოს, რომელმაც უნდა რომში მიგვიყვანოს. ეს რომი ჩვენი მომავალია და თუ რომში მიმავალი გზით არ წავედით, სწორე გზით, რომს ავცდებით, სწორე გზა აწმყოა. ვინც აწმყოს კეთილსინდისიერად ემსახურება, იგი დიდებულს მომავალსა ჰქმნის, ვინც ბევრსა ჰხნავს და სთესავს, იმას ბევრი პური მოსდის: „თუნდაც მოუსავლობა იყოს, მაინც სხვაზე მეტი მოუვა“.

გენიალური პოეტის დებულება წარმოადგენს დიდებულ ფორმულას, რომელსაც საფუძვლად უდევს შრომის, მოვალეობისა და მორალის პიროვნული პრინციპები.

ხსენებული ფორმულით უნდა ხელმძღვანელობდეს, პირველ ყოვლისა, ახალგაზრდობა, რომელიც ისტორიულად მოწოდებულია იყოს ჩვენი მომავლის შემქმნელი და უზრუნველმყოფელი.

დიდი პოეტისა და მოაზროვნის შემოქმედების ფსიქოლოგიური ანალიზი გვიჩვენებს, რომ პატრიოტული სიყვარული სამშობლოსადმი, სამსახური თავისი ხალხისადმი, მისწრაფება სიკეთისადმი, კეთილშობილური ემოციები ადამიანის მიმართ, სწრაფვა ნათელი მომავლისაკენ, აღტაცება დიდსულოვნებით და გმირობით, შიშისა და სიმხდალის გრძნობის განკიცხვა, მიზნის განსაზღვრა, ადამიანის არსებობის მნიშვნელობა და დანიშნულება ქედისმოხრა ბუნების სილამაზისადმი, ადამიანის მორალური სიწმინდე და მრავალი სხვა—უნდა ხორციელდებოდეს ქმედობაში ამასთან, ადამიანის აქტიური ქმედობის ფსიქოლოგიური მიმართება და ლოგიკური კონტროლი უნდა მიმდინარეობდეს მაღალ, პიროვნული რეგისტრების დონეზე.

როგორც ვხედავთ, ვაჟა-ფშაველა არის პერსონოლოგიური, ქმედითი ფსიქოლოგიის ბრწყინვალე წარმომადგენელი ქართულ ლიტერატურაში. მსგავსად გოეთესი, ვაჟა-ფშაველა აღნიშნავს, რომ ცნებები ჭეშმარიტი ადამიანური სიბრძნისა და ადამიანის ქმედითი ცხოვრების შესახებ პიროვნული ფსიქოლოგიის ასპექტში ერთი და იგივეა: ქმედობა არის სიბრძნე, სიბრძნე კი ქმედობა, ასეთი გაგებით ტენდენცია მუდმივი, აქტიური შემოქმედებითი წვისადმი, წარმოადგენს დადებით კომპლექსურ განცდას. ამგვარი ემოცია წარმოადგენს ინტელექტუალურ გრძნობას ვუნდტისა და განუშკინის მიხედვით.

დასახული მიზნისადმი სწრაფვას გოეთე განიხილავს როგორც ზოგადსაკაცობრიო სულიერ თვისებას, უწოდებს რა მას ენერგიულ სწრაფვას. ეს თვისება სხვადასხვა პიროვნებაში სხვადასხვაგვარად არის წარმოდგენილი. პიროვნების თავისებურების და გარემო სიტუაციის მიხედვით ენერგიული მისწრაფება ზოგჯერ დაეშვება აპათიამდე, ზოგ შემთხვევაში კი პირველივე მარცხს შეუძლია ადამიანი თვითმკვლელობამდე მიიყვანოს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ გოეთეს პრინციპი ენერგიული სწრაფვისა და ვაჟა-ფშაველას პრინციპი მომავლისადმი ქმედითი სწრაფვის შესახებ, ზუსტი პროტოტიპია თანამეზროვე ცნებისა პიროვნების ფსიქოენერგეტიკული პოტენციალის შესახებ და უშუალო კავშირი აქვს პერსონოლოგიის პრობლემასთან ნორმასა და პათოლოგიაში.

ვაჟა-ფშაველამ, როგორც არავინ სხვამ, იცოდა, გრძნობდა, ესმოდა უყვარდა და ეთაყვანებოდა თავის სამშობლოს, თავის კუთხეს, მის ბუნებას.

იცოდა საქართველოს გმირული წარსული, სწამდა მისი მომავალი, გულთან ახლოს მიჰქონდა თავისი ხალხის ჭირ-ვარამი.

მისი ერთგვარი განსვლა ქალაქის ხმაურისა და მოუსვენრობისაგან ე. წ. „ევროპიზმისაგან", მისი ცხოვრების ჩვევა და ტანსაცმელი, რაც არ განასხვავებდა მას ჩვეულებრივი მთიელისაგან, ფსიქოლოგიურად შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც წმინდა ხარკი სამშობლო მხარისადმი, ნიშნად უსაზღვრო მადლიერებისა.

ადამიანის სულიერი ცხოვრების გამოვლინებათა იერარქიაში პიროვნება ყველაზე მაღალ დონეზე დგას და ფსიქონერვული განვითარების სრულყოფას წარმოადგენს.

პიროვნება ყველაზე მგრძნობიარე და ამასთანავე ყველაზე გამძლე სისტემაა, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის მოქმედებათა ავკარგიანობას და აძლევს შინაარსსა და აზრს ცხოვრებას...

პიროვნების სიძლიერის, სიმდიდრის, სიფაქიზისა და გამძლეობის ხარისხი და დონე არის ის სანუკვარი საუნჯე, რაც შეიძლება გააჩნდეს ადამიანს როგორც სოციალურ-ფსიქოლოგიურ არსებას.

ისტორიულად ცხოვრების ორომტრიალში, ბედისა და უბედობის აღმართ-დაღმართში, შრომაში თუ ბრძოლაში, მოკაშკაშე თუ ღრუბლიანი ცის პირობებში საბოლოოდ ქართველი კაცის პიროვნება ყოველთვის იყო შეუდრეკელი გაუტეხავ-გაუბზარავი... ყოველთვის და ყველა პირობებში თავისი მამულის, მშობლიური სულისა და გულის, ეროვნული აზრისა და გრძნობის ამაყი დამცველი...

ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნის ქართული მასალები წარმოადგენენ უტყუარ საუნჯეს პიროვნების ფსიქოლოგიისათვის, ვინაიდან მოგვითხრობენ მოვალეობის გრძნობაზე, პატრიოტულ ვაჟკაცობაზე, სინდისის სიფაქიზეზე და საერთოდ მორალურ სისპეტაკეზე. ხოლო შოთა რუსთაველმა პერსონოლოგიური პრობლემები განიხილა ჯერ არნახულ აკადემიურ სიმაღლეზე და გახდა საერთაშორისო მეცნიერული ძიების საგნად.

პეროსნოლოგიური იდეები ფართოდაა წარმოდგენილი ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში.

მოძღვრებას პიროვნების ფსიქოლოგიის შესახებ ჯეროვანი ადგილი უკავია აგრეთვე ქართულ მეცნიერულ აზროვნებაში. საკმარისია აღინიშნოს რომ აკადემიკოსი დიმიტრი უზნაძე არის პიროვნების ფსიქოლოგიის ფუძემდებელი, რომელმაც მიიღო მსოფლიო აღიარება.

აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი დიდ ყურადღებას უთმობდა პიროვნებას ისტორიის პრობლემების განხილვისას, ხოლო აკადემიკოს შალვა ნუცუბიძეს სასარგებლოდ მიაჩნდა შემოქმედებითი სიმბიოზი პერსონოლოგიასა და ფილოსოფიას შორის.

როგორც ვიცით, ძირითად პერსონოლოგიურ კატეგორიებს შეადგენს ცნებები შრომაზე, მოვალეობაზე, ნდობაზე და სინდისზე ამ მხრივ უეჭველად საინტერესოა ქართული საქმის მოამაგის, დიდი ილიას მეგობრისა და თანამოაზრის, ღირსეული პედაგოგისა და მორალისტის იაკობ გოგებაშვილის შემოქმედების შესწავლა.

ქართულ ეროვნულ მეცნიერულ თუ პრაქტიკულ პედაგოგიკაში იაკობი არის არა მარტო ეპოქის შემქმნელი ფიგურა, არამედ უკვდავი შუქურვარსკვლავი, რომლის ნათელი სხივი ეფინება ადამიანის სულიერი შინაარსის მრავალ უბანს.

კმაყოფილებისა და სიამაყის გრძნობით უნდა აღინიშნოს ქართული პედაგოგიკური მეცნიერების მიღწევები, რომლებიც გასცდა მშობლიურ საზღვრებს და საყოველთაო ინტერესი დაიმსახურა. ხოლო განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ქართველი მკვლევარნი არიან დიდი მასწავლებლის, იაკობ გოგებაშვილის შემოქმედებითი აზრის, იდეების და სურვილების ღირსეული მემკვიდრენი.

არსებობს მრავალი მეცნიერული გამოკვლევა, დისერტაციები, მონოგრაფიები და ცალკეული შრომები იაკობ გოგებაშვილზე როგორც პედაგოგზე, მოაზროვნეზე, მოღვაწეზე, ადამიანზე, მოქალაქეზე, იშვიათ პატრიოტზე, მის პიროვნებაზე, ქარაქტეროლგიურ თვისებებზე, მისი შემოქმედებითი ცეცხლის სიდიადეზედ და სწრაფვაზე.

ისმება საკითხი: რა სოციალურ-ფსიქოლოგიურმა გარემომ, სულიერმა ვითარებამ შეუწყო ხელი იაკობის ნიჭს დაემტკიცებინა დებულება, რომ სილამაზე, სიბრძნე და თავისუფლება ურთიერთგანუყრელი კატეგორიებია... და ამასთან ერთად ეჩვენებინა რომ დედის, სახლის, ოჯახისა და სამშობლოს მივიწყება სულიერი ცხოვრების დასისხლიანებაა...

მთავარი ძარღვი, რამაც განაპირობა გოგებაშვილის სიყვარული ხალხისადმი, სიმართლისადმი, სინდისის ოფლისადმი, ქართული სიტყვისადმი და ქართული ბუნებისადმი, არის ის, როგორც ამას აღნიშნავს ჩვენი გამოჩენილი მეცნიერ-პედაგოგი დავით ლორთქიფანიძე, რომ იგი ხალხის შვილია, შუა ქართლში დაბადებული და ხალხის კალთაში გამოზრდილი. ბავშვობიდანვე პატარა იაკობი გამსჭვალულია ხალხისადმი სიბრალულითა და თანაგრძნობით.

მაგრამ მშობლიური ადგილები ამკვრივებს პიროვნებას და ამრავლებს მის ეროვნულ ტრადიციებს. გავიხსენოთ რაფიელ ერისთავი: ადამიანი სადაც დაიბადა და აღიზარდა, ე. ი. მშობლიური ძარღვი ყველაზე სანუკვარიაო—წერს იგი. ეს გარემოება განსაკუთრებით ყურადსაღებია ჩვენი ახალგაზრდობისათვის; არც თუ ისე იშვიათად, სოფლიდან წამოსული ახალგაზრდა სწავლის დასრულებისას ივიწყებს ოჯახურ ბუდეს და ამით წყვეტს მორალურ ფესვს მასთან, რაც მას ასიცოცხლებს.

იაკობი თავის სოფელზე წერს: პატარაა და ღარიბი ვარიანი, მაგრამ მე კი ეს სოფელი ძლიერ მიყვარსო. მიყვარს იმის გამო, რომ იქ დავიბადე, იქ ვიხილე სინათლე მზისა, იქ გავატარე ბედნიერი

დღეები ჩემი ბავშვობისა, იქა ვტკბებოდი მშობლების, ძმებისა და დების სიყვარულით, იქ ჩემს ყურებს ასიამოვნებდა წყლის ჩხრიალი, ჩიტების ჭიკჭიკი, იქ მწვანე ტყე-ველს აღტაცებაში მოვყავდი, იქ ვისწავლე ბევრი ხალხური ლექსი და მოთხრობა, შევითვისე და შევიყვარე მშობელი ხალხი.

კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ ტრადიციებით გაკაჟებული პიროვნების გზა არასდროს გამრუდდება. ამასთან ერთად იაკობი გვასწავლის, რომ ღვიძლი სიტყვა ფასდაუდებლად ასახავს მშობლიურს. ღვიძლი სიტყვა არა მარტო პიროვნების საწყისია, არამედ ამდიდრებს მას, იცავს და ინახავს, ირკვევა, რომ ღვიძლი სიტყვით უფრო ადვილად, უფრო მსუბუქად, უფრო მეტის აღტაცებითა და მხურვალებით ივსება კაცის გული; ხოლო ღვიძლი ანდაზები, ამოცანები, ზღაპრები და ხალხური შემოქმედების სხვა ნაწარმოებები ადამიანს ავარჯიშებს. იაკობის მიერ დასმულია დიდი ფსიქოლოგიური პრობლემა დედაენისა და პიროვნების დინამიკური ურთიერთობის შესახებ. უფრო მეტიც წარმოდგენილ პრობლემას უშუალო კავშირი აქვს თანამედროვე მეცნიერულ ძიებასთან, რომლის მიზანია ადამიანის ინტეგრირებული, სინთეზური კვლევა ფსიქოსინთეზის (მთლიანი ადამიანის) სახელწოდებით.

დედაენა ანუ ღვიძლი სიტყვა ის ხიდია, რომლის საშუალებითაც მყარდება გარკვეული კავშირი ფიზიკასა და ფსიქიკას, ხორციელსა და სულიერს შორის. მოვუსმინოთ ავტორს: „აქამდინ ბევრს ჩვენგანს სრულიად არ ესმოდა რომ დედაენა, როგორც ბუნებითი იარაღი გონებისა, მტკიცედ შეკავშირებული ადამიანის სულთან და ხორცთან, უკეთესი ღონისძიებაა ნორმალური გონებითი და ზნეობითი გახსნისათვის, რომ ვინც ზედმიწევნით არ სწავლობს თავის ენას, ის ვერასოდეს ვერ მიეწევა ჯეროვანს სიღრმეს აზრისას და გრძნობისას და იქნება მეტ-ნაკლებობით ფუქსავატი არსება, თუნდაც რომ მთელი დუჟინი უცხო ენები იცოდეს“.[81].

„ქართული ენა ისეთივე მრავალფეროვანია, როგორიც არის ჩვენი ერის ისტორია, წარსული ცხოვრება, სავსე მრავალგვარის მოქმედებითა, თვისებითა, აზროვნებითა, გრძნობითა, დიდი სიხარულითა, ძლიერი მწუხარებითა და რომელიც წარმოადგენს იმ გვარს ღრმას და დაუსრულებელს დრამას; რომ ასი შექსპირიც ვერ ამოსწურავდა მას ძირამდის, ერთი რუსული მწერლისა არ იყოს“[82].

---

81 ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი, თხზულებანი ტომი 1, თბილისი 1955, გვ. 432.

82 იქვე, გვ. 205.

„დედაენა გარეგნობით როდია ადამიანის არსებასთან შეკავშირებული. იგი როდი ჰგავს ტანისამოსსა, რომლის გამოცვლა ადვილად და უვნებლად შეიძლება. მას აქვს ღრმად გამდგარი ფესვები ადამიანის ტვინში, ნერვებში, ხმის ორგანოებში ძვალსა და რბილში, მთელს მის ბუნებაში; იგი არის უძვირფასესი იარაღი, რომელიც ბუნებას ზედ გამოუჭრია ადამიანის სულსა და ხორცზედ, მის ფსიქოლოგიურს და ფიზიოლოგიურ აგებულებაზედ“[83].

ჩვენი გამოკვლევების თანახმად ჩვილი ბავშვის პირველი გაღიმება დედისადმი უკვე პიროვნული განწყობის პროტოტიპია. ირკვევა, რომ ჩვილის ღიმილი, როგორც მარცვალი უმაღლესი სიყვარულისა, ისახება თვითცნობიერების განვითარებამდე.

იაკობ გოგებაშვილის თანახმად ოჯახი არის ის ძირითადი რგოლი, რომელიც სოციალურად ავაჟკაცებს და მორალურად აპურებს ახალგაზრდას. პიროვნების ბრძმედი ოჯახია. იაკობი მიგვითითებს, რომ ბავშვს „ოჯახი უნდა ამხნევებდეს, ოჯახი დღემუდამ საზრდოს უნდა აწვდიდეს მის სულსა და გულსა, რათა გონების და ზნეობის ახალის ძალით შეიმოსოს ბოროტთან, მაცდურებასთან, უსამართლობასთან საბრძოლველად[84]. და შემდეგ: „ახალი თაობა, აღზრდილი თავისი ენის, ქვეყნის და ისტორიის უვიცობაში და აბუჩად აგდებაში, გულს იცრუებს დედ-მამასა და ნათესავებზედ და ხშირად შვილებრივის სიყვარულის მაგიერ სიძულვილს უჩვენებს მათ და ამ სახით ირღვევა ოჯახობა, სახლობა, ეს ქვა-კუთხედი ყოველის ერის სიმტკიცისა და წარმატებისა. ამ შემთხვევაში დედ-მამა თავისი უკულმართობის გამო ისევე საშინლად ისჯება, როგორც დაისაჯა შჩედრინის ერთი გმირი, რომელმაც შვილის ბედნიერებისათვის ყოველი საძაგლობა ჩაიდინა და ბოლოს შვილის სიყვარულის მაგიერ მისი ზიზღი და სიძულვილი მოიმკო“[85].

მომავალი ახალგაზრდობა ჩვენი იმედი და სიხარულია. მისი სულიერი რაობის გამოკვეთა ხდება ბავშობაში. მოვუსმინოთ ავტორს: „გონებითი მოძრაობა ერისა ქვიშაზეა აშენებული, თუ იგი ღარიბია საყრმო ნაწარმოებით, საყმაწვილო ლიტერატურით. იგი მაგრა ადგამს ნაბიჯებს წინ, წარმატებაში შედის მხოლოდ მაშინ, როდესაც მისს მოზარდ თაობას უხვად ეძლევა გონებითი საზრდო, როდესაც მისი ყრმანი გარემოცულნი არიან მრავალი ნიჭიერი ნაწარმოებითა“.

---

83 ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი, თხზულებანი, ტომი I, გვ. 184.

84 ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი, თხზულებანი, ტომი II, გვ. 228.

85 იქვე, გვ. 10—11.

გოეთემ თქვა: „არავის არ შეუძლიან განთავისუფლდეს პატარობის დროის შთაბეჭდილებათაგანაო,“ დიაღ სწორედ ეს შთაბეჭდილებანი ჰყრიან საძირკველს მიდრეკილებისას, მიმართულებისას. ამ ადრიან შთაბეჭდილებებზე ბევრად არიან დამოკიდებულნი კაცის მისწრაფებანი, ხასიათი, თვისებანი. თუ თქვენს შვილს პატარობისასვე მარჯვედ დაწერილნი საბავშვო ნაწარმოებები მიიზიდავენ თავისკენ, აგრძნობინებენ სიამოვნებას, გულს საამურად უღელავენ, გონებას უვარჯიშებენ და კითხვის მოთხოვნილებას უღვიძებენ და უმტკიცებენ, იცოდეთ, რომ თქვენ გეზრდებათ ყრმა, რომელიც დიდობაში გამოიჩენს დაუღალავ გონებით მოქმედებას, რომლისთვისაც ჭკუის მოძრაობა ვარჯიშობა, წიგნების კითხვა, აზროვნება, მსჯელობა იქნება ისეთივე აუცილებელი ყოველდღიური საჭიროება, როგორიც არის წყალი თევზისათვის, ჰაერი ფილტვებისათვის“[86]. ბავშვისათვის ყველაზე მძიმე და კატასტროფული ფსიქიკური ტრავმაა, როდესაც ოჯახი ტყდება, ირღვევა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ განვითარებული ცნება „სულის ობლობის“ შესახებ განსაკუთრებული სიმწარით განიცდება ბავშვობაში, ვინაიდან სწორედ ამ ასაკში მეტად დიდია მოთხოვნილება შინაგანი განცდების გაზიარებისა, ხოლო ნორმალურ ვითარებაში ბავშვი თავის შინაგან სამყაროს პირველ რიგში გადუშლის თავის დედას.

ხსენებული პრობლემა დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და აქტუალური, ვინაიდან დედის რძის, დედის ძუძუს წოვების საკითხი ძირითადი კვლევის საგანი გახდა პედომორფოლოგიაში და პედოფიზიოლოგიაში, პედონევროლოგიასა და პედოფსიქიატრიაში, პედოფსიქოლოგიასა და პედოფსიქოპათოლოგიაში.

იაკობ გოგებაშვილის მიერ განვითარებული ყოველი დებულება ცოცხლად დახატული შემთხვევაა, ცოცხალი აზრია, რომელიც თავისუფალია სქოლასტიკური ბურუსისაგან. სიკეთისა და სიბოროტის ილუსტრაციისათვის ავტორი მოხერხებულად მიმართავს ბუნებას: მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს. გოგებაშვილი შესანიშნავად იცნობდა ბუნებისმეტყველების ყოველ უბანს.

პირველი საკითხავი მასალები და მოთხრობები, მაგალითად, „ბავშვის შექება“, „ვარდი და ბულბული“, „ჩიტი და მელა“, „ვანო და ჩიტი“, „კაჭკაჭი და კრუხი“ და მრავალი სხვა ბავშვის პიროვნებას აცნობს ბუნების სამყაროს, უღვიძებს მას მოვალეობის გრძნო-

---

86 ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი, თხზულებანი, ტომი, IV, გვ. 475.

ბას და ამასთანავე უვითარებს ჭეშმარიტებისა და სიმართლის მოთხოვნილებას...

სინდისის შინაგანი ხმა, სინდისის ქენჯნა და გაცრეცილი სინდისი აი, ის მრავალი პრობლემა, რომელსაც ვხვდებით გოგებაშვილის შემოქმედების პერსონოლოგიური ანალიზის დროს.

იაკობი გვაფრთხილებს, რომ „შავი ჭირი ორგვარი გახლავთ; ფიზიკური და ფსიქიკური. პირველი ასნეულებს და სპობს მხოლოდ მცირეოდენს ნაწილს ერისას, მეორე კი მომაკვდინებელ სენად ედება მთელს ხალხსა და ამოფხვრის გზაზე აყენებს"[87].

აღნიშნული დებულება სწორია, მას აქვს ზოგადი სოციალურ-ფსიქოლოგიური და სუფთა ფსიქოლოგიური აზრი და მნიშვნელობა.

ამიტომ, ბედნიერია ის ადამიანი, საზოგადო ასპარეზზედ მომქმედი, რომელიც ნაყოფიერს შრომასთან ერთად, მტკიცედ ადგია ეთიკურს პრინციპებს, თავის ცხოვრებაში და თავის გარეშე ჰფენს ზნეობრივს მადლსა და სითბოსა. ამისთანა ადამიანები შეადგენენ მარილს ქვეყნისასა"[88].

ავტორის გაგებით ადამიანს ესმის, რა არის კეთილი და რა არის ბოროტი. როცა იგი კეთილ საქმეს ასრულებს გულში სიამოვნებას გრძნობს, როცა ბოროტებას ჩაიდენს, მაშინ წუხს და იტანჯება. ერთი სიტყვით, ადამიანს სინდისი აქვს, რომელიც კეთილისათვის აჯილდოვებს და ბოროტისათვის სჯის, ხოლო თუ საქმეს სინდისი მოაკლდა, მაშინ მადლი საკუთარივე ხელით შეიძლება მატლად იქცეს.

გოგებაშვილის თანახმად სინდისი ყოველთვის უნდა იყოს ფუნქციურად აქტიურ მდგომარეობაში; ამიტომ საჭიროა ადამიანს გაჩნდეს თუ შესწევდეს სინანულისა და ქენჯნის უნარი... უნარი სინდისის წუხილისა და შინაგანი სწრაფვისა, რათა საქციელი იქნეს გამოსწორებული. დასმული ამოცანა ბრწყინვალედაა ამოხსნილი მოთხრობაში „ბავშვი და ჭრიჭინა". მინდორში ყმაწვილმა ჭრიჭინა დაიჭირა და შინ მიჰყავდა. გზაზე უცაბედად თურმე ხელი ცუდად მოახვედრა ჭრიჭინას და ფეხი მოსტეხა. ყმაწვილს გული აევსო სიბრალულითა და მწუხარებით. როცა შინ მივიდა, ჩაიკეტა ოთახის კარები და ჯავრით იმ დღეს აღარაფერი უჭამია. ეს ბავშვი გახლდათ ყველასათვის საყვარელი და ფრიად სახელოვანი ადამიანი, განთქ-

---

87 ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი, თხზულებანი, ტომი I, გვ. 75.
88 ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი, თხზულებანი, ტომი III, გვ. 202.

მული იტალიელი მოღვაწე გარიბალდი. ხსენებული მოთხრობა ბავშვებისათვის ნათელი მაგალითია იმისა, რომ სულიერი სიფაქიზე საწინდარია კეთილშობილი ადამიანის ჩამოყალიბებისა.

ბავშვთა, მოზარდთა თუ მოზრდილთა სულიერი სამყაროს განხილვისას იაკობ გოგებაშვილი ჯეროვან ყურადღებას უთმობს პერსონოლოგიურ ცნებას ნდობის შესახებ, რასაც მაღალ ფსიქოლოგიურ დონეზე განიხილავდა გამოჩენილი მგოსანი ნიკოლოზ ბარათაშვილი.

ნდობა არის ის ძირითადი და აუცილებელი ფსიქოლოგიური პირობა, რომელიც საფუძვლად უდევს და განსაზღვრავს ცალკეულ პირთა და ხალხთა ურთიერთდამოკიდებულებას, ურთიერთზრუნვასა და ურთიერთპატივისცემას. ხოლო ნდობის დაკარგვა, მისი მოსპობა თანახმად ბარათაშვილისა, იწვევს სულის ობლობას, დაურწმუნებლობას და პესიმიზმს.

სრულიად იზიარებს რა ბარათაშვილის დებულებას ურთიერთნდობისა და ურთიერთრწმენის შესახებ, გოგებაშვილი გვაფრთხილებს, რომ უნდობლობას მოსდევს შური, ეჭვიანობა, წვრილმანობა. „უსამართლობის შეგნება“ იპყრობს ერთისა და მეორე მხარის გონებას, ჩნდება ყველგან და წამლავს სასწავლებლის მთელ ატმოსფეროს და იწვევს უკმაყოფილებას თვის საზოგადოებაშიაც. ასეთ წრეში სწრაფად იწყებს განვითარებას უნდობლობა, ეჭვიანობა წვრილმანობა, ტომობრივი განსაკუთრებულობა, ახშობს უმაღლეს და უკეთილშობილეს გრძნობებს და იწვევს გათიშვას იქ, სადაც უნდა მეფობდეს მჭიდრო და ნაყოფიერი სოლიდარობა. თანასწორუფლებიანობის პრინციპი პირიქით, განამტკიცებს ჰუმანურ დამოკიდებულებას სხვადასხვა ტომის ელემენტებს შორის, ბადებს ურთიერთ ნდობასა და სიყვარულს, ამყარებს ადგილობრივ და არა ადგილობრივ ელემენტებს შორის ნაყოფიერ ურთიერთზეგავლენას და ხელს უწყობს მიზნის მიღწევისათვის ერთსულოვან ბრძოლას“[89].

საყოველთაოდ ცნობილია ნდობის წამყვანი როლი მედიცინაში და ამ მხრივ იაკობი სრულიად მართებულად აღნიშნავს: „რწმენას ავადმყოფის მორჩენაში უპირველესი მნიშვნელობა აქვს. საზოგადოდ შენიშნულია, რომ თვითონ წამალი ისე ძლიერად არ მოქმედებს ავადმყოფის განკურნებაზე, როგორც ამ ავადმყოფის სრული რწმენა ექიმისადმი და მის მიერ დანიშნული წამლისადმი“[90].

---

89 ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი, თხზულებანი, ტომი I, გვ. 162.

90 ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი, თხზულებანი, ტომი IV, გვ. 37.

გოგებაშვილი ცდილობს ყურადღება, უნარი, გაბედულება და მოქმედება მივმართოთ იქითკენ, რომ ნდობა გაძლიერდეს და გაღვივდეს ყოველ ასაკში და პირველ რიგში ბავშვთა შორის.

მაგრამ მოვალეობის გრძნობა უფრო ძლიერდება, როდესაც ადამიანი გადაწყვეტს თავის გაწირვას მტრისათვის; აღნიშნული საქციელის გადაწყვეტა და შესრულება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ პიროვნების მაღალ რეგისტრზე. ამ მხრივ ბავშვისათვის ყველაზე უფრო მისაბაძია შემთხვევა, როდესაც მხსნელად აღმოჩნდება სწორედ ის, ვისგანაც ამას სრულიად არავინ არ მოელის.

„ნაპირზე გამოსული ყმაწვილი თავისი პატარა მტრის სიბრალულით აივსო, კეთილმა სურვილმა გაიტაცა და ადიდებულ მდინარეს არ შეუშინდა: იძრო სწრაფად ტანისამოსი და გადაეშვა წყალში.

გადაარჩინა თავისი პატარა მტერი დახრჩობასა და ცოცხალი გამოიყვანა ნაპირზე.

იქ მყოფი ბავშვები, აღტაცებულნი ასეთი სამაგალითო საქციელით, მისცვივდნენ ყმაწვილს, გადაეხვივნენ და მხურვალე კოცნით დააჯილდოვეს.

ამ დღიდან წინანდელი მოსისხლე მტერნი შეიქმნენ გულითადი მეგობრები და ერთმანეთს აღარაფერი ერჩივნათ სიკვდილამდე“[91].

ღალატი მოვალეობის გრძნობის მოწინააღმდეგე მდგომარეობაა და ასეთ ზნეობრივ ნაკლს ქართველი ყოველთვის ზიზღით უცქეროდა, ხოლო მოღალატეს საშინლად სჯიდა.

ქართველებს ისტორიულად „ღალატი საშინლად ეზიზღებოდათ და უსაზღვროდ სძულდათ არა მარტო ქართველ ადამიანებსა, არამედ ქართველ მგლებსაც კი“[92].

ნდობის გამოვლინება და კეთილი საქმის შესრულება მოითხოვს პიროვნებისეულ კონტროლსა და კორექციას, რაც თავის მხრივ მოითხოვს მონდომებას, აქტიურ სურვილს. გოგებაშვილის თანახმად, ადამიანს შეიძლება შიოდეს, საჭმელი ჰქონდეს, მაგრამ მოითმინოს და არ ჭამოს, სწყუროდეს და წყალი არ დალიოს; ძილი ერეოდეს და არ დაიძინოს, ერთი სიტყვით, ადამიანს შეუძლია თავისი სურვილი არ აასრულოს თუ მოინდომა.

მოვუსმინოთ ავტორს: „ილიას მეორედ მოკვლა მოიწადინეს, მოკვლა არა ფიზიკური, რომლის გამეორება შეუძლებლად გახადეს

---

91 ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი, თხზულებანი, ტომი IX, გვ. 19.

92 იქვე გვ. 175.

უსულგულო ნაძირალებმა, არამედ მოკვლა სულიერი: ეს უკანასკ-ნელი მკვლელობა რასაკვირველია, უფრო მძიმეა, ვიდრე პირველი"[93].

და შემდეგ: „დაიცადეთ ჭორიკანა ლილიპუტებო, და რომელიმე ქართველი ლიუისი აღმოაჩენს გულივერ ილიას ცხოვრებაში, იმის-თანა ფარულს კაცთმოყვარეობას, რომ თქვენს სირცხვილის ალში დაიწვებით, თუ ნიჭი სირცხვილისა სრულიად არ გაქვთ დახშული"[94].

მოვალეობისა და ნდობის გრძნობებთან ერთად პერსონოლო-გიურ ცნებას წარმოადგენს პატრიოტიზმი, პატრიოტული განწყობა, რაც ხორციელდება პიროვნების უმაღლეს რეგისტრებზე და, რო-გორც ფსიქოლოგიური პირობა, საფუძველია საზოგადოების, ერის კეთილდღეობისა და თვითშეგნებისა.

ახალგაზრდობას და მასთან ერთად მთელ საზოგადოებას გო-გებაშვილი უჩვენებს, თუ რაოდენ ძლიერი და გმირულია ქართვე-ლი დედის სიყვარული მამულისადმი, ქვეყნისადმი, სამშობლოსა-დმი; უსაზღვროდ უქრობია ქართველი მანდილოსნის პატრიოტული ცეცხლი... ქართველი დედა ამბობს: „ვმადლობ, მხურვალედ ვმად-ლობ უფალსა, რომ მან აღირსა ჩემს შვილებს გმირული სიკვდილი, სიკვდილი სჯულოვანი მამულიშვილისა, მაგრამ ნუ გაუხარდებათ მტრებსა, განაგრძო სამაგალითო დედამ. „ღვთის წყალობით, მე კი-დევ მყავს ოთხი ვაჟი და ორი ქალი, მე მათ დავზრდი უფრო უკე-თესს უფრო გულ-მხურვალე მამულიშვილებად და ისინი სხვა ქარ-თველი დედების აღზრდილ მამულიშვილებთან ერთად გადაუხდიან მტერს სამაგიეროსა და ჩვენს საქართველოს დააყენებენ ბედნიერს გზაზე"[95].

სამასი თავდადებული გლეხის ისტორიაში გოგებაშვილი ჩერ-დება „გმირობაზე დილით, დღისით და საღამოთი"... სამი პერიოდის მოტანა სიმბოლურად მიგვითითებს, რომ გმირობა ვიწრო დროით არ შეიძლება შემოიხაზოს, რომ თავდადება საჭირო და აუცილებე-ლია ყოველთვის და ყოველჟამს, დღესაც და ხვალაც, როდესაც კი ამას მოითხოვს სამშობლოს ინტერესი.

ავტორი მოგვითხრობს „დიაღ, სამასი ვაჟკაცი ერთი და იგივე გმირული სიკვდილით გამოესალმა წუთისოფელს ბრძოლის ველ-ზედ, კრწანისის მინდორში. ზოგმა მათგანმა თავისი სიცოცხლე დას-დო მამულისათვის დილით, პირის-პირ სპარსეთის შაჰისა, ზოგი

---

93 გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი. ტომი IV, გვ. 211.

94 იქვე, გვ. 217.

95 გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი, ტომი IX, გვ. 120—121.

მტერს შეაკვდა დღისით, როცა იგი მოიწევდა თბილისისაკენ, ხოლო დანარჩენთ თავი დასდეს ქვეყნისათვის საღამოთი თბილისის ქუჩებში, სადაც იგინი უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ებრძოდნენ შემოსულს სპარსელებსა"[95].

იაკობ გოგებაშვილის პატრიოტიზმი შეუდარებლად მაღალ დონეზე დგას. შეიძლება აშკარად ითქვას, რომ მისი იდეები, თავისი შინაარსის სიღრმით, უნდა იყოს კვალიფიცირებული, როგორც ხალხთა შორის მშვიდობისა და ურთიერთზრუნვის საკაცობრიო იდეების გულწრფელი ღაღადი. მისი პატრიოტიზმი კაცთა შორის სიყვარულისა და სიმშვიდის გრძნობებით არის აღვსილი.

იაკობ გოგებაშვილი მოითხოვდა თანამემამულეთაგან პატივისცემას სხვა ხალხთა ენებისადმი, მათ შესწავლასა და საფუძვლიანად დაუფლებას. მხოლოდ მტერს შეუძლია ურჩიოს ქართველებს: შეაქციეთ ზურგი უცხო ენასა და დარჩით მარტო დედაენის ამარაო... მისი ფორმულაა: „ძლიერი სიყვარული სამშობლოსი ჰბადებს ძლიერ სიყვარულს კაცობრიობისას"[97]. მოვუსმინოთ ავტორს: „ჩვენში პატრიოტობა სხვა თვისებებისა, სხვაგვარის ხასიათისაა: იგი იპყრობს მხოლოდ წმინდა გრძნობას მამულის სიყვარულისას, ამ გრძნობაში თავის-თავის მეტი არა ურევია-რა, ვისიმე სიძულვილი, ვისიმე დათრგუნვის სურვილი, ვისიმე გაუბედურების წადილი მასში სრულიად არ იპოვება. ჩვენს პატრიოტებს სურთ აღდგენა და დაცვა ჩვენის უფლებისა, ეროვნებისა, თვითმმართველობისა, ლიტერატურისა, კულტურისა, რომელთა გარეშე არა ხალხს არ შეუძლიან სიცოცხლე და ადამიანური არსებობა. ჩვენი მამულიშვილები ნატრულობენ ჩვენის ქვეყნის ბედნიერების მიღწევას წმინდა და სწორი გზით, იმ გზით, რომელიც სხვის უბედურებაზედ არ არის გავლებული. როგორც წარსულში ჩვენი ერი იბრძოდა არა სხვა ხალხების დამონავებისათვის, არამედ თავის საკუთარის დამოუკიდებლობის დაცვისათვის, ისე ეხლა ჩვენი მამულიშვილები მოღვაწეობენ არა იმ განზრახით, რომ სხვანი დავთრგუნოთ და მათის დამცირებით ჩვენი თავი ავამაღლოთო, არამედ იმისათვის, რომ ჩვენს ერსაც გავუკვლიოთ ფართო გზა გონების განვითარებისა, ზნეობის ამაღლებისა და კეთილდღეობისაო"[98].

აი რას წერს იგი: „მაგრამ აქ მარტო ერის სიკეთე არ არის

---

96 ი. გ ო გ ებ ა შ ვ ი ლ ი, ტომი IX, გვ. 167.

97 ი. გ ო გ ებ ა შ ვ ი ლ ი, ტომი II, გვ. 362.

98 ი. გ ო გ ებ ა შ ვ ი ლ ი. თხზულებანი, ტომი II, გვ. 363.

წაგებაში, წაგებაში არიან თვით ეს ნიჭიერნი ქართველნიც, უცხო ასპარეზზედ მოქმედნი. როგორ იგინი უნდა გრძნობდნენ, რომ ჰგვანან იმ ღრუბელს, რომელმაც კოკური წვიმა ჩამოუშვა ზღვაში და გვალვით დაწულს ხმელეთს კი ცვარიც არ უწილადა. იმათ კარგად უნდა ესმოდეთ, რომ უტყუარს პატივისცემას, მხურვალე თანაგრძნობას, გულითადს სიყვარულს ეღირსება ხოლმე საზოგადო მოღვაწე მხოლოდ ღვიძლს საზოგადოებაში, მშობლიურს ქვეყანაში. მხოლოდ აქ გრძნობს იგი ჭეშმარიტს ზნეობრივს სითბოს, მხოლოდ აქ ხარობს იგი ნამდვილი სიხარულით, მხოლოდ აქ განიცდის ნამდვილ შვებასა და ლხენასა, მხოლოდ აქ დაიღვრება, ხოლმე მათს კუბოსა და საფლავზე მდუღარე ცრემლი, მხოლოდ აქ შეიქმნება ხოლმე მათი სახსენებელი უკვდავი"[99].

მაღალი პატრიოტული გრძნობების გაღვივება მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას საზოგადოების მხრივ, ამიტომ გოგებაშვილი გვირჩევს: „ერთი უპირველესი ღონისძიება პატრიოტობისა, მამულის სიყვარულის გაძლიერებისა არის მხურვალე თანაგრძნობა საზოგადოების მხრივ მამულის შვილების მოქმედებისადმი მათი წაქეზება, გამხნევება პატივისცემის გამოცხადებით. საზოგადოების თანაგრძნობა და ღირსეული დაფასება ქვეყნის სამსახურისა, მოქმედ პირს ერთი-ორად უმატებს ძალასა, ფრთებს უსხავს და ადვილად ატანინებს ყოველგვარ განსაცდელს"[100].

მოვალეობის გრძნობა ის ძირითადი ცნებაა, რომელიც თანაბარს ხდის კაცთა და ქალთა მისწრაფებას, სულისკვეთებას. ავტორი აღნიშნულ იდეას მარჯვედ ასაბუთებს ინგილო მანდილოსნის მაგალითზე. იგი წერს: „ქვეყანა აოხრდებოდა და განადგურდებოდა მამაკაცთა ძალას რომ არ მიშველებოდა ქალთა ძალა. თავისი ნამუსის, ოჯახისა და ქვეყნის დასაცველად ინგილო ქალი გაუხდა თავის ქმარს მეუღლედ არა მარტო შინაობაში არამედ ომშიაც. იმან ისწავლა მარჯვედ ხმარება თოფ-იარაღისა, ქალური ტანისამოსი გაიმარტივა და კარზედ მიმდგარს მტერს დაუხვდებოდა ხოლმე ხანჯლით და ტყვია-წამლით"[101]. და შემდეგ: „ინგილო ქალები წინანდელს დროში სრულიად სხვა სკოლაში იზრდებოდნენ. ეს იყო სკოლა შეუწყეტელის ბრძოლისა მტერთა წინააღმდეგ, ბრძოლა დასაცველად თავისი მამულისა, კერისა, ოჯახისა, ენისა, სჯულისა, ქართ-

---

99 ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი, ტომი I, გვ. 492.

100 ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი, ტომი I, გვ. 366.

101 ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი, თხზულებანი, ტომი III, გვ. 116.

ველობისა. ამისთანა სკოლა ყველგან და ყოველთვის აძლიერებდა მამულიშვილობას და საინგილოშიც უნდა აეღორძინებინა ის. საზოგადოდ შენიშნულია რომ განაპირა კუთხეებში ქვეყნისა, სადაც მტერი უფრო ახლოა, ბრძოლაც ხშირია და ეროვნებას მეტი შიში მოელის, მამულის სიყვარული ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე შუაგულს ადგილებში"[102].

პერსონოლოგიური პრობლემები ივანე ჯავახიშვილის შრომებში

ივანე ჯავახიშვილი თავის შრომებში, თუ საჯარო გამოსვლებში დიდ ყურადღებას უთმობდა ადამიანის პიროვნებას, მის ძალას, მნიშვნელობას და მოწოდებას. ამ დიდი მოღვაწისა და მეცნიერის პატრიოტიზმი მთლიანად დაფუძნებულია ადამიანის მოვალეობის იდეაზე.

განუსაზღვრელი და ფასდაუდებელია ივანე ჯავახიშვილის როლი ქართული ეროვნული კულტურის საქმეში. იგი ანხორციელებს ილიას იდეას ქართული უნივერსიტეტის შესახებ. მან არა მარტო საძირკველი ჩაუყარა ეროვნულ უნივერსიტეტს, არამედ დაავაჟკაცა და დააპურა იგი.

ივანე ჯავახიშვილის ყურადღებას იპყრობდა და მისი შემოქმედებითი ძიების საგანს შეადგენდა მეცნიერების სხვადასხვა უბანი, როგორიცაა მაგალითად: ისტორია და არქეოლოგია, ლინგვისტიკა და ლიტერატურათმცოდნეობა, ფილოსოფია და ფსიქოლოგია, ხელოვნება და მუსიკა, მხარეთმცოდნეობა და ეკონომიური გეოგრაფია, იურისპრუდენცია და სამართლის ისტორია, მედიცინა და მედიცინის ისტორია და კიდევ მრავალი სხვა. ცხადია ყველა აღნიშნულ პრობლემას იგი პირველ რიგში იხილავდა ისტორიის თვალთახედვით. აქ ჩვენ ვხედავთ, თუ საითაა მიმართული ავტორის შემოქმედებითი ინტერესი, რით ცოცხლობს იგი და რა აღელვებს მას.

ივანე ჯავახიშვილის შრომებში წარმოდგენილია მისი საკუთარი პოზიციები პიროვნების ფსიქოლოგიის განვითარებისა და ძირითადი მიმართულების შესახებ.

გმირობა და თავდადება სახალხო საქმისათვის არის პიროვნების ფსიქოლოგიისათვის საინტერესო კატეგორიები, რომლებსაც ვხვდებით ქართველი ერის ისტორიის უძველეს წერილობით მასა-

---

[102] იქვე გვ. 117.

ლებში. ხოლო იმ დროს ამ იდეების გავრცელებისა და ხალხში შეტანის ერთადერთი საშუალება იყო ქადაგება; სხვა გზა არ არსებობდა.

ივანე ჯავახიშვილი წერს: „მთელი ქართული საისტორიო მწერლობა, რომელმაც კი ჩვენამდის მოაღწია, წარმოიშვა მარტვილობათა და წმინდანთა ცხოვრებათაგან... ეკლესიაში კითხულობდნენ ხოლმე მარტვილის თავგადასავალს. ამით აიხსნება, რომ ბევრი მარტვილობა ქადაგების სახით არის დაწერილი და ეკლესიაში მდგომ მსმენელთადმი არის მიმართული“[103]. ხსენებულ მასალებში ხალხი ეცნობოდა ადამიანის პიროვნულ რეაქციებს, „რომელთაც თავისი რწმენის სიმტკიცე სისხლის დანთხევითა და სიკვდილით აღბეჭდეს“[204]. ამავე მასალებში შუქდებოდა საკითხები კეთილი საქმის მნიშვნელობისა და დანიშნულების შესახებ. იქვე ვკითხულობთ, რომ „ცხოვრება“, როგორც ცნება, „ძველ ქართულ მწერლობაში ჩვეულებრივ იხმარებოდა ხოლმე სამოქალაქო საისტორიო ნაწარმოებების საზოგადო სახელად“[105].

წამოჭრილ საკითხთა საბოლოო გადაჭრა ხდება ადამიანის პიროვნების რეგისტრზე. მხოლოდ და მხოლოდ პიროვნულ კონტროლს ძალუძს ფიზიკური სიმწარე ამჯობინოს მორალურ სიტკბოს, ასე ვთქვათ, სიკვდილ-სიცოცხლეს. აღნიშნულ შემთხვევებში ჰედონიზმის პრინციპი სრულიად მარცხდება და იმარჯვებს იდეა, რომ ადამიანი ვალდებულია ემსახუროს მოვალეობის, სიმართლის, სინდისის და ზოგადად სულიერი სიფაქიზის პრინციპებს, ამიტომ ივანე ჯავახიშვილის მიერ მოყვანილ ფსიქოლოგიურ შენიშვნებში განმარტებებში და კომენტარებში მოიპოვება ფასდაუდებელი მასალა პიროვნების ფსიქოლოგიის პრობლემებისათვის.

როგორც ვიცით, ყოველი ფსიქოლოგიური მოვლენა, დადებითი თუ უარყოფითი, ზოგადი სოციალურ-ფსიქოლოგიური სტატუსის გარკვეული ანარეკლია, ყოველი გმირული საქციელი ხალხში პოვებს აღმაფრენას, აღტაცებას და აბსოლუტურ თანაგრძნობას. ამიტომ ისტორიულად ცნობილ პირთა სულიერი სწრაფვის მაგალითი ხალხის, ერის ფსიქიკური ყოფიერების ჭეშმარიტი გამოძახილია.

---

103 ივანე ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა. წიგნი I, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 1945 წ. გვ. 35.

104 იქვე.

105 ი. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 52.

შუშანიკის წამება თითქმის შვიდ წელ'ა გრძელდებოდა. ამ გმირული ეპოპეის შესახებ ჯავახიშვილი წერს: „იაკობ ხუცესის ნაწარმოებში, როგორც თანამედროვის მიერ დაწერილს თხზულებას შეჰშვენის, მაშინდელი საქართველოს შინაური თუ საზოგადო ყოფა-ცხოვრებისა და ზნეჩვეულების შესახებ მრავალი საუცხოვო ცნობები მოიპოვება, რომელნიც მთელს მოთხრობაში ისე ბუნებრივად არის ჩაქსოვილი, ისე უშუალოდ თან სდევენ ამბავის მიმდინარეობას, რომ მკითხველს თვალწინ მაშინდელი ცხოვრების მხატვრული სურათი ეშლება“[106].

ამ შენიშვნიდან ნათლად ჩანს, რომ ქართულ უძველეს დოკუმენტში „წამებაი წმინდისა შუშანიკისა დედოფლისა“ მოთხრობილია ამბავი არა ოჯახური უთანხმოებისა თუ ტრაგედიის შესახებ, არა მხოლოდ სარწმუნეობრივი კრედოს რაობის შესახებ, არამედ აქ საქმე ეხება ადამიანის და პირველ რიგში, ღირსეული მანდილოსნის პიროვნულ პროტესტს; მისი პიროვნების სულიერ ძალთა შესაძლებლობას, მიზანსწრაფვას, სიმტკიცესა და სიდიადეს.

ივანე ჯავახიშვილი შუშანიკის კატასტროფულ განცდათა ანალიზისას ჩერდება პერსონოლოგიური ფსიქოლოგიისათვის პრობლემური მნიშვნელობის საკითხებზე.

ფსიქოლოგიურად მეტად საინტერესოა ორი დეტალი, რაზედაც მიუთითებს ი. ჯავახიშვილი „წინათ შუშანიკი“ მამათა და დედათა“ თანასწორობის იმდენად შეუდრეკელი მოწინააღმდეგე ყოფილა, რომ მაშინდელი ჩვეულებისამებრ, მამაკაცთა და დედაკაცთა ოჯახში ერთად პურის ჭამაც კი სრულებით შეუწყნარებელ საქციელად მიაჩნდა“[107].

შუშანიკის შემდგომი ანტინომიური გადანაცვლება შესაძლო და დასაშვებია მხოლოდ ფსიქიკური ცხოვრების მაღალ რეგისტრზე—პიროვნების დონეზე. ღრმა სულიერი ანალიზის შედეგად შუშანიკი კატეგორიულად წინააღმდეგია არსებული სოციალური ვითარებისა და სვამს საკითხს, რატომ არის გარჩევა მამაკაცსა და დედაკაცს შორის, გნებავთ იმ მორალურ სიტუაციაში, როდესაც ადამიანი უნდა წარსდგეს ღვთის წინაშე და თქვას სწორი სიტყვა—სიტყვა სიმართლისა.

მეორე, მეტად მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური დეტალი, რომელიც გვიჩვენებს, რომ ნაწარმოები შუშანიკის გმირობის შესახებ

---

106 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 48.

107 ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 49.

შესრულებულია დიდი ფსიქოლოგიური სიზუსტითა და განცდათა ღრმა ანალიზით.

ურთულეს სულიერ განცდათა სიტუაციაში, როდესაც ტანჯვა-წამება აგერ თითქმის შვიდ წელს გრძელდება, შეუძლებელია არ გატყდეს ადამიანის განკარგულებაში არსებული ფსიქოლოგიური ფოლადი. ბუნებრივია, ახალგაზრდა მანდილოსანს შუშანიკს დაებადა ერთგვარი სინანულის გრძნობა, რომ მისი სიცოცხლე ასე უშედეგოდ მთავრდება... და საჭიროა განა ეს? მაგრამ აგერ იქვე პიროვნების დონე და გრძნობა მოვალეობისა იჩენს თავს, თრგუნავს მთლიანად სინანულის ემოციას და შეუდრეკელად უცქერის და ელის თავის წამებას. როდესაც ვეხებოდით ე. წ. აღმოსავლური რენესანსის პრობლემას და პირველ რიგში შოთა რუსთაველის პერსონოლოგიურ იდეებს, ხაზგასმით აღვნიშნეთ, რომ მეთორმეტე საუკუნემდე უეჭველად არსებობდა დიდი კულტურული შესაძლებლობანი და ურყევად მაღალი ტრადიციები.

წერილობითი ძეგლი შუშანიკის პიროვნების შესახებ მტკიცე საბუთია იმისა, რომ ქართულ რენესანსამდე შვიდი-რვა საუკუნით ადრე შეუდარებელი სიმაღლის მქონე პერსონოლოგიური კატეგორიები არსებობდა, მოქმედებდა და ღვიოდა ქართველი ხალხის წარმოდგენებში. უფრო მეტიც, აღნიშნული სულიერი ყოფიერების ფესვები ბევრად წინ უსწრებს IV—V საუკუნეებს და უკავშირდება ცხოვრების უძველეს ხანას.

ჩვენს დროში წამოჭრილია პრობლემა, რომ ადამიანი უნდა იყოს შესწავლილი მთლიანობაში — ვინაიდან ადამიანის ცალკეული მხარის ანალიზური კვლევა არ აღმოჩნდა საკმარისი და დროა მივმართოთ ძიების სინთეზურ მეთოდს. ხსენებული გარემოება თავის მხრივ სვამს საკითხს მეცნიერებათა შემოქმედებითი სიმბიოზის შესახებ, სხვადასხვა დარგის შემოქმედებითი კორპორაციის შესახებ. აღნიშნული სიმბიოზი ყოველი დარგისათვის ურთიერთსაინტერესო და სასარგებლოა.

სოციოლოგიურ-ფსიქოლოგიური, ეთნოფსიქოლოგიური, შედარებითი ფსიქოლოგიური და პალეოფსიქოლოგიური კვლევა დღეს აუცილებლივ მოითხოვს შემოქმედებით ექსკურსს ფოლკლორისტიკაში და შედარებით ლინგვისტიკაში, ხოლო ილიას იდეა მხატვრული ლიტერატურისა და მეცნიერული ფსიქოლოგიის სიმბიოზის სარგებლობის შესახებ დღეს უკვე აკადემიურად დადასტურებულია.

თანამედროვე პერსონოლოგიური ფსიქოლოგიისა და პათოფსიქოლოგიის ძიებანი საჭიროებს ღრმა ფსიქოლოგიურ წერაქვს,

რათა ჩავწვდეთ ადამიანის რთულ სულიერ სამყაროს და მის წიაღში დაფარულ განცდებსა და წარმოდგენებს. კარგად უნდა გვახსოვდეს რომ ხსენებულ მრავალპლანიან ძიებას მიმართავდა ივანე ჯავახიშვილი; ხოლო მისი წერილობითი შრომები და საჯარო გამოსვლები სხვადასხვა დარგის ისტორიისა და ისტორიული განვითარების შესახებ არსებითად ახალი შემოქმედებითი შუქია ყოველი მეცნიერული უბნისათვის, რომელსაც ედებოდა დიდი მკვლევარის ნათელი გონება. ამიტომ ივანე ჯავახიშვილის შრომები წარმოადგენს ახალ და მდიდარ სამყაროს, რომელიც ფასდაუდებელია ფსიქოლოგიური და პათოფსიქოლოგიური ძიებისათვის.

ივანე ჯავახიშვილი მიგვითითებს, რომ „ქართული საისტორიო მწერლობისა და აზრის განვითარებაში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით იოანე საბანისძეს, რომელმაც თავისი შრომა გარკვეულ გეგმაზე ააგო და ცხოვრების კერძო მოვლენაში საზოგადო მნიშვნელოვანი გარემოება შენიშნა და თავის თანამედროვეებსაც დაანახვა; ბასილ ზარზმელს, რომელსაც თხრობის წესისა და მეთოდების შესახებ საყურადღებო ცნობები მოეპოვება; განსაკუთრებით კი გიორგი მთაწმინდელს, რომელმაც საისტორიო მწერლობის მეთოდები ჩვენში უაღრესად განავითარა და მისაბაძავი მაგალითი შეჰქმნა; გიორგი ხუცესმონაზონს, რომელმაც ღვაწლის შედარებითი დაფასება პირველად შემოიღო ქართულ მწერლობაში და რასაკვირველია ეფრემ მცირეს, ვითარცა საისტორიო მწერლობის მეთოდებისა და ტექნიკის საუკეთესო თეორეტიკოსსა და ჩვენში ანალოგიის მეთოდის შემომღებს; აგრეთვე დავით აღმაშენებელის შესანიშნავს ისტორიკოსსა, რომელმაც ისტორიული შედარება სამოთხრობო მეთოდად აქცია და ნათლად შეიგნო, რომ სახელმწიფო მოღვაწის მოქმედების ნაყოფიერება მარტო მის პირად ნიჭსა და მხნეობაზე კი არ იყო დამოკიდებული, არამედ მისი ქვეყნისა და ერის კულტურულ მდგომარეობასა და პირობებზე: ისტორიკოს-ფილოსოფოს ნიკოლოზ კათალიკოზს და დასასრულ, ქართველს დიდებულს მეცნიერს, ისტორიკოს ბატონიშვილს ვახუშტს, რომლის კრიტიკული და ისტორიული მეთოდები და თეორიული მსჯელობა საქართველოს სახელმწიფო და სოციალური ცხოვრების უმთავრესი ხანებისა და დამახასიათებელი თვისებების შესახებ სწორედ რომ განმაცვიფრებელია.“[108] და შემდეგ: „ქართულ მწერლობას საკმაოდ ჰყავს ღვთიური ნიჭით აღბეჭდილი ისტორიკოსები, მაგრამ მათ შორის შე-

---

108 ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, ვვ. 31.

უდარებელი ბრწყინვალებით მოსილია გიორგი მთაწმინდელის, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსისა, ნიკოლოზ კათალიკოზისა და განსაკუთრებით, ეფრემ მცირის და ბატონიშვილ ვახუშტის სახელები... ვერავითარი მოკლე მიმოხილვა ვერ აგრძნობინებს ადამიანს ვახუშტის დიადს ღვაწლს ქართულ ისტორიათ მწერლობისა და საისტორიო მეცნიერების წინაშე: მკითხველი თვით უნდა ჩაუკვირდეს მის ღრმააზროვანს მსჯელობას"[109].

„ადამიანის სულიერი ყოფიერება არ არის ერთ წერტილზე გაყინული და ამიტომ მისი შეხედულება ყოველთვის ერთგვარი კი არ ყოფილა, არამედ დროთა განმავლობაში განვითარებულა და გაღრმავებულა კიდეც"[110].

თანახმად ჯავახიშვილისა „თუ გიორგი ხუცესმონაზონს, როგორც ეტყობა, აღზრდის ყოვლად შემძლეობა სწამდა, დარწმუნებული იყო, რომ აღმზრდელი ადამიანის გონებას ნებისმიერ ადვილად მოჰქნიდა და სურვილისამებრ მოარჯულებდა, დავით აღმაშენებლისა და მეტადრე თამარ მეფის ისტორიკოსებმა უკვე იცოდნენ, რომ ადამიანს თან სდევს მემკვიდრეობით თანდაყოლილი თვისებები... ეს თანდაყოლილი საგვარეულო მიდრეკილება და თვისებანი, რომელსაც თამარ მეფის ისტორიკოსი „თანაშთამომავლობა"-ს ეძახის კეთილი ან ბოროტი ზნის სახით ადამიანის ბუნებას გარკვეულს მიმართულებას აძლევდა და აიძულებდა „მამურ-პაპურ კუალთა სვლა"-დ (დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ქ-ლი ერის ისტორია, II, 508)."

ადამიანის მიმართულებისა და მისი ხასიათის ანალიზის დროს ისმება საკითხი ეგზოგენურ და ენდოგენურ ფაქტორთა როლისა და ურთიერთგავლენის შესახებ. ხოლო თამარის დროინდელი ისტორიკოსისათვის უკვე ცხადი ხდება მემკვიდრეობის განსაკუთრებული მნიშვნელობა.

ენდო-ეგზოგენიის პრობლემის საბოლოოდ დაზუსტებისას წამყვანი როლი ენიჭება გარემო საზოგადოებრივ, მიკრო-და მაკროსოციოლოგიურ მიზეზებს. დასტურდება, რომ ადამიანის ნებასა და მოქმედებას წარმართავს გარემო.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის აზროვნება ფართო და მსოფლიო ისტორიულ ასპარეზს აღწევს, მაგრამ ამასთანავე მისი აზროვნება ღრმა და ბრძნულია, მისი მსჯელობა თავისი ზედმიწევნი-

---

109 ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 32.

110 იქვე.

თი თვისებებით განმაცვიფრებელია. მან კარგად იცის, რამდენი ძალა და გავლენა აქვს მოღვაწეობის პირად ნიჭს და დაუღალავ მოქმედებას, მას ჩინებულად ესმის, რომ უმაღლესი ნიჭიერებითა და თავგამოდებითაც კი აღჭურვილი მოღვაწე, თვით უძლიერესი გვირგვინოსანი მეფეც კი, ყოვლად შემძლები არ არის და მისი მოქმედება ქვეყნისა და ხალხის თანამედროვე მდგომარეობითა და საზოგადოებრივი პირობებით არის შეზღუდული. მას შეუგნია, რომ მოღვაწე შეიძლება უმწვერვალესი ნიჭითა და ძალით იყო აღჭურვილი, გენიოსი იყოს, მაგრამ თუკი ერი და სახელმწიფოც იმისადა შესაფერისად მომზადებული და დაწინაურებული არ არის, მაშინ, მისი მოღვაწეობა სასურველ ნაყოფს ვერ მოიტანს. თვით ალექსანდრე მაკედონელი ნიჭით სრულებით არა სჯობნიდა დავით აღმაშენებელს, მაგრამ თუ საქართველოს მეფის მოღვაწეობა იმნაირადვე ბრწყინვალე არ ყოფილა, როგორც ალექსანდრესი, მხოლოდ იმიტომ, ამბობს ისტორიკოსი, რომ იმის მოქმედებას ჩვენი სამშობლოს რიგდროინდელი მდგომარეობა ხელს ისე არ უწყობდაო როგორც ალექსანდრე მაკედონელს.

მერვე საუკუნის ცნობილი მწერლის იოანე საბანისძის შემოქმედებასა და მოღვაწეობას უშუალო კავშირი აქვს პიროვნების ფსიქოლოგიასთან და პირველ რიგში დეონტოლოგიასთან.

ჯავახიშვილის თანახმად იოანე საბანისძემ ნათლად იცოდა, რომ ადამიანთა მოქმედებაში არსებობდა „ჩვეულებისამებრ მამულისა სვლა", რომელიც ნაკარნახევია მამაპაპეული ტრადიციებით. აქ პირველ რიგში პიროვნების სიმტკიცეზე და სიფაქიზეზეა ლაპარაკი, რათა ადვილად მოხდეს „ჭირთა მოთმენით" განსაცდელის ატანა[111]. ამასთან ერთად საბანისძემ ცხოვრების კერძო მოვლენაში „საზოგადო მნიშვნელოვანი გარემოება შენიშნა და დაინახა. მან შეიძლო ამის შეგნება პირადად და თანაც სხვებსაც დაანახვა და შეაგნებინა[112].

საბანისძის დროს ქართველთა ბრძოლა არაბთა წინააღმდეგ განსაკუთრებით ძნელდებოდა იმიტომ, რომ ხდებოდა აქტიური გადაბირება ეკონომიურად დაუძლურებული ხალხისა ფულით, საჩუქრებითა და მოტყუებით... ქართველთა მორალური ხერხემალი ირყეოდა და ირხეოდა „ვითარცა ლერწამი ქართაგან ძლიერთა"[113].

---

111 ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 218—219.

112 იქვე, გვ. 69.

113 იქვე, გვ. 71

საბანისძის დეონტოლოგიურ მოღვაწეობას უკვალოდ არ ჩაუელია და, როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, მიძინებულ ეროვნულ მიმართულებას—მოვალეობის გრძნობებს კვლავ გამოცოცხლება დაუწყია.

ქართველი ხალხის პერსონოლოგიურ წარმოდგენებში წამყვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა ანტინომიურ კატეგორიებს და ამიტომ ისინი ცდილობდნენ საზოგადოებაში თავიანთი აზრის ამ გზით შეტანას.

ამას ნათლად ადასტურებს მეათე საუკუნის წერილობითი ძეგლი, რომელიც ეკუთვნის სტეფანე მტბევარ ეპისკოპოსს („წამებაი წმიდისა მოწამისა გობრონისა"). აქ ერთდროულად არის საუბარი კეთილ და ბოროტ კატეგორიებზე, რომ შედარებითა და დაპირისპირებით ადამიანს გაუღვიძონ დადებითი და დაუხშონ უარყოფითი მიმართებანი. გარდა ამისა, ავტორი ცდილობდა გაეცნო ხალხისათვის თავისი ქვეყნის წარსული და მიეწოდებინა მომავალი ნათელი პერსპექტივა და შეურყეველი იმედი.

ჩვენი სულ მოკლე ექსკურსიც კი ადასტურებს, რომ ივანე ჯავახიშვილის შრომები ვრცელი ასპარეზია პერსპექტივის მქონე ფსიქოლოგიური კვლევისათვის. ხოლო მისი პიროვნება ყველაზე მაღალ დეონტოლოგიურ თვისებათა ბრწყინვალე და წმინდა განსახიერებაა.

პერსონოლოგიური ზოგიერთი საერთო პროგლემის შესახებ შექსპირის, გოეთეს, ფ. შილერისა და თ. დოსტოევსკის შემოქმედებაში

სავსებით არასწორია ვეძიოთ ფსიქოპათოლოგიური მხატვრულ ლიტერატურაში, ხოლო ნაწარმოების გმირებს კი მივცეთ მკაცრი სამედიცინო შეფასება. ხელოვანთა ექსკურსიები პათოლოგიურ განცდათა სამყაროში კვალიფიცირებულ უნდა იქნეს, როგორც გარკვეული მხატვრული ხერხი, გამოწვეული შემოქმედებითი აუცილებლობით სასცენო ეფექტის გასაძლიერებლად.

ისმის საკითხი შექსპირის, გოეთეს, შილერის და დოსტოევსკის ნაწარმოებთა არა ურთიერთდაპირისპირების ან შედარების ასპექტში, არამედ ჩვენ მხოლოდ ის გვაქვს მიზნად, რომ მათ შემოქმედებაში გავიგოთ ცალკეული მომენტები, რაც საინტერესოა თანამედროვე პერსონოლოგიისათვის ნორმაში და პათოლოგიაში.

გამოუვალ ტრაგიკულ სიტუაციაში, როდესაც ადამიანს არ შე-

უძლია ლოგიკურად შეაფასოს, შეიცნოს და გაუმკლავდეს არსებულ მდგომარეობას. ის იძულებულია იაროს ასთენიური, უკანდახევის გზით, ე. ი. სიმწარის გზით: სულიერი შფოთვით, ანტინომიური რეაქციით ან ბოდვითი მსჯელობით.

ვ. ბეხტერევის მიხედვით, მსოფლიოს კლასიკოსთა ნაწარმოებში ბევრი სცენური მასალაა, ბევრი საზოგადოებრივი ფსიქოლოგიური პრობლემაა, მაგრამ მათში ჩვენ ვერ ვხვდებით სულიერი აშლილობის ჭეშმარიტ აღწერას.

ავტორის მიხედვით ყველაზე ხშირად საქმე გვაქვს შეშლილობის ეპიზოდურ ჩანართთან ამა თუ იმ სცენური გარემოების ეფექტის გაძლიერების მიზნით.

ჰალუცინაციის აღწერას, რაც ხშირად გვხვდება ლიტერატურულ მხატვრულ ნაწარმოებში, ვ. ბეხტერევი არაჩვეულებრივ სცენურ ხერხად თვლის. პიროვნების გადაღლის შედეგად ხდება წარმოდგენათა თავისებური სხეულებრივ-შეგრძნებადი, გასაგნობრივება (მოჩვენება ან მკვლელობის მსხვერპლის ხმა, სისხლი თითებზე და სხვა).

გამოჩენილი ფსიქოპათოლოგი კრაფტ-ებინი წერს: „პოეტურ ნაწარმოებში სულით დაავადებულთა აღწერა უმეტეს შემთხვევაში არასწორია ან უკიდურეს შემთხვევაში ცალმხრივია“.

ხოლო, თუ სხვა კლასიკოსთა განსხვავებით ფ. დოსტოევსკი იძლევა განუმეორებელ სურათებს პათოლოგიის სამყაროდან, ეს აიხსნება ავტორის გენიალობით, რომელმაც ისე როგორც სხვამ არავინ იცის და არავის ესმის ადამიანის სუბიექტური სამყაროს უსასრულოდ რთული ლაბირინთი: იცის მისი ფსიქოლოგიური შესასვლელ-გასასვლელი, ავტორი გენიალურად გადმოგვცემს ფსიქოლოგიურ ურთულეს ვითარებას (სინანული, ქენჯნა, პერსპექტივის დაკარგვა და სხვა).

ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნავდით, რომ ბედნიერების ფსიქოლოგიური შეგრძნება კავშირშია შრომისა და მოღვაწეობის მომენტებთან, რადგან შრომა აკეთილშობილებს ადამიანს, აწყნარებს, ამაღლებს, აძლიერებს, ამდიდრებს და ყოველმხრივ ხელს უწყობს არსებულ ფუნქციონალურ შესაძლებლობათა განვითარებას.

ი. ტურგენევის აზრით, ბედნიერია ის, ვისაც, არ დაუკარგავს სიკეთის რწმენა, ურყევია თავის ნებელობით გადაწყვეტილებებში და აქვს ცოცხალი ინტერესი შემოქმედებისადმი.

ლ. ტოლსტოის მიხედვით, ბედნიერება არის ფიზიკური და

სულიერ ძალთა მთლიანობის შეგრძნება. ამ ბოლო განსაზღვრას ჩვენ ვთვლით მეტად საინტერესოდ პათოპერსონოლოგიისათვის.

როგორც ვხედავთ, რაც უფრო მთლიანია შეგრძნება, ადამიანი მით უფრო ბედნიერი და შემომქმედია; და პირიქით, სიცარიელის გრძნობა უნდა წარმოადგენდეს უდიდესი უბედურების საწინდარს. ამასთან დაკავშირებით გავიხსენოთ შემთხვევა კლინიკური პრაქტიკიდან. მხედველობაში გვყავს მძიმე დეპრესიით დაავადებული ახალგაზრდა მამაკაცი. მის ძირითად ჩივილს წარმოადგენდა საერთო სიცარიელის შეგრძნება, განსაკუთრებით თავის არეში. ასეთი მდგომარეობა ქმნიდა პირობას მძიმე შფოთვისა და დეპრესიული ემოციისათვის პერსპექტივის უქონლობით და რაიმე ფიზიკური თუ ფსიქიკური შემოქმედებისადმი უნარის სრული დაკარგვით.

ამ შემთხვევაში ერთადაა მოცემული მთლიანი სიცარიელის შეგრძნება და მძიმე დეპრესია აჟიტაციით, რაც ერთდროულად ურთიერთგანპირობებულია.

თ. დოსტოევსკის შემოქმედების ფსიქოპათოლოგიური ანალიზის დროს საჭიროა ყურადღება მივაქციოთ გაუწონასწორებელ პირთა არა მარტო სიუხვესა და მრავალფეროვნებას, არამედ უპირველესად იმ ფსიქოლოგიურ მოქცევას და მიმოქცევას, ფეთქებას და ქრობას, რაც ახასიათებს სუბიექტურ სამყაროს და რაც წარმოადგენს ყოველ გეოტექტონიკურ პროცესზე უფრო რთულს და სწორედ ამიტომ, როგორც აღნიშნავს ვ. ბეხტერევი, თ. დოსტოევსკიმ პირველმა შეაღწია მთელი სიღრმით ადამიანის პიროვნების ავადმყოფ სულში, გაკვეთა ის მხატვრული გაგების გენიალური სკალპელით და გადმოგვცემს ავადმყოფურ მდგომარეობას არაჩვეულებრივად ნათელი და მართალი მაგალითებით. ამასთანავე არასწორია განწყობა, რომ თითქოს შესაძლებელია გმირთა სახეები წარმოდგენილი თ. დოსტოევსკის ნაწარმოებში, პირდაპირ და უშუალოდ იქნეს გამოყენებული კლინიკური ფსიქოპათოლოგიის პრობლემათა ანალიზისათვის.

არ შეიძლება დავეთანხმოთ ფსიქიატრ ჩიჟის გამონათქვამს, რომ „ორეულში“ მოცემულია მანიაკალური მდგომარეობის საერთო სწორი ასახვა, თუმც ავტორი იშვიათად მიუთითებს ჰალუცინა-

ციის სიჭარბეზე და ეს მდგომარეობა, თითქოს მანიაკალური სტატუსის აღწერის შესწორებას მოითხოვს, პირიქით, სწორედ ფ. დოსტოევსკის გენიალობამ შესძლო გაეგო, რომ წმინდა მანიის დროს ჩვეულებრივ არ არსებობს ჰალუცინაცია. როგორც ვიცით, ჩვენ მანიაკალური მდგომარეობისათვის აუცილებელი არ არის ჰალუცინაცია და თუკი ის არსებობს, მათ ჰალუცინოიდის თვისება გააჩნიათ.

ფსიქიკური აპარატის ფიზიოლოგიური დაძაბვის დროს, მით უმეტეს ფსიქიკური დაავადებებისას, ადამიანის სულიერი თვისება არა მარტო აშკარავდება და ნათელი ხდება, არამედ მრავალმხრივიცაა, მოულოდნელი გადართვებით და უფრო დახლართული მექანიზმებით. ჯანმრთელი ადამიანის ჩვეულებრივ „ორეული" არ შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს როგორც დაავადება. აქ ჩვენ საქმე გვაქვს ანტინომიურ რეაქციებთან, პიროვნების ანტინომიურ შეფასებებთან და განცდებთან, როდესაც გვაქვს არა უბრალო დაპირისპირება ალგებრული ნიშნებისა, არამედ აქტიური ბრძოლა არსებობისათვის.

არ შეიძლება დავეთანხმოთ იმ აზრს თითქოს მხატვრულ ლიტერატურას შეუძლია ფსიქიატრიისა და ფსიქიატრიული ჰუმანიზმის პოპულარიზაცია.

თ. დოსტოევსკის ნაწარმოებებში არ არის და არც შეიძლება იყოს ფსიქიატრიის პოპულარიზაცია. მათში ჩვენ ვნახულობთ მდაბალი პიროვნების აღწერას, რომელსაც არ გააჩნია მაღალი, სპეციფიკური ადამიანური თვისება (მორალი, სინდისი, მოვალეობა). ასეთი პიროვნება ამორალური ტიპია და არა სულით ავადმყოფი.

თ. დოსტოევსკი სწორია, როდესაც ამბობს, „რომ ის არის რეალისტი და არა ფსიქიატრი". ის, რასაკვირველია ფსიქოპათოლოგი არ არის, არამედ ადამიანური სულის გენიალური მცოდნეა, რომელიც აღწერს მდგომარეობებს, როდესაც ნორმა პათოლოგიურად ჩანს, რაც თუმცა ჯერ კიდევ შორსაა ფსიქიატრიული კლინიკისაგან.

როგორც შილერი აღნიშნავს, მხატვრული ლიტერატურა მოწოდებულია იბრძოლოს სიმართლისათვის, განსაკუთრებით როცა სამართლიანობა ბრმავდება ოქროთი მოსყიდვით და დუმს მანკიერების სამსახურში.

პიროვნებისეულ სიმართლეს, აღნიშნავს ი. ტურგენევი, მიეყევართ ჭეშმარიტებასთან. ავტორის აზრით, სიმართლისა და შრომის იდეის უქონლობა პიროვნებაში იწვევს სასოწარკვეთას, ნაღვლიანობას და ნიჰილიზმს. ამით იქმნება ფსიქოლოგიური სიტუაცია რეაქტიული დეპრესიის განვითარებისათვის.

ბ. ბელინსკის მიხედვით, შექსპირის ყოველი ნაწარმოები წარმოადგენს მთლიან, განცალკევებულ სამყაროს თავისი ცენტრითა და მზით, რომლის ახლოს მოძრაობენ პლანეტები თავისი თანამგზავრებით. მის ყოველ სიტყვას სიმბოლური მნიშვნელობა აქვს, რომლის შინაარსიც სამყაროსავით დიდი და დაუსრულებელია.

გასაგებია, რომ ჩვენ არა გვაქვს და არც შეიძლება გვქონოდა, ბელინსკის სიტყვებით რომ ვთქვათ. „ამაყი განზრახვა". ვუჩვენოთ სილრმე და სიფართე ყველა ფსიქოლოგიური პრობლემისა, რაც დასმულია შექსპირის, შილერისა და გოეთეს შემოქმედებაში. უფრო მეტიც, ჩვენ შორსა ვართ შევეხოთ საერთო სოციალურ-ფსიქოლოგიურ პრობლემებს, როგორიცაა ადამიანის ყოფიერების უდიდესი პრობლემა, რაც აინტერესებს ჰამლეტს: „რისგანაც არის რომ პატარა კაცუნები იქცევიან დიად ადამიანებად, როდესაც დიადები გადაშენდებიან".

ჩვენ მიზნად გვაქვს გავაანალიზოთ ცალკეული ფსიქოლოგიური მდგომარეობანი, რაც საინტერესო იქნებოდა თანამედროვე პერსონოლოგიური ფსიქოლოგიისათვის და თანამედროვე პერსონოლოგიური ფსიქიატრიისათვის.

ფორმულა „ნებელობის სისუსტე მოვალეობის შენობისას", რაც შეადგენს ცენტრალურ იდეას შექსპირის გიგანტურ შემოქმედებაში, ასახავს გოეთეს გენიას. მის მიერ შექმნილმა ამ ფორმულამ მიიღო ყოვლისმომცველი ფსიქოლოგიური მდგომარეობის სახე, რასაც ყოველი ადამიანი თავისებურად იმეორებს. გოეთემ აღიქვა შექსპირი, ისე როგორც არავინ. ბელინსკის აზრით, რომ ვთქვათ, გენიოსმა გაუგო გენიოსს. აქ ჩვენ საქმე გვაქვს ორი გენიალური ხელოვანისა და მოაზროვნის შემოქმედების სრული თანახმიანობის მაგალითთან.

შექსპირი გვიჩვენებს, რომ ზნეობრივი სიწმინდე, ისევე როგორც სთენიური ძიებანი და ტრაგიკული ტანჯვანი, შეადგენს პიროვნებისეულ კატეგორიას, რაც ერთიანად აღელვებს ადამიანებს.

შემოქმედებითი აზროვნების, შთაგონების, აფეთქების და აყვავების საფუძველს შეადგენს მისი დროის სოციალურ-ეკონომიური წინაპირობები.

მხატვრულ ლიტერატურაში მოცემულია არა მარტო ცხოვრების ურთულესი პრობლემების პოეტური გადაწყვეტა, არამედ, პირველ რიგში ადამიანის ფსიქიკური სამყაროს არსის, შინაარსის და გამოვლენის პრობლემები.

გადავდივართ რა პერსონოლოგიის ზოგიერთ პრობლემაზე გოეთეს შემოქმედებაში, საჭიროდ ვთვლით მოვიყვანოთ ა. პუშკინის დებულება: „ფაუსტი წარმოადგენს პოეტური სულის უდიდეს ქმნილებას. ის უახლესი პოეზიის წარმომადგენელია, ზუსტად ისე როგორც „ილიადა“ კლასიკური სიძველის ძეგლია“.

და შემდგომ: „არსებობს უმაღლესი გამბედაობა: გამომგონებლობის გამბედაობა, სადაც ფართე გეგმა მოცულია შემოქმედებითი აზრით — ასეთია გამბედაობა... გოეთესი ფაუსტში“.

ვის შეეძლო უკეთ სცოდნოდა და მეტი ეფიქრა ადამიანის სულიერ სასოებაზე, ვიდრე შემოქმედებითი ძიების პერიოდი მოიცავს. მასში შედის, როგორც ადრეული სიჭაბუკის ხანა, ასევე ადამიანის ჩამოყალიბების ყველა ეტაპი, ღრმად მოხუცებულობის ხანა. როდესაც წლინახევრით ადრე გარდაცვალებამდე პოემა დასრულებულ იქნა, ავტორი ამბობს, რომ მოკვდება იგი ხვალ თუ იცოცხლებს კიდევ მრავალი წლის მანძილზე, ამას არავითარი მნიშვნელობა აღარ ექნება მისი შემოქმედებითი ცხოვრებისათვის.

დედობის პერსონოლოგიური იდეები რაფაელისა და ლეონარდო და ვინჩის შემოქმედებაში

ოჯახისა და დედობის სოციალურ-ფსიქიატრიული და ფსიქიატრიული პრობლემები თავიანთი ხანდაზმულობით თვითკვლევის საგანს უტოლდებიან.

ამჟამად მტკიცედაა დადგენილი, რომ დანგრეული ოჯახი მოზარდთა და მოზრდილთა მრავალი დაავადების უშუალო მიზეზს წარმოადგენს.

ოჯახს ანტროპოფსიქიკურ პრობლემათა შორის პირველი ადგილი მიეკუთვნება. აღნიშნული პრობლემა წარმოადგენს მამათა და

შვილთა პრობლემას, იმედიანი მომავლისა და მყარი ტრადიციების პრობლემას.

ოჯახი ის საფუძველია, სადაც ხდება ადამიანის ძირითადი თვისებების ჩამოყალიბება.

ბავშვი საჭიროებს დედის ალერსიან სიყვარულსა და მამის ავტორიტეტულ ზრუნვას, მაგრამ ამასთან საჭიროა მტკიცედ გვახსოვდეს, რომ დედას ეკუთვნის წამყვანი როლი ბავშვის აწმყოსა და მომავალში. იგი მოწოდებულია არა მარტო გაზარდოს, არამედ აღზარდოს კიდეც და სამშობლოს მისცეს ღირსეული ახალგაზრდები, აღსავსენი პასუხისმგებლობის გრძნობითა და პატრიოტიზმის სულისკვეთებით.

დედის მნიშვნელობას ზრდის კიდევ ის გარემოება, რომ ბავშვი, როგორც რთული არსება, დედასთან ერთად შეადგენს ერთ მთლიანს როგორც ბიოლოგიურად (განსაკუთრებით ლაქტაციის პერიოდში, როდესაც მას რძესთან ერთად გადაეცემა თავდაცვის იმუნოლოგიური ფაქტორები), ასევე სოციალურ-ფსიქოლოგიურად.

ჩვენი გამოკვლევებით პიროვნების დასაბამი უნდა ვეძიოთ ჯერ კიდევ ჩვილ ასაკში; ხოლო ერთ-ერთი ავტორიტეტული ფსიქოლოგის მიხედვით, დრო დაბადებიდან, ანუ ნულოვანი ასაკიდან ერთ წლამდე, თავისი ჩამოყალიბების საფეხურებით უფრო რთულია. ვიდრე ერთი წლიდან ნიუტონამდე.

ჩვილ ბავშვთა ფსიქიკური სამყარო არ შეიძლება ამოიწუროს მხოლოდ ქვეცნობიერი მიბაძვით. აქ ჩვენ საქმე გვაქვს პიროვნების ცისკართან, როდესაც ისახება და განვითარებას იწყებს სათნოების, ქველმოქმედების, სიკეთის „სიყვარულის, სიხარულისა და თანაგრძნობის მაღალი გრძნობები. სწორედ ამ ადრეული პერიოდიდან ხდება ჩამოყალიბება ილია ჭავჭავაძის „კაცური კაცისა“.

მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ დედობა ყველაზე უმაღლესი ცნებაა ყველა იმ ცნებათა შორის, რაც ადამიანს შეუძლია წარმოიდგინოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დედობა ყველაზე წმინდა იდეალია ბუნებაში. აღნიშნული მდგომარეობა საგანგებო ყურადღებას ჩვენს სინამდვილეში იმსახურებს. ეს იმიტომ, რომ ცხოვრების ტემპი, ტექნიკის ზეგავლენა და აგრეთვე ზოგიერთი მიკროსოციოლოგიური ფაქტორები განსაკუთრებულ პირობებს ქმნის, რაც ზღუდავს დედას შეასრულოს თავისი მოვალეობა, ამით კი დედობის ფსიქოლოგიური შინაარსი სუსტდება, უფერულდება.

დედობის გაგება, როგორც ემოციური განცდა, ხორციელდება

პიროვნების დონეზე და ქალისათვის წარმოადგენს მნიშვნელოვან პერსონოლოგიურ კატეგორიას.

დედობის პრობლემის ირგვლივ მდიდარი ლიტერატურა არსებობს, რომელშიც ეს პრობლემა განიხილება სრულიად განსხვავებულ ასპექტებში. მხედველობაში მაქვს სოციოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიური, ბიოლოგიური და სხვა.

მაგრამ დედობის პრობლემა მოითხოვს გადაუდებელ პერსონოლოგიურ ანალიზს რამდენადაც დეონტოლოგიური ფსიქოჰიგიენისა და ფსიქოპროფილაქტიკის საკითხები (მოვალეობა, ნდობა, შრომა, სინდისი) უშუალოდ არის დაკავშირებული პიროვნულ თავისებურებებთან.

დედობის პერსონოლოგიის შესწავლისას, მსგავსად სხვა პრობლემებისა, ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის შესაძლებლობანი გარკვეულად შეზღუდულია. ამის გამო აუცილებელი ხდება გამოყენებულ იქნეს ფსიქოლოგიური მასალა მხატვრული ლიტერატურიდან და, საერთოდ, ხელოვნებიდან, მუსიკიდან თუ მხატვრობიდან.

ისმება საკითხი მეცნიერულ და მხატვრულ შემოქმედებათა ფსიქოლოგიის სიმბიოზის აუცილებლობისა და დადებითი მნიშვნელობის შესახებ. ამ ჭრილში დედობის პერსონოლოგიის კვლევაში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს გენიალური მხატვრების რაფაელისა და ლეონარდო და ვინჩის უკვდავ ქმნილებათა, უწინარეს ყოვლისა, მათ მიერ შექმნილ მადონათა შემოქმედებითი ანალიზი. აღნიშნული მასალა უბადლოა დედისა და ბავშვის სულიერი სამყაროს შესაცნობად.

მადონათა შესახებ მხოლოდ ფსიქოლოგიურ ასპექტშიც კი უმდიდრესი ლიტერატურა არსებობს, თუმცა კვლევა ამ მიმართულებით, როგორც წესი, არ სცილდება რელიგიური ნისლის ვიწრო საზღვრებს, რაც უდავოა, აღარიბებს მხატვრული სახის ჭეშმარიტ შინაარსს.

გასაგებია და ამასთან ბუნებრივიც, რომ მადონათა ავტორნი იმ ხანად გამსჭვალულნი იყვნენ რელიგიური გაგებით და მათი ფსიქოლოგიური განცდები მიმდინარეობენ რელიგიური აბსტრაქციის ფონზე. შემოქმედებითი აზრი სწყდებოდა ნებისმიერ მიწიერ საწყისს, ხოლო მხატვრული ფანტაზია მიემართებოდა ზეციურისაკენ.

მაგრამ, როგორც ცნობილია, გენიალური შემოქმედება არ კარგავს თავის ძირითად შინაარსს და არღვევს ლიმიტირების ნებისმიერ საზღვრებს.

აქ აუცილებელია გაიფანტოს რელიგიური ნისლი და მთელის

ძალით იქნეს ნაჩვენები აღქმათა და განცდათა მოქალაქეობრივი და ჭეშმარიტი არსი.

ჩვენ მიზნად ვისახავთ რაფაელისა და ლეონარდო და ვინჩის გენიალურ ქმნილებათა პერსონოლიგურ გაანალიზებას.

მსგავსი ანალიზი იძლევა საშუალებას მაღალ პიროვნულ დონეზე იქნეს შესწავლილი დედისა და ბავშვის ურთულესი სულიერი სამყარო და ამით დედობის ცნება განხილულ იქნეს ახალ ასპექტში, როგორც პერსონოლოგიური პრობლემა.

რაფაელი და ლეონარდო და ვინჩი ოჯახს, დედასა და ბავშვს განიხილავენ როგორც ერთიანსა და განუყოფელ კატეგორიას.

მადონა სიყვარულის, სათნოებისა და სიკეთის განსახიერებაა. ჩვეულებრივ ძლიერი დედობრივი გრძნობა წარმოშობს ანტინომიურ (კონტრასტულ-საწინააღმდეგო) ფსიქოლოგიურ კვანძს: მხედველობაშია ერთდროული არსებობა შიშისა და სიხარულისა. იქმნება რთული ემოციური სიტუაცია, როდესაც დედის სიხარული ეჯახება ყრმისადმი საფრთხის მოსალოდნელი შესაძლებლობის დაშვებას. ამიტომ მადონა ერთსა და იმავე დროს კიდეც ლოცულობს და კიდეც ლოცავს შვილს.

მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ ნებისმიერი ანტინომიური გამოვლინება (ემოციური, ინტელექტუალური თუ ნებითი) მიმდინარეობს პიროვნული რეგისტრების დონეზე.

რაფაელის მადონას სახეზე ერთდროულად ორი საწინააღმდეგო ემოციაა, კერძოდ: სიხარული და სევდა, სიმშვიდე და შფოთიანი შიში.

როგორც დედას, ასევე ბავშვს ხელთ უპყრიათ წიგნი, რაც მათთვის სიმბოლიურად მორალურ კოდექსს წარმოადგენს. ამასთან დედის მზერა დაძაბულია და ერთდროულად მიმართული ბავშვისა და ცხოვრების კოდექსისადმი.

ბავშვის მზერა მხოლოდ კოდექსისაკენ არის მიპყრობილი, მაგრამ მარჯვენა იდაყვით შეიგრძნობს დედის ხელის მტევანს, ხოლო მარჯვენა ფეხით(ბარძაყითა და ტერფით) დედის მარცხენა ხელის მტევანს. ამავე დროს მარცხენა ხელი მოხრილია და იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ყრმა ცდილობს გულში ჩაიკრას დედის სიყვარული, ალერსი და ზრუნვა, მარცხენა ფეხით ყრმა ცდილობს ნაწილობრივ მაინც მოეხვიოს დედის სხეულს.

ამდენად, რაფაელის მიხედვით, დედისა და შვილის ემოციურ ერთიანობას თან ახლავს ფიზიკური ერთიანობაც. უკანასკნელი გარემოება ამრავლებს და ამტკიცებს დედისა და ყრმის ერთიან ყოფას.

რაფაელის მადონა არა მარტო ლოცავს ყრმას და ფიქრობს მის მომავალზე, არამედ იგი გასხივოსნებულია ახალი სწრაფვით—ფიცი დასდოს მორალური კოდექსის წინაშე, რომ იგი სავსეა მოვალეობის გრძნობით, რათა გაზარდოს და აღზარდოს ყრმა.

მადონა მშვიდობიანი სიმშვიდის სიტუაციაშია: ვხედავთ ცისფერ გარემოცვას, ცისფერ კაბასა და ცისფერ წიგნს.

რაფაელი გენიალურად ასახავს სიმშვიდის, სულიერი გარდასახვისა და მხიარული მადლიერების დიდებულ ვითარებას.

ლეონარდო და ვინჩის გენია ასევე მიაპყრობს ჩვენს ყურადღებას იმ გარემოებას, რომ დედისათვის აუცილებელია მშვიდობისა და სიმშვიდის პირობები. მისი მადონის გამოსახულებაში ჭარბობს მშვიდი ტონები; ბუნება (ცა და დედამიწა), ორი სარკმელი და კაბა გადმოცემულია ცისფერი ფერებით.

სიმფონია სიხარულისა, რომელიც საერთოა ორივე მადონასათვის, აღნიშნავს დედისა და ყრმის ურთიერთ ალერსს; ამასთან დედის სასიამოვნო განცდა წარმოადგენს მისი ყოფიერების არსსა და ძირითად მიზანს.

ორივე შემთხვევაში ყრმის შიშვლად გამოსახვა გვაფრთხილებს, რათა ბავშვი აღიზარდოს ისე, რომ ნებისმიერ დამოკიდებულებაში იყოს სუფთა, პატიოსანი მოქალაქე, სრულიად თავისუფალი მომხვეჭელობისაგან.

რაფაელის მადონა სავსეა დიდებული სიკეთით და არა სიმდიდრით, მისი მატერიალური შესაძლებლობანი წარმოდგენილია მარტივი კაბითა და მარტივი ქამრით.

ლეონარდო და ვინჩი გადმოგვცემს ბავშვის სახეს სიმდიდრისა და ოქროულობის გარეშე. ამ მაგალითზე ჩვენ ვრწმუნდებით, რომ სიმდიდრე არაფერია, ხოლო ადამიანობა ყველაფერი.

ყრმის მკვრივი სხეულის შეგრძნება დედისთვის შეუდარებელი ნეტარებაა. ამასთან, არავითარ ძალას არ შესწევს უნარი დაარღვიოს, ან სძლიოს აღნიშნული ნეტარების განცდა.

ლეონარდო და ვინჩი გადმოგვცემს დედის რძის ძალასა და შინაარსს, რომელიც ყრმის ფიზიკური სიძლიერისა და მორალური სიწმინდის საწინდარს წარმოადგენს.

გრუზა თმები გვარწმუნებს, რომ ყრმა მომავალი გოლიათია. მას ნაზად და სიყვარულით ეკვრის დედის მკერდი, სჯერა თავისი სიძლიერის და იმედის თვალით გაჰყურებს ბედნიერსა და შინაარსიან მომავალს. ჩვენ ვხედავთ, რომ ცოცხალი სამყარო ბუნებაში (მცენარეები და ცხოველები) მუდმივ მოძრაობასა და დინამიკაშია.

სურათზე გადმოცემულია მდინარე, სიმბოლო ცხოვრების დინებისა; ამასთან მდინარე სუფთაა, წმინდა და მშვიდი და ასეთი უნდა დარჩეს მარადის.

რაფაელისა და ლეონარდო და ვინჩის მიხედვით დედობა იდეალია ბუნებისა... მარად ცოცხალი და მოძრავი ბუნებისა, რომელიც არის დასაბამი და არსებობის წყარო ყოველგვარი მომავლისა.

ანტინომიური სემანტიკის საკითხისათვის სიტყვიერ ექსპერიმენტში შიზოფრენიის პარანოიდული ფორმის დროს*

ზოგადთეორიული საკითხები

სოციალური და სოციალურ-ფსიქოლოგიური მოვლენები ფრიად რთულია სწორედ ჩვენს დღეებში, როდესაც სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია წარმოადგენს როგორც მიზეზს, ისე შედეგს სოციალური ევოლუციისა, ადამიანის ცხოვრებაში მომხდარი არსებითი ძვრებისა.

თეზისი „სოციალური სასურველობის" შესახებ, რომელიც გვხვდება საზღვარგარეთულ ლიტერატურაში, თავისი ფსიქოლოგიური არსით შეზღუდული და ძუნწია, რამდენადაც სათანადოდ ვერ აფასებს ადამიანის პიროვნული დონის დინამიკური სტრუქტურის განმსაზღვრელი ყველა ფაქტორის სინთეზს.

ადამიანის ფსიქოლოგიის პრობლემების მხრივ ძიებისას მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ მისი პიროვნული დონე შეადგენს არა ცალკეულ სტრუქტურათა მექანიკურ ჯამს, არამედ იერარქიულად რთულ, უმაღლეს მთლიან სისტემას, სადაც განსაკუთრებით აუცილებელია პრინციპი: მეტი სემანტიკა, ნაკლები მათემატიკა. უნდა გვახსოვდეს, რომ ფსიქიკა არაა ალგორითმების ბლოკი.

ადამიანი არაა უბრალო ჯამი წყლის, მჟავების და ლიპოიდებისა, რომელთა საერთო ღირებულება არ აღემატება ერთნახევარ დოლარს.

კლასიკურ წარმოდგენათა თანახმად, სინამდვილეში ყოველი „მე", ყველაზე გულუბრყვილოც კი, წარმოადგენს ურთულეს სამყაროს, ვარსკვლავიან ცას, მემკვიდრეობათა საფეხურებისა და შდგომარეობის მრავლობით ფორმას.

---

* თანაავტორები: დ. გელაშვილი, რ. მესხი, ნ. სავანელი.

თეორიულ და პრაქტიკულ ფსიქიატრიაში მტკიცედაა დადგენილი, რომ არ შეიძლება სულიერ მოშლილობათა ფორმების განხილვა ცოდნის, განცდებისა და მოქმედებების ცალკეულ სფეროთა პათოლოგიის ვიწრო და შეზღუდულ ჩარჩოებში. ჯერ კიდევ ს. კორსაკოვი ხაზს უსვამდა, რომ სულით დაავადებები თავისი გამოვლინებების მიხედვით პიროვნების ავადმყოფური მოშლილობებია.. ამასთან, ს. კორსაკოვის თანახმად, პიროვნება სულიერ თვისებათა უბრალო ურთიერთობა კი არა, მათი ორგანიზებული შეწყობაა.

ყოველი სულიერი მოშლილობისას ამა თუ იმ ხარისხით ან ამა თუ იმ ფორმით ირღვევა სოციალურ-შრომითი კავშირები და ურთიერთობები, ირღვევა სოციალურ-შრომითი ორიენტაციისა და ადაპტაციის შესაძლებლობები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფსიქოზების დროს ჩვენ საქმე გვაქვს ფსიქიკური აპარატის იმ კარდინალურ თავისებურებათა პათოლოგიასთან, რომლებიც აყალიბებენ და განსაზღვრავენ ინდივიდუუმის პიროვნულ მოდუსს. როგორც ცნობილია, შრომა წარმოადგენს ადამიანური ღირსების საზომს და ცნება შრომის შესახებ განსაზღვრავს ადამიანის სოციალურ სახეს, ადგილს და საზოგადოებრივ ღირებულებას.

ჩვენი აზრით, პიაჟეს სიტყვებით რომ ვისარგებლოთ, პერსონოლოგიაში ევრისტიკულია არა იმდენად განზომილებათა სკალის სინატიფე, რამდენადაც ადამიანის სპეციფიკური თავისებურებების, მისი ადამიანობის სკალის სინატიფე.

ადამიანის პიროვნების, მისი სასიცოცხლო ურთიერთობების სწორი გაგება შეადგენს საექიმო ჰუმანიზმის ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნას. ვ. ბეხტერევი ვარაუდობდა, რომ ფსიქოზები პიროვნების დაავადებებია, ამასთან ფსიქოზის კლინიკურ-ფსიქოპათოლოგიური შინაარსის გახსნა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდება ცალკეულ ავადმყოფურ სიმპტომთა ანალიზი პიროვნების მთლიანი, ინტეგრაციული მოქმედების ასპექტში.

მთლიანობა აპირობებს პიროვნების ჰარმონიულ მოქმედებას. პირიქით, დისოციაცია აინვალიდებს და გარკვეულად არღვევს პიროვნებას.

პიროვნების მთლიანობა ირღვევა ყველა ფსიქოზის (ორგანული თუ ფსიქოგენურის) დროს, მაგრამ არის დაავადებები, უპირველესად — შიზოფრენია, როდესაც მთლიანობის დარღვევა, ანუ დისკოორდინაცია („სხიზისის“ სინდრომი), ანუ ატაქსია პირველ პლანზე გამოდის.

ეხება რა პიროვნების შეცვლის სხვადასხვა ფორმას, ბ. ზეიგარ-

ნიკი აღნიშნავს, რომ ისინი შეიძლება გვევლინებოდნენ ემოციათა შეცვლის (დეპრესია, ეიფორია), მოტივაციური სფეროს მოშლის (უზრუნველობა, აპათია), საკუთარი თავისა და გარემოსადმი დამოკიდებულების (კრიტიკის, კონტროლის მოშლა), დაბოლოს, აქტივობის დარღვევის (ასპონტანურობა) სახით. ავტორის თანახმად, შემეცნებითი მოქმედების ზოგიერთი მოშლა ასევე წარმოადგენს არსებითად პიროვნული დარღვევის გამოვლინებას.

კლინიკური და ექსპერიმენტული მონაცემები გვიჩვენებს, რომ პიროვნული რეგისტრის დონეზე არ შეიძლება სენსორულ-გრძნობითი და შემეცნებითი პროცესების მკაცრი გამიჯვნა.

ადამიანის ფსიქიკურ აპარატში პიროვნული მოიცავს ყველაფერ იმას, რაც დგას უშუალო ცოდნის და უშუალო განცდის ზემოთ. რაც უნდა დიდი იყოს ინდივიდუალურ მოთხოვნათა და ინტერესთა მნიშვნელობა, ისინი არ ამოწურავენ ადამიანის ქცევის მოტივებს, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ინდივიდუუმის პიროვნულ მიმართულებას. ს. რუბინშტეინი აღნიშნავს, რომ ადამიანი აკეთებს არა მხოლოდ იმას, რაც მას აინტერესებს, ან რაშიც გრძნობს უშუალო მოთხოვნილებას, არამედ ადამიანის ქცევა განისაზღვრება უწინარეს ყოვლისა მორალური წარმოდგენებით მოქალაქეობრივი მოვალეობის შესახებ.

მთლიანობის სიმტკიცე, მორალური ბირთვის სიმდიდრე, ფსიქოენერგეტიკის ძალა და შრომითი კავშირების დიაპაზონი ასახავს პიროვნების — ანთროპოფსიქიკური აპარატის ამ უმაღლესი დონის — ყველაზე სპეციფიკურ თავისებურებას.

პიროვნების ფსიქოლოგიის ცნობილ მკვლევარს ოლპორტს მოჰყავს 50 განსაზღვრება, რაც მიუთითებს როგორც თვით ცნების განსაკუთრებულ სირთულეზე, ისე შემდგომ ძიებათა აუცილებლობაზე. აქ გამოყენებული უნდა იქნეს ადამიანთმცოდნეობის ფსიქოლოგიურ პრობლემათა მხრივ ყველა სამეცნიერო გამოკვლევის მეთოდური შესაძლებლობა (კითხვარებისა და ექსპერიმენტულ-ლაბორატორიული მეთოდების ფართო გამოყენებით), ამასთან, მკაცრად გვახსოვდეს, რომ კითხვართა და ექსპერიმენტთა მონაცემები არსებითად პარაფსიქოლოგიურ ძიებას წარმოადგენს.

ვაჯამებთ რა პიროვნების არსებულ განსაზღვრებებს, შეიძლება ვთქვათ, რომ ბიოფსიქოლოგიური გაგებით პიროვნება წარმოადგენს ერთიანობას უმაღლესი ნერვული მოქმედების მოცემული ინდივიდუალური თავისებურებებისა, ფენოტიპის მოცემული ვარიაციისა

და მოცემული თავისებურებებისა, რომლებიც დაკავშირებულია ორგანიზმის მთელი დინამიკური სტრუქტურის ინდივიდუალურ ხაზებთან და რომლებიც გამოდიან გარემოსთან, უწინარეს ყოვლისა კი, სოციალურ გარემოსთან ურთიერთმოქმედებაში.

ამგვარი ფორმულირება, ჩვენი აზრით, უფრო ცნება „ინდივიდუუმის" განსაზღვრას წარმოადგენს.

ფსიქოლოგიურ ძიებათა დროს აუცილებელია გამოკვლევის საგანთა უფრო ზუსტი კონკრეტიზაცია, დიალექტიკურად შევჩერდებით რა პიროვნების ცნების მხოლოდ ფსიქოლოგიურ ბუნებაზე. ამ მხრივ პიროვნება უნდა განიხილებოდეს, როგორც ევოლუციური ჩამოყალიბების გვირგვინი, რომელიც შეადგენს ფსიქიკური აპარატის ყველაზე მაღალ დონეს სომატო-ვეგეტატიკის, თიმოფსიქიკის, სოპროფსიქიკის (ინტელექტის არე) და ორიენტაციის დონის (ცნობიერება) ევოლუციური ეტაპების შემდეგ.

ვეხებით რა პიროვნების გენეზის პრობლემას, არასაკმარისად მიგვაჩნია ლიტერატურაში არსებული მითითებები, თითქოს ბავშვის სიცოცხლის პირველ თვეებში შეიმჩნევა მხოლოდ ინდივიდუალური განსხვავებები ტემპერამენტში.

1937 წელს ოლპორტმა დახაზა ოთხი თვის ბავშვის ფსიქოლოგიური გამოსახულება („პორტრეტი") მისი სულიერი სამყაროს შესაძლებლობათა დეტალური, მრავალმხრივი დახასიათებით.

ჩვენს განკარგულებაში არსებული დაკვირვებები ნებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ჯერ კიდევ ჩამოყალიბების განთიადზე ჩვილის პირველი ღიმილი უნდა განიხილებოდეს როგორც პიროვნული გამოვლინება. პირველი ღიმილი არის არა მხოლოდ დედისადმი სიყვარულის ნიშანი, არამედ სიკეთის და მადლიერების, ნდობისა და დაცვის მუდარის უდიდესი გამოხატულება.

პირველი ღიმილი გვეელინება, როგორც ურთულესი თავდაპირველი ფსიქოლოგიური აქტი, წარმოადგენს რა უდიდეს სიხარულს გარშემომყოფებისათვის, უწინარესად კი დედისათვის.

უეჭველად სწორია ლიტერატურაში არსებული დებულება (ქეტტელი რ.), რომ ბავშვის პიროვნების სტრუქტურა მცირედ მარტივია, ვიდრე მოზრდილის.

ჩვენს პუბლიკაციებში ხაზს ვუსვამთ, რომ ჩვილებისა და ადრეული ასაკის ბავშვების პიროვნების მორალური მოდუსი გარკვეულად ვიწრო და მცირეა მხოლოდ მოცულობის, და არა სიხარულისა და მწუხარების განცდათა სიღრმის, სიფართოვისა და სინატიფის მხრივ.

პიროვნული მოდუსი, ე. ბეხტერევის მიხედვით, ადამიანის ზნეობრივი სახე, მისი ხასიათი და ნებისყოფა ყალიბდება ინდივიდუუმის ონტოგენეზური ჩამოყალიბების პროცესში, საჭიროა ხაზი გავუსვათ, რომ სოციალური გარემო, უპირველესად კი კოლექტივი, ქმნის ძირითად პირობებს პიროვნების განვითარებისათვის.

კულტურის ისტორიაში ცნება მთლიანი ადამიანის შესახებ არასოდეს არ ყოფილა ისე არსებითად აქტუალური, როგორც ჩვენს დღეებში, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საარაკო მიღწევებისა და საზოგადოებრივ-სოციალურ დისციპლინათა უახლესი დაყენების პერიოდში.

ადამიანისათვის დამახასიათებელია სუპრაინდუსტრიისა და სუპპრატექნიკურ შესაძლებლობათა პირობებში ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური ადაპტაცია, მაგრამ სოციალური ფსიქოლოგიის ვითარებაში ინდივიდუუმი უნდა გამოდიოდეს აქტიურ პიროვნებად. სოციალურ-ფსიქოლოგიურ ურთიერთობაში პიროვნების ძირითადი დანიშნულებაა არა ადაპტაცია, არამედ აქტიური ბრძოლა, პიროვნებას არ უნდა სჭირდებოდეს ფსიქოლოგიური ყავარჯნები.

თუ ი. დავიდოვსკის მიხედვით, უჯრედთა ჰიპერპლაზიის და რეგენერაციის პრინციპები წარმოადგენენ პათოლოგიაში შეგუებით უნართა აპოთეოზს, ფსიქობიოლოგიური ამტანობის, შექცევადობის, ვიკარული კომპენსაციის, ი. პავლოვის მიხედვით, ბირთვის პერიფერიის და ახალ დინამიკურ კავშირთა პრინციპები შეადგენენ ცენტრალური ნერვული სისტემის ფსიქოდინამიკურ შესაძლებლობათა უფრო მაღალ აპოთეზს. აღნიშნული ადაპტოგენური ფაქტორები უზრუნველყოფენ მუშაობის შესაძლებლობას ნერვული სისტემის დამსხვრეული აპარატის პირობებში.

პ. განუშკინის თანახმად, სრულიად სხვადასხვა ფაქტორთა პათოლოგიური ზემოქმედების დროს პიროვნება ყველაზე ადრე განიცდის ნგრევასა და შერყევას. პიროვნების პათოდინამიკაში შეიმჩნევა ავადმყოფური რეაგირების გარკვეული ეტაპები (სელიეს მიხედვით), კერძოდ, განგაშის სტადია, შეგუების სტადია და განლევის (დაუძლურების) სტადია.

ფსიქოლოგიურ მოვლენათა სამყარო პათოლოგიაში ბევრად უფრო ფართო მდიდარი და მრავალმხრივია, ვიდრე ნორმაში, მაგრამ პათოლოგიის სამყაროშიც ყოველ გამოვლინებას, ყოველ კონკრეტულ ფენომენს აქვს თავისი შინაარსი, სტრუქტურა, შემდგომი ჩამოყალიბების, უკუგანვითარებისა და ჩაქრობის დინამიკა. ამასთან მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ სინდრომთა ჩამოყალიბების, მეტა-

მორფოზის, სანოგენეზის ნებისმიერი საკითხი, ისევე, როგორც რეაბილიტაციის მექანიზმთა საკითხები, არ შეიძლება განხილულ იქნეს პიროვნებისაგან მოწყვეტით.

პიროვნული დონის ჩართვის როლი და მნიშვნელობა ძლიერდება იმითაც, რომ თანამედროვე ცხოვრება წარმოადგენს ანაკლიზური, ე. ი. მღალადებელი ჰუმანიზმის პერიოდს, როდესაც ფსიქიკურ მოშლილობათა მრავალგანზომილებიან ეტიოგენეზში ძნელად შესაჩნევია წამყვანი რგოლი, ძნელად გამოსაცნობია კონსტიტუციურ-ბიოლოგიური, ინდივიდუალურ-პიროვნული, ოჯახურ-ეკოლოგიური და ფსიქოსტრესული ფაქტორების მნიშვნელობა.

პ. განუშკინი გვაფრთხილებს, ყურადღებით ვიყოთ სულიერ მოშლილობათა ფსიქოპათოლოგიის გამოკვლევისას, ყურადღება მივაქციოთ ყოველ, თითქოს უმნიშვნელო, დეტალს კლინიკურ გამოვლინებათა რთულ კალეიდოსკოპში. ამასთან, ავტორის თანახმად, აუცილებელია პათოლოგიაში ვეძებოთ და დავიჭიროთ ჯანმრთელთა ფსიქიკური ცხოვრებისათვის დამახასიათებელი მომენტები, თუმცა არავითარ შემთხვევაში არ გავაკეთოთ რაიმე ანალოგია და გადახრა პათოლოგიიდან — ნორმისაკენ. გასაგებია, რომ გარეგნული მსგავსება ან განსხვავება არ შეიძლება იყოს საბაბი მოვლენათა შედარებისათვის ნორმასა და პათოლოგიას შორის. ცენტრალური ყურადღება უნდა დაეთმოს პათოლოგიური პროდუქციის შინაარსს (სემანტიკას), სტრუქტურას და მექანიზმებს. ამის გარეშე სტატისტიკურ უტყუარობასაც კი ფორმალური ხასიათი ექნება.

სწორედ გარეგნული მსგავსების შემთხვევები მოითხოვენ გულმოდგინე ანალიზს და თითოეული დეტალის ფრთხილ შეფასებას. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ლიტერატურაში არსებული მითითება იმის შესახებ, რომ შიზოფრენიით დაავადებულები ლექსიკური შესაძლებლობების, ე. ი. სიტყვიერი მარაგის პოტენციური სიმდიდრის მხრივ მცირედ თუ განსხვავდებიან ჯანმრთელებისაგან.

პ. განუშკინმა წამოაყენა წინადადება, თვალი მიედევნებინათ დაავადებისათვის გამოხატული მდგომარეობიდან არაგამოხატულისაკენ (ფარულისაკენ), ავადმყოფობიდან—სნეულებასა და ჯანმრთელობისაკენ. ამასთან, იგი არ ატარებდა პრინციპულ ზღვარს რეაქციასა და განვითარებას შორის. განვითარებას განიხილავდა, როგორც პროლონგირებულ რეაქციას. სინდრომის კლინიკურ-ფენომენოლოგიურ აღწერასთან ერთად აუცილებელია მისი სტრუქტურული ანალიზი როგორც პათოგენეზური, ისე პათოკინეზური ფაქტორების დაზუსტებით.

ვ. კანედინსკისა და პ. განუშკინის თანახმად, მეცნიერული ფსიქოლოგიის დასკვნები აუცილებელია ფსიქიატრისათვის, მაშინ, როდესაც ფსიქიატრთა დასკვნები არ შეიძლება გამოვიყენოთ ჯანმრთელი სულისათვის.

გაღიზიანებათა სუმაციის და გაღიზიანებათა (რომლებიც გარეგნულად არ იწვევენ საპასუხო რეაქციას) კვალითი ეფექტის დინამიკური მნიშვნელობის შესახებ კლასიკური იდეის გადატანა ნეიროფიზიოლოგიიდან სულიერ განცდათა სამყაროში, და პირველ რიგში, პერსონოლოგიაში, არა მხოლოდ შესაძლებელია, არამედ საჭიროცაა.

კლინიკურ ფსიქიატრიაშიც ფართოდაა წარმოდგენილი კომპენსაციისა და შეგუების მოვლენები. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს ბოდვა და აუტიზმი.

ვ. საბლერი ბოდვას განიხილავს, როგორც შეგუებით კომპენსაციას, როდესაც უკან გადაიწევა და იფარება პირველადი სევდის აფექტი.

ა. სნეჟნევსკი ხაზს უსვამს, რომ ბევრი ავტორი აუტიზმს თვლის გარკვეულ კომპენსაციად, როდესაც ხდება გარე სამყაროდან თავისებური იზოლაცია ადაპტაციის არასრულყოფილებისა და სისუსტის გამო.

როგორც ვხედავთ, დეტერმინიზმისა და მიზეზობრიობის პრინციპს აქვს ყოვლისმომცველი მდგომარეობა ადამიანის არსებობაში, მის როგორც ცნობიერ, ისე შეუცნობელ ცხოვრებაში.

ე. კოსტანდოვი წერს: „ცალკეული შეუცნობელი ფსიქიკური მოვლენების, გარემოს აღქმაში, სუბიექტის მოტივაციებში, მის ემოციურ მდგომარეობებსა და ქცევით რეაქციებში მათი როლის შემდგომ ფსიქოლოგიურ და კლინიკურ შესწავლასთან ერთად აუცილებელია ვისწრაფოდეთ, გავარკვიოთ იმ ფსიქიკურ მოვლენათა მატერიალური, ნეიროფიზიოლოგიური საფუძველი, რომელთა მიზეზიც სუბიექტისათვის რჩება გაუცნობიერებელი“. იგი ხაზს უსვამს, რომ სიტყვის ამოცნობის ზღურბლის აწევის ფაქტი ფსიქოანალიზურ ლიტერატურაში აიხსნება, როგორც „ფსიქოლოგიური დაცვა“, როგორც მხედველობით აღქმაში „ფილტრის“ არსებობის შედეგი, რომელიც, რამდენადაც ეს შესაძლებელია, იცავს სუბიექტს გარემოს ემოციურად არასასიამოვნო გამაღიზიანებელთა შეცნობისაგან.

ევგენი ბლეილერის მიერ წამოყენებული ფსიქოლოგიური კლიტერიუმით განისაზღვრება პრინციპული დაყენება, რომ ფსიქოზი არის სულიერი სფეროს პათოლოგია.

აქ ნევროლოგიური ფსიქოლოგია, ისევე, როგორც ბიოქიმიური და მოლეკულური ფსიქოლოგია, ძლიერ შორსაა ადამიანის სუბიექტური სამყაროს არსის წვდომის შესაძლებლობისაგან.

უზომოდ იზრდება ფსიქოლოგიისა და პათოფსიქოლოგიის მნიშვნელობა. ამასთან, ს. კორსაკოვის თანახმად, ადამიანის დამფასებელი, ანუ აკსიოლოგიური (ესიოზ ბერძნული სიტყვა — დიდება). შინაარსი უნდა იზომებოდეს იმით, თუ რამდენს აძლევს იგი საზოგადოებას. ესთეტიკა, ანუ სწავლება მშვენიერის შესახებ, არ შეიძლება მოწყდეს პრინციპს — „მორალური ადამიანი", რომელიც განსაზღვრავს სიბრძნესაც და სილამაზესაც.

სულის შესახებ ცოდნის დარგში საბუნებისმეტყველო — მეცნიერული მეთოდი არ უნდა იყოს გულუბრყვილო-მექანისტური.

ღრმად მანკიერია ე. წ. კრიონულ საზოგადოებათა (რომლებიც იქმნება ზოგიერთ ქვეყანაში 1964 წლიდან) დებულებები და უტოპიური იმედები გაყინვის და შემდგომი გაცოცხლების შესახებ. ამ მხრივ ადამიანს შეიძლება აინტერესებდეს მხოლოდ ერთი — სიმბოლური აზრი ინდივიდუუმის მორალურ-სულიერი უკვდავების შესახებ.

საჭიროა კიდევ ერთხელ აღინიშნოს, რომ მთლიანობა შეადგენს ნორმალური პიროვნების ძირითად სპეციფიკას, მთლიანობა უზრუნველყოფს წესრიგს, ურთიერთსუბორდინაციასა და ხელმძღვანელობას. მთლიანობის დარღვევა იწვევს დეზორგანიზაციას — დაშლის დაწყებას, რომელსაც ბიოლოგიასა და ფსიქოლოგიაში შეუძლია სრულ მარაზმამდე მიყვანა.

პიროვნების დეზორგანიზაცია არღვევს როგორც წარსული გამოცდილების გამოყენებას, ისე ახლის შეძენას. მთლიანობითი მოქმედება უდევს საფუძვლად განზოგადოებას, როდესაც სუბიექტი გამოყოფს ნიშანთვისებებს, შეაპირისპირებს სხვა ნიშნებთან და აუქმებს იმ ნიშანთვისებებს, რომელთა განზოგადებაც არ შეიძლება.

ფსიქიკური აპარატის და, პირველ რიგში, მისი პიროვნული დონის მთლიანობა წარმოადგენს საფუძველს როგორც ჰარმონიული მოქმედებისათვის, ისე საწინააღმდეგო, ანტინომიური შეპირისპირებისა და დაპირისპირებისათვის.

აღმოსავლეთის ფილოსოფოსების გამონათქვამთა ანალიზის საფუძველზე ნილს ბორი აყენებს დებულებას, რომ დაპირისპირებულობანი ავსებს ერთმანეთს. დაშვების აღნიშნული პრინციპი ზუსტი მეცნიერებების კვალდაკვალ იზრდება ჰუმანიტარულ მეცნიერებებშიც. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ აზროვნების მეტაფიზიკური,

ე. ი. ალტერნატიული ტიპი (ან ის, ან ეს) ადგილს უთმობს დიალექტიკურს, რომლის ბირთვიცაა დაპირისპრებულთა ერთიანობის კანონი.

აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს როგორც შინაგანი (ფსიქიკური), ისე გარეგანი (ერთა შორის) ურთულესი კავშირების გამოკვლევას.

ნორმაში ფსიქიკური აპარატის და მისი უმაღლესი დონის — პიროვნების მთლიან, ინტეგრაციულ მოქმედებას ავტორები უპირისპირებენ შიზოფრენიის დროს დისოციაციის, დისკოორდინაციის, გახლეჩის და ინტრაფსიქიკური ატაქსიის მოვლენებს — ამასთან დაკავშირებით მოგვყავს იმ ავტორთა დებულებები, რომლებიც იკვლევენ ფსიქოზების დროს წამყვანი მოშლილობის კლინიკურ-ფსიქოპათოლოგიურ საკითხებს. ეს დებულებები იმითაა საინტერესო, რომ მათ ყველას ძირითადად მხედველობაში აქვთ ადამიანის ფსიქიკური აპარატის დეზინტეგრაციული მოქმედება.

გრულე ყურადღებას აქცევს ფსიქიკურ აქტთა მოტივგანსაზღვრული კავშირის დაკარგვას. ბერინგერი ჩერდება ინტექციური აქტების სისუსტეზე (არაა სურვილები, აღინიშნება პიროვნულ-ნებელობითი ტენდენციების პათოლოგია). შილდერი და შტოკი აღნიშნავენ ინდივიდუუმის დაქვეითებას დაბალ დონეზე (აზროვნებისა და მოქმედებათა პრიმიტივიზაცია), შასლენი ლაპარაკობს სულიერ გამოვლინებათა დისკონდანტობის ე. ი. დეზინტეგრაციის, ხოლო ლუგარო — დისოციაციის შესახებ.

ი. სლუჩევსკი ხაზს უსვამს გრძნობათა, აზროვნების და ნებით სფეროებში ატაქსიური ანტაგონიზმის არსებობას. თავის დროზე ჩვენ ვავითარებდით დებულებას ნეიროდინამიკური და ფსიქიკური ატაქსიის შესახებ, აგრეთვე თეზისს ატაქსიური ამენციის შესახებ (სტრუქტურულ-დინამიკური დისსინაპსია, ელექტროენცელოგრაფიული მაჩვენებლების ჰემოსფეროთაშორისი და ინტრაჰემისფერული ატაქსია).

ჩვენ ხაზს ვუსვამთ, რომ კლინიკურ ფსიქოპათოლოგიაში დეზინტეგრაციისა და დისოციაციის ნებისმიერი შემთხვევა იწვევს სწორი ანტინომიური მსჯელობის და ნორმალური ანტინომიური შეფასების უნარის დაზიანებას. მსგავს ვითარებაში პიროვნებას, როგორც ურთიერთობის, მოქმედების და შემეცნების სუბიექტს, აგრეთვე მორალურ ფასეულობათა და ტრადიციათა მატარებელს, ესპობა გარემოში არსებულ ურთიერთკავშირთა მთლიანი აღქმის უნარი.

საჭიროა აღინიშნოს, რომ სტანდარტიზირებული ტესტები, რო-

მლებიც ეხება ფსიქიკის გარკვეულ ფუნქციებს, ბევრადაა დამოკიდებული სიტუაციის რიგ მომენტებზე და ძირითადად აზუსტებენ ცოდნის საკითხებს (ინტელექტუალურ შესაძლებლობებსა და დონეს).

სტანდარტიზირებულთ მიეკუთვნება აგრეთვე ე. წ. პროექტიული (ამრეკლავი) მეთოდებიც, მაგრამ ისინი მიმართულია ფსიქიკური სამყაროს გახსნისაკენ თავისუფალ ასოციაციათა წრის მეშვეობით. პროექტიული ტესტების კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს იუნგის ასოციაციური ექსპერიმენტი. ასოციაციური ექსპერიმენტის გამოყენებით მნიშვნელოვანი გამოკვლევები ეკუთვნის ებინჰაუზს. შემდეგ ჩნდება რორშახის და მიურეის თემატური აპერცეპციის ტესტები. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ფსიქოლოგი, პათოფსიქოლოგი და ექსპერიმენტატორი მიურეი პირველი ჩერდება პერსონოლოგიაზე.

თავის ექსპერიმენტებში ((ტესტებში) გ. როსოლიმო ჩერდება ფსიქიკის ცალკეულ მხარეებსა და პროფილებზე, ასე მაგალითად, „ათვისების უნარი", „მეხსიერება", „ყურადღება", „შთაგონებადობა", „ნებისყოფა" და ა. შ.

ვექსლერს აინტერესებს შემდეგი ფსიქოლოგიური განხრები: „ზოგადი ცოდნა", „ცნებათა განსაზღვრა", „არითმეტიკულ ამოცანათა გადაწყვეტა", „შედარება", „სიტუაციაში ორიენტაცია", სხვაგვარად რომ ვთქვათ, ავტორს, უპირველეს ყოვლისა, აინტერესებს უნარისა და ცოდნის საკითხები.

ვექსლერი შემოქმედებით ყურადღებას უთმობს ინტელექტის ფსიქოლოგიურ პროფილთა და შემადგენელ სკალათა გაზომვას. ხაზს ვუსვამთ, რომ ფსიქიატრია ან ინტელექტის გასაზომი ტესტები შორსაა პიროვნების პრობლემისაგან. შემდგომ ფსიქოლოგიურ და პათოფსიქოლოგიურ ძიებაში საარსებოდ აუცილებელი ხდება ობიექტური ფსიქოლოგიური ტესტების პრობლემა.

სპეციალურ ყურადღებას იმსახურებს პიროვნების ამერიკული მრავალობითი კითხვარი (ინვენტორი) MMPI (მინესოტის მრავალობითი პერსონოლოგიური ინვენტორი), რომელიც გამოირჩევა არა მხოლოდ უჩვეულო სიდიდით, არამედ იმ საკითხთა სიჭრელითაც, რომელთაც არა აქვთ დამოკიდებულება პიროვნებასთან.

მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ პიროვნება უფრო მეტია, ვიდრე შემეცნებით ფუნქციათა ჯამი, ე. ი. ინტელექტუალურ ბლოკ-

თა ჯამი. იგი ასევე არ წარმოადგენს აფექტური სფეროს ცალკეულ გამოვლინებათა ჯამს.

პიროვნულ დონეზე ყოველი გადაწყვეტილება მთლიანობით იწყება და მთლიანობით მთავრდება, სამი დინამიკური მიდგომის თანმიმდევრული დაცვით: სინთეზი — ანალიზი — სინთეზი, ამასთან ,თანამედროვე ადამიანურ დაყენებათა თანახმად, პიროვნების სპეციფიკას შეადგენს არა სოციალურობის, შეგნებულობის და დამოუკიდებლობის კატეგორიათა ერთიანობა, არამედ მორალური ბირთვი. გასაგებია, რომ მორალის კატეგორია შეიძლება გაგებულ იქნეს ფსიქოლოგიურ და სოციალურ-ფსიქოლოგიურ კონტექსტებში. ამით ფსიქოლოგია თავისი არსით წარმოადგენს ჰიმოფსიქოლოგიას ვ. ვაგნერის მიხედვით.

ძველი ექიმების თეზისი — „გახსოვდეს სიკვდილი" (მომენტო მორი) ადამიანთმცოდნეობის შუქზე ღებულობს სხვა განმარტებას; ადამიანში ყველაფერი კვდება, მაგრამ მისი მორალური შინაარსი (შრომა, მოვალეობა, სინდისი) მუდმივია.

ეთიკური მედიცინა, ე. ი. მედიცინაში ეთიკის პრობლემები, არ შეიძლება იყოს შემოფარგლული მხოლოდ საექიმო დეონტოლოგიით. აქ უპირველესად მხედველობაში გვაქვს ეთიკური ძიებანი დაავადების არსის მხრივ.

წინა პუბლიკაციებში ჩვენ ხაზს ვუსვამთ, რომ შიზოფრენიის ბირთვოვანი ფორმების შორსწასულ, მოგვიანებულ შემთხვევაში სულიერი შესაძლებლობები (ინციატივა, განზრახვა სურვილი, ინტერესი საკუთარი თავის, ახლობლებისა და გარშემომყოფების მიმართ) ზოგჯერ ეშვება, ასე ვთქვათ, ფსიქოლოგიური გვამის დონემდე. ინგლისელი ფსიქიატრი მოდზლი წერდა დაღუპულ სულთა სასაფლაოსათვის მასალის შესახებ, მაგრამ ჩვენს ექსპერიმენტულ დაკვირვებათა თანახმად ირკვევა ამ დებულების სიყალბე: ფასადის უკან იფარება მორალური ყოფიერების ცოცხალი ნაკადები. როგორც ჩანს, პიროვნებაში ყველაზე გვიან ქვეითდებიან, იშლებიან და კვდებიან მორალური ფესვები. მანიანის თანახმად, დევნის ბოდვაც კი შეურაცყოფს ავადმყოფის თავმოყვარეობას.

ი. პოკროვსკი და გ. ცარეგოროდცევი ერთ-ერთ შრომაში ეხებიან არა მხოლოდ ადამიანთმცოდნეობის (ჰომოლოგიის) ფართო პრობლემებს, არამედ სვამენ სიცოცხლის და სიკვდილის კრიტერიუმთა საკითხს. დასმულ პრობლემასთან დაკავშირებით მთელი პრინციპულობით ხაზს ვუსვამთ, რომ სიცოცხლე და სიკვდილი შეიძლება იყოს არა მხოლოდ ბიოლოგიური, არამედ, უწინარეს ყოვლისა,

სულიერიც, ზნეობრივიც. ქართველი პედაგოგის, მწერლის და მორალისტის იაკობ გოგებაშვილის (უშინსკის მიმდევარი) თანახმად მორალური სიკეთილი სოციალურ-ფსიქოლოგიურად უფრო მძიმე და მწარეა, ვიდრე ბიოლოგიური.

ა. პოკროვსკი და გ. ცარეგოროდცევი მიუთითებენ თანამედროვე ადამიანის ცხოვრების მზარდ სოციოლოგიზაციაზე, რაც თავის ასახვას პოულობს დაავადების სტრუქტურაში წამოყენებულია ახალი პრობლემები სულიერ მოშლილობათა გენეზის, მიმდინარეობისა და სანოგენეზის მხრივ, ასევე ადგილობრივის, ლოკალურის და ზოგადის, კერძოს და ინტეგრალურის ცნებებს შორის, ე. წ. მოლეკულათა, უჯრედთა და ორგანიზმის ორგანოთა დაავადებებს შორის დიალექტიკური ურთიერთდამოკიდებულებისა და ურთიერთგანსაზღვრის შესახებ. სანოგენეზის პრობლემებში ა. ჩერნუხი მნიშვნელობას ანიჭებს შეგუებითი რეაქციების მიზანშეწონილობის მომენტს. საჭიროა მტკიცედ გვახსოვდეს, რომ სწორედ შრომამ შექმნა ადამიანი და შრომის დახმარებით მასში გამომუშავდა სახე სიყვარულის და სიკეთის გრძნობებით.

მილერის ექსპერიმენტები თავის ტვინის სიამოვნების ცენტრების თვითსტიმულაციის შესახებ შეზღუდულია არა მხოლოდ იმიტომ, რომ თვითსტიმულაცია ზუსტად არ ასახავს სიამოვნების მდგომარეობას, მთავარი შემდეგშია: სიამოვნების პრინციპს შეიძლება გარკვეული ინტერესი ჰქონდეს ე. წ. ზოოფსიქოლოგიის დარგში (ისიც უმდაბლეს საფეხურებზე), მაგრამ არა პერსონოლოგიური ფსიქოლოგიისათვის. სიამოვნების გედონისტური პრინციპი აბსოლუტურად უცხოა ადამიანისათვის, მისი პიროვნული მოთხოვნილებისათვის.

ს. კორსაკოვისათვის ფსიქიკური დაავადებები წარმოადგენენ „პიროვნების პათოფსიქოლოგიურ ცვლილებათა“ სისტემას, ფენომენოლოგიური ფსიქიატრია უნდა გამდიდრდეს პერსონოლოგიის მონაცემებით, საოჯახო, ე. ი. ეგრეტოგენული ფსიქოლოგიით, ფსიქოეკოლოგიით, ე. წ. ფსიქოგენეტიკით. ამასთან, პიროვნება არის არა მხოლოდ ინდივიდუუმის გარემოსთან ურთიერთობათა სისტემა, უპირველეს ყოვლისა — უმაღლესი მოდუსი პიროვნული კრედოთი და სოციალურ-ფსიქოლოგიური დაყენებებითა და მოთხოვნილებებით.

პიროვნების ცხოვრებაში არის როგორც შეჯახებები, კონფრონტაციები (პირისპირ) და გადამუშავებანი (რუმინაციოგანცდათა ღეჭვა), ისე კონფორმიზმის, შთაგონებადობის მექანიკური, პასიუ-

რი დამორჩილების მოვლენები. სოციალური გარემო ფაქტორები განაპირობებენ არა მხოლოდ ინდივიდუუმის შემეცნებით (მეტყველება და აზროვნება), ქცევით და ემოციურ საქმიანობას, არამედ მისი პიროვნების მთელ წყობასაც.

პიროვნებათშორის (ინტერპერსონალურ) ურთიერთობებში ჩვენ ვხვდებით სიმპათიის და ემპათიის მოვლენებს. სიმპათია გულისხმობს ემოციურ თანაგრძნობას და სუბიექტისაკენ დადებით მიმართულებას (საკუთარი თავიდან — მისკენ). ემპათია გულისხმობს სხვაშიც იგივე გრძნობებისა და უნარის ნახვას, რასაც თავისში.

სავსებით სწორია დაყენება, რომ პათოპერსონოლოგიურ ძიებაში ყურადღებას იმსახურებს არა მხოლოდ ავადმყოფური პროცესით განპირობებული ძვრები, არამედ პიროვნების შენახულ ფუნქციურ შესაძლებლობათა რეაქციაც.

შიზოფრენიის ფსიქოპათოლოგიის ზოგიერთი საკითხის შესახებ

ე. ბლეილერის დებულება შიზოფრენიის ძირითადი და დამატებითი სიმპტომების შესახებ არ უნდა იქნას აყვანილი აბსოლუტური კატეგორიის პრინციპამდე. მაგრამ შასლენის დისკორდანტობა და სტრანსკის ატაქსია შეადგენს ფსიქიკური აპარატის სპეციფიკურ დამახასიათებელ თავისებურებათა ყველაზე არსებით ნაკლს. მხედველობაში გვაქვს მისი მთლიანობისა და ინტეგრაციულობის დარღვევა.

ფსიქიატრიის კლინიკისათვის კარგადაა ცნობილი, რომ შიზოფრენიას არ მივყავართ ინტელექტუალური მოქმედების რთულ ფორმათა დაკარგვამდე. შორსწასულ შემთხვევებშიც კი ზოგჯერ ავადმყოფები ანცვიფრებენ მკვლევარს გარკვეული შენახულობით, დაკვირვების უნარით, საკუთარი თავის მიმართ გამოცოცხლებული ინტერესებით და ირგვლივმყოფებისადმი დამოკიდებულებით. ემოციური დაჩლუნგების შთაბეჭდილება უფრო ინიციატივისა და განზრახვათა უქონლობის შედეგია.

ე. ბლეილერის ცნებას სხიზისის შესახებ ტ. იუდინი განიხილავდა, როგორც სეუნქციას ვერნიკეს გაგებით. დებულებებს დიზნოიის (ს. კორსაკოვი), ინტრაფსიქიკური ატაქსიის (სტრანსკი, ვ. ოსიპოვი, პ. ოსტანკოვი), ანტაგონისტური სინდრომის შესახებ, ასევე დისკორდანტობას, დეზინტეგრაციას (შასლენი, ა. ზურაბაშვილი) აქვთ ერთი და იგივე შინაარსი, რომელიც ხაზს უსვამს ფსიქიკის მთლიანობას.

თავის დროზე ე. ბლეილერი წერდა: „იდეათა ნორმალური შეხამებანი კარგავენ თავის სიმტკიცეს, მათ ადგილს იკავებენ სხვები. ამგვარად, ერთმანეთის მიმყოლ რგოლებს შეიძლება არ ჰქონდეთ ერთმანეთთან დამოკიდებულება. ურთიერთკავშირის არარსებობა აისახება კითხვებზე პასუხებში. ზოგჯერ აკლია მხოლოდ ზოგიერთი იმ მრავალრიცხოვან ძაფთაგან, რომლებიც ხელმძღვანელობენ ჩვენს აზროვნებას. ეს შეიძლება აისახოს ყველაზე ჩვეულებრივი ცნებების ცვალებადობასა და გაურკვევლობაში.

ცნობილი ამერიკელი პათოფსიქოლოგის დ. შეკოუს ცოტა ხნის წინ გამოსული შრომა შიზოფრენიის დროს ადაპტაციის პრობლემების შესახებ მიძღვნილია სწორედ ინდივიდუუმის ფსიქიკური მოდუსის მთლიანობის დარღვევისადმი, ავტორი ერთმანეთს უპირისპირებს ცნებებს გენერალიზებული და სეგმენტალური განწყობის შესახებ. გენერალიზებული განწყობა გულისხმობს სუბიექტის ადაპტაციას, ადექვატურად აღიქვას ძირითადი ინფორმაციული პროცესი და უპასუხოს სათანადო ინტეგრაციით. სეგმენტალური განწყობა მოკლებულია აღნიშნულ შესაძლებლობებს. შეკოუს თანახმად, სეგმენტალობის ტენდენციის დათრგუნვა დაკავშირებულია პიროვნების აღდგენადობის ხარისხთან. ხაზგასმულია, რომ განწყობის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს შიზოფრენიით დაავადებულთა ქცევის გამოკვლევისას.

შიზოფრენიული ბუნების სეგმენტალური განწყობისას სუბიექტის ყურადღება გამახვილებულია არა მთლიან პიროვნებაზე, არამედ მის ნაწილზე. ვითარდება ინდივიდუუმის დეზორგანიზაცია და ავადმყოფი აზროვნებს უფრო დაბალ დონეზე. აქ ადგილი აქვს გამოხატულ ბიპოლარობას. სეგმენტალური განწყობის დროს ხდება ნევროლოგიური მექანიზმის დაზიანება, ქრება ცენტრალური კონტროლი. შიზოფრენიის კლინიკისათვის დამახასიათებელია სიახლის და მოულოდნელობის შიში, ამიტომ ავადმყოფი შეკავებულია ძველზე, წარსულ განცდებზე. ნეოფობია იქცევა ნამდვილ ფობიად შიშით როგორც ახალზე, ისე ძველზე. მარტოდ დარჩენის იდეა ღებულობს წამყვან მნიშვნელობას.

დ. შეკოუ მიდის იმ დასკვნამდე, რომ შიზოფრენიის დროს ვხვდებით ორ სიძნელეს: პირველი სიძნელეა — მდგომარეობა, როდესაც ავადმყოფი ისევე რეაგირებს ძველ სიტუაციაზე, როგორც უახლესზე (ძველის პერსევერაცია).

მეორე სიძნელე — მხედველობაში აქვს შედარებით უმნიშვნე-

ლო სტიმულზე ზედმეტად მაძღარი პასუხები, მაშინ, როდესაც დიდ სტიმულზე ავადმყოფთა პასუხები არასაკმარისია.

ცოცხალ სამყაროში (მცენარეთა, ცხოველთა და ადამიანთა სამყაროში) წამყვანი მნიშვნელობა აქვს არა სისტემათა ზოგად თეორიას, არამედ მთლიანობის ზოგად თეორიას. თუ ფოტოქემიოტაქსისები წარმოადგენენ მთლიან რეაქციას, მით უფრო მთლიანია ორგანოთა, მთელი ორგანიზმის მუშაობა და ადამიანთა საქმიანობა.

წარმატება ადამიანის შრომაში, მისი ჰარმონიული ცხოვრება უზრუნველყოფილია მთლიანობის, ინტეგრაციის პრინციპით.

პიროვნება წარმოადგენს ინდივიდუუმის სტრუქტურული მთლიანობის მწვერვალს.

ნორმასა და პათოლოგიაში ტვინის შემეცნებითი მოქმედების ძირითად მომენტად ი. პოლიაკოვი თვლის წარსული გამოცდილების ფაქტორთა საფუძველზე ცოდნის აქტუალიზაციის ამორჩევითობის და უპირატესობის პრინციპს.

აქტუალიზაცია არის გამოვლინება მოცემულ მომენტში, ახლა, დღეს. სიტყვა ეხება რანჟირებულად ამორჩევით აქტუალიზაციას.

ვ. კრიტსკაიას ეკუთვნის გამოკვლევები შიზოფრენიის დროს მეტყველებითი მოქმედების თავისებურებათა შესახებ. წარსული გამოცდილებიდან აღებული ცნობების აქტუალიზაციის არსებითი როლის შესახებ ჰიპოთეზის საფუძველზე.

შიზოფრენიის დროს რჩება გარკვეული ცოდნა, წარმოდგენილია მეხსიერებიდან აქტუალიზაციის ფუნქცია, მაგრამ არ ხდება აქტუალიზებულ ცნობათა საჭირო ანალიზი პიროვნულ დონეზე, ე. ი. არაა წარმოდგენა აქტუალიზირებულის მნიშვნელობის შესახებ.

ი. პოლიაკოვის მიხედვით ცენტრალურ ყურადღებას იმსახურებს „ის რგოლი, რომელიც აღმოჩდება საერთო შიზოფრენიის დროს დარღვეული შემეცნებითი პროცესების სტრუქტურაში, როგორც მეხსიერებიდან ცნობათა ამორჩევითი ამოღება (აქტუალიზაცია) წარსული გამოცდების საფუძველზე“. ამით განმარტებას ღებულობს შიზოფრენიის დროს ინტელექტუალური დაქვეითების, დეფიციტის და ჭკუასუსტობის პრობლემა.

შემოქმედებითად განსაკუთრებით საინტერესოა ი. პოლიაკოვის დებულება ცნობათა მნიშვნელობის შინაარსის და როლის შესახებ. ავტორი წერს: „ჯანმრთელ ადამიანებში ხდება საგანთა ყველაზე უფრო მთავარი, სოციალურად და პრაქტიკულად მნიშვნელოვანი თვისებებისა და ურთიერთობების აქტუალიზაცია, მაშინ, როდესაც ნაკლებ მნიშვნელოვანი ინფორმაცია რჩება ლატენტური (თუმ-

ცა ზოგჯერ სწორედ ის შეიძლება აღმოჩნდეს საჭირო არატრივიალური ამოცანების გადაწყვეტისას)" საკუთარი პათოფსიქოლოგიური ექსპერიმენტული მონაცემების, სახელდობრ, შემეცნებითი მოქმედების (მეტყველების, აზროვნების, აღქმის) თავისებურებათა გამოკვლევის საფუძველზე ავტორი მიდის იმ დასკვნამდე, რომ მშობლებსა და შიზოფრენიით დაავადებულებს შორის თავისებურებათა გარკვეული სიახლოვე და მსგავსება უნდა იყოს არა ფსიქოდინამიკური, სოციალური გარემო ფაქტორების, არამედ ბიოლოგიური (ნეიროფიზიოლოგიური) მომენტების შედეგი.

როგორც ვხედავთ, ხაზგასმულია ბიოლოგიური (ნეიროფიზიოლოგიური) დეტერმინაციის როლი.

გავიხსენოთ, რომ ფსიქიკურ პროცესთა დინამიკურობას უზრუნველჰყოფს ფსიქიკური აპარატის ანალიზურ-სინთეზური მუშაობა: ამასთან ფსიქიკურ გამოვლინებათა მთლიანობა, რაც ასე დამახასიათებელია პიროვნული დონისათვის, ქმნის ფონს ანტინომიური ფსიქიკური რეაქციებისათვის.

ჰარმონიული პიროვნება მოწოდებულია, შესაბამისად აწონ-დაწონოს ფაქტები და მოვლენები (ანალიზი-სინთეზი) და გამოავლინოს საჭირო ორიენტაცია ყველაზე ძნელ სიტუაციაშიც კი, აგრეთვე სუბიექტურ განცდებში.

ნორმაში პიროვნების მთლიანი რეაქცია იგება ანტინომიურ მსჯელობებსა და ანტინომიურ შეფასებებზე. სტრესული სიტუაციებისას უმძიმესი და ურთულესი ფსიქოლოგიური გარემოება იწვევს შეცდომას. იქმნება პირობა, როდესაც ცალმხრივად და ავადმყოფურად მახვილდება სულიერი განცდა, იძაბება ადამიანური ვნებები, შიშვლდება კონფლიქტები, ვითარდება შეუსწორებელი ამოვარდნები და ადამიანი მიდის მკვლელობამდე, თვითმკვლელობამდე ან აშკარა სულიერ მოშლილობამდე.

ანტინომიური ანალიზის სისუსტე ავადმყოფს ართმევს ფაქტებსა და მოვლენებში გარკვევისა და ორიენტაციის შესაძლებლობას. აქ რეტროსპექციული და ფუტურალური მთლიანადაა გახლეჩილი ეთმანეთისაგან.

კლინიკური ფაქტები მიუთითებენ იმაზე, რომ კონფორმულობა (გარკვეული შთაგონებადობა და დამყოლობა), ე. წ. კონფორმული რეაქციები, ანუ კონფორმიზმი დამოკიდებულია ანტინომიური მსჯელობის დონესა და ხარისხზე.

სუსტი ანტინომიური მსჯელობა, ე. ი. სუსტი ინტენგრაციული შეპირისპირება აძლიერებს დამორჩილებასა და დამყოლობას, და

ამასთან აქვეითებს მისი ნებელობითი სიმტკიცის შესაძლებლობებს.

კონფორმიზმი და აკონფორმიზმი, ე. ი. დამყოლობა და ნეგატივიზმი შედეგია ერთი და იგივე ფსიქოლოგიური გარემოებისა ანტინომიური მსჯელობის უკმარისობისა და მანკიერების.

არსებული ექსპერიმენტულ-ფსიქოლოგიური თეორიები, რომლებიც იძლევიან აღქმის პათოლოგიის წინასწარ ახსნას, არასაკმარისია, რამდენადაც ისინი არ ითვალისწინებენ ავადმყოფის პიროვნული დონის მდგომარეობას. აღქმის გაუკუღმართება არ შეიძლება იყოს განპირობებული შემოსული სიგნალების შესუსტებით, ასევე შემოსული ინფორმაციის გაფილტვრის უკმარისობით ან სიჭარბით. აქ პათოლოგიის ძირითადი არსი დაკავშირებულია ანტინომიური ანალიზის, აქედან კი ლოგიკური შეფასების მანკიერებასთან.

კლინიკურ ფსიქოლოგიაში ანტინომიის პრობლემასთან დამოკიდებულება აქვთ ე. წ. ირრელოვანტურ (ე. ი. საქმესთან დაუკავშირებელ) ასოციაციებს.

ირრელოვანტური ასოციაციები შეიძლება ჰქონდეს ჯანმრთელ ადამიანსაც, მაგრამ შიზოფრენიის დროს, პიროვნული ფუნქციების დისოციაციისა და გაფხვიერებისას, ირრელოვანტურობის ფენომენი წარმოდგენილია ბევრად უფრო მეტი ხარისხით. ავადმყოფი მოკლებულია შესაძლებლობას, მოახდინოს დიფერენცირება მთავარისა — მეორეხარისხოვანისაგან, რელოვანტურისა — ირრელოვანტურისაგან.

კლინიკური მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ განსაკუთრებული ფსიქოლოგიური ვითარებისას (უმძიმესი ემოციოგენური და სიტუაციური ფსიქოსტრესები, პიროვნების დისოციაციისა და დეზინტეგრაციის შემთხვევები), რომელსაც თან ახლავს ანტინომურობის შესუსტება, შეიძლება ადგილი ჰქონდეს არაჯანსაღ, პათოლოგიურ განცდას, გაუკუღმართებულ აღქმას და ღრმად მცდარ მსჯელობას, ზოგჯერ კი მორალური ღებულობს ამორალური კატეგორიის ხასიათს.

თუ გავაკეთებთ შორეულ შედარებას, შემოქმედებითი დაშვების სახით, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ თუ ფიზიკურ სამყაროში მცირე ნაწილაკი წარმოადგენს თავდაპირველ ნივთიერებას, რომელიც განსაკუთრებულ პირობებში შეიძლება იქცეს ანტინივთიერებად, პიროვნულ სამყაროში თავდაპირველი კატეგორიაა მორალური გრძნობა, რომელმაც პათოლოგიის განსაკუთრებულ პირობებში შეიძლება მიიღოს დიამეტრალურად საპირისპირო და საწინააღმდეგო მოვლენის მნიშვნელობა.

ანტინომიური მსჯელობის და ანტინომიური შეფასების მანკიერება უძევს საფუძვლად ამბივალენტობის სინდრომს შიზოფრენიის დროს. მხედველობაში გვაქვს აზროვნებაში, გრძნობებსა და ნებელობით ტენდენციებში დიამეტრალურად საპირისპირო ორმაგობა. მსგავს ანტაგონისტურ ორმაგობას (ორჭოფობას) ვხვდებით შიზოფრენიის ჰალუცინაციური, ჰალუცინაციურ-პარანოიდული, პარანოიალურ-პარანოიდული და სუფთა პარანოიდული სინდრომების დროს. ანტაგონისტური ბოდვა ორი საწყისის (დადებითის და უარყოფითის, კარგისა და ცუდის, სასიამოვნოს და არასასიამოვნოს, ნათელის და ბნელის, ანგელოზურის და ეშმაკეულის, კეთილის და ბოროტის და ა. შ.) ერთდროული ბრძოლით, ე. ი. ბოდვითი მანიხეიზმი, ან მანიხეული ბოდვა დამახასიათებელია პარანოიდული შიზოფრენიისათვის, უხშირესად ე. წ. ბოდვითი „ინტოქსიკაციის შემთხვევებისათვის. ამასთან, აღნიშნულ ანტაგონისტურ სინდრომს შეიძლება ადგილი ჰქონდეს შიზოფრენიული პროცესის როგორც დასაწყისი, ისე მოგვიანებული, შორსწასული სტადიების დროსაც.

რამდენადაც ანტაგონისტურ გამოთქმათა, განცდათა და მოქმედებათა სინდრომი მოწმობს მთელი ფსიქიკური აპარატის, და პირველ რიგში, პიროვნული დონის არსებითად ღრმა დეზორგანიზაციასა და დეზინტეგრაციას, ამდენად აღნიშნული სინდრომი იძენს მძიმე პროგნოზულ მნიშვნელობას. ამასთან, თუ დასაწყისი სტადიისას ანტაგონისტური ფენომენოლოგია ჯერ კიდევ მიუთითებს პიროვნების გარკვეულ აქტივობაზე, მოგვიანებული სტადიის დროს უნდა მოველოდეთ პარაფრენიული ეტაპის დადგომას ინტელექტუალურ შესაძლებლობათა შევიწროებით.

თანახმად კლინიკურ-ფენომენოლოგიური და ექსპერიმენტულ-ფსიქოლოგიური მონაცემებისა, შიზოფრენიის დროს ვხვდებით არა მხოლოდ ფსიქიკურ ფუნქციათა უცნაურ გამოვლინებებს, არა მხოლოდ გაუგებარ და არაადექვატურ ქცევას, არამედ აგრეთვე მეტყველებისა და მისი შესაძლებლობების უცნაურობასაც.

მიმოხილვით ნაშრომში შიზოფრენიის დროს მეტყველებით მოშლილობათა შესახებ მ. როგოვინი ხაზს უსვამს, რომ სიტყვათა არაადექვატური ხმარება გამოწვეულია იმით, რომ ავადმყოფს არ შეუძლია დაამყაროს და, მით უფრო, შეინარჩუნოს ადექვატური განწყობა ურთიერთობაზე, ისეთი ასპექტების ჩათვლით, როგორიცაა გამოთქმის საგანი, მოლაპარაკის მისადმი დამოკიდებულება, სიტუაციისადმი დამოკიდებულება, ცოდნის დონე და ა. შ.

ვაინერის მიხედვით, სიტყვათა უცნაური ხმარება შეიძლება გა-

მოგვადგეს შიზოფრენიული ბუნების დაავადებისათვის დიფერენციალურ-დიაგნოსტიკურ ნიშნად. თუ სიტყვათა არაადექვატური ხმარება აღინიშნება მხოლოდ შიზოფრენიისას, სიტყვის ერთჯერადი უცნაური ხმარება შეიძლება შეგვხვდეს ჯანმრთელ, ან სხვა ნოზოლოგიით დაავადებულ ადამიანთა შორისაც.

თეორიულ ფსიქიატრიაში დამოუკიდებელ კვლევით თავს შეადგენს საკითხი აზროვნების პათოლოგიასა (ინტელექტის სფეროს) და მეტყველების პათოლოგიას (მემანტიკური თავისებურების) შორის კავშირის შესახებ შიზოფრენიის სხვადასხვა ფორმისა და სტადიის დროს.

საყოველთაოდ მიღებულად ითვლება დებულება, რომ შიზოფრენიული ჭკუასუსტობა მკაცრად განსხვავდება ინტელექტუალური დაქვეითებისაგან, რომელიც გვხვდება ადამიანის ტვინის სხვა დაავადებათა დროს. მას აქვს სპეციფიკურად დამახასიათებელი თავისებურება და თავისი არსით წარმოადგენს სოპროფსიქიკურ ფუნქციათა სტრუქტურულ-დინამიკურ პათოლოგიას. დადგენილია, რომ აღნიშნულ დაქვეითებაში (ჭკუასუსტობაში) საქმე გვაქვს არა ცნებათა დაშლასთან, არამედ განზოგადების შესაძლებლობათა დამახინჯებასთან, როდესაც სიტყვიერ-ლოგიკური ქმედება არ ითვალისწინებს საგანთა და მოვლენათა კონკრეტულ თვისებებსა და ნიშნებს. აზროვნება წარმოებს შემთხვევითი, არამიზანმიმართული ასოციაციების საფუძველზე, რომლებიც ასახავენ მხოლოდ მეტისმეტად ზოგად მხარესა და შორეულ კავშირებს.

არსებულ ლიტერატურაში ხაზგასმულია, რომ შიზოფრენიის დროს მეტყველების პათოლოგია წარმოადგენს გამოხატვის ისეთი იდიოსინკრეზიული საშუალებების შეჭრის შედეგს, რომლებიც იწვევენ ვერბალურ კომუნიკაციათა ზოგადი სტრუქტურის დარღვევას, დამახინჯებას. ძირითადად ხდება მეტყველებითი აქტის სტრუქტურის შეცვლა.

ფსიქოლინგვისტიკის საკითხები

ფსიქოლინგვისტიკა იმსახურებს კლინიცისტთა ყურადღებას არა მხოლოდ ადამიანის აზროვნებითი პროცესების გამოკვლევის მიზნით, არამედ, უპირველესად, პიროვნული ფსიქოლოგიის საკითხთა შემდგომი დაზუსტებისათვის.

ენათმეცნიერებაში სტრუქტურალიზმი ძირითადად ფონოლოგიის საგანს შეადგენს. ფსიქონევროლოგიის ამოცანებთან უფრო ახ-

ლოს დგას შედარებითი, ანუ კომპარატიული ფილოლოგიის მონაცემები. ენაში, მეტყველებაში, ე. ი. სიტყვიერ პროდუქციასა და ყოველ სიტყვაში ჩვენ უწინარეს ყოვლისა გვაინტერესებს სემანტიკის პრობლემა — მისი სინთეზური მიდგომით.

სრულიად მართალია მ. როგოვინი, რომ მეტყველების პათოლოგიაში ძიებისას არსებითად უნდა ჩაითვალოს განხილვის ფოკუსის გადატანა შინაარსობრივ (სემანტიკურ) ასპექტზე.

როგორც ცნობილია, ლ. ვიგოტსკი არსებით ყურადღებას უთმობდა სიტყვის მნიშვნელობის შეცვლას.

საგანთა და მოვლენათა შინაარსობრივი მხარე მჭიდროდაა დაკავშირებული ცალკეულ ფსიქიკურ სფეროთა და, პირველ რიგში, პიროვნების ჰოლიანი ფუნქციის (ინტეგრაციული მოქმედების) ხარისხსა და შესაძლებლობებთან:

ზემოთ ხაზი გავუსვით, რომ ერთ-ერთ წამყვან ნიშანს, რომელიც მიუთითებს პიროვნულ დონეზე ინტეგრაციის ძალაზე, ამპლიტუდასა და დიაპაზონზე, წარმოადგენს ანტინომიური მოქმედება.

შეჯახებათა, შეტოლებათა, დაპირისპირებათა, მოქმედების და საქციელის გადაწყვეტის ანტინომიური ანალიზის გზა წარმოადგენს გასაღებს ფსიქიკური აპარატის მთლიანობის თავისებურებების, მისი სიფართის, სიღრმის, დინამიკურ გადართვათა სიმაღლის, სემანტიკური სიმდიდრის, მოხერხებულობის ფსიქოენერგეტიკის და შრომითი შემართების გამოსავლენად.

ანტინომიურ რეაქციათა პრობლემა ისტორიულად ისევე ძველია, როგორც პრობლემა ადამიანის მოღვაწეობისა, მისი საპირისპირო—პლუს-მინუს (ე. ი. დადებითი-უარყოფითი) ნიშნებით. თეზისი იმის შესახებ, რომ მხატვრული ფსიქოლოგია (კლასიკოსთა ლიტერატურული პროდუქცია) ფრიად სასარგებლო და შემოქმედებითად საინტერესოა როგორც ფსიქოლოგიური, ისე პათოფსიქოლოგიური ძიებისათვის, აბსოლუტურ გამართლებას პოულობს ნორმასა და პათოლოგიაში ანტინომიური რეაქციათა პრობლემებთან დაბოკიდებულებაში. ამ მხრივ დაჟინებულ ყურადღებას იმსახურებს შექსპირის და გოეთეს, თ. დოსტოევსკის და ლ. ტოლსტოის გენიალური ქმნილებები.

ჩვენი ღრმა რწმენით, ფართო კვლევითი შემოქმედებითი შემართების საგანს შეადგენს ანტინომიური დაპირისპირებანი, მოცემული ლ. ტოლსტოის გენიის მიერ. უწინარეს ყოვლისა „ომსა და მშვიდობაში“, რომელმაც მსოფლიო მასშტაბით მიიღო ნომერი პირველი ქმნილების შეფასება.

საგნებისა და ფაქტების, შემთხვევებისა და მოვლენების, მოქმედებების და ქცევების, დასკვნების და გადაწყვეტილებების, სიდიადისა და სიმდაბლის, კეთილშობილების და უხამსობის სიყვარულის და სიძულვილის, ადამიანურობის და სისასტიკის, სილამაზის და სიუშნოვის, სინათლის და სიბნელის, კეთილშობილი ინტუიციის და ბიოლოგიური ინსტინქტის, სიმდიდრის და სიღარიბის, ღირსების და ნაკლის, ცოდნის და უცოდინარობის, მორალის და ამორალურობის, ბედნიერების და უბედურების, სიკეთის და ბოროტების და ადამიანის ბევრი სხვა მოქცევისა და უკუქცევის ანტინომიური ფსიქოლოგიური დაპირისპირება შეადგენს უდიდეს განძს თანამედროვე პერსონოლოგიურ ფსიქოლოგიასა და პათოფსიქოლოგიაში.

ეჭვგარეშეა, რომ სიტყვას, ე. ი. ენას, მეტყველებას, როგორც უდიდესი და ურთულესი ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალურ-ფსიქოლოგიური ევოლუციის (ფსიქოდინამიკური ჩამოყალიბების) გვირგვინს, კავშირი აქვს ანტინომიურობის საკითხთან. მით უფრო რომ ანტინომიურობა, როგორც დინამიკური ფუნქცია და სიტყვა, როგორც სპეციფიკური ადამიანური კომუნიკაციების კონკრეტულ-რეალური ფაქტორი, შეადგენს პერსონოლოგიური დონის უშუალო საგანს. სიტყვას დამოკიდებულება აქვს ევოლუციური ბიოლოგიის და სოციოლოგიის პრინციპთან. ამასთან, დიალექტიკურად იხსნება რა, როგორც ბიოლოგიური კატეგორია, სიტყვა ღებულობს ფსიქოლოგიური და სოციალურ-ფსიქოლოგიური კატეგორიის ხასიათს.

თანამედროვე ფსიქოლინგვისტიკაში ხაზგასმულია, რომ სემანტიკის ამოცანაა მნიშვნელობის რეალური ასპექტების გადმოცემა. არსებითი ყურადღება ეთმობა ენის „კოგნიტიურ", ანუ შემეცნებით სტრუქტურას. ამასთან ერთად, ენობრივი, ანუ მეტყველებითი უნარი განიხილება, როგორც სისტემა წესებისა, რომლებიც წინადადებების სემანტიკას უფარდებენ მის ფონეტიკურ და აკუსტიკურ ფორმას. მოგვიწევს სიტყვათა და წინადადებათა ღრმოვანი სტრუქტურების ძებნა აზრობრივ მნიშვნელობათა გათვალისწინებით.

დ. სლობინის თანახმად, სინტაქსი და სემანტიკა უნდა იდგეს სემანტიკის დარგში შემოქმედებითი ძიების ყურადღების ცენტრში. წინადადების სიღრმითი მნიშვნელობა მეხსიერებაში უფრო მყარია, ვიდრე ზედაპირული სტრუქტურა, რომელშიც ეს წინადადება გამოიხატება.

სამამულო ფსიქოლინგვისტიკაში მეტყველება, ენა გაგებულია არა როგორც მეტყველებით რეაქციათა სისტემა, არამედ როგორც

აქტიური და ბიზიანბიძართული მოქმედება, რომელიც ასახავს საზოგადოებისა და პიროვნების დიალექტიკას (განვითარებას), როგორც განზოგადებისა და ურთიერთობის ერთიანობას.

იკავებს რა აგნოსტიკურ პოზიციებს, მილერი აღნიშნავს, რომ, როგორც ჩანს, სიტყვები დაკავშირებულია ერთმანეთთან მრავალი გამოუცნობი გზით.

ფსიქოლინგვისტი დიზი ყურადღებას აქცევს ასოციაციური დისტრიბუციის (განაწილების) მონაცემების სიტყვებს შორის ნიშნადი, ე. ი. ლოგიკური და სინთეზური ურთიერთდამოკიდებულების კლასიფიკაციის საქმეში. ავტორი გამოყოფს ორ ძირითად ოპერაციას: დაპირისპირებას და დაჯგუფებას.

მნიშვნელოვანია დებულებები სემანტიკური ველის შესახებ და ამასთან დაკავშირებით სემანტიკური გენერალიზაციის საკითხები. როდესაც სემანტიკურად მონათესავე, ე. ი. მსგავს ცნებებზე მოზრდილი ადამიანი ამჟღავნებს ერთნაირ დინამიკურ რეაქციას.

პოლარულობის ასოციაციურ ურთიერთობას დ. სლობინი თვლის ენობრივ უნივერსალად. ამასთან ერთად ავტორი ყველა ენაში პოულობს ანტინომებს. აღნიშნული ფაქტი გამოყენებულია ფსიქოლინგვისტ ჩარლზ ოსგუდის მიერ „სემანტიკური დიფერენციალის“ მეთოდის დამუშავებისას.

თანამედროვე ფსიქოლინგვისტიკაში ერთ-ერთ წამყვან და შემოქმედებითად ევრისტიკულ პრობლემას წარმოადგენს მნიშვნელობის პრობლემა, რომელსაც 1977 წელს თბილისში მიეძღვნა სპეციალური სიმპოზიუმი. ამ სიმპოზიუმის მუშაობაში ფართო მონაწილეობას ღებულობდნენ გამოჩენილი სამამულო ლინგვისტები. სპეციალური ყურადღება დაეთმო საკითხებს „მნიშვნელობა და სიტყვა“, „მნიშვნელობა და აზრი“.

მ. მაჭავარიანის მიერ მოტანილი ცნობების თანახმად, სიტყვის მნიშვნელობა განისაზღვრება უწინარეს ყოვლისა მისი დამოკიდებულებით სხვა სიტყვებთან, ე. ი. მისი ადგილით ლექსიკურ სისტემაში. ავტორი წერს: „თანამედროვე სემანტიკურ გამოკვლევათა ძირითად საკითხს წარმოადგენს პრობლემა ენაში შინაარსისა და ფორმის ურთიერთპირობადებულობისა, და არა ნიშნის უბრალო რელაციისა, მხა აზრისა წინასწარ მოცემული საგნისადმი“.

ახალ ამოცანათა შუქზე არსებითად მიგვაჩნია რუსული და საბჭოთა ლინგვისტური ტრადიციის ისტორიის გათვალისწინება, სადაც მნიშვნელობის პრობლემას და ენის გნოსეოლოგიურ და სოციოლოგიურ ასპექტებს ყოველთვის ექცეოდა პრინციპული ყურადღება“.

გამოჩენილი სამამულო ლინგვისტი ა. ჩიქობავა ხაზს უსვამს, რომ მნიშვნელობის ცნებას ცენტრალური ადგილი უკავია ლინგვისტიკაში, წარმოადგენს მის, როგორც ჰუმანიტარული მეცნიერების, ფუნდამენტალურ ცნებას.

ქვემოთ შევეხებით სიტყვის ანტინომიური სემანტიკის თეორიულად და კლინიკურად მნიშვნელოვან პრობლემას ფსიქოლოგიასა და პათოფსიქოლოგიაში.

აქ მოკლედ შევჩერდებით მხოლოდ ტერმინების „სინონიმის“ და „ანტონიმის“ ფსიქოლოგიურ შინაარსზე. წინასწარ შევნიშნავთ, რომ სიტყვის სემანტიკის კლინიკურ-ექსპერიმეტული ანალიზისას ჩვენ მივმართავთ არა სინონიმური და ანტონიმური სიტყვა-გამღიზიანებლებისა და სიტყვა-პასუხების გულუბრყვილო შეპირიპირებას, არამედ მათ აბსტრაქტულ განყენებულ განხილვას მნიშვნელობის, დანიშნულების, შინაარსის აქტუალურ-პერსპექტიული აზრის, ასევე მოქმედების კატეგორიების მხრივ.

გასაგებია, რომ როგორც წინა გამოკვლევებისას, საპირისპირო საპასუხო სემანტიკისათვის განკუთვნილ სიტყვა-გამღიზიანებელთა ფორმულარი ჩვენს მიერ შედგენილია თვით სიტყვიერ გამღიზიანებელთა სირთულის ასპექტში (არსებითი სახელები, სახელზმნები, ზმნიზედები და ზედსართავი სახელები).

აღნიშნული პრინციპული დაყენებებიდან გამომდინარე, ჩვენი ძიება არსებითად ეხება სწორედ ანტინომურ სემანტიკას და არა ვიწროდ შეზღუდულ ანტონიმებს.

ანტინომური რეაქცია მოიცავს როგორც სინონიმ-ანტონიმის ცნებებს, ისე უფრო ფართო ცნებებს საგნებისა და მოვლენების შესახებ.

ლინგვისტიკის კანონზომიერებანი გვიჩვენებს, რომ ზოგიერთი ხალხის ენაზე სინონიმი — ანტონიმი ცალ-ცალკე თავისთავად ზოგჯერ ძლიერ ღარიბია შინაარსით, მაგრამ მათი წყვილად შეპირისპირება ღებულობს ანტინომური მთლიანობის ხასიათს, რომელიც გადმოგვცემს ცნების აბსტრაქტული, განყენებულ არსს. მოვიყვანთ ზოგიერთ მაგალითს: ცნება გზასა და მანძილზე გადმოიცემა წყვილადი სიტყვებით. შორს — ახლოს, ცნება წონაზე — სიტყვებით — მძიმე — მსუბუქი, ადამიანურობაზე — სიკეთით და ბოროტებით და ა. შ.

შიზოფრენიის პარანოიდული ფორმის ინიციალური სტადიის დროს სიტყვიერ ექსპერიმენტში ანტინომიური სემანტიკის ანალიზის საფუძველზე ჩვენ მივედით შემდეგ დებულებებთან.

შიზოფრენიის პარანოიდული ფორმის ინციალური სტადიის დროს სემანტიკურად ანტინომიური პასუხების ლატენტური პერიოდი გახანგრძლივებულია 3—4-ჯერ საკონტროლო მასალასთან შედარებით. ლატენტური პერიოდის გახანგრძლივება და მერყეობა, ასევე უმდაბლეს სიტყვიერ რეაქციათა გაზრდა უფრო შესამჩნევია, როდესაც გამღიზიანებლად მიცემულია აბსტრაქტული არსებითი სახელი.

გამღიზიანებლის სემანტიკის ანტინომიური ანალიზის ნაკლოვანება შეიძლება წარმოდგენილი იყოს ანტინომიათა არარსებობით, უხშირესად, კი გამეორების სახით ან სიტყვა-გამღიზიანებლის შინაარსის უარყოფითი ნაწილაკის „არა"-ს დართვის გზით.

ანტინომიური ზეტყველებითი რეაქციის დეფექტი მოწმობს შიზოფრენიის პარანოიდული ფორმით დაავადებულთა მთლიანობით— ინტეგრაციული, ანალიზ-სინთეზური მოქმედების დარღვევას.

პათოფსიქოლოგიურად პასუხი, როგორც ენობრივი გადაწყვეტა, შეიძლება გაიყოს ორ ეტაპად: გამღიზიანებლის სემანტიკის უარყოფა და პასუხის დასრულებული ფორმულირება. პარანოიდული შიზოფრენიის ინიციალური სტადიისას აღინიშნება ნეგაციისა და ფორმულირების მომენტებს შორის შეთანხმებულობის დარღვევა.

ნეგაციის მომენტებზე შეფერხება და სემანტიკური ფორმულირების შეუძლებლობა მოწმობს ადამიანის ფსიქიკის მნიშვნელობას (რომელიც პიროვნულ კატეგორიას წარმოადგენს). გაუკუღმართება შეადგენს ერთ-ერთ განსაღვრულ წანამძღვარს ბოდვითი აღქმისა და ქცევისათვის.

პათოფსიქოლონგვისტური მიმართულება უნდა განვიხილოთ, როგორც ერთ-ერთი ევრისტიკული გზა თეორიული და პრაქტიკული ძიებისათვის კლინიკურ ფსიქიატრიაში.

ვ. გილიაროვსკის თანახმად, შიზოფრენიით დაავადებულში ცნებების გადაგვარებას და დაშლას მივყავართ გარემოსადმი დამოკიდებულების შეცვლამდე, გარემო სინამდვილის გაგების შეცვლამდე. სწორედ მოყვანილი დებულების მხრივ აუცილებელია, კიდევ ერთხელ შევჩერდეთ ცნებისა და მნიშვნელობის კატეგორიებს შორის დიალექტიკურ ერთიანობასა და განსხვავებაზე.

ცნება წარმოადგენს ინტელექტუალურ დონეზე არსებულ კატეგორიას, რომელიც განსაზღვრავს ინდივიდუუმის ცოდნის შინაარსა და სიმდიდრეს. მნიშვნელობა — პიროვნული დონის კატეგორია, რომელსაც დამოკიდებულება აქვს ადამიანის მოქმედების (კონკრე-

ტული ორვექტორიანი მიმართულებით — ვექტორი თავისაკენ, და ვექტორი საკუთარი თავიდან) ფსიქოლოგიასთან.

გამოჩენილი ლინგვისტი ა. ჩიქობავა მნიშვნელობას თვლის ფუნდამენტალურ კატეგორიად ჰუმანიტარულ მეცნიერებაში.

ეჭვგარეშეა, რომ ცნებათა დარღვევა იწვევს მნიშვნელობის კატეგორიის შესაბამის დაზიანებას. მაგრამ ცნებათა გარკვეული ფორმალური შენახვისას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მნიშვნელობის შესახებ წარმოდგენის დაქვეითებას, ე. ი. უმაღლესი ანალიზურ-სინთეზური განზოგადების დეფექტს. ინდივიდუუმში მნიშვნელობის გაუკუღმართება შეადგენს პათოლოგიური კომუნიკაციისა და ორიენტაციის წინამძღვარს.

როგორც აღნიშნავს, ე. შტენბერგი, ე. წ. კონცეპტუალური ფსიქიატრიის ავტორი და სისტემათა ზოგადი თეორიის (როგორც მეცნიერებისა მეცნიერების შესახებ) შემქმნელი ბერტანალფი ჩერდება ადამიანის ფსიქიკის ორ კვალიტეტზე —პროგრესულ აბსტრაქციასა და პროგრესულ სიმბოლიზაციაზე. ამასთან, აბსტრაქცია და სიმბოლიზაცია აგებულია ენისა და აზროვნების შესწავლაზე. პათოლოგიაშიც ლაპარაკია აგრეთვე აბსტრაქციასა და სიმბოლიზაციაზე, ე. ი. ფსიქიკური იერარქიის ორ დონეზე.

ლ. ვიგოტსკი სპეციალურ ყურადღებას უთმობს შიზოფრენიის დროს სიტყვის მნიშვნელობის შეცვლას.

საკუთარი დაკვირვებები და მასალის ანალიზი

ფსიქიკური პროცესების დინამიკურობის უზრუნველყოფა ხდება ფსიქიკური აპარატის ანალიზურ-სინთეზური მოქმედებით.

ამასთან, ფსიქიკურ გამოვლინებათა ერთიანობა და დინამიკურობა, რაც ასე დამახასიათებელია პიროვნული დონისათვის, ქმნის ფონს ანტინომიური ფსიქიკური რეაქციებისათვის.

შემოთავაზებულ ნაშრომში დასახულია სიტყვიერ გამღიზიანებელთა სემანტიკის ექსპერიმენტული გამოკვლევის საფუძველზე, შიზოფრენიის პარანოიდული ფორმის დროს, ანტინომიურ პასუხთა ფსიქოდინამიკური თავისებურებების გამოვლენა.

მასალა საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ პიროვნების მთლიანობაზე, მის ანალიზურ-სინთეზურ შესაძლებლობაზე. მასალა შეფასებული იქნება როგორც სიტყვა-გამღიზიანებელთა, ისე ანტინომური პასუხების სემანტიკის საფუძველზე. ამასთან, პასუხები გაანალიზდება შემდეგი ოთხი შესაძლებლობის ასპექტში:

1. შესაბამისი ანტინომიური პასუხი.
2. მიახლოებითი ანტინომიური პასუხი.
3. შეუსაბამო პასუხი.
4. რეაქციის (სიტყვიერი პასუხის) უქონლობა.

ანტინომიური სემანტიკის გამოკვლევისათვის სიტყვიერ ექსპერიმენტში მივმართავთ შემდეგ ფორმულას:

I ზედსართავი სახელი

1. მაღალი-დაბალი
2. თეთრი-შავი
3. ნათელი-ბნელი
4. ბეჯითი-ზარმაცი
5. მაგარი-რბილი
6. ცხელი-ცივი
7. კეთილი-ბოროტი
8. მხიარული-სევდიანი
9. განიერი-ვიწრო
10. მძიმე-მსუბუქი
11. ახალი-ძველი
12. ტკბილი-მწარე
13. ძლიერი-სუსტი
14. გრძელი-მოკლე
15. სწორი-მრუდე

II ზმნიზედა

1. შიგნით-გარეთ
2. შორს-ახლოს
3. ნელა-ჩქარა
4. ადრე-გვიან
5. იაფად-ძვირად
6. წესიერად-უწესოდ
7. ზეპირად-წერით
8. დღისით-ღამით
9. ღრმად-ზერელედ
10. დაწვრილებით-მოკლედ
11. მარჯვნივ-მარცხნივ
12. აღმა-დაღმა

III სახელზმნა

1. სიარული-დგომა
2. სიცილი-ტირილი
3. დაწყება-დამთავრება
4. გაღება-დაკეტვა
5. გათენება-დაღამება
6. ასვლა-ჩასვლა
7. დასვენება-დაღლა
8. შენება-ნგრევა
9. ანთება-ჩაქრობა
10. ჩართვა-გამორთვა

IV განყენებული არსებითი

1. სინათლე-სიბნელე
2. სიკეთე-ბოროტება
3. სიცივე-სიცხე
4. სიბეჯითე-სიზარმაცე
5. ახალგაზრდობა-სიბერე
6. ავადმყოფობა-ჯანმრთელობა.
7. სიმართლე-სიცრუე
8. სიყვარული-სიძულვილი
9. მშვიდობა-ომი
10. სიმდიდრე-სიღარიბე

11. ავსება-დაცლა
12. ჩაცმა-გახდა

11. სიცოცხლე-სიკვდილი
12. მეგობრობა-მტრობა
13. სიტკბო-სიმწარე
14. სილამაზე-სიმახინჯე

ლატენური პერიოდი იზომება წამებში.

ლიტერატურაში დიდი ხანია, ხაზგასმულია ასოციაციური ექსპერიენტის ამსახველი (ამრეკლავი) მნიშვნელობა.

ჩვენ შემოქმედებითად მნიშვნელოვნად ვთვლით ასოციაციური ექსპერიმენტის გამოყენებას შემდეგი სამი მეთოდური განხრით.

1. სიტყვიერი ექსპერიმენტი სიტყვა-გამღიზიანებელთა სემანტიკური სირთულის მიხედვით.

2. სიტყვიერი ექსპერიმენტი სიტყვით პასუხთა ანტინომიურობაზე.

3. სიტყვიერი ექსპერიმენტი განწყობის სემანტიკურ დონეზე.

სწორედ პერსონოლოგიურ ძიებაში არასაკმარისია ინდივიდუალურ თვისებათა ემპირიული ნაკრების, მათი კორელაციისა და შეპირისპირების მეთოდი. აუცილებელია ექსპერიმენტი.

ჩვენი დაკვირვებები საშუალებას გვაძლევს, ვიმსჯელოთ არა მხოლოდ სემანტიკური ველის სიფართესა და სიტყვიერ პასუხთა პოლისემანტიკურ ხასიათზე, არამედ აგრეთვე ანტინომიურ შეფასებათა და განსაზღვრათა შესაძლებლობებზე, ე. ი. ფსიქიკური აპარატის მთლიანობაზე. ამასთან, ძველ ფილოსოფოსთა კლასიკური ფორმულა ღებულობს აბსოლუტურ დადასტურებას. მხედველობაში გვაქვს თეზისი: განსაზღვრის დასაწყისია უარყოფა — ნეგაცია.

ექსპერიმენტებში სიტყვიერ პასუხთა მრავალფეროვნება და სიმდიდრე მოწმობს სერიოზულ აუცილებლობაზე, კორექცია შევიტანოთ ფსიქიატრიის კლასიკოსის — მოდზლის ფორმულაში, იმ მხრივ, რომ სულით ავადმყოფთა სუბიექტური სამყარო სრულიადაც არ წარმოადგენს საგანს დაღუპულ გონებათა სასაფლაოსათვის და პათოლოგიის პირობებშიც საკმაოდ ფართოა ფსიქიკური აპარატის ვიკარულ-კომპენსატორული შესაძლებლობები.

სიტყვათა სემანტიკა გაანალიზდება ეგრეთ წოდებული სემანტიკური პოტენციალის, ე. ი. მეტყველებითი მოქმედების ასპექტში.

გამოკვლევა ჩატარდა 60 ავადმყოფზე (მათგან — მამაკაცი 34, ქალი—26). ასაკის მიხედვით ავადმყოფები ასე განაწილდნენ: 20-

დან 30 წლამდე — 32 შემთხვევა, 31-დან 40 წლამდე —10, 41-დან 50 წლამდე — 18 შემთხვევა.

დაავადების ხანგრძლივობის მიხედვით ავადმყოფები წარმოდგენილი არიან შემდეგნაირად 2-დან 5 წლამდე—48 შემთხვევა, 6-დან 10 წლამდე — 7 შემთხვევა, 10 წელზე მეტი 5 შემთხვევა. მთელი კლინიკური მასალა მოიცავს უწყვეტად მიმდინარე შიზოფრენიას. ყველა შემთხვევა წარმოადგენს პარანოიდულ ფორმას გაშლილ სტადიაში, სინდრომოლოგიურად — გაშლილ პარანოიდულ სინდრომს — დევნის, მოწამვლის, ზემოქმედების ბოდვითი პროდუქციებით ((ცალკეულ შემთხვევაში აღინიშნებოდა ვერბალური ჰალუცინაციები).

როგორც აღნიშნული იყო, უმაღლესი ინტეგრაცია, ე. ი. მოქმედება პიროვნულ დონეზე გულისხმობს სინთეზს — ანალიზს — სინთეზს. მხედველობაშია როგორც ფორმის, ისე შინაარსის მთლიანი აღქმა, შემდგომ ხდება როგორც ფორმის, ისე შინაარსის ანალიზი, და ბოლოს, კვლავ სინთეზი, როგორც პიროვნული მოქმედების საბოლოო შედეგი.

მოწოდებული სიტყვიერი ფორმულარები ზედსართავ სახელზე ზმნიზედაზე, სახელზმნასა და განყენებულ არსებით სახელზე ჩვენს მიერ გაყოფილია ორ ვარიანტად.

პირველ ვარიანტში (ოთხი ექსპერიმენტი) გამღიზიანებლად გამოყენებულია სიტყვები თვისების (მაგალითად, მაღალი, ბეჯითი და ა. შ.), მოქმედების (მაგალითად, ცხოვრება, აშენება და ა. შ.) და განცდის (სიკეთე. ჯანმრთელობა და ა. შ.) სთენიური მომენტით. მეორე, ვარიანტში (აგრეთვე ოთხი ექსპერიმენტი) მოცემულია სიტყვები თვისების (დაბალი, ზარმაცი), მოქმედების (კვდომა, ნგრევა), და განცდის (ბოროტება, ავადმყოფობა) ასთენიური მომენტით. პირველ ვარიანტს, როდესაც სთენიური გამღიზიანებელი თხოულობს ანტინომიურ პასუხს, ასთენიურ პლანში, პირობითად ვუწოდეთ პლუს ვარიანტი, პირიქით მეორე ვარიანტს (ასთენიური — სთენური) — მინუს ვარიანტი.

ორივე ვარიანტში ჩავატარეთ 8-8 ექსპერიმენტი, რამაც 60 ავადმყოფისათვის შეადგინა 480 ექსპერიმენტული დაკვირვება.

რამდენადაც თითოეული ექსპერიმენტი გულისხმობს 53 სიტყვიერ პასუხს, ჩვენს განკარგულებაში არსებული მასალა წარმოდგენილია 6360 სიტყვიერი რეაქციით.

გამღიზიანებელთა სემანტიკის მიხედვით ანტინომიურ პასუხებზე სიტყვიერი ექსპერიმენტის მონაცემები გვიჩვენებს, რომ პირვე-

ლი ვარიანტისათვის საშუალო ლატენტური, ანუ ფარული პერიოდი შეადგენს ზედსართავი სახელის დროს —1,8". ზმნიზედის დროს — 2,1", სახელზმნის—1,9" და განყენებული არსებითი სახელის დროს 2,4", მეორე ვარიანტისათვის — ზედსართავი სახელის — 1,5", ზმნიზედის — 1,8", სახელზმნის — 1,8" და განყენებული არსებითი სახელის დროს 2,2".

ანტინომიური სიტყვიერი პასუხების ლატენტური პერიოდის მაჩვენებლების ანალიზი ავლენს რიგ კანონზომიერებებს,

ყველა ექსპერიმენტში ნორმასთან შედარებით ადგილი აქვს ლატენტური პერიოდის გახანგრძლივებას. ამასთან, საპასუხო რეაქციის დროის გაზრდა აღინიშნება ყველა სიტყვიერი გამღიზიანებლის, განსაკუთრებით კი სახელზმნისა და განყენებული არსებითი სახელების შემთხვევაში. თუ ნორმად მივიღებთ 1", პირველი ვარიანტის დროს ლატენტური პერიოდის საშუალო მაჩვენებელი სახელზმნისათვის არის 1,9", განყენებულ არსებითი სახელისათვის — 2,4", მეორე ვარიანტის დროს შესაბამისად 1,8" და 2,2". როგორც ვხედავთ, მაჩვენებლები დიდდება თითქმის ორჯერ და მეტად.

ყველა ექსპერიმენტის დროს ლატენტური პერიოდის რიცხვით მაჩვენებელთა შედარება არ ავლენს პირველ და მეორე ვარიანტს შორის შესამჩნევ განსხვავებას.

სიტყვიერ ექსპერიენტთა ფაქტობრივი მონაცემები პროცენტებში

I ვარიანტი

სიტყვა გამღიზიანებელი — ზედსართავი სახელი
პასუხი — ანტონომურად შესატყვისი — 77,9%
პასუხი — ანტინომურად მიახლოებითი — 8,8%.
პასუხი — ანტინომურად შეუსაბამო—5,6%
პასუხი — ნაწილაკ „არ" (არა) გზით — 7,6%
რეაქცია ვერ მივიღეთ — 0,1%

სიტყვა — გამღიზიანებელი — ზმნიზედა

პასუხი — ანტინომურად შესატყვისი—69,8%
პასუხი — ანტინომურად მიახლოებითი 10,1%
პასუხი — ანტინომურად შეუსაბამო — 10,0%

პასუხი — ნაწილაკ „არ“ („არა“ “კ)—8,2%
რეაქცია ვერ მივიღეთ—1,9%

სიტყვა-გამღიზიანებელი — სახელზმნა

პასუხი — ანტინომურად შესატყვისი 62,7%
პასუხი — ანტინომურად მიახლოებითი 14,0%
პასუხი — ანტინომურად შეუსაბამო 7,0%
პასუხი — ნაწილაკ „ არ“ (არა“) გზით 15,7%
რეაქცია ვერ მივიღეთ 0,6%

სიტყვა-გამღიზიანებელი — განყენებული არსებითი სახელი

პასუხი — ანტინომურად შესატყვისი 64,9%
პასუხი — ანტინომურად მიახლოებით 10,9%
პასუხი — ანტინომურად შეუსაბამო 9,5%
პასუხი — ნაწილაკ „არ“ (არა“) გზით 13,3%
რეაქცია ვერ მივიღეთ — 1,4%

II ვ ა რ ი ა ნ ტ ი

სიტყვა-გამღიზიანებელი — ზედსართავი სახელი

პასუხი — ანტინომურად შესატყვისი 86,5%
პასუხი — ანტინომურად მიახლოებით 5,4%
პასუხი — ანტინომურად შეუსაბამო 3,2%
პასუხი — ნაწილაკ „არა“ („არა“) გზით 4.7%
რეაქცია ვერ მივიღეთ 0,2%

სიტყვა-გამღიზიანებელი — ზმნიზედა

პასუხი — ანტინომურად შესატყვისი 77,1%
პასუხი — ანტინომურად მიახლოებითი 11,1%
პასუხი — ანტინომურად შეუსაბამო 5,3%
პასუხი — ნაწილაკ „არ“ („არა“) გზით 5,4%
რეაქცია ვერ მივიღეთ 1,1%

სიტყვა-გამღიზიანებელი — სახელზმნა

პასუხი — ანტინომურად შესატყვისი 77,7%
პასუხი — ანტინომურად მიახლოებითი 10,3%
პასუხი — ანტინომურად შეუსაბამო 4,7%
პასუხი — ნაწილაკ „არ“ („არა“) გზით 6,8%
რეაქცია ვერ მივიღეთ 0,5%

სიტყვა-გამღიზიანებელი — განყენებული არსებითი სახელი

პასუხი — ანტინომურად შესატყვისი 70,8%
პასუხი — ანტინომურად მიახლოებით 11,9%
პასუხი — ანტინომურად შეუსაბამო 5,8%
პასუხი ნაწილაკ „არ“ („არა“)-ს გზით 11,0%
რეაქცია ვერ მივიღეთ 0,5%

თანამედროვე ფსიქოლინგვისტიკაში დაჟინებული ყურადღება ეთმობა ე. წ. სემანტიკური ველის და სემანტიკური პოტენციალის კატეგორიებს. ამასთან არჩევენ მკაცრად: კონკრეტულ-სემანტიკურ ველს, კონკრეტულ-სემანტიკურ პოტენციალს და სემანტიკურ ველს (პოტენციას) ფართო გაგებით, როდესაც შინაარსის კატეგორიაში შეაქვთ აგრეთვე არსებითად ახლომყოფი განსაზღვრებაც, ამასთან დაკავშირებით მოცემულ ფაქტობრივ მასალაში ცალკე მოტანილია შესატყვისი და მიახლოებითი ანტინომიური პასუხების პროცენტული რაოდენობა, აგრეთვე მათი სუმარული ციფრი.

ნათქვამის მხრივ, ფსიქოლინგვისტიკა აწყდება სოციალურ-ფსიქოლოგიური ხასიათის საკითხებს, აინტერესებს რა ცნების შინაარსი და სიტყვათა მნიშვნელობა. ამგვარად, თვით აღნიშნული ნივთები და მოვლენები ღებულობენ ინდივიდუუმისათვის არა მხოლოდ შემეცნებით აზრს, არამედ იხსნება მათი მნიშვნელობა თავისი დამოკიდებულების პიროვნულ შეფასებასთან ერთად.

ექსპერიმენტებში სიტყვა-გამღიზიანებლები, განსაკუთრებით კი სახელზმნები და არსებითი სახელები, მოცემულია ორ ვარიანტში. მხედველობაში გვაქვს ჯგუფი სთენური, დადებითი, სასიამოვნო ხასიათის სიტყვებისა და ჯგუფი ასთენიური, უარყოფითი, არასასიამოვნო ხასიათის სიტყვებისა. იქმნება ვითარება და პირობები, როდესაც ანტინომურ პასუხებში, გამოვლინდება ავადმყოფის და-

მოკიდებულება და მისი სუბანტიკური პოტენციალის ძალა და მიმართულება.

საჭიროდ ვთვლით, პირველ რიგში, გავაანალიზოთ ორი ვარიანტის მონაცემები სიტყვა — გამღიზიანებელთა მორალურ-ეთიკური შინაარსიდან გამომდინარე, ავადმყოფთა ინდივიდუალური დამოკიდებულების და რეაგირების აქტიურობის მხრივ.

აქვე ისმება კითხვა: რომელი სიტყვა უფრო აქტიურია ანტინომური სემანტიკური რეაქციის გამოწვევისას ან რომელი სიტყვიერი გამღიზიანებლები უფრო აშკარად იწვევენ პროტესტსა და აღშფოთებას: სთენიურითუ ასთენიური? რომელი უფრო ანტინომურად აქტიურია: გამღიზიანებელი „სიკეთე" თუ გამღიზიანებელი „ბოროტება"?

როგორ იქცევიან ამ მხრივ შიზოფრენიით დაავადებულები პარანოიდული სინდრომის დროს?

სემანტიკური აქტივობა, აქედან კი — სემანტიკური ველის მაჩვენებლები, ექსპერიმენტთა II ვარიანტის დროს (როდესაც სიტყვა — გამღიზიანებლები არასასიამოვნო, ასეთენიური ხასიათისაა) შესამჩნევად უფრო მაღალია, ვიდრე I ვარიანტის დროს, კერძოდ, ზედსართავი სახელისათვის სუმარული პროცენტული რაოდენობა მაღალია 5,2%-ით. (91. 9%—86,7%), ხოლო ანტინომიურად შესატყვისი პასუხები—8,6%-ით (86,5%—77,9%).

ზმნისზედისათვის — ანტინომურად შესატყვისი და ანტინომურად მიახლოებითი პასუხების სუბარული რაოდენობა მეტია 9,3%-ით (88,2%—79,9%). ამათგან შესატყვისი პასუხები მეტია 7,3%-ით (77,1% და 69,8%).

სახელზმნებისათვის ზოგადი სემანტიკური ველიდან პასუხთა რაოდენობა 11.3%-ით მეტია (88 №0 % და 76,7%), რაც შეეხება გამღიზიანებელს — განყენებულ არსებით სახელებს, აქ სუმარული მაჩვენებლები 6,9%-ით მაღალია (82,7% და 75,8%).

მოტანილი მასალა მოწმობს ანტინომიური აქტივობის გარკვეულ შენახვაზე შიზოფრენიის პარანოიდული ფორმის გაშლილი სტადიის დროს, როდესაც ავადმყოფები მოცული არიან დევნის, ზემოქმედების, მოწამვლის, მორალური წახდენილობის და ფიზიკური განადგურების მძიმე ბოდვითი განცდებით.

მასალის შედარება ნორმასთან, აგრეთვე რაოდენობითი მაჩვენებლების ანალიზი გამღიზიანებელთა სემანტიკური სირთულის შუქზე გვიჩვენებს, რომ შიზოფრენიის პარანოიდული ფორმის გაშლილი სტადიის დროს ადგილ იაქვს ანტინომიური სემანტიკის შესა-

ძლებლობათა არსებით ნაკლოვანებას. ამასთან, ორივე ვარიანტისას პროცენტული რაოდენობის დაქვეითება ერთნაირად ეხება როგორც კონკრეტულ-შესატყვის რეაქციებს, ისე მთელ სემანტიკურ ველს, ე. ი. შესატყვისი და მიახლოებითი პასუხების ჯამს. ამასთან ერთად, აღნიშნული დეფექტი იზრდება სიტყვა გამღიზიანებელთა სემანტიკური შინაარსის გართულებასთან ერთად.

პირველი კარიანტის დროს სემანტიკური ველის და ანტინომიური შესატყვისი პასუხების პროცენტული გამოსახულება შეადგენს— ზედსართავი სახელისათვის 86,7% და 77,9%, ზმნიზედისათვის — 79,9% და 69,8%, სახელზმნისათვის—76,7% და 62,7%, და ბოლოს განყენებული არსებითი სახელისათვის—75,8% და 64,9%.

II ვარიანტის დროს შესაბამისად გვაქვს — ზედსართავი სახელისათვის —91,9% და 86,5%, ზმნიზედისათვის —88.2% და 77,1% სახელზმისათვის 88,0% და 77,7%, განყენებული არსებითი სახელისათვის—82,7% და 70,8%.

სიტყვა — გამღიზიანებელთა სემანტიკური შინაარსის მნიშვნელობა და როლი განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ვლინდება განყენებული არსებითი სახელის და სახელზმნის მაჩვენებლების შეპირისპირებისას ზედსართავი სახელის მონაცემებთან, როგორც ამოსავალ მაჩვენებლებთან.

დგინდება; რომ II ვარიანტისას კონკრეტულ-შესატყვისი ანტინომიური პასუხების პროცენტული რაოდენობა განყენებული არსებითი სახელის დროს 15,7%-ით ჩამორჩება ასეთს ზედსართავი სახელის დროს (86,5% და 70,8%) და 8,8%-ით სახელზმნის დროს (86,5% და 77,7%).

პირველი ვარიანტისას აღნიშნული ჩამორჩენა შეადგენს განყენებულ არსებითი სახელისათვის 13% (77,9% და 64,9%), ხოლო სახელზმნისათვის—15,2% (77,9 და 62,7%).

ჩვენ ვხედავთ, რომ ანტინომიური რეაქციის შესაძლებლობა განსაკუთრებით ზიანს განიცდის, როდესაც სიტყვა — გამღიზიანებლად გამოდის განყენებული არსებითი სახელები და სახელზმნები.

პროცენტული დაქვეითება განყენებული არსებითი სახელისათვის წარმოდგენილია 13-%ით (პირველი ვარიანტი) და 15,7%-ით (მეორე ვარიანტი), რაც შეეხება სიტყვა-გამღიზიანებელ — სახელზმნას, აქ პროცენტული დაქვეითება შეადგენს 15,2%-სა (პირველი ვარიანტი) და 8,8%-ს (მეორე ვარიანტი).

ანტინომიურ პასუხებზე სემანტიკური პოტენციალის ჩამორჩენის ამსახველი პროცენტული მონაცემების შემდგომი ანალიზი ავ-

ლენს გარკვეულ დეტალს, რომელიც, ჩვენი აზრით, არ შეიძლება დატოვებულ იქნეს ყურადღების გარეშე.

ირკვევა, რომ ანტინომიურ პასუხთა პროცენტული ჩამორჩენა სახელზმნებისათვის მეტია, ვიდრე განყენებული არსებითი სახელებისათვის 2,2%-ის (პირველი ვარიანტი).

აღნიშნული დებულება მოითხოვს შემდგომ შემოქმედებით კვლევასა და დადასტურებას.

არ არის გამორიცხული შესაძლებლობა დავუშვათ, რომ ანტინომიური პასუხთა შემთხვევებში სახელზმნები, რომლებიც თავისი შინაარსით (სემანტიკით) გამოხატავენ მოქმედებას ან საქმიანობას, შედარებით რთულია ანტინომიური გადაწყვეტის თვალსაზრისით. როგორც განყენებული არსებითი სახელები.

სემანტიკური ექსკურსი ფსიქოლინგვისტიკაში უეჭველად ევრისტიკულია ფსიქოლოგიისა და პათოფსიქოლოგიის პრობლემების მხრივ შემოქმედებით ძიებაში. ექსპერიმენტული, დაკვირვებები ამ ხაზით თხოულობს დიდ რაოდენობრივ მასალას უეჭველობისათვის. მაგრამ სწორედ, სემანტიკური მსჯელობის სფეროში განსაკუთრებით აუცილებელია ცალკეული უფრო თვალსაჩინო შემთხვევების ანალიზი. აქ ყოველი ფსიქოლოგიური დეტალი თავის მხრივ შეიძლება გახდეს საწყისი ახალი კვლევითი გზებისა შემდგომი რაოდენობრივი დასაბუთებისა და დადასტურებისაკენ. მეტყველებით პროდუქციათა სემანტიკის დარგში განსაკუთრებით საჭიროა შემოქმედებითი სიმბიოზი მათემატიკის ენასა და ინდივიდუალური ანალიზის ენას შორის, მით უფრო სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პერიოდში.

ნათქვამის თვალსაზრისით საინტერესოდ მიგვაჩნია იმ პასუხებზე შეჩერება, როდესაც ანტინომიური რეაქციის ნაცვლად ავადმყოფები იმეორებენ სიტყვა-გამღიზიანებლის ნაწილაკ „არა“-ს დამატებით.

მსგავს რეაქციებში ფსიქოდინამიკურად შეიმჩნევა ორი მომენტი: ერთის მხრივ, ადგილი აქვს გარკვეულ კონფორმიზმს (დამორჩილებას) — სიტყვის გამეორება (უმდაბლესი, ექოლალიური რეაქცია), მეორეს მხრივ, ვლინდება თავისებური აქტიური წინააღმდეგობა სიტყვა-გამღიზიანებლისადმი: უარყოფა ნაწილაკ „არა“ ან „უ“-ს გზით ანტინომიური პასუხის ჩამოყალიბებაში სემანტიკური პოტენციალის ძალა ამოიწურება ამ ეტაპზე და ავადმყოფი მოკლებულია საბოლოო ანტინომიური ფორმულირების შესაძლებლობას.

ანტინომიურ ფორმულირებათა შესაძლებლობების დაქვეითება მოწმობს პიროვნების მთლიანობის დაზიანებაზე.

ნაწილაკ „არას“ გზით პასუხთა პროცენტული რაოდენობის ანალიზი გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს სემანტიკური პოტენციალის შესაძლებლობებზე შიზოფრენიის პარანოიდული ფორმის დროს.

დგინდება, რომ პირველი ვარიანტის დროს სიტყვიერ ექსპერიმენტებში პასუხები უარყოფითი ნაწილაკით წარმოდგენილია შემდეგნაირად: ზედსართავ სახელზე—7,6%. ზმნიზედაზე 8,2%. სახელზმნაზე—15,7%, განყენებულ არსებით სახელზე—13,7%, როგორც ვხედავთ, პასუხები უარყოფითი ნაწილაკით ყველაზე ხშირად გვაქვს სახელზმნების და განყენებულ არსებითი სახელების დროს, შეადგენს რა ჯამში 29% (15,7% და 13,3%), ე. ი. მთელი ფაქტიური მასალის თითქმის მესამედს. აღნიშნული ვითარება მოწმობს სემანტიკური პოტენციალის ძალისა და დიაპაზონის მნიშვნელოვან დაქვეითებას.

თანამედროვე ფსიქოლინგვისტიკაში სემანტიკური ველისა და სემანტიკური პოტენციალის პრობლემებთან ერთად დაყინებული ყურადღება ეთმობა მნიშვნელობის შესახებ წარმოდგენის სემანტიკურ ანალიზს. განსაკუთრებით მაღალია იმ სიტყვათა ფუნქციონალური აზრი, რომლებიც განსაზღვრავენ საგანთა და მოვლენათა მნიშვნელობას. ამ მხრივ მნიშვნელობა კვალიფიცირებულ უნდა იქნეს, როგორც რთული პიროვნული კატეგორია, რომელშიც გვაქვს არა მხოლოდ გამოყენებისა და განზოგადოების მომენტები, არამედ ქმედითი მიმართულებაც. წინა პუბლიკაციებში ჩვენ ვაყენებდით თეზისს, რომ ქმედება ფსიქოლოგიაში — ცნების კატეგორია (აზრობრივი შინაარსი) გარკვეული აზრით მნიშვნელობის კატეგორიაზე (ქმედითი შინაარსი) უფრო დაბალია. გასაგებია, რომ ეს არ ლაპარაკობს ინტელექტის ცნებით შესაძლებლობათა არასაკმაო შეფასებაზე. ჩვენ მხოლოდ ხაზს ვუსვამთ, რომ პათოფსიქოლოგიაში (განსაკუთრებით შიზოფრენიით დაავადებულთა მასალაზე) ცნებათა დონეზე ცოდნაც კი ხშირად მოკლებულია ქმედითი აზრობრივ შინაარს და რჩება უსიცოცხლო „მშრალი“ ფორმულირების ფარგლებში.

ყოველი კლინიცისტი ფსიქიატრიისათვის ცნობილია, რომ მოწამვლის პარანოიდული ბოდვისას შიზოფრენიით დაავადებული გვაძლევს დედის ცნების დეტალურ ანალიზს, მაგრამ პრაქტიკულად

სწორედ საკუთარი თავის მიმართ დასაშვებად თვლის დედის მიერ შვილის მოწამლის მტკიცე შესაძლებლობას.

აქ დედის შესახებ წარმოდგენის მნიშვნელობის გაუკუღმართება უფრო ძლიერია და „მშრალ ცოდნას“ არ შეუძლია, დაუბრუნოს ავადმყოფს აუცილებელად საჭირო კონტროლი.

არაა ინტერესს მოკლებული სიტყვათა მნიშვნელობის სემანტიკური აზრის განხილვა იმ პასუხთა ასპექტში, როდესაც ანტინომურობა შეკავდება ნაწილაკ „არა“-ს გზით უარყოფის ეტაპზე.

მნიშვნელობის კატეგორია მოითხოვს არა მხოლოდ ინტელექტუალურ განზოგადებას (ანალიზ-სინთეზს), არამედ ქმედით მიმართულებასაც. თავისი სემანტიკური აზრით მნიშვნელობა და დანიშნულება ყოველთვის დაკავშირებულია აქტიური დამოკიდებულების მომენტებთან. აქედან — „მნიშვნელობის“ კატეგორია მოითხოვს აქტიურ სემანტიკურ პოტენციალს. ამ უკანასკნელის ნაკლოვანება იწვევს მნიშვნელობის შინაარსის დეპრივაციასა და გამოფიტვას. როგორც ჩანს, შიზოფრენიულ ბუნების პარანოიდული სინდრომის დროს პიროვნების ანტინომიურ შესაძლებლობათა (ე. ი. ფსიქიკური აპარატის ინტეგრაციის) ნაკლოვანება იწვევს სემანტიკური პოტენციალის ძალისა და დიაპაზონის, აქედან კი საგანთა და მოვლენათა მნიშვნელობის შესახებ წარმოდგენის დაქვეითებას.

იქმნება ავადმყოფური ვითარება, როდესაც ფორმულის — „დედა შვილებს არ წამლავს“ ფორმალური შენახვის პირობებში ბოდვითი ფორმულა“ „დედაჩემი მე მწამლავს“ მოკლებულია მდგომარეობის ნამდვილი შეფასების შესაძლებლობას.

„მნიშვნელობის“ ნაკლოვანების გამო ფორმულა დედის შესახებ კარგავს ქმედით შინაარსს და შვილისადმი დამოკიდებულების, ანტინომიური შეფასება შეიძლება შეჩერდეს მხოლოდ მნიშველი უარყოფის ეტაპზე, საბოლოო ფორმულირების — „დედა მე, როგორც შვილს, არ მწამლავს“ გარეშე.

ფსიქოლინგვისტიკური ანალიზი გვიჩვენებს, რომ შიზოფრენიის დროს ზემოქმედების, დევნის, მოწამვლის და განადგურების ბოდვითი პროდუქციები, როგორც აქტიურად ქმედითი დამოკიდებულების პათოლოგია, მოკლებულია ანტინომიური შეპირისპირებისა და ფორმულირების შესაძლებლობებს. ჩვენი დაკვირვების თანახმად, მნიშვნელობის ფსიქოლინგვისტიკური კატეგორიის ნაკლოვანება წარმოადგენს ერთ-ერთ არსებით წინამძღვარს შიზოფრენიის დროს ბოდვითი პროდუქციებისათვის.

საბოლოოდ მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ შიზოფრენიის პარანოიდული ფორმის დროს სემანტიკურად ანტინომიური პასუხების ლატენტური პერიოდი გახანგრძლივებულია თითქმის ორჯერ. საპასუხო რეაქციის დროს გაზრდას ადგილი აქვს ყველა სიტყვიერი გამღიზიანებლისას, განსაკუთრებით კი სახელზმნებისა და განყენებული არსებითი სახელების ხმარების დროს.

ყველა ექსპერიმენტისას ლატენტური პერიოდის რიცხვის მონაცემების შედარება არ ამჟღავნებს შესამჩნევ განსხვავებას პირველ და მეორე ვარიანტებს შორის.

გამღიზიანებელთა სემანტიკის ანტინომიური ანალიზის ნაკლოვანება ვლინდება ანტინომიური პასუხების მიუღებლობის უფრო ხშირად კი სიტყვა-გამღიზიანებელთა გამეორების, ან მათი შინაარსის ნაწილაკ „არა" გზით უარყოფის სახით.

ანტინომიური მეტყველებითი რეაქციის დეფექტი მოწმობს შიზოფრენიის პარანოიდული ფორმით დაავადებულთა ანალიზურ-სინთეზური მოქმედების დარღვევას .

კლინიკურად ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ ნორმასა და პათოლოგიაში ფსიქოლინგვისტიკა ხვდება სოციალურ-ფსიქოლოგიური ხასიათის საკითხებს, უთმობს რა ცენტრალურ ყურადღებას სიტყვათა მნიშვნელობისა და ცნებების შესახებ წარმოდგენებს.

სიტყვით აღნიშნულ საგნებსა და მოვლენებს ინდივიდუუმისათვის აქვთ არა მხოლოდ შემეცნებითი აზრი, არამედ ამასთანვე, იხსნება მათი მნიშვნელობა თავისი დამოკიდებულების პიროვნულ შეფასებასთან ერთად.

სემანტიკური აქტივობის (სემანტიკური ველის სიფართე და სემანტიკური პოტენციალის ძალა) შედარება სიტყვიერ ექსპერიმენტთა ორი ვარიანტის დროს ავლენს გარკვეულ კანონზომიერებას სიტყვიერ რეაქციათა თავისებურებებში, სიტყვა-გამღიზიანებლის მორალურ-ეთიკური შინაარსისაგან დამოკიდებულებით.

ამ მხრივ დასტურდება, რომ შიზოფრენიის პარანოიდული ფორმის დროს, როდესაც ავადმყოფები მოცული არიან დევნის, ზემოქმედების, მოწამვლის, მორალური წახდენილობისა და ფიზიკური განადგურების შინაარსის მძიმე ბოდვითი განცდებით, პიროვნული აქტივობა მაინც გარკვეული ხარისხითაა შენახული.

პიროვნების ანტინომიურ-სემანტიკური შესაძლებლობათა ნაკლოვანება განსაკუთრებით თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი, რო-

დესაც გამღიზიანებლად მოცემულია განყენებული არსებითი სახელები და სახელზმნები.

სახელზმნებზე ანტინომიურ პასუხთა პროცენტული ჩამორჩენა მეტია, ვიდრე განყენებულ არსებით სახელებზე. არაა გამორიცხული შესაძლებლობა დავუშვათ, რომ ანტინომიურ პასუხთა შემთხვევაში სახელზმნები, რომლებიც თავისი სემანტიკით ასახავენ მოქმედებას ან საქმიანობას, უფრო რთულია ანტინომიური გადაწყვეტისათვის. ისმება მნიშვნელოვანი პრობლემატიკური საკითხი „ქმედების“ კატეგორიების, და „ცოდნის“ კატეგორიების ფსიქოდინამიკური შეპირისპირების შესახებ.

პათოლინგვისტურ ძიებაში განსაკუთრებით აუცილებელია სიმბიოზი მათემატიკის ენისა და ინდივიდუალური ანალიზის ენას შორის.

ანტინომიურ სიტყვიერ რეაქციებში, როდესაც უარყოფა ხორციელდება ნაწილაკ „არა“-ს გამოყენებით, გათვალისწინებული უნდა იქნეს ორი მომენტი: გარკვეული კონფორმიზმი (დამორჩილება—სიტყვის გამეორება) და აქტიური დაპირისპირება. ასეთ შემთხვევაში ანტინომიური სემანტიკური პოტენციალის ძალა იწურება და შეჩერდება უარყოფის ეტაპზე, არ აქვს რა საბოლოო ფორმულირების შესაძლებლობა.

თანამედროვე ფსიქოლინგვისტიკაში სემანტიკური ველისა და სემანტიკური პოტენციალის პრობლემებთან ერთად დაკავშირებული ყურადღება ეთმობა მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ი ს შესახებ წარმოდგენის სემანტიკურ ანალიზს. ჩვენი დაკვირვებების თანახმად მნიშვნელობა კვალიფიცირებულ უნდა იქნეს, როგორც ურთულესი პიროვნული კატეგორია, რომელშიც გვაქვს არა მხოლოდ განყენება და განზოგადება, არამედ ქმედითი მიმართულება.

შიზოფრენიის პარანოიდული ფორმის დროს პიროვნების ანტინომიურ შესაძლებლობათა ნაკლოვანება იწვევს სემანტიკური პოტენციალის ძალისა და დიაპაზონის, აქედან კი საგნებისა და მოვლენების მნიშვნელობის შესახებ წარმოდგენის დაქვეითებას მათთდამი ინდივიდუუმის დამოკიდებულების გაუკუღმართებით.

აღნიშნული გარემოება შეადგენს ერთ-ერთ არსებით ფსიქოდინამიკურ წინამძღვარს შიზოფრენიის დროს ბოდვითი სინდრომისათვის.

პათოლინგვისტური მიმართულება გვამდიდრებს ცნების, მნიშვნელობის და საქმიანობის ფსიქოლოგიის შესახებ ახალი მონაცე-

მებით, შიზოფრენიის კლინიკის თეორიისა და პრაქტიკის პრობლემებთან მიმარჯვებით.

ანტინომიური სემანტიკის ზიანი, რომელიც განსაკუთრებით ვლინდება მოქმედების გამომხატველი (სახელზმნები) სიტყვა-გამოიზიანებლების დროს, წარმოადგენს შიზოფრენიისას ფსიქოენერგეტიკული პოტენციალის დაქვეითების ერთ-ერთ კონკრეტულ მაჩვენებელს.

შინაარსი

შესავალი 3
პერსონოლოგიის აქტუალური პრობლემები 19
პიროვნება და ანტინომიური რეაქციები 27
ფსიქოენერგეტიკული პოტენციალის შესახებ 33
ბავშვთა და შეღერებულთა ფსიქოლოგიისა და პათოფსიქოლოგიის პერ-
სონოლოგიური პრობლემები 38
პერსონოლოგია და ფსიქოთერაპია 44
ქართული ენის პერსონოლოგიური სემანტიკის შესახებ 49
კაცთმცოდნეობის საკითხისათვის 58
პერსონოლოგიისა და პათოპერსონოლოგიის ზოგიერთი საკითხის შესახებ
მხატვრულ ლიტერატურაში 65
პერსონოლოგიური პრობლემები შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხის-
ტყაოსანში" 67
განსაკუთრებით რთულ სულიერ მდგომარეობათა პრობლემა პოემაში . 70
ავთანდილის პიროვნული თავისებურებანი 74
ტარიელის პიროვნული თავისებურებანი 78
თინათინისა და ნესტან-დარეჯანის პიროვნული თავისებურებანი . . 83
ზოგადი ხასიათის შენიშვნები ვეფხისტყაოსნის შესახებ. 90
ფსიქოფიზიკურ კორელაციათა ზოგიერთი საკითხის შესახებ 100
დედაკაცისა და მამაკაცის პიროვნული ფსიქოლოგიის ერთიანობის
შესახებ 103
პიროვნული ფსიქოლოგია როგორც ზოგადსაკაცობრიო პრობლემა . 104
პერსონოლოგიური პრობლემები სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედებაში 111
პერსონოლოგიური პრობლემები ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში .130
პერსონოლოგიური პრობლემები ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში . 138
პერსონოლოგიური პრობლემები ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში . . 150
პერსონოლოგიური პრობლემები ივანე ჯავახიშვილის შემოქმედებაში . 181
პერსონოლოგიური ზოგიერთი საერთო პრობლემის შესახებ შექსპირის,
გოეთეს, ფ. შილერის და თ. დოსტოევსკის შემოქმედებაში . 188
დედობის პერსონოლოგიური იდეები რაფაელისა და ლეონარდო და-ვინ-
ჩის შემოქმედებაში 193
ანტინომიური სემანტიკის საკითხისათვის სიტყვიერ ექსპერიმენტში შიზო-
ფრენიის პარანოიდული ფორმის დროს 198

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით
ИБ 79

*

რედაქტორი ბ. ნანეიშვილი
გამომცემლობის რედაქტორი ს. ჩიჩუა
ტექრედაქტორი ნ. ბოკერია
კორექტორი ბ. თოფურია

გადაეცა წარმოებას 4.1.1979; ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.5.1979;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ქაღალდი № 1; ნაბეჭდი თაბახი 15,0;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 12.9;
უე 01134; ტირაჟი 1500; შეკვეთა № 147;
ფასი 1 მან. 50 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19